ლ. სანიკიძე

პონტოს სამეფო



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
ქ. თბილისი 56

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამ წიგნის მიზანია, შეძლებისდაგვარად დაუსურათოს მკითხველებს — მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას და ყველას, ვინც ცდილობს თავისი ცოდნის გაფართოვების ინტერესი შორეული ისტორიის გაცნობითაც დაიკმაყოფილოს — პონტოს სახელმწიფოს არსებობისა და ბრძოლის ისტორია; მით უფრო, რომ ამის შესახებ ჩვენში ჯერ დაწერილებით არაფერი დაწერილა.

პონტოს სახელმწიფო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველ რიგში იმით, რომ მისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (ბერძნული მოსახლეობის გარდა) ქართული წარმოშობისა იყო. ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველური ტომები სწორედ იმ ტერიტორიებზე და იმ ეპოქაში ცხოვრობდნენ, სადაც და როდესაც პონტოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ამას გარდა, პონტოს სამეფოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმდროინდელ მოსახლეობასთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან (კოლხეთი, იბერია).

პონტო საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ ის თითქმის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც მის დროს აღმოსავლეთში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება იმ თავგანწირული და ხანგრძლივი ბრძოლებით, რომელსაც ის მთელი თავისი არსებობის შანძილზე განუხრელად აწარმოებდა რომის მსოფლიო იმპერიის დაპყრობათა წინააღმდეგ. ათეული წლების მანძილზე პონტოს სამეფო ის ძალა იყო, რომლის გარშემოც ერთიანდებოდნენ ძლიერების ზენიტში მყოფი რომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები...

წიგნში ძირითადად პონტოს პოლიტიკური და სამხედრო ისტორიაა გადმოცემული. ასეთი შეზღუდვა საისტორიო წყაროების ცალ-

მხრივობითაა გამოწვეული. ' ანტიკური დროის ავტორები (აპიანე, პლუტარქე, დიონ კასიუსი, მემნონი, სტრაბონი, ციცერონი, სალუსტიუსი, იუსტინე, ფლორუსი და სხვ.), რომელთა საფუძველზეც არის დაწერილი ეს შრომა, ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ისტორიით არიან გატაცებული, — პონტოს ისტორიასაც მხოლოდ იმდენად ეხებიან, რამდენადაც მას რომთან ურთიერთობა ჰქონდა და შეტად მწირ ცნობებს გვაწვდიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაზე.

ამგვარად, ეს წიგნი პონტოს ისტორიის მთელი სისრულით წარმოდგენის პრეტენზიას ვერ განაცხადებს. მაგრამ ის ზემოთ აღნიშნულ მიზანს, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანწილად მაინც გაუწევს სამსახურს.



შ ე ს ა ვ ა ლ ი

323 წელს (ძვ. წ.) ბაბილონში გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი. ძველი მსოფლიოს გამოჩენილი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, უზარმაზარი მსოფლიო იმპერიის საფუძვლის ჩამყრელი.

მისმა თვალუწვდენელმა მონარქიამ, რომელიც ბალკანეთიდან და ეგვიპტიდან ინდოეთამდე იყო გადაჭიმული და, ამრიგად, მთელი ძველ-აღმოსავლური სამყაროს უმეტეს ნაწილს მოიცავდა, დამაარსებლის სიკვდილისთანავე ნგრევა დაიწყო. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო სახელმწიფოს, კიროსის, ცეზარისა და კარლოს დიდის ვრცელ პოლიტიკურ გაერთიანებათა მსგავსად, არა ჰქონია თავისი ერთიანი „ეკონომიური ბაზა“ და წარმოადგენდა „დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებას... ტომებისა და ხალხების კონგლომერატს...“* ასეთი თიხასფეხებიანი ბუმბერაზი სახელმწიფოები იყვნენ მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და ერთი მეორესთან ეკონომიურად სუსტად შეკავშირებულ ხალხთა „შემთხვევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერატები, რომელნიც ირღვეოდნენ და ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ დამპყრობელის წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით“...**

სულთმობრძავი ალექსანდრეს სარეცელთან მისი სარდლები და უახლოესი თანამებრძოლები ყურადაქვეტილი უსმენდნენ, თუ ვის დაუტოვებდა ის თავის უსაზღვრო იმპერიას; „ყველაზედ ღირსეულ-

---

* ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 10.

** ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, 1947, გვ. 315.

სო“, — აღმოხდა მას და სულიც განუტევა. ალექსანდრეს დიადოხოსები (ანუ მემკვიდრეები): პერდიკა, პტოლემაიოსი, ანტიპატროსი, ლისიმახოსი, ევმენი, ანტიგონე, სელევკოსი და სხვები, ცალკეულად ყველა, თავის თავს სთვლიდა „ყველაზე ღირსეულად“. ამიტომ არც ერთ მათგანს არ უნდოდა უსისხლოდ დაეთმო ახლადშექმნილი იმპერიის უმაღლესი ძალაუფლება.

22 წლის მანძილზე დიადოხოსთა შორის განუწყვეტელი სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობდა. ბოლოს, მას შემდეგ, რაც იპსოსთან ბრძოლაში(301 ძვ. წ.) დიადოხოსთაგან უძლიერესი ანტიგონე და მისი შვილი დემეტრიოსი დამარცხდნენ, აზიაში, როგორც იქნა, დროებითი პოლიტიკური წონასწორობა დამყარდა. მაკედონელის მონარქიის ნანგრევებზე სამი დიდი, ე. წ. ჰელინისტური სახელმწიფო შეიქმნა: მაკედონია, სადაც ანტიგონიდების დინასტია გაბატონდა, ეგვიპტე, სადაც პტოლემაიოსების უმაღლესი ძალაუფლება დამყარდა და სირია, რომელიც სელევკიდების დინასტიის საკუთრებად იქცა. ეს სახელმწიფოები ერთი მეორის წინააღმდეგ გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ და ცალკეულად ცდილობდნენ, ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის მსგავსად, მსოფლიო იმპერიებად ქცეულიყვნენ.

III ს-ში (ძვ. წ.) ნგრევა დაიწყო სელევკიდების სახელმწიფომ, რომელიც ჰელინისტურ სამეფოთაგან ყველაზე უფრო ვრცელი იყო; მისი საზღვრები ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე იყო გადაჭიმული. მის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ჩამოყალიბდა ბაქტრიისა და პართიის სამეფოები, ხოლო დასავლეთით სელევკიდებს ხელიდან გამოეცალათ მთელი მცირე აზია.

მცირე აზიაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანებანი: პერგამოსის სამეფო, რომელსაც ეჭირა მცირე აზიის მთელი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; კაპადოკია — სირიის ჩრდილოეთით; პონტო — კაპადოკიის ჩრდილოეთით ვიდრე შავ ზღვამდე; პაფლაგონია — პონტოს დასავლეთით; ბითინია — მცირე აზიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პროპონტიდისა (მარმარილოს ზღვა) და ჰელესპონტის (დარდანელის სრუტე) გასასვლელებთან. მცირე აზიის შიგ ცენტრში ევროპიდან შემოჭრილი კელტურ-გალატიური ტომებისაგან ჩამოყალიბდა გალატიის სამთავრო.

ყველა ამ სახელმწიფოთა მბრძანებელნი ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ ერთიმეორის დასუსტებისა და დამონებისათვის. ისინიც სელევკიდების, პტოლემაიოსებისა და მაკედონელების მსგავსად, მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდნენ.

და, აი, სწორედ ამ დროს, II საუკუნის დამდეგს (ძვ. წ.) აღმოსავლეთში ფეხი შემოსდგეს მსოფლიო ბატონობის ახალმა პრეტენდენტებმა, აზიელთათვის უცხო სტუმრებმა, სხვისი მიწაწყლის ღამორჩილების ჟინით შეპყრობილმა მძლავრმა მეომრებმა.

ესენი იყვნენ რომაელები.

* *

აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალური ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ოლქში, ლაციუმში, მდ. ტიბრის ქვემო წელზე, VIII საუკუნის (ძვ. წ.) შუა ხანებში დაარსდა ქალაქი რომი.

ტრადიციის თანახმად, 509 წელს (ძვ. წ.) რომში მეფეთა ხელისუფლება დაემხო და მონათმფლობელური რესპუბლიკა დამყარდა. ახალი კონსტიტუცია ძირითადად არისტოკრატიული ოლიგარქიის უმაღლეს ძალაუფლებას ახორციელებდა.

რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას საათავეში ედგა ორი კონსული, რომელთაც ყოველწლიურად ირჩევდნენ. ისინი მშვიდობიანობის დროს უმაღლეს სამოქალაქო საქმეებს განაგებდნენ, ხოლო ომის დროს მთავარსარდლების მოვალეობას ასრულებდნენ. სახელმწიფოსათვის დიდი საშიშროების შექმნის პირობებში საგანგებოდ ირჩევდნენ დიქტატორს, მაგრამ მხოლოდ 6 თვის ვადით, იმის გამო, რომ განუსაზღვრელი უფლებების მქონე დიქტატორი რომაელებს მეფედ, „ტირანად" ჰყავდათ მიჩნეული, და მისი რწმუნებების ვადის გახანგრძლივება რესპუბლიკური წყობილების გაუქმებას ნიშნავდა. ამათ გარდა, რომაელები ყოველწლიურად ირჩევდნენ პრეტორებს, სახელმწიფოს შიგნით წესრიგის ზედამხედველებს და კონსულის უმცროს კოლეგებს; შემდეგ, — ცენზორებს, რომლებიც ადგენდნენ მოქალაქეთა ცენზებს და მისი მიხედვით ახდენდნენ მათი უფლებების განაწილებას; ედილებს —, რომელთაც ევალებოდათ ქალაქში წესრიგის მეთვალყურეობა და ფინანსების, ბაზრების და პურით მომარაგების ხელმძღვანელობა.

ყველა ამ უმაღლეს მაგისტრატს ირჩევდა სახალხო კრება. სახალხო კრება, მართალია, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ითვლებოდა, მაგრამ პოლიტიკურ ინიციატივას მოკლებული იყო, რადგან ის ისეთ საკითხებს არჩევდა, რომლებიც სენატის სხდომაზე იყო განხილული და უმაღლესი მაგისტრატების მიერ აღძრული.

სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სენატი, რომელიც ვადაგასული, ყოფილი მაგისტრატებისაგან შეს-

დგებოდა. ფორმალურად ის რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც იყო. ის განაგებდა სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების, რელიგიის, ფინანსების და საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

ყველა ზემოთ აღნიშნული მაგისტრატურები და განსაკუთრებით კი სენატი, თავიდანვე პატრიციატის, ე. ი. არისტოკრატიის ძალაუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა. სენატი არისტოკრატიული ოლიგარქიის ბირთვი იყო.

რესპუბლიკის დაბალი ფენები, რომლებიც პლებეების სახელწოდებით არიან ცნობილნი, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ პატრიციებთან. ამის შედეგად პლებეებმა შესძლეს თავიანთი უფლებების დასაცავად აერჩიათ განსაკუთრებული მაგისტრატები, უმაღლესი თანამდებობის პირები, რომელთაც სახალხო ტრიბუნები ეწოდებოდათ. ტრიბუნებს მხოლოდ პლებეების რიგებიდან ირჩევდნენ, პირველად — ორს, ხოლო შემდეგ მათმა რიცხვმა ათამდე მიაღწია. ტრიბუნის მოვალეობას სწორედ პლებეების ინტერესების დაცვა შეადგენდა. მას უფლება ჰქონდა ჩარეულიყო ყველა უმაღლესი მაგისტრატის საქმიანობაში დიქტატორისა და ცენზორის გარდა. სახალხო ტრიბუნის „ვეტო“ („ვკრძალავ“) აუქმებდა ყველა კანონს, რომელსაც კი რომელიმე მაგისტრატის წარდგენით დაამტკიცებდა სახალხო კრება ან სენატი. სახალხო ტრიბუნს მაგისტრატების დაპატიმრების უფლებაც კი ჰქონდა. თვითონ მისი პიროვნება ხელშეუხებლად ითვლებოდა. ტრიბუნის სახლის კარები მუდამ ღია უნდა ყოფილიყო და ხელშეუხებლად ითვლებოდა დევნილი პლებეიც, რომელიც კი თავშესაფარებლად მის სახლში შეასწრებდა. ტრიბუნს მხოლოდ უფლება არ ჰქონდა, დასწრებოდა სენატის სხდომებს და მონაწილეობა მიეღო მასში. (ბოლო ხანებში მათ ეს უფლებაც მოიპოვეს). ეს იყო, რომ ტრიბუნის ასეთი ფართო რწმუნებები ძალას ჰკარგავდა ქალაქის გარეთ.

ასეთი იყო რომის მონათმფლობელური რესპუბლიკის სახელმწიფო კონსტიტუცია, რომელმაც თავისი სახე მანამ შეინარჩუნა, სანამ რომი პატარა ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა და სანამ ის მსოფლიო სახელმწიფოდ გადაიქცეოდა....

რომი თანდათანობით გაძლიერდა და შეუდგა მეზობელი ქალაქებისა და ტომების დამორჩილებას. III საუკუნის პირველი ნახევრისათვის (ძვ. წ.) მას უკვე მთელი იტალია ჰყავდა დამორჩილებული. ამგვარად, რომი ხმელთაშუა ზღვის აუზის ერთერთ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. მისმა გაძლიერებამ შეაშფოთა ხმელთაშუაზღვეთის მძლავრი სახელმწიფო, კართაგენი.

კართაგენი დააარსეს ფინიკიელებმა IX ს-ში (ძვ. წ.) აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე, დღევანდელი ტუნისის ყურესთან. კართაგენი III საუკუნისათვის (ძვ. წ.) გაბატონებული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზის მთელს დასავლეთ ნაწილში. მას ემორჩილებოდა ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ ესპანეთის ტერიტორიები და ქალაქები; მის მფლობელობაში შედიოდა კუნძულ სიცილიის დასავლეთი ნაწილიც.

264 წელს (ძვ. წ.) დაიწყო საშინელი ბრძოლები რომსა და კართაგენს შორის ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებისა და მსოფლიო პირველობისათვის. „რომის ომი კართაგენთან ორივე მხრივ იმპერიალისტური ომი იყო", — ამბობს ლენინი*. ეს ომები კართაგენელთა წარმოშობის სახელწოდების — „პუნების" (ფინიკიელები) — მიხედვით ისტორიაში პუნიკური ომების სახელითაა ცნობილი. სულ სამი პუნიკური ომი მოხდა. ამათგან რომაელთათვის ძალიან მძიმე და საშიში მეორე ომი (218-201) იყო, როცა კართაგენელთა სახელოვანმა სარდალმა ჰანიბალმა ალპები გადალახა, იტალიაში შეიჭრა და რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა რომაელთა ძლიერი არმიები. მაგრამ ბოლოს, რომაელებმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის სარდლობით ჰანიბალი იტალიიდან განდევნეს და აფრიკაში, ქ. ზამასთან დააამარცხეს... მესამე პუნიკური ომი (149-146) კართაგენის დანგრევით დამთავრდა. ძირითადად კი კართაგენის სრული დასუსტება და მთელს ხმელთაშუა ზღვაზე რომის გაბატონება შედეგად მოჰყვა მეორე პუნიკურ ომს.

ამის შემდეგ რომაელებმა თვალი მიაპყრეს აღმოსავლეთს. II საუკუნის დასაწყისში (ძვ. წ.) მათ ხელში ჩაიგდეს საბერძნეთი, დაამარცხეს მაკედონიის ძლიერი მეფე ფილიპე V; ერევიან ეგვიპტის შინაურ საქმეებში და მას შემდეგ, რაც მაგნეზიასთან ცნობილ ომში (190 ძვ. წ.) სირიის მეფე ანტიოქე III გაანადგურეს, აზიაშიც დაიწყეს თავიანთი ძლიერების მახვილის დამკვიდრება.

ვერც ერთმა იმ აზიურ ჰელინისტურ სახელმწიფოებიგან, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, ვერ გაბედა მსოფლიოს ახალი მპყრობელების წინააღმდეგ გამოსვლა. ერთადერთი იყო პონტოს სამეფო, რომელმაც გადასწყვიტა ჩაბმულიყო იმ საშინელ სისხლიან ომებში, რასაც რომაელებთან ბრძოლა მოითხოვდა.

---

* ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, 1952, გვ. 180.

პონტოს სამეფო მითრიდატე VI-მდე

„პონტოს“ სახელწოდების ქვეშ ბერძენი მწერლები ჩვეულებრივ შავი ზღვის, ანუ პონტოს ევქსინოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებს გულისხმობდნენ. ხოლო მცირე აზიის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელსაც ჩვენ საკუთრივ პონტოს ვუწოდებთ, — ეს სახელწოდება პირველად გაჩნდა ჰელინისტურ ეპოქაში, III საუკუნეში (ძვ. წ.), როცა მცირე აზიის ამ ნაწილში სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

გეოგრაფიულად პონტო მოიცავდა ოლქებს მდ. ჰოროხიდან (აპსარი) მდ. პართენიონამდე, მცირე აზიის მაღლობების ჩრდილოეთ ნაწილს და მდ. ევფრატის ზემო დინების მიდამოებს.

ანტიკურ წყაროთა ერთხმივი დამოწმებით, ამ ტერიტორიაზე ადრიდანვე ხალიბები*, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

პონტოს სახელმწიფოს ზღვის სანაპირო ზოლზე ცნობილი ბერძნული კოლონიები — ამასტრისი, სინოპი, ამისოსი, თემისკირა, პოლემონია, კოტიორა, ტრაპეზუნტი და სხვები — ჰყეაოდნენ. მათ თავიანთი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობით არ ჩამორჩებოდნენ ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქები: გაზელიონი, ფასელმონი, ამასია (რომელიც შემდგომ მითრიდატე ევპატორის სატახტო ქალაქად გამოცხადდა), �ელა, გაზიურა, კომანა, ქაბეირა და სხვ.

---

* ქართველ ტომთაგან ხალიბები ყველაზე დასავლეთით ცხოვრობდნენ, მდ. თერმოდონთან. ასეა ეს დადგენილი დღემდე. მაგრამ წყაროთა სათანადოდ გადასინჯვისას ირკვევა, რომ ქართველი ხალიბები მდ. თერმოდონიდან გაცილებით დასავლეთითაც ცხოვრობდნენ. აი, ეს წყაროებიც:

1) ჰეროდოტე (I, 28): „დროთა განმავლობაში კრეზოსის მიერ დამორჩილებული იქნა ყველა ხალხები, მცხოვრებნი მდ. ჰალისის აქეთა მხარეს კილიკიელებისა და ლიკიელების გამოკლებით; სახელდობრ: ლიდიელები, ფრიგიელები, მისიელები, მარიანდინები, ხალიბები, პაფლაგონიელები, თრაკიელები, თინები და ბითინები, კარიელები, იონიელები, დორიელები, ეოლიელები, პამფილიელები“... აქედან აშკარად ჩანს, რომ ხალიბები მდ. ჰალისის დასავლეთით ცხოვრობენ. ბერძენ, ჰალიკარნასი მკვიდრ, ან ათენში მცხოვრებ ჰეროდოტესათვის „ჰალისის აქეთა მხარეს“ უოთოდ ჰალისის მარცხენა მხარეს ნიშნავს. ამას გარდა, ისიც ხომ უეჭველია, რომ ჰეროდოტეს მიერ ხალიბებთან ერთად ჩამოთვლილი ყველა ეს ხალხები ჰალისიდან დასავლეთით ცხოვრობენ და მაგ რიცხვში ხალიბთა მოხსენიება იმასვე უდრის, რომ ესენიც ამ მდინარიდან დასავლეთით მოსახლეობენ;

2) ლიკოფრონი (ლატიშევი, I, 925): „ხალიბები ხალხი პაფლაგონიისა, რომლებთანაც, როგორც ჩანს, პირველად იქნა მოპოვებული რკინა“... აქედან ჩანს, რომ

ხალხი უმთავრესად ციტადელებით გამაგრებულ სოფლებში ცხოვრობდა და ქვეყანაც მთლიანად მოფენილი იყო მიეკალ ციცაბოებზე აგებული ციხე-ქალაქებით, რომლებიც განძეულობის შესანახსა და შიშიანობის დროს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენენ. სტრაბონი მრავლად მოიხსენიებს პონტოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთ ციხე-ქალაქებს.

პონტოს მთიანეთი დაბურული იყო გაუვალი ტყეებით, სადაც უხვად მოიპოვებოდა გემთსაშენი და საოჯახო ავეჯისათვის გამოსადეგი ხე-ტყე. ტყეებში მრავლად იყო ბეწვიანი გარეული ცხოველები და, რაც მთავარია, მთები მდიდარი იყო მთამადნეულით, რომლის დამუშავებასა და გამოყენებას ადრიდანვე მისდევდნენ იქ მცხოვრები ქართველური ტომები.

სახნავ-სათესი ფართობები შედარებით მცირე ჰქონდათ, მეტწილად მდინარეთა, აკამპსის, აპსარის, რიზის, გისის, ტრიპოლისის, ბელანთიუმის, თერმოდონის, ირისის, ლიკოსის, ლიკასტის და ჰალისის მიდამოებში და ზღვის სანაპირო ზოლზე; მაგრამ რაც ჰქონდათ, საკმაოდ ნაყოფიერი და მოსავლიანი იყო.

პონტოს სახელმწიფოს მომავალ გაძლიერებას სხვა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორებიც უწყობდნენ ხელს. ის ტერიტორია, სადაც პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა, ძველთაგანვე დიდ სავაჭრო გზაჯვარედინს წარმოადგენდა. აქ გაივლიდნენ სავაჭრო გზები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან შორეული აღმოსავლეთისაკენ და ყირიმიდან მცირე და წინა აზიის ქვეყნებისაკენ. პონტოს ეკონომიური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ინ-

---

ხალიბები პაფლაგონიის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ, ხოლო პაფლაგონიის საზღვარი აღმოსავლეთით არასდროს არ შორდებოდა მდ. ჰალისს;

3) პომპონიუს მელა (I, 105): „(პაფლაგონიელებთან) ახლობელ ხალიბებს ექვთ მთავარი ქალაქები, ამისოსი და სინოპი, სიმბოლო კინიკოს დიოგენისა, ხოლო მდინარეებიდან — ჰალისი და თერმოდონი"... თუ გავითვალისწინებთ, რომ ამისოსი ჰალისიდან აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო სინოპი ამავე მდინარის შესართავიდან საკმაოდ შორს დასავლეთით, გამოდის: ხალიბები მდ. ჰალისის ზემო დინების ორივე მხარის მკვიდრნი არიან და თანაც თავის ტერიტორიაზე მოითვლიან ამისოსსა (აღმოსავლეთით) და სინოპს (დასავლეთით);

ახლა ისიც მოვიგონოთ, რომ ქ. ამისოსიდან მდ. თერმოდონამდე ხალიბთა გარდა არც ერთი სხვა ტომი არ ცხოვრობდა...

თუკი ამ ცნობებს დამაჯერებლად მივიჩნევთ, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ: შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ყველაზე უფრო დასავლეთით მცხოვრები ქართველი ტომის, ხალიბების ტერიტორია გადაჭიმული იყო მდ. თერმოდონის მიდამოებიდან სინოპის სანახებამდე, ე. ი. მოიცავდა მდ. ჰალისის ორივე სანაპიროს და თავის ტერიტორიულ ერთეულში მოითვლიდა ცნობილ ბერძნულ ქალაქებს ამისოსსა და სინოპს.

დოეთ-ჩინეთისაკენ მიმავალი სამხრეთული გზები პართიის სამეფოს გადაჭრა.

პონტოს გაძლიერებას ხელს უწყობდა მაშინდელ აზიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობაც. ძლიერი ჰელენისტური სახელმწიფოები გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომებით ერთიმეორეს ასუსტებდნენ და ძალა აღარ შესწევდათ, პონტოს სამეფოს წინსვლასა და ძლიერებას წინ გადასდგომოდნენ. სელევკიდების სახელმწიფო ინგრეოდა, ხოლო მის შემდეგ აზიაში არც ერთ პოლიტიკურ შენაერთს არ შეეძლო პონტოს აღზევების შეჩერება.

* *

VI-V ს-ებში (ძვ. წ.) პონტოს ტერიტორია სპარსეთის ერთ-ერთ დამორჩილებულ ოლქს, ანუ სატრაპიას წარმოადგენდა. როცა სპარსეთი მაკედონელებმა დაიპყრეს, პონტოს სამეფოს დინასტიის ერთ-ერთმა წინამორბედთაგანმა, მითრიდატემ (337-302) მორჩილება გამოუცხადა ალექსანდრე მაკედონელს. ალექსანდრეს სიკვდილის (323 ძვ. წ.) შემდეგ პონტოს მმართველი იძულებული შეიქნა ერთ-ერთი დიადოხოსის, კაპადოკიის მმართველის, ევმენის უმაღლესი ძალაუფლება ეცნო. როგორც ჩანს, მითრიდატე და ევმენი ძალიან დაახლოებული და დამეგობრებული ყოფილან. მაგრამ როცა ევმენი ანტიგონესთან უკანასკნელ ბრძოლაში დამარცხდა და მისივე ბრძანებით სიკვდილით დასჯილი იქნა, მითრიდატემ ანტიგონესთან გააბა ურთიერთობა და მისი სასახლის კარზე ფრიად საპატივცემულო და მისაღებ კაცად იქნა მიჩნეული. მითრიდატე განსაკუთრებით დამეგობრებია ანტიგონეს შვილს, პამაცსა და ჭკვიან დემეტრიოსს. მაგრამ როცა 302 წელს (ძვ. წ.) ანტიგონეს მტრები, სხვა დიადოხოსები გაერთიანდნენ და გადამწყვეტი, ცნობილი იპსოსის ბრძოლის ჟამიც მოახლოვდა, ანტიგონეს ეპვი შეუტანია პონტოს მმართველის ერთგულებაში, ბრალი დაუდია მისთვის მტრების მხარეზე გადასვლაში, და სიკვდილით დაუსჯია კიდეც (302 წ. ძვ. წ.).

ანტიგონესთან, სასახლის კარზე დარჩა სიკვდილით დასჯილი მითრიდატეს შვილი, რომელსაც სახელად, აგრეთვე, მითრიდატე ერქვა. ეს ახალგაზრდა პონტოელი ძალიან დაახლოებული და დამეგობრებული იყო დემეტრიოსთან. ისინი ერთად იბრძოდნენ ანტიგონეს მტრების წინააღმდეგ, ერთად სწავლობდნენ და ეუფლებოდნენ იმ დროისათვის მეტად მიღებულ ჰელინურ, ე. ი. ბერძნულ კულტურას, ერთად სადილობდნენ, ხშირად ერთად იძინებდნენ და ჭირ-

სა და ლხინს თანასწორად იზიარებდნენ. მაგრამ მალე ამ მითრიდატესაც დაემუქრა სიკვდილის საფრთხე.

პლუტარქე და აპიანე მოგვითხრობენ, რომ ანტიგონემ ნახა სიზმარი, ვითომ მან დათესა ოქრო, რომლის მშვენიერი მოსავალი მოიმკო მითრიდატემ და ოქროთი დატვირთული გაიქცა პონტოში. ვინ იცის, იყო თუ არა ეს მართალი, ის კი ფაქტია, რომ ანტიგონემ მითრიდატეზე გული აიყარა და მალე მისი მოკვლაც გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება მან გაანდო თავის შვილს დემეტრიოსს და თანაც მტკიცე ფიცი ჩამოართვა, რომ ამის შესახებ კრინტი არავისთან დაეძრა, სანამ განაჩენს სისრულეში არ მოიყვანდა. დემეტრიოსი ძალიან შეწუხდა თავისი მეგობრის საშინელი ბედით. უნდოდა ყველაფერი გაენდო მისთვის, მაგრამ მამისადმი მიცემული ფიცის გატეხვაც არ სურდა. ბოლოს მან ასეთ ხერხს მიმართა. მითრიდატე ერთ დღეს სასახლიდან შორს გაიხმო და ქვიშაზე შუბის წვეროთ დაუწერა: „გაიქეცი, მითრიდატე!“. ამგვარად, მამისადმი მიცემული ფიცი არ გაუტეხია, რაკი ამის შესახებ „კრინტი არ დაუძრავს“, და მეგობარსაც აცნობა მოსალოდნელი საფრთხე.

მითრიდატე დაუყოვნებლივ მოახტა ცხენს და ექვსი მხედრის თანხლებით გაიქცა პონტოში. ეს გამაგრდა ერთ-ერთ მთაზე მდებარე მიუვალ ციხე-სიმაგრე კიმიატაში და აქედან მოუწოდა მდ. ჰალისის ორივე მხარეზე მცხოვრებლებს და მაკედონურ სამხედრო გარნიზონებს, რათა გადასდგომოდნენ ანტიგონეს და მიმხრობოდნენ მას. როგორც ეტყობა, მაკედონელი მეომრები უკმაყოფილონი ყოფილან ანტიგონეს პოლიტიკით და ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს, რომელმაც ახლა ბთელი პონტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 296 წ. (ძვ. წ.) მეფის ტიტულიც კი მიიღო. აქედან იწყება დამოუკიდებელი პონტოს სამეფოსა და მისი მმართველი დინასტიის ისტორია.

სანამ დიადოხოსები ერთიმეორეს სისხლისმღვრელი ომებით ასუსტებდნენ, მანამ პონტოს სამეფო იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. აღმოსავლეთით მას კოლხეთი და მცირე სომხეთი ესაზღვრებოდა, დასავლეთით — პაფლაგონია და ბითინია, სამხრეთით — კაპადოკია. მითრიდატე I-მა (ასე ეწოდება მას გამეფების შემდეგ) ხელთ იგდო პონტოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც ფრიგია ეწოდებოდა.

მითრიდატე I გარდაიცვალა 266 წ. (ძვ. წ.). მის შემდეგ გამეფდა მისი შვილი არიობარზანი, რომელმაც 256 წლამდე (ძვ. წ.) იმეფა.

არიობარზანეს განხეთქილება მოუხდა გალატიასთან. რომელთანაც პონტოელებს მანამდე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

ამ უთანხმოების შედეგმა თავი იჩინა არიობარზანის სიკვდილის შემდეგ. გალატებმა იმ დროს, როდესაც პონტოს სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი მითრიდატე II (256-210) იჯდა, ხელი მიჰყვეს პონტოს საზღვრების შევიწროებას. ამას ზედ დაერთო გვალვიანი და მოუსავლიანი წლები. პონტოს მაშინდელ დედაქალაქში, ამისოსში საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა. ამ დროს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, სინოპის დასავლეთით, მდიდარი სავაჭრო ქალაქი ჰერაკლეა მდებარეობდა. ჰერაკლეამ ხორბალი გაუგზავნა ამისოსის დამშეულ მოსახლეობას. ეს დიდად იწყინეს გალატებმა; შეესივნენ ჰერაკლეიის მიდამოებს და იწყეს მისი აოხრება. ჰერაკლეიის მცხოვრებლებმა დიდი გამოსასყიდით ძლივს დაიხსნეს თავი: მათ ერთიანად გადაიხადეს 5 ათასი ოქრო, ხოლო გალატების თითოეულ ბელადს 200-200 ოქრო მიართვეს და ამით ჩამოიშორეს ისინი თავიდან.

ამასობაში სისხლისაგან დაცლილი სელევკიდები ძლივს უყრიდნენ თავს თავიანთ აფორიაქებულ სამფლობელოებს. მათი მონარქია ყოველ კუთხეში აჯანყება მძვინვარებდა. ახლა ისინი იძულებული გახდნენ ეცნოთ მცირე აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა. სახელდობრ, პონტოს სამეფოს მიმართ სელევკიდებმა მტრული პოზიციის ნაცვლად მეგობრული ურთიერთობა გაიბეს. მაგალითად, სირიის მეფე სელევკოს კალინიკი ძალიან დაუახლოვდა აწ დავაჟკაცებულ მითრიდატე II-ს. სელევკოსს სურდა, რომ პონტოს მეფის დახმარებით გაენადგურებინა ეგვიპტე და აჯანყებული ძმა ანტიოქე ჰიერაქსი. ამ კავშირის განმტკიცების მიზნით სელევკოსმა მითრიდატეს ცოლად მისცა თავისი უმცროსი და, რომელსაც მზითვად გადასცა პონტოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დიდი ფრიგია.

სელევკიდებისა და პონტოს მეფეს შორის მომდევნო დროის დამოკიდებულებიდან ის ვიცით, რომ სელევკოს კალინიკის მემკვიდრემ და სირიის ცნობილმა მეფემ, ანტიოქე III-მ ცოლად შეირთო მითრიდატე II-ის ასული, რომელსაც სახელად ლაოდიკე ერქვა.

ამის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე პონტოს ისტორია ბურუსით არის მოცული. ეს პერიოდი კი მეტად საინტერესო ამბებით არის აღსავსე; განსაკუთრებით იმით, რომ ამ დროს აზიაში პირველად შემოსდგეს ფეხი მსოფლიოს ახალმა მპყრობელებმა — რომაელებმა, და საინტერესოა, როგორი მასპინძლობით შეხვდა ახალგაზრდა პონტოს სამეფო აზიაში მოსულ უცხო სტუმრებს.

რომაელებმა ხელევკიდების სამეფოს განადგურების (190 ძვ. წ.) შემდეგ ხელი მიჰყვეს აზიაში „რომაული წესრიგის“ დამყარებას. მათთან თავიანთი დამხმარე ძალებით გაეშურნენ აზიის წვრილ-წვრილი სახელმწიფოების, პერგამოსის, ბითინიის, პაფლაგონიის, კაპადოკიის და სხვ., — მმართველები. მათ რომაელებს მორჩილება გამოუცხადეს და სამაგიეროდ საჩუქრებიც მიიღეს. რომაელებმა ერთგულებისათვის ყველაზე უხვად პერგამოსის მეფე ევმენ II დაჯილდოვეს. ამის შემდეგ პერგამოსის მეფეები აღმოსავლეთში რომაული „წესრიგის“ ერთგული დამცველები და გუშაგები გახდნენ.

იმ დროისათვის აზიაში ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც რომაელთა ჩამოსახლებას მტრულად შეხვდა, მხოლოდ პონტოს სამეფო იყო. პონტოს ახალ მეფეს, ფარნაკს (190-170) რომაელებისათვის არც დამხმარე ძალები გაუგზავნია და არც სხვა რაიმე ურთიერთობა გაუბამს მათთან. პონტოში თითქოს ყურად არც კი იღეს აზიაში ახალი საშიში ძალის გამოჩენა.

ფარნაკი, ძლიერი და ენერგიული მეფე, მუდამ თავის სახელმწიფოს გაფართოებასა და გაძლიერებაზე ზრუნავდა. მისი დაპყრობითი გეგმების განხორციელებას ყველაზე მეტად ხელს უშლიდა პერგამოსის სამეფო. ამიტომ ფარნაკი ძალიან უკმაყოფილოდ შეხვდა რომაელთა იმ ხელგაშლილობას, რომელიც მათ გამოიჩინეს პერგამოსის მეფის მიმართ. პონტოს მეფემ ანგარიში არ გაუწია რომის წყენას და გადაწყვიტა მოულოდნელი დარტყმით გაენადგურებინა პერგამოსის სამეფო.

ფარნაკი შეუკავშირდა მცირე სომხეთის მმართველს, მითრიდატეს და მასთან ერთად შეუდგა საომარ სამზადისს.

მაგრამ გულხელდაკრეფილი არც ევმენ II აღმოჩნდა. მან პონტოს მეფის წინააღმდეგ შეადგინა ძლიერი კოალიცია (კავშირი), რომელშიც შედიოდნენ: პერგამოსი, კაპადოკია, ბითინია, გალატია და პაფლაგონია.

182 წ. (ძვ. წ.) დაიწყო ომი, რომელიც ისტორიაში „ფარნაკის ომის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ომის დაწყებისთანავე მოწინააღმდეგეთა ორივე მხარემ ელჩები გაგზავნეს რომში. ფარნაკის ელჩი რომის სენატის წინაშე ცდილობდა დაესაბუთებინა პონტოს სამეფოს აგრესიის სამართლიანობა პერგამოსის მიმართ.

რომის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ პირველ ხანებში მოსისხლე მტერსაც კი რომიდან „მამაშვილური“ დარიგებებითა და დაპირებებით გაისტუმრებდნენ და თანაც საქმეების „მოსაგვარებლად“ სპეცია-

ლურ კომისიას გააყოლებდნენ. ამ კომისიას დავალებული ჰქონდა, საქმე ისეთი პირობებით „აოეგვარებინა“, რომ მასზე მომჩივანის დათანხმება მისსავე თვითმკელელობას უდრიდა.

ახლაც რომის სენატმა აღმოსავლეთში კომისია გაგზავნა. როგორც ეტყობა, რომაელებმა დაზავების ისეთი პირობები წამოაყენეს, როგორსაც ფარნაკი არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა. რომი ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა პონტოს მოწინააღმდეგეთა ინტერესები. ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და ომმაც კიდევ მეტად მძვინვარე ხასიათი მიიღო.

პირველ ხანებში ფარნაკს დიდი წარმატებები ჰქონდა. მან ხელი იგდო გალატია და პაფლაგონია. ამის პარალელურად პონტოელებმა დალაშქრეს კაპადოკია და მთლიანად ხელთ იგდეს მისი ჩრდილოეთი ნაწილი. პონტოს მეფის გამგებლობაში გადავიდა კაპადოკიისა და პაფლაგონიის საჭურჭლეები (სახელმწიფო ხაზინა).

მაგრამ 179 წ. (ძვ. წ.) მოკავშირეებმა რომის დახმარებით შესძლეს ფარნაკის დამარცხება. ზავის თანახმად პონტოს მეფეს ხელი უნდა აეღო ყველა იმ მონაპოვარზე, რაც მას ომის პირველმა წლებმა მისცა.

ასე დამთავრდა ეს ომი, რომელშიც რომი პონტოს დაპყრობითი გეგმების წინააღმდეგ ჯერ კიდევ იარაღით ხელში არ გამოსულა. რომის გაქნრლმა დიპლომატიამ ჯერჯერობით შესძლო, რომ პონტოს წინააღმდეგ ადგილობრივი მმართველები აემხედრებინა თავისი ერთგული „ყანდარმის“, პერგამოსის მეფის მეთაურობით. აზიაში ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მზად იმისათვის, რომ აღმოსავლეთში რომის დამპყრობელური გეგმების წინააღმდეგ ყველა მცირეაზიური სახელმწიფო გაერთიანებულიყო. აღმოსავლეთში ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ რომის პოლიტიკის ნამდვილ არსს. საამისო ნიადაგი მომზადდა შედარებით გვიან, როცა აზიაში რომაელთა აღვირახსნილმა მძარცველობამ და შემპარავმა პოლიტიკამ ნიღაბი აიხადა. მაშინ საკმარისი გახდა მხოლოდ ერთი სიგნალი და ყველამ ერთად აიღო იარაღი ხელში...

თითქმის არაფერია ცნობილი ფარნაკის მომდევნო მეფის, მითრიდატე IV ფილოპატორ — ფილადელფოსის მეფობის ხანაზე (170-150). ამ უკანასკნელის შემდეგ პონტოს სამეფო ტახტზე ავიდა მითრიდატე V ევერგეტი*.

* ჰელენისტური დროის მეფენი თავიანთ სახელს ხშირად ურთავდნენ ასეთ ეპითეტს; მაგ., ევერგეტი (ქველმოქმედი), ევპატორი (კეთილშობილი), ფილოპატორი (მამის მოყვარული), ნიკატორი (ძლევამოსილი) და სხვ.

ევერგეტს, როგორც ეტყობა, კარგად შეუსწავლია ფარნაკის მწარე გაკვეთილი და შედარებით უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარების გზას დასდგომია. მან პერგამოსისა და რომის მიმართ მტრული დამოკიდებულება მეგობრული ურთიერთობით შესცვალა. მისი მეფობის დროს ბითინიის მეფე თავს დაესხა პერგამოსს და საშინლად ააოხრა ის. პერგამოსის დასაცავად და ბითინიის მეფის ასაღლაგმავად, რასაკვირველია, პირველად თავი გამოიდო რომმა. პონტოს მეფემ კი რომაელებს დიდად ასიამოვნა, როცა მან დამხმარე ძალები გაუგზავნა პერგამოსის მეფეს.

მითრიდატე ევერგეტი სცნობდა რომის ხელისუფლების უმაღლეს ძალაუფლებას აზიური ქვეყნების მიმართ და ამიტომ ის „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" ითვლებოდა. მან საქმითაც რამდენჯერმე დაამტკიცა რომისადმი ერთგულება. მაგალითად, მესამე პუნიკურ ომში, რომელსაც რომაელები კართაგენის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, მითრიდატე ევერგეტმა ჯარებით დატვირთული რამდენიმე სამხედრო ხომალდი გაგზავნა რომაელთა დასახმარებლად. მეორედ, პონტოს მეფემ დიდი სახმელეთო არმია გაუგზავნა რომაელებს, როდესაც ისინი პერგამოსში მომხდარი მონათა ძლიერი აჯანყების ჩაქრობას ლამობდნენ. მონათა ამ ამბოხებას, რომელიც მისი ხელმძღვანელის სახელის მიხედვით, არისტონიკეს აჯანყების სახელწოდებით არის ცნობილი, რომაელები ისე ადვილად ვერ ჩააქრობდნენ, რომ მათ მცირე აზიის ქვეყნების მმართველები და, მათს შორის, პონტოს მეფეც, არ მიშველებოდნენ.

კაპადოკიის დაპყრობის საკითხი არც მითრიდატე ევერგეტს ამოუღია თავისი საგარეო პოლიტიკის პროგრამიდან. კაპადოკიას, რომელიც პონტოს სამეფოს სამხრეთიდან ეკვროდა, დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ კაპადოკიის მეფეები მუდამ რომთან მეგობრობას ეძებდნენ. ამიტომაც იყო, რომ პონტოს სამეფო დინასტიის ყველა წარმომადგენელს მეტად იტაცებდა კაპადოკიის დაპყრობის საკითხი.

ევერგეტმა თავისი ახლო მეგობარი სარდალი დორილაოსი გაგზავნა საბერძნეთში, რათა მას იქედან დაქირავებული ჯარისკაცები ჩამოეყვანა და კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი სამხედრო ძალები. თვითონ მითრიდატემ არ დაუცადა დორილაოსის დაბრუნებას და დაუყოვნებლივ შეიჭრა კაპადოკიაში. მაგრამ მალე ამის შემდეგ, 120 წ. (ძვ. წ.) მითრიდატე V ევერგეტი მის სატახტო ქალაქში, სინოპში მოჰკლეს შეთქმულებმა.

მითრიდატე V-ს მეუღლესთან ერთად რვა შვილი დარჩა; ამათგან ორი ვაჟი და ექვსი ქალი. ვაჟებს ორივეს მითრიდატე ერქვათ. წესისაებრ სამეფო ტახტი ეკუთვნოდა უფროს მითრიდატეს, რომელიც ამ დროს თერთმეტი წლისა იყო.

პონტოს სამეფო მითრიდატე VI ევპატორის დროს

სწორედ ამ მითრიდატეს მეფობის ხანა მსოფლიო ისტორიაში მეტად საინტერესო ამბებით აღსავსე ხანას წარმოადგენს. ეს ის პერიოდია, როცა რომაული ურჩხული შთანთქმას უქადის აზიის წვრილ სახელმწიფოებს. თითქოს, არ ჩანდა ძალა, რომელსაც უნდა შეეჩერებინა რომაელთა წინსვლა აღმოსავლეთისაკენ. და, აი, პირველი, რომელმაც რომის თავზარდამცემი ავტორიტეტის წინააღმდეგ იარაღი აღმართა და მასთან საბრძოლველად თავისი ქვეყანა დარაზმა, სწორედ მითრიდატე V-ის უფროსი მემკვიდრე იყო.

ეს მითრიდატე, რომელიც ისტორიაში ცნობილი არის ევპატორის სახელწოდებით, მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობის პერიოდს (120-63) რომთან შეურიგებელ ომებს ანდომებს. რომაელებს ჰანიბალის შემდეგ არ ახსოვდათ ისეთი მტერი, როგორიც მათთვის მითრიდატე VI ევპატორი შეიქნა. ერთ-ერთი რომაელი ისტორიკოსი, ლუციუს ანეიუს ფლორუსი გადმოგვცემს, რომ, თუ რომაელებმა შესძლეს ეპირის ძლიერი მეფის, პიროსის დამარცხება 4 წელიწადში და მათი ყველაზე მოსისხლე მტრის, ჰანიბალ კართაგენელის დამარცხება 17 წელიწადში, — მითრიდატე ევპატორი რომაელების გახელებულ შეტევებს 40 წლის განმავლობაში იგერიებდა.

მითრიდატე ევპატორი დაიბადა 132 წ. (ძვ. წ.) ქ. სინოპში და იქვე იზრდებოდა 11 წლამდე, სანამ მამა მისი არ დაიღუპა.

მეფის სიკვდილის დღიდანვე ქვრივმა დედოფალმა, პატივმოყვარე და თავნება ლაოდიკემ (მითრიდატეს დედასაც ასე ეძახდნენ) ისარგებლა შვილების მცირეწლოვანებით და თვითონ დაიწყო სახელმწიფოს მართვა. მან რამდენჯერმე სცადა თავიდან ჩამოეშორებინა საკუთარი ღვიძლი შვილი, ჭაბუკი მითრიდატე, რომელიც პონტოს სამეფოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა.

ამ მიზნით, დედოფალი სხვადასხვა ვერაგულ დავალებებს აძლევდა იმათ, ვისაც უფლისწულზე ზრუნვა ჰქონდათ მინდობილი

და ვისაც ადრე ხელი ერიათ მამამისის მკვლელობაში. ასე, ერთ
ღღეს მითრიდატე შეუკაზმავ, გაუხედნავ და გაგიჟებულ ცხენზე შეს-

მითრიდატე VI ევპატორი

ვეს, თან ხელში მშვილდისარი მისცეს და გაქანებული ცხენიდან ისრის განუწყვეტელი სროლა უბრძანეს. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. მითრიდატემ სრულიად უმარცხოდ შეასრულა ეს დავალება. შემდეგ შეთქმულებმა გადასწყვიტეს მოეწამლათ ის, მაგ-

რამ არც ამან გაპოიღო მათთვის სასურველი ნაყოფი. მითრიდატე ისე საჭმელს არ შესჭამდა, თუ შიგ საწამლავის საწინააღმდეგო წამალს არ გაურევდა. ასე იქცეოდა ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და, როგორც წყაროები გვარწმუნებენ, მას მოწამვლის წინააღმდეგ არაჩვეულებრივი იმუნიტეტიც გამოუმუშავებია.

ბოლოს მითრიდატემ მიატოვა სასახლის კარი, სადაც მას ყოველ წუთს მახეს უგებდნენ, და გაიჭრა ველად. ის შვიდი წლის განმავლობაში ტყეებსა და ღრეებში დაეხეტებოდა; ღამეს ათევდა ღია ცის ქვეშ; ნადირობდა, გარეულ მხეცებს სირბილში ეჯიბრებოდა და ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდა მათთან.

სანამ მითრიდატე ასეთ ლეგენდარულ ცხოვრებას ეწეოდა, ბუნების წიაღში იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა, მისი დედის ხელში პონტოს სამეფო თანდათან ჰკარგავდა წინანდელ ძლიერებას. ევერგეტის სიკვდილისთანავე შეწყდა პონტოს საომარი ღონისძიებანი და სამზადისი კაპადოკიის, პაფლაგონიის და გალატიის წინააღმდეგ. მითრიდატე ევერგეტის სიკვდილის შეტყობისთანავე საბერძნეთში გაგზავნილმა დორილაოსმა უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე. რომაელებმა ხელში ჩაიგდეს დიდი ფრიგია, რომელიც ადრე მითრიდატე I-ემ სელევკიდებისაგან მიიღო, როგორც ცოლის მზითვი.

ამგვარად, პონტო თანდათან სუსტდებოდა და მალე ის რომაელთა ლუკმა უნდა გამხდარიყო.

სწორედ ამ დროს სინოპში გამოჩნდა უკვე დავაჟკაცებული და ჯანღონით სავსე 20 წლის მითრიდატე და პონტოს სამეფო გვირგვინი მოითხოვა. მან ადვილად იგდო ძალაუფლება ხელში. მითრიდატემ დედა საპყრობილეში ჩასვა, სადაც ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის შემდეგ მოკვდა კიდეც.

მაშინდელ პონტოს სამეფოს სწორედ ისეთი მმართველი ესაჭიროებოდა, როგორსაც მითრიდატე წარმოადგენდა.

ანტიკური წყაროები მეტად საინტერესოდ წარმოგვიდგენენ მის პიროვნებას. მითრიდატე გოლიათური აღნაგობის კაცი ყოფილა. არაჩვეულებრივი სიმამაცისა და ჯანღონის პატრონი მუდამ მოწინავე და ყველაზე სახიფათო ბრძოლაში ებმებოდა. თანაც მის უზარმაზარ ფიგურას მტერი ადვილად ახვედრებდა ისარს და ამგვარად, ძალიან ხშირად გამოჰქონდათ ბრძოლის ველიდან დაჭრილი და დაფლეთილი. მაგრამ ჭრილობებსაც არაჩვეულებრივ სწრაფად იშუშებდა და კვლავ ახალი მხნეობით ეკვეთებოდა მტერს. შეეძლო რამდენიმე დღის განმავლობაში დაუღალავად ეჭენებინა ცხენები.

თავისივე ინიციატივით მოწყობილ ჯირითსა და ასპარეზობაში თვითონ ღებულობდა მონაწილეობას და ყოველთვის ღებულობდა გამარჯვებულის პრიზებს. მისებრ არავის შეეძლო ეტლის მართვა,

მითრიდატე VI ევპატორი

რომელშიც თექვსმეტი გაგიჟებული ცხენი იყო შებმული. ეს დაუშრეტელი ენერგია მას ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა. მითრიდატე მეტად განათლებული და კულტურული კაციც იყო. ის არაჩვეულებრივი მშვერმეტყველებით ხიბლავდა მასებს, განსაკუთრებით ომაში, როცა ბრძოლისაკენ წააქეზებდა თავის ჯარებს. შეეძლო ელაპარაკნა და თარჯიმანის დაუხმარებლად ეწარმოებინა სამოსამართლო საქმეები 22 ენაზე. მითრიდატეს განსაკუთრებით უყვარდა ბერძნული ხელოვნება და კულტურა. კრებდა კულტურის საუკეთესო ნიმუშებს და აგროვებდა კოლექციებს. ხშირად მეფე გარშემორტყმული იყო ისტორიკოსებით, პოეტებით, ფილოსოფოსებით; აწყობდა მათ შორის შეჯიბრებას და აჯილდოვებდა გამარჯვებულებს. ის

თვითონაც ხშირად იყო გართული სელოვნებისა. და მეცნიერების შესწავლით. მას ბუნებისმეტყველების ისტორიაც კი დაუწერია. მაგრამ მამაცი მებრძოლი, ჭკვიანი სარდალი და დაკვირვებული პოლიტიკოსი ამავე დროს იყო სასტიკი და აღვირახსნილი, გაფუქსავატებული დარდიმანდი. ძალიან ხშირად უბრალო რამეზე გაცოფებული მეფე სასახლის კარზე სიკვდილის შემაძრწუნებელ სურათებს ატრიალებდა. არაფერს ზოგავდა თავისი ჰარამხანის გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის. ერთნაირი თავაშვებულობით ეწაფებოდა ღვინოს და ეტრფოდა ქალებს..../

* *

მითრიდატემ გამეფებისთანავე თავიდან მოიშორა ტახტის მოსალოდნელი მოცილენი, უპირველესად კი მისი უმცროსი ძმა, და შეუდგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

მითრიდატემ სასწრაფოდ მოიწვია თავისი მამის ერთგული მრჩეველები და სარდლები. თავისთან მოიხმო და დაიახლოვა საბერძნეთში დარჩენილი დორილაოსის ვაჟები, ხოლო კიდევ უფრო ახლო მეგობრად და მრჩეველად გაიხადა თავისი სიყრმის მეგობარი, რომელიც დორილაოსის ძმისწული იყო და თვითონაც დორილაოსი ერქვა. მეფემ თავის გარშემო შეადგინა ერთგულ თანამოაზრეთა და მეგობართა წრე. რომელთა დახმარებით შექმნა საკმაოდ ძლიერი არმია.

მითრიდატეს ახალგაზრდა არმიამ პირველი საბრძოლო ნათლობა ყირიმის ნახევარკუნძულზე მიიღო. ამ ლაშქრობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ დროს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბერძნულ ქალაქებს ძლიერად აწვებიან მათ მეზობლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ტომები. უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბერძნული კოლონიების ძლიერი ქომაგი, — ათენის საზღვაო კავშირი დაეცა და ახლა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრები ბერძნული კოლონიები იძულებული გახდნენ სკვითებისათვის ხარკი ეძლიათ და მათგან მუდმივი თავდასხმის შიშქვეშ ეცხოვრათ.

ოლბიის, ხერსონესისა და ბოსფორის სამეფოს დამოუკიდებლობა კიდევ უფრო დიდ საფრთხეში ჩავარდა, როცა მდ. დნეპრის ქვემო დინებაზე და ყირიმის ნახევარკუნძულის შიდა ნაწილში სკვითური სახელმწიფო შეიქმნა. სკვითებმა ერთ-ერთმა ბელადმა პალაკოსმა ბერძნულ ქალაქებს დიდძალი ფულადი გადასახადი შეა-

წერა. რამაც ხერსონესისა და ბოსფორის აჯანყება გამოიწვია. ხერსონესის ხელისუფლება განსაკუთრებით იმან შეაშინა და შეაშფოთა, რომ სკვითებს მიემხრნენ ქალაქში მყოფი მონები. ახლა ყირიმის ქალაქთა დამოუკიდებლობა ბეწვზე ეკიდა. ამიტომაც დაისვა საკითხი, თუ ვის უნდა ჩაებარებინა ის: მეზობელ ბარბაროსებსა და მათ მხარეზე გადასულ მონებს, თუ პონტოს ახალგაზრდა მეფეს. ყირიმის ბერძნული ქალაქების არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა.

მათი ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ეს გამომდინარეობდა მათი ცხოველი სავაჭრო—ეკონომიური ურთიერთობიდან პონტოს სამეფოს მდიდარ სავაჭრო ცენტრებთან. შავი ზღვის ჩრდილოელი ბერძნები იმასაც კარგად ითვალისწინებდნენ, რომ პროპონტიდისა (მარმარილოს ზღვა) და ჰელესპონტის (დარდანელის სრუტე) გასასვლელებში თავისუფალი ნაოსნობა, რაც მათი ეკონომიკის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, ძირითადად პონტოს სამეფოს სიძლიერესთან იყო დაკავშირებული. ასე რომ, ისინი დაინტერესებულ იყვნენ პონტოს სამეფოს ბედით, რის ავკარგიანობაც გავლენას ახდენდა მათ ეკონომიურ ცხოვრებაზე.

როცა ხერსონესისა და ბოსფორის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის საკითხი გარდაუვალი შეიქნა და საამისოდ ორი გზა წარმოიქმნა, ბერძნული ქალაქების დამოუკიდებლობაც იმ გზით წავიდა, საითაც მათი ეკონომიური ცხოვრების ინტერესები. ეს გზა პონტოსაკენ მიდოდა.

და, აი, ჯერ ხერსონელებმა, შემდეგ ბოსფორის ცენტრალური ქალაქის, პანტიკაპეიის მმართველმა პერისადემ პონტოს მეფეს მეზობელ ტომთაგან მფარველობა სთხოვეს და თანაც მათი ქალაქების სრული მორჩილებაც შესთავაზეს.

მითრიდატეს უნდა გამოეყენებინა ეს მეტად ხელსაყრელი მომენტი. მას აინტერესებდა თავისი ძლიერებისათვის დაექვემდებარებინა ყირიმის მდიდარი ქალაქები, გამოსულიყო ბერძენი კოლონისტების „მფარველი“ (ის ხომ ბერძნული კულტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო) და ჩაბმულიყო ძლიერ ჩრდილოელ ტომებთან ურთიერთობაში; ან დამეგობრებოდა, ან იარაღით დაემორჩილებინა ისინი და ამით კიდევ უფრო გაეზარდა თავისი ძლიერება. მით უფრო ძლიერი იქნებოდა აქეთკენ მისი მისწრაფება, თუკი ის მაშინვე ფიქრობდა აღმოსავლეთიდან რომაელების გაძევებას. ამას გარდა, ყირიმში ლაშქრობისაკენ მითრიდატეს, აგრეთვე, უბიძგებდა პატივისა და დიდების მოხვეჭის სურვილი, რაც, სხვა დესპოტებისა და სარდლების მსგავსად, არც მისთვის იყო უცხო.

რომაელებს ადრე ნაბრძანები ჰქონდათ, რომ „აზიის მეფეებმა ფეხი არ უნდა შესდგან ევროპაშიო“. მაგრამ მითრიდატემ არ გაუწია ანგარიში რომის სენატის ასეთ განკარგულებას და 110 წლის (ძვ. წ.) მახლობლად თავისი ნიჭიერი სარდლის, დიოფანტის მეთაურობით გაგზავნა არმია ყირიმში სალაშქროდ. სახმელეთო გზა მეტად სახიფათო და ძნელად სავალი იყო. კოლხეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა და მის ჩრდილოეთით, აზოვის ზღვამდე, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. ამიტომ დიოფანტმა თავისი არმია სამხედრო ხომალდებით გადასხა ყირიმის ნახევარკუნძულზე.



პანტიკაპეა

პონტოელებმა ჯერ დაიჭირეს ხერსონესის ჩრდილოეთით მდებარე ნავსადგური კტენუნტი და აქედან დაწყებული, ხერსონესამდე მიუვალი სიმაგრეები აღმართეს. ამგვარად, მათ სკვითებს გადაუჭრეს ქალაქისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა. სკვითების მეფემ, პალაკოსმა რამდენჯერმე სცადა იერიშის მიტანა, მაგრამ პონტოელებმა დასწვეს სკვითების საიერიშო მოწყობილობანი, რამდენჯერმე დაამარცხეს ისინი ხელჩართულ ბრძოლაში და აიძულეს უკან დაეხიათ ნახევარკუნძულის სიღრმეში.

დიოფანტმა მის მიერ გამაგრებული კტენუნტის კონცხი ქალაქად გადააქცია, და პონტოს მეფის საპატივცემულოდ ევპატორიის სახელწოდებით მონათლა*.

ევპატორიიდან პონტოელთა სარდალი გაეშურა მეორე დიდი ბერძნული ქალაქისაკენ, პანტიკაპეისაკენ. ეს ქალაქი წარმოადგენდა ბოსფორის სამეფოს ცენტრს. პონტოელებმა აქაც დაამარცხეს სკვითები და ბოსფორის სამეფო ტახტი მითრიდატეს მბრძანებლობას დაუმორჩილეს. დიოფანტი კვლავ დაბრუნდა ხერსონესში და აქედან ისევ გაილაშქრა ნახევარკუნძულის სიღრმეში ჩასაფრებული სკვითების წინააღმდეგ. დაიპყრო მათი ციხე-სიმაგრეები, დასაყრდენი პუნქტები და, ჩასთვალა რა თავისი ამოცანა ამოწურულად, დაბრუნდა პონტოში.

მაგრამ პალაკოსი არ სცხრებოდა. ის შეუკავშირდა ძლიერ მომთაბარე ტომებს, როქსოლანებს და ახალი ძალებით მიუახლოვდა ხერსონესს. ამან დასახმარებლად ისევ პონტოს მიმართა. დიოფანტი 6.000 მეომრით კვლავ გაჩნდა ყირიმში. მან სასწრაფოდ გაილაშქრა სკვითების ციხე-სიმაგრეთა წინააღმდეგ, მაგრამ საშინელმა ქარბუქმა აიძულა უკან დაეხია. აქ, ნახევარკუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, პონტოელებს უეცრად თავს დაესხნენ პალაკოსის ჯარები. პალაკოსს თავის არმიაში, სკვითების გარდა, 50.000 როქსოლანი მეომარი ჰყავდა მათივე მეფის მეთაურობით. მაგრამ პალაკოსის მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც შეიარაღებული იყო შუბებით, მშვილდისრებით და თავს იცავდნენ ხარის ნედლი ტყავის ფარებით, სასტიკად დაამარცხა დიოფანტის მძიმედ შეიარაღებულმა, დისციპლინირებულმა და მამაცმა მცირერიცხოვანმა არმიამ (109 წ. ზამთარი, ძვ. წ.).

მალე ამის შემდეგ პონტოელები კვლავ დაეუფლნენ სკვითების ციხე-სიმაგრეებს და ბევრი მათგანი პონტოს მეფის უმაღლეს ძალაუფლებას დაუქვემდებარეს.

პალაკოსმა ურთიერთობა გააბა რომთან და დახმარება სთხოვა მას. ის ხედავდა, რომ პონტოს ახალგაზრდა სამეფოს გაძლიერება და მითრიდატე ევპატორის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის სფეროში მდიდარი ყირიმის მოქცევა, სასიამოვნოდ არ დარჩებოდათ რომაელებს, რომლებიც ახლა თვითონ აპირებდნენ აზიისა და ყირიმის ბაზრების ხელში ჩაგდებას. ამიტომ რომმა ხმა აღიმაღ-

* ამავე სახელით, ეს ქალაქი ახლაც არსებობს და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მშვენიერ კურორტს წარმოადგენს.

ლა ყირიმში მითრიდატეს დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. რომის სენატმა გამოიტანა დადგენილება, რათა მითრიდატეს „დაებრუნებინა სკვითების მეფეთათვის წინაპართა სამფლობელოები". ვითომცდა, ჩვენ საკუთარი ზრახვები კი არ გვამოქმედებს, არამედ დაჩაგრული სკვითების ბედით ვართ შეწუხებულიო.

ამგვარად, მითრიდატე პონტოელის ფართო დაპყრობითი პოლიტიკის პირველივე ნაბიჯი, თვით შორეული ყირიმის დაპყრობისა, — რომაელთა მხრივ წინააღმდეგობას წააწყდა.

მითრიდატეს ჯერ ის არ აძლევდა მოსვენებას, რომ რომაელებმა ხელთ იგდეს ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო და გამალებით მოიწევდნენ მცირე აზიის სიღრმეში. ისინი უკვე პონტოს სამემკვიდრეო დიდ ფრიგიაშიც ბატონობდნენ და თვით პონტოსაც უქმნიდნენ საფრთხეს. ახლა რომაელები ყირიმის ბერძნული ქალაქებისა და მეზობლად მცხოვრები ტომების საქმეებშიც ერევიან, რათა უახლოეს დროში უკვე დამორჩილებული საბერძნეთის შორეული კოლონიების მემკვიდრეებადაც გამოაცხადონ თავი.

მაგრამ მითრიდატემ რომის ამ პირველსავე მოთხოვნას ახალი, უფრო გადამჭრელი შეტევით უპასუხა.

107 წ. (ძვ. წ.) ბოსფორის სამეფოში იფეთქა ადგილობრივ ქვეშევრდომ ტომთა და მონათა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა. სავმაკი. აჯანყებულებმა ტახტიდან გადმოაგდეს და მოჰკლეს ბოსფორის მეფე პერისადე, რომელმაც ადრე თავისი სამეფო პონტოს მეფეს უანდერძა. მის ნაცვლად ტახტზე დასვეს თავიანთი ბელადი სავმაკი, რომელმაც მეფის ტიტული მიიღო და თავისი სახელობის მონეტაც გამოუშვა.

მონათა წარმატებებით შეშფოთებულმა ყირიმელმა მონათმფლობელებმა დასახმარებლად მოუხმეს მითრიდატეს.

აჯანყებული ბოსფორის სანაპიროებს დიოფანტის სარდლობით ძლიერი ფლოტი და მრავალრიცხოვანი არმია მიადგა. პონტოელები უპირველესად შეიპრნენ თეოდოსიაში და აიღეს ის. შემდეგ მიადგნენ მეფეთა რეზიდენციასა და აჯანყების ცენტრს, პანტიკაპეას. მონები დამარცხდნენ; სავმაკი ტყვედ ჩავარდა. დიოფანტმა აჯანყების ბელადი პონტოში გაგზავნა მითრიდატესთან. ამის შემდეგ დიოფანტმა მითრიდატე ევპატორი ბოსფორის მეფედ გამოაცხადა და ხელახლა გაეშურა ხერსონესის შემოსამტკიცებლად.

ბოსფორის სამეფოს დაპყრობის შემდეგ მითრიდატემ დაიმორჩილა მეოტიის ტბის (ასე ეძახდნენ აზოვის ზღვას) აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები. ისინი მითრიდატეს სარდალმა ნეოპტოლემაი-

ოსმა ზამთარში ცხენოსანთა შეტაკებაში ყინულზე დაამარცხა. ხოლო ზაფხულში, საზღვაო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მათზე. ასევე დაიმორჩილა სხვა ბარბაროსი ტომებიც აზოვის ზღვის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ამგვარად, პონტოს მეფის ძალაუფლების ქვეშ მოექცა მთელი ყირიმის ნახევარკუნძული, მდ. ყუბანის ქვედა წელის მიდამოები, ტამანის ნახევარკუნძული და აზოვის ზღვის აუზი. ახლა პონტოელთა ხელში იყო შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროთა სიმდიდრენი, ბეწვეული, თაფლი, თევზი, მარილი, საშენი ხე-ტყე და სხვ. მათ მბრძანებლობას ემორჩილებოდა ბრწყინვალე ბერძნული ქალაქები: ხერსონესი, თეოდოსია, პანტიკაპეა, ევპატორია, ფანაგორია და სხვები, მოხერხებული ნავთსაყუდელები და პორტები. მითრიდატეს ყოველწლიურად ყირიმიდან უნდა მიეღო 18.000 მედიმნი* ხორბალი და 200 ვერცხლის ტალანტი**. აქედანვე მას შეეძლო ადგილობრივი მეომარი ტომების გაწრთვნილი ცხენოსნებითა და მარჯვე ზღვაოსნებით შეეკაზმა ოთავისი არმია და ფლოტი.

ყირიმის ბერძნული ქალაქების შემოერთებას და ბარბაროსი ტომების დამარცხებას დიდი მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამან გააძლიერა ახალგაზრდა პონტოს სამეფოს ავტორიტეტი, მით უფრო, რომ მან ანგარიში არ გაუწია ამაყი და ძლიერი რომაელების მოთხოვნას აზიელი მეფეების მიერ ევროპული ქვეყნების ხელყოფის აკრძალვის შესახებ.

პონტოს სამეფოს დიდებით მოსავდა მანამდე უძლეველი სკვითების დამორჩილება; იმ სკვითებისა, რომლებმაც ადრე საამარცხვინო მარცხი აგემეს დარიოს I-ის უზარმაზარ სპარსულ არმიას და შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელის სარდალს, ზოფირიონს. ჩვენ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს იმისა, თუ როგორ წარიმართა სკვითების წინააღმდეგ მითრიდატე ევპატორის შემდგომი ლაშქრობანი მას შემდეგ, რაც ისინი რამდენიმეჯერ დაამარცხა დიოფანტმა ყირიმის ნახევარკუნძულზე. ეს კი ცხადია, რომ სკვითები ძალიან ხშირად არიან მოხსენიებული მითრიდატეს ჯარებს შორის, ხან ქვეშევრდომებისა და ხან მოკავშირეების სახით.

მითრიდატეს ლაშქარი აღმოსავლეთ ევროპის უფრო ღრმა ოლქებშიც შეჭრილა და შებრძოლებია სარმატებს, ბასტარნებს, ბასილიებს, იაზიგებს და სხვა ბარბაროსულ ტომებს. მათი მსუბუქი

---

* ერთი მედიმნი=52-53 ლიტრს.

** ერთი ტალანტი=დაახლ. 1.500 მანეთს.

კავალერისტები ძალიან ხშირად არიან მოხსენიებული მითრიდატეს მეომართა შორის. როგორც წყაროებიდან ჩანს, პონტოს მეფეს შორეულ კელტებთანაც ჰქონია ურთიერთობა.

ბოლოს, მითრიდატემ ურთიერთობა გააბა მდ. ისტროსის (დუნაი) მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ თრაკიელებთან. თრაკიელთა საუკეთესო ცხენოსანთა რაზმები, როგორც დაქირავებული მეომრები და მოკავშირეები, ხშირად იბრძოდნენ პონტოს სამეფოს საბრძოლო დროშის ქვეშ. თრაკიაში ფეხის მოკიდებით მითრიდატეს სამფლობელოები უკვე რომაელთა პოლიტიკური გავლენის ერთი უკიდურესი რაიონის, მაკედონიის მომიჯნავე შეიქნა. მაგრამ მითრიდატეს სამფლობელოთა ყველაზე სუსტი ადგილი სწორედ თრაკია იყო. თრაკიელები ძალიან ხშირად მერყეობდნენ რომსა და პონტოს შორის...

90-ანი წლების (ძვ. წ.) ახლო ხანებში მითრიდატემ თავის სამფლობელოებს შემოუერთა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო (კოლხეთი). კოლხების — „ამ ომიანობისათვის გიჟი ტომის“—დამორჩილებას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ დროს, როგორც სტრაბონი გადმოგვცემს, კოლხეთი პოლიტიკურად დაქუცმაცებული ყოფილა და მისი ცალკეული ნაწილების მმართველებს იმდენი ძალა არ შესწევდათ, რომ უკვე გაძლიერებულ პონტოს სამეფოს ცალ-ცალკე გამკლავებოდნენ.

მითრიდატე კოლხეთის სამმართველოდ გზავნიდა რჩეულს თავის დააახლოებულ პირთაგან.

პონტოს მეფეს კოლხეთიდან სისტემატურად შეეძლო გაეტანა გემთსაშენი ხე-ტყე, საყოველთაოდ ცნობილი ძელქვა, სელი, კანაფი, ცვილი და სხვ. შეეძლო თავისი არმიისა და ფლოტის რიგებში ჩაერიცხა მამაცი კოლხი მეომრები და მეზღვაურები.

დაახლოებით ამავე პერიოდში მითრიდატემ კავშირი გააბა იბერიასთან, პართიასთან, მიდიასთან და დიდ სომხეთთან.

კოლხეთის შემოერთების შემდეგ პონტოს საზღვრებში მოექცა მცირე სომხეთი. საამისოდ ნიადაგი მომზადებული იყო ჯერ კიდევ ფარნაკისა და მითრიდატე V ევერგეტის დროს. ამის შემდეგ მითრიდატე ევპატორის მრავალხალხოვანი არმიის რიგებში წყაროები იხსენიებენ გაწვრთნილ სომეხ მხედრებსა და მოისრეებს. მცირე სომხეთში მრავლად არსებული მიუვალი ციხე-სიმაგრეები მითრიდატე პონტოელის საგანძურების შესანახსა და დუხჭირ დღეებში საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ამგვარად, ახლა პონტოს მეფის ძალაუფლებას ემორჩილებოდა მთელი შავი ზღვის სანაპიროები. მისი მონარქიის ფარგლებში საკუთრივ პონტოს გარდა შედიოდა „ყირიმის ბოსფორი — პურის ბეღელი, კოლხეთი — უდიდესი არსენალი და მცირე სომხეთი — მიუვალი ციხე-სიმაგრე". შავ ზღვას ყოველმხრივ გარს ერტყა მითრიდატეს ქვეშევრდომები და მოკავშირეები. ქალაქი სინოპი, „ზღვის მეფის" რეზიდენცია, პონტოს ევქსინოს (შავი ზღვა) ყველა სანაპიროდან მომავალი მეზღვაურ-მეომრებისა და სავაჭრო გემების „შუქურად" გადაიქცა. შავ ზღვაში შემოსულ ყოველ ხომალდს თავისი თავი უკვე პონტოს სამეფოს სამბრძანებლოში უნდა ეგრძნო.

შავი ზღვის სანაპიროთაგან მითრიდატეს ბატონობის გარეშე ჯერჯერობით რჩებოდა ის ნაწილი, რომელზედაც ბითინიის სამეფო მდებარეობდა. ეს რაიონი მეტად მნიშვნელოვან რაიონს წარმოადგენდა. აქ ბითინია უშუალო მბრძანებელი იყო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. მითრიდატეს დაპყრობათა დღის წესრიგიდან არასოდეს არ ამოშლილა ბითინიის ოკუპაციის საკითხი. მას სურდა, რომ სრუტეებზე თვითონ გაბატონებულიყო. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ შესაფერისი დროის გამონახვა, და მითრიდატეც უცდიდა მას...

პონტოს მეფის ყურადღებას ბითინიის გარდა კაპადოკიისა და გალატიის საკითხიც იპყრობდა. რომაელებს უკვე მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული პერგამოსის ყოფილ სამეფოში; ისინი ბატონობდნენ დიდ ფრიგიაშიც და მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ მცირე აზიის სხვა წვრილ სამეფოებს. მცირე აზია სულ მოკლე ხანში რომაული მონობის ბრჭყალებში უნდა მოქცეულიყო. მითრიდატე ხედავდა და გრძნობდა რომაელთა ზრახვებს და თავის მხრივაც ემზადებოდა ნახტომისათვის...

მითრიდატემ გადაწყვიტა წინასწარ შემოევლო მეზობელი სახელმწიფოები; შეესწავლა ყოველი კუთხე და ქვეყანა და ამის საფუძველზე შეედგინა საბრძოლო გეგმა მათი დაპყრობისათვის. ამ მიზნით ის ერთ დღეს თავისი რამდენიმე უახლოესი მეგობრის თანხლებით საიდუმლოდ გაუჩინარდა. მოხეტიალე-მოგზაურის ტანსაცმელში გამოწყობილმა მეფემ შემოიარა კაპადოკია, გალატია, პაფლაგონია, ფრიგია, ბითინია და სხვ. ის საკვირველი სიბეჯითით სწავლობდა აზიის მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ენებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, განწყობილებას რომაელთა მიმართ; სწავლობდა ყოველი ქვეყნისა და ქალაქის ადგილმდებარეობას, ბუ-

ნებრივ პირობებს, გეოგრაფიულ გარემოს და მათ საერთო მდგომარეობას, უპირველესად სტრატეგიული თვალსაზრისით.

ამ ხანს განმავლობაში პონტოს სამეფოს სასახლის კარზე ხმა დაირხა მეფის სიკვდილის შესახებ. მითრიდატეს მეუღლემ და დამ ლაოდიკემ, რომელსაც უკვე ტახტის მემკვიდრე შეეძინა, ფავორიტები გაიჩინა და მათთან დროსტარებაში ლანძღვა-გინებით იხსენებდა დაკარგულ ქმარს. მაგრამ სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა მითრიდატე, რომელსაც კარის ზღურბლზე ფეხის შედგმისთანავე დედოფალმა, მისი მშვიდობით დაბრუნებისა და უფლისწულის შეძენის დასალოცავად, საწამლავით სავსე ფიალა მიაწოდა. ამით მას სურდა „ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი ბოროტმოქმედებით წაეშალა". მაგრამ მითრიდატე წინასწარ იყო გაფრთხილებული მსახური ქალის მიერ. გაცოფებულმა მეფემ მოღალატე დედოფალს და მის ფავორიტებს თვითონ შეასვა საწამლავი და გამოასალმა ისინი წუთისოფელს.

ამის შემდეგ მითრიდატე დაუყოვნებლივ შეუდგა მცირე აზიაში თავისი დაპყრობითი გეგმების განხორციელებას. უპირველესად გადაწყვიტა შეტევა დაეწყო დასავლეთით, პაფლაგონიის მიმართულებით. მაგრამ პაფლაგონიაზე პრეტენზიას აცხადებდა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ბითინიის მეფე ნიკომედე II (194-94). პონტოს მეფემ ჯერჯერობით არჩია, ბითინიის მეფესთან მეგობრული ურთიერთობა გაება და კავშირიც დასდო მასთან.

ბითინიისა და პონტოს მეფეთა ეს დამეგობრება სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას, თუ არა იმით, რომ როგორც ერთის, ისე მეორის საბოლოოდ ელოდებოდნენ რომაელები უპირებდნენ შთანთქმას. ასევე როგორც პონტო, ბითინიაც არ ფიქრობდა დაეთმო თავისი დამოუკიდებლობა რომის სასარგებლოდ. ჯერ კიდევ ადრე ნიკომედეს წინასწარი მეფეები მტრულად შეხვდნენ რომის „მამაშვილურ" მფარველობას პერაგამოსის სამეფოს მიმართ, და რამდენჯერმე სცადეს გაენადგურებინათ პერგამოსი. მით უფრო ახლა, როცა რომაელები მთლიანად ფლობდნენ პერგამოსის ყოფილ სამეფოს (პერგამოსის უკანასკნელმა მეფემ, ატალ III-მ სიკვდილის (133 წ.) წინ თავისი სამეფო რომს უანდერძა), ბითინიელები ალმაცერად და უნდობლად უცქერდნენ რომაელთა წინსვლას მათი სახელმწიფოს საზღვრებისაკენ. ამიტომ ჯერჯერობით ბითინიასა და პონტოს შორის წაჩხუბება და კარზე მომდგარი ძლიერი მტრის წინაშე ურთიერთ დასუსტება პაფლაგონიის გულისათვის არ ღირდა.

107 წ. (ძვ. წ.) მითრიდატე შეიჭრა პაფლაგონიაში და მისი აღმოსავლეთი ნახევარი თავისი სამეფოს საზღვრებში მოაქცია, დასავლეთი ნაწილი კი — მოლაპარაკების თანახმად — ნიკომედეს დაუთმო.

რომის ხელისუფლება შეაშფოთა მეფეების ასეთმა მოქმედებამ და, მიუხედავად იმისა, რომ თვით პაფლაგონიას ამის შესახებ არ გაუსაჩივრებია, რომაელთა ელჩები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ და მოითხოვეს, რომ პაფლაგონელები „აღდგენილი იქნან თავიანთ წინანდელ მდგომარეობაში“.

მაშასადამე, რომი კატეგორიული წინააღმდეგია აზიაში რომელიმე სახელმწიფოს გაძლიერებისა. ამისათვის ეს ჯერჯერობით ცალკეული უსუსური სამთავროების ქომაგის ნიღაბს იფარებს; მაშინაც კი, როცა მას მფარველობის თხოვნით არ აწუხებენ, თვითონვე ღებულობს ამ „მფარველობის“ ინიციატივას და არამკითხე ქომაგის როლს ასრულებს.

მაგრამ მითრიდატემ რომის კომისიას ამაყად უპასუხა: პაფლაგონია მამაჩემის მემკვიდრეობას წარმოადგენს და ძალიან მიკვირს, რატომ ხდიან რომაელები სადავოდ იმას, რომ მე ჩემს კანონიერ მემკვიდრეობას დავეუფლოო.

თავისი მხრივ ნიკომედემაც გამოაცხადა, რომ პაფლაგონიის მისთვის განკუთვნილ ნაწილს „კანონიერ მეფეს“ უთმობს. ასეთ „კანონიერ მეფედ“ მან თავისი უმცროსი შვილი სოკრატე გამოაცხადა.

ამგვარად, აბუჩად აგდებული რომაელი ელჩები დაბრუნდნენ იტალიაში.

მითრიდატე პაფლაგონიის აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობით არ დაკმაყოფილდა და სასწრაფოდ ჩაიგდო ხელთ გალატიაც.

ახლა ჯერი კაპადოკიაზე მიდგა. სწორედ კაპადოკიის საკითხი მოკავშირეთა შორის „განხეთქილების ვაშლად“ იქცა. ისინი, პაფლაგონიის მსგავსად, გაყოფაზე ვერ მორიგდნენ და ორივე ცდილობდა ცალკე დასაკუთრებოდა კაპადოკიას.

ჯერ კიდევ ადრე მითრიდატემ გადაწყვიტა გზიდან ჩამოეშორებინა კაპადოკიის მეფე არიარატე VI (125-111), რომელიც მისი სიძე იყო (ცოლად ჰყავდა მითრიდატეს და, უფროსი ლაოდიკე). მითრიდატემ თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. ეს შემდეგნაირად მოხდა:

პონტოს მეფემ მოისყიდა ვიღაც კაპადოკიელი გორდიოსი და დაავალა არიარატე VI-ის მოკვლა. გორდიოსმა დავალება შეასრულა, მაგრამ თვითონ იძულებული შეიქნა კაპადოკია დაეტოვებინა და პონტოში გაქცეულიყო. კაპადოკიის მეფეს მცირეწლოვანი შვილები დარჩა და სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელი შეიქნა ქვრივი დედოფალი, მითრიდატეს და. ამგვარად, პონტოს მეფემ ვერ მოახერხა, კაპადოკიის სამეფო ტახტზე „თავისი კაცი" დაესვა; მაგრამ ის მაინც არ დაიბნა და განიზრახა „მფარველობა" აღმოეჩინა თავისი დაქვრივებული დისა და დაობლებული დისწულებისადმი.

სწორედ ამ დროს, ბითინიის მეფემ, ნიკომედე II-მ ისარგებლა კაპადოკიის სამეფო კარის უბედურებითა და უძლურებით; შეიჭრა კაპადოკიაში და დაეუფლა მას. რა თქმა უნდა, მითრიდატე ევპატორი გულგრილად ვერ შეხედავდა იმას, თუ როგორ იტაცებდა ბითინიის მეფე მისი ამდენი ხნის ნამეცადინევის სასურველ ნაყოფს. ამიტომ მან, თითქოს თავისი დაჩაგრული დის უფლებების აღსადგენად, კაპადოკიაში ჯარები გაგზავნა ნიკომედეს გასაძევებლად. მაგრამ, როგორც ეტყობა, ლაოდიკემ კარგად იცოდა თავისი ძმის ნამდვილი ზრახვები, და ამჯობინა შეუღლებოდა ბითინიის მეფეს. ამგვარად, ნიკომედე ბითინიელი კაპადოკიის მეფეც შეიქნა.

ამან კიდევ უფრო გაამწარა პონტოელი. მან დასძრა ჯარები კაპადოკიისაკენ. განდევნა იქედან ბითინიელთა გარნიზონები და გაამეფა თვით ნიკომედეც მის ახალ მეუღლესთან ერთად, ხოლო კაპადოკიის ტახტი გადასცა თავის დისწულს, კანონიერ მემკვიდრეს, რომელსაც მამის სახელი არიარატე ერქვა.

მითრიდატეს ასეთმა კანონიერმა მოქცევამ და ქველმოქმედებამ მალე სახე იცვალა. ნიკომედეს განდევნიდან რამდენიმე თვის შემდეგ მითრიდატემ ახლად გამეფებულ არიარატე VII-ს მოსთხოვა, რომ დაებრუნებინა კაპადოკიაში მისი მამის მკვლელი, გორდიოსი. კაპადოკიის ჭაბუკი მეფე მაშინვე მიხვდა, რომ ეს მისი ბიძის ჩვეულებრივი ხრიკები იყო: თუ უარს იტყოდა გორდიოსის მიღებაზე, მაშინ მითრიდატეს საბაბს აძლევდა ომი გამოეცხადებინა მისთვის; ხოლო თუ ნებას დართავდა გორდიოსის დაბრუნებას კაპადოკიაში, მაშინ თვითონვე დგებოდა სიკვდილის საფრთხის წინაშე.

ბოლოს, არიარატემ უარი თქვა გორდიოსის მიღებაზე და მოსალოდნელი ომისათვის საკმაოდ დიდი ლაშქარი შეკრიბა. არანაკლები სიძლიერის არმიით გაეშურა მითრიდატე მის შესახვედრად.

პონტოს მეფემ გაითვალისწინა კაპადოკიელთა არმიის სიძლიერე და პირველყოვლისა გამარჯვების მოპოვება ჩვეული ვერაგობის

გზით სცადა. როცა მოწინააღმდეგეთა არმიები ერთიმეორეს მიუახლოვდნენ, მითრიდატემ არიარატეს ბანაკში კაცი გაგზავნა და მოლაპარაკების წინადადება წამოაყენა. კაპადოკიელები არ მოელოდნენ პონტოს ძლიერი მეფის ასეთ წინადადებას და რამდენიმე ხნის თათბირის შემდეგ თანხმობა შეუთვალეს მას, მაგრამ იმ პირობით, რომ მოლაპარაკების წინ ორივე მეფე უნდა გაეჩხრიკათ, რათა იარაღით არავითარი ენება არ მიეყენებინათ ერთიმეორისათვის.

გაჩხრეკის დროს მითრიდატემ ხუმრობა-ხუმრობაში ჩამოიშორა ყურადღება ხანჯლისაგან, რომელიც მას შარვალში ჰქონდა ჩატანებული. ორივე არმია ხედავდა, როგორ მიუახლოვდნენ და მიესალმნენ ერთმანეთს მეფეები. ორივე ძხარე აღტაცებული მოელოდა ბიძა-ძმისწულის დაზავებას და სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნებას... მაგრამ უეცრად მითრიდატეს ხელში ხანჯალმა იელვა და კაპადოკიის ახალგაზრდა მეფე მოკრილი ლერწამივით დაეშვა ძირს. მეფის ასეთმა უეცარმა დაღუპვამ საშინელი დაბნეულობა და არევ-დარევა გამოიწვია კაპადოკიელთა არმიაში. მითრიდატე თითქმის ხმლის მოუქნეელად დაეუფლა კაპადოკიას, სადაც მეფედ დასვა თავისი 8 წლის ვაჟი, არიარატე IX-ს სახელწოდებით. მას რეგენტად გორდიოსი დაუნიშნა.

გორდიოსის თვითნებურმა მოქმედებამ და თავხედურმა განკარგულებებმა კაპადოკიის მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია. აჯანყებულებმა დაამხეს მითრიდატეს ვაჟისა და მისი რეგენტის მმართველობა და სამეფო ტახტზე დასვეს მითრიდატეს მიერ მოკლული მეფის უმცროსი ძმა, რომელიც აქამდე გადახვეწილი იყო სამშობლოდან. ამგვარად, კანონიერი მემკვიდრე, არიარატე VIII ჩაუდგა სათავეში კაპადოკიას. მაგრამ არც მისი მბრძანებლობა გაგრძელდა დიდხანს. მითრიდატე ისევ შეიჭრა კაპადოკიაში; დაამარცხა და განდევნა თავისი მეორე დისწულიც, რომელიც მალე ამის შემდეგ ავად გახდა და გარდაიცვალა.

ამით შეწყდა კაპადოკიის სამეფო დინასტიის. არიარატიდების არსებობა მამაკაცთა ხაზით. მითრიდატემ კაპადოკიის სამეფო ტახტზე კვლავ თავისი ვაჟი დასვა.

კაპადოკიის საკითხმა ძირფესვიანი ცვლილებები შეიტანა მცირე აზიის პოლიტიკურ ატმოსფეროში. როგორც დავინახეთ, კაპადოკიის დაპყრობის საქმეში მითრიდატემ დაამარცხა და დააშინა თავისი მეტოქე, ნიკომედე. ახლა ბითინიის მეფეს არამც თუ კაპადოკიაზე ფიქრის დრო ჰქონდა, არამედ საკუთარი სამეფოსა და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. ახლა ბითინიისათვის რომზე

უფრო დიდ საფრთხეს პონტოს სამეფო წარმოადგენდა. მითრიდატე სრუტეებისაკენ მიიწევდა...

რაკი ნიკომედეს იმედი არ ჰქონდა გამკლავებოდა კარზე მომდგარ პონტოელთა ლაშქარს, გადაწყვიტა მთლიანად შეეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა და ურთიერთობა გაება რომაელებთან. რომაელებთან შეთანხმებით, მან შემდეგ ხრიკს მიმართა: გამოაცხადა, რომ კაპადოკიის მეფე არიარატე VI-ს (რომელიც მოკლული იქნა გორდიოსის მიერ) ჰყავდა არა ორი ვაჟი, არამედ სამი; აი, ეს მესამე უფლისწული ბითინიაში აფარებს თავსო. ნიკომედეს რჩევით, ვიღაც მშვენიერი აღნაგობისა და სასიამოვნო შესახედაობის ყმაწვილი კაცი გამოცხადდა რომის სენატის წინაშე და მოახსენა, რომ ის არის არიარატე VI-ის მესამე ვაჟი და მოითხოვს დახმარებას კაპადოკიის ტახტის კანონიერი დასაკუთრებისათვის. ამ ჭაბუკთან ერთად, ასევე ნიკომედეს წაქეზებით, სენატში გამოცხადდა ლაოდიკეც, რომელმაც დაიწყო მტკიცება, რომ მას არიარატე VI-ისაგან მართლაც სამი ვაჟი ჰყავდა და ჩემი მესამე ვაჟი სწორედ ეს კაცი არისო. მითრიდატემაც აფრინა გორდიოსი რომში, სადაც ის ამტკიცებდა ბითინიელების სიცრუეს და კაპადოკიაში პონტოელი უფლისწულის მეფობის კანონიერებას.

რომაელები ძალიან შეფიქრიანებული იყვნენ პონტოს სამეფოს სწრაფი გაძლიერებით და წინსვლით. ამიტომ ახლა მათთვის სწორედ რომ ზედ მისწრება იყო უთანხმოების ჩამოვარდნა ბითინიასა და პონტოს შორის; მით უმეტეს, რომ მოჩხუბართა დელეგატები თავის ფეხით გამოცხადდნენ რომში და ითხოვენ სამართალს.

რომაელებმა უპირველესად მითრიდატესაგან მოითხოვეს, გაეწმინდა პაფლაგონია და კაპადოკია. რა თქმა უნდა, არც ნიკომედეს გაძლიერება სურდათ და მასაც უბრძანეს, დაეტოვებინა მის მიერ დაკავებული პაფლაგონიის ნაწილი.

მეფეებმა შეასრულეს სენატის ბრძანება.

კაპადოკიის სამეფო ტახტზე, როგორც ბითინიის, ისევე პონტოს მეფის პრეტენზიები სენატის მიერ უკუგდებული იქნა. რაკი არიარატიდების დინასტიიდან მამაკაცთა ხაზით ამ ქვეყნად აღარავინ იყო, რომაელებმა კაპადოკიაში მეფედ დასვეს „თავისი კაცი", ვინმე არიობარზანი.

პონტოელ დესპოტს, რასაკვირველია, არ სურდა უსიტყვოდ შეესრულებინა ვისიმე ბრძანება, მაგრამ ის ხედავდა, რომ რომის სახელმწიფო, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე უფრო ორგანიზებული, გაწვრთნილი და იმ დროის სამხედრო ტექნიკის სიტყვაზე

საუკეთესოდ აღჭურვილი არმია ჰყავდა, ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი სჩანდა, რომ მის წინააღმდეგ გადამწყვეტ ომებში ჩაბმა ახალგაზრდა პონტოს სამეფოსათვის მეტად სახიფათო იყო. მაგრამ მითრიდატეს კაპადოკიის დათმობა მაინც არ სურდა. ამიტომ ამ საქმის განხორციელება მან მისთვის ჩვეული ოსტატობითა და რომაელთათვის თვალის ახვევით სცადა...

ამ დროს აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძლიერი მბრძანებელი გამოჩნდა: სომხეთის მეფე ტიგრან II, რომელმაც გააერთიანა მანამდე დაქუცმაცებული სომხეთი; პართიისა და სელევკიდების სამეფოებს დიდი ტერიტორები წაართვა; შეიჭრა სირიასა და ფინიკიაში და მიაღწია ხმელთაშუა ზღვას. სომხეთის სამფლობელოების ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი კაპადოკიას ეკვროდა.

ძნელი სათქმელია, ფიქრობდა, თუ არა ტიგრან II რომაელების წინააღმდეგ ომის დაწყებას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მისი ფართო დაპყრობები აღმოსავლეთში და სწრაფვა ხმელთაშუა ზღვისაკენ, უსათუოდ რომაელთა მხრივ დიდ უკმაყოფილებას და მათთან ომს გამოიწვევდა. ამ მხრივ მითრიდატემ ტიგრანში თავისი „მეორე მე“ დაინახა და მისი გამოყენება უპირველესად კაპადოკიის დაპყრობის საქმეში სცადა.

მან გაგზავნა ტიგრანთან გორდიოსი, რომელმაც კავშირის დადებისათვის წინასწარ შეამზადა ნიადაგი. მალე ამის შემდეგ შეთანხმებაც გაფორმდა. კავშირის ძალით, ტიგრანი უნდა შეჭრილიყო კაპადოკიაში და გადაეცა ის მითრიდატესათვის, ხოლო ხალხი, ტყვეები და რისი გატანაც კი შეიძლებოდა, ტიგრანს უნდა გაერეკნა სომხეთში ახლად დაწყებული დიდებული ქალაქის, ტიგრანოკერტის ასაშენებლად, დასასახლებლად და გასამშვენიერებლად. ეს კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა მეფეების დამოყვრებამ, — ტიგრანმა ცოლად შეირთო მითრიდატეს ასული, კლეოპატრა.

მალე შეთანხმების შესრულებასაც შეუდგნენ. 93 წელს (ძვ. წ.) სომეხთა არმია შეიჭრა კაპადოკიაში და პიროზისამებრ გადასცა ის მითრიდატეს, ხოლო კაპადოკიის მოსახლეობის ნაწილი გარეკილი იქნა სომხეთში. უსუსურმა და უნიჭო არიობარზანმა, რომელიც კაპადოკიაში რომაელების მიერ იყო გამეფებული, სახელმწიფო ხაზინა გაიტაცა და გაიქცა რომში. მითრიდატემ მის ადგილზე კვლავ თავისი შვილი დასვა, რომელსაც რეგენტად ისევ გორდიოსი დაუნიშნა.

კაპადოკიის წინააღმდეგ მითრიდატეს ხელახალმა გამოხდომამ და მისი ახალი ძლიერი მოკავშირის გამოსვლამ, არიობარზანის ხვეწნა-მუდარამ და მის მიერ რომში ჩამოტანილმა სიმდიდრემ,

გაალვიძა რომის მსუნაგ მესვეურთა მექრთამეობისა და დაშპყრობელობის მადა.

რომაელებმა აღმოსავლეთის გართულებული მდგომარეობის მოწესრიგება დააკისრეს სახელოვან სარდალს, ლუციუს კორნელიუს სულას. სულა ახალი დანიშნული იყო მცირე აზიის სამხრეთ ნაწილის, კილიკიის პროპრეტორად, მმართველად. ის სასწრაფოდ შეიჭრა კაპადოკიაში, დაამარცხა გორდიოსისა და ტიგრანის გაერთიანებული ძალები, განდევნა ისინი კაპადოკიიდან და სამეფო ტახტზე აღადგინა არიობარზანი.

რომაელებმა ამ წელს (97 წ. ძვ. წ.) სულას სარდლობით პირველად მიაღწიეს მდ. ევფრატს. აქ ისინი პირველად შეხვდნენ აღმოსავლეთში მათი მბრძანებლობის გვიანდელი მძლავრი მეტოქის, პართიის ელჩებს. პართიის მეფემ სულასთან გაგზავნა ელჩი, ორობაზი, რომაელებთან მეგობრული ურთიერთობის გასაბმელად. ამაყმა და პატივმოყვარე სულამ მოლაპარაკების დროს არიობარზანი და პართიის ელჩი ორობაზი დაბალ სკამებზე დასვა, ხოლო თვითონ შუაზე დადგმულ მაღალ სავარძელში ჩაჯდა. ამით ის უსიტყვოდ ამბობდა, რომ პართიის უფლებები კაპადოკიის უფლებებს არ აღემატება, ორობაზი არიობარზანის თანაბარია, მათზე მაღლა დგას სულა და ამით მთელი მსოფლიოს სათავეში დგას რომი. ორობაზს არაფერი უთქვამს სულას წინააღმდეგ ასეთი „დამცირების“ საპასუხოდ. ამიტომ პართიაში დაბრუნებისთანავე მეფემ ის სიკვდილით დასაჯა. ამ ფაქტით, ჯერ კიდევ მაშინ, პართიამ ქვეყანას ამცნო, რომ მისი მახვილი რომის მახვილზე ნაკლებ ძლიერი არ არის და მზად არის გაჰყვეს მას აზიის დაუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს ბრძოლა, პართიასა და რომს შორის, საკმაოდ შორს გადაიდო. ჯერ რომაულ იარაღს მრავალი სისხლიანი ომები ელოდა აღმოსავლეთის მბრძანებლობის სხვა ძლიერ პრეტედენტებთან, სანამ ის შორეული პართიის უშუალო ინტერესებს შეეჯახებოდა: ფაქტები მოწმობდნენ, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომების გამართვას რომის თავზარდამცემი ავტორიტეტის წინააღმდეგ ფიქრობდა პონტოს სამეფო...

* *

მომდევნო 91 წ. (ძვ. წ.) იტალია ე. წ. „მოკავშირეთა ომის“ ცეცხლში გაეხვია. რომაელებს საშუალება აღარ ჰქონდათ, რომ აღმოსავლეთის საქმეებისათვის წინანდებურად ფხიზელი თვალყური ედევნებინათ. ახლა მათ აჯანყებული იტალიელი ტომებისაგან სა-

ჯუთჯრი კერისა და იტალიაში ბატონობის შენარჩუნებისათვის უნდა ეზრუნათ.

მითრიდატე ევპატორმა დრო იხელთა და ისევ შეუდგა ფართო დაპყრობითი გეგმების განხორციელებას. ის დროს იმდენად ხელსაყრელად თვლის, რომ არ სურს მარტო კაპადოკიის დაპყრობით დაკმაყოფილდეს, არამედ ცდილობს გამოიყენოს ბითინიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და ამ ქვეყანასაც დაეუფლოს. ბითინიის შემოერთებით მას შეეძლო გამხდარიყო ჰელესპონტისა და პროპონტიდის ბატონ-პატრონი და ამრიგად ყოველმხრივ შეეკრა შავი ზღვის აუზი.

94 წ. (ძვ. წ.) გარდაიცვალა ნიკომედე II. ბითინიის სამეფო ტახტი დაიჭირა მისმა უფროსმა შვილმა, ნიკომედი III ფილოპატორმა.

ბითინიის ძლიერება მთლიანად დაცემული იყო. ის სულ მალე უნდა გამხდარიყო ან პონტოს სამეფოს ვასალი, ან რომის ყურმოჭრილი ყმა. ახალი მეფე კარზე მომდგარი ორმხრივი საშიშროების წინაშე აშკარა უძლურებას გრძნობდა და გადასწყვიტა ამ ორი გზიდან ერთერთი აერჩია. მისი არჩევანი რომზე შეჩერდა. მან სცადა რომის კალთის ქვეშ თავშეფარებით თავისი სამეფო პონტოელთა შემოჭრისაგან გადაერჩინა. მაგრამ ბითინიაში, მეფის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო მოაზროვნეებიც გაჩდნენ, რომლებმაც ორიენტაცია პონტოსაკენ აიღეს. ამ ორიენტაციის სულის ჩამდგმელი იყო ნიკომედე III-ის ნახევარძმა, სოკრატე „კეთილი“, რომელიც ადრე პაფლაგონიის მეფედ იყო გამოცხადებული.

პატივმოყვარე სოკრატემ დაიწყო ინტრიგები ნიკომედეს წინააღმდეგ და სცადა ხელთ ეგდო ბითინიის სამეფო ძალაუფლება. სოკრატეს ამ მისწრაფებას ბიძგს აძლევდა მითრიდატე პონტოელი, რომელსაც ბითინიის დასამორჩილებლად ისეთივე ხერხის გამოყენება სურდა, როგორც ადრე კაპადოკიის მიმართ მოიმოქმედა. მან სოკრატეში „ახალი გორდიოსი“ დაინახა და მისი საშუალებით „კანონიერ ფარგლებში“ სცადა მოეხდინა სასახლის კარის გადატრიალება და იქ, რომის ორიენტაციის ლიკვიდაციის ნიადაგზე, „თავისი კაცისადმი“, ე. ი. სოკრატესადმი მხარდაჭერით, გაეფხვიერებინა ნიადაგი ზღვათა კარიბჭეების ადვილი დაუფლებისათვის. მითრიდატეს სოკრატემდეც უცდია ნიკომედე III-ის მოკვლა და საამისოდ მისთვის ვიღაც ალექსანდრე მიუგზავნია, მაგრამ ამას მისთვის სა-

სურველი შედეგი არ მოჰყოლია და ახლა ის თავის იმედებს სოკ-
რატეს ინტრიგებზე ამყარებდა.

სოკრატემ ბითინიის ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გადაჭრა,
ჯერ „კანონის გზით“ სცადა. მან თხოვნით მიმართა რომის სენატს,
რათა ეცნოთ ნიკომედეს მეფობის უკანონობა და მისთვის გადაე-
ცათ ბითინიის სამეფო ტახტი. რომაელებმა უარი უთხრეს მას და
ნიკომედე ბითინიის კანონიერ მეფედ ცნეს.

ამის შემდეგ სოკრატემ გადასწყვიტა ძალდატანებით მიეღწია
თავისი მიზნისათვის და საამისოდ ჯარები სთხოვა მითრიდატე ევპა-
ტორს. პონტოს მეფემ მას უფლება მისცა ჯარი შეეგროვებინა მის
სამფლობელოთა ტერიტორიაზე. მართლაც, სოკრატემ მითრიდატეს
ჯარის დახმარებით ბითინიაში სასახლის კარის გადატრიალება მო-
აწყო, ძმა ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა (90 წ. ძვ. წ.).

სწორედ ამ ამბების პარალელურად სომხები, რა თქმა უნდა,
პონტოელთა ხელშეწყობით, მეორედ შეიჭრნენ კაპადოკიაში და
კვლავ განდევნეს იქედან არიობარზანი. პირობისამებრ კაპადოკია
ტერიტორიალურად ისევ პონტოს შეუერთდა.

ამგვარად, ერთდოულად ბითინია და კაპადოკია რომის „მფარ-
ველობიდან“ პონტოს პოლიტიკური მბრძანებლობის ჯაჭვის რგოლე-
ბად იქცნენ ისე, რომ თვითონ მითრიდატე სინოპში არხეინად იჯდა,
თითქოს „ხელს იბანდა“ და არაფერ შუაში იყო ამ სახიფათო ამბებ-
თან დაკავშირებით.

რომისაკენ მიმავალი გზების კარგ მცოდნეს, არიობარზანს „ერთ-
ბედ ქვეშ მყოფი“ თანამგზავრი გაუჩნდა. ის ნიკომედე III-სთან
ერთად გამოჩნდა რომის ფორუმზე (მოედანზე).

ამ დროს იტალიელი ტომების აჯანყების ხანძარი თანდათან
ქრებოდა. ამით რომს საშუალება მიეცა წელში გამართულიყო და
მეტი ყურადღება მიექცია აღმოსავლეთის საქმეებისათვის. სენატმა
მოისმინა არიობარზანისა და ნიკომედეს ჩივილი და მათი აღდგენი-
სათვის აზიაში გასაგზავნად სპეციალური კომისია გამოჰყო. კომი-
სიის მეთაურობა დაევალა ექსკონსულ * მანიუს აქვილიუსს; ამავე
საქმის მონაწილეებად დაინიშნენ მანლიუს მალტინუსი და კილიკი-
ის მაშინდელი პროპრეტორი ლუციუს კასიუსი.

მითრიდატემ კიდევ ერთხელ დაიხია უკან. მან გამოიწვია თავისი
შვილი კაპადოკიიდან, ხოლო ბითინიაში მოაკვლევინა სოკრატე-

---

* ექსკონსული — ყოფილი კონსული

რომაელებმა 89 წ. (ძვ. წ.) კვლავ აღადგინეს არიობარზანი და ნიკომედე თავთავიანთ ტახტებზე.

აზიაში აქვილიუსის ხელმძღვანელობით რომაელთა ახალ ჩამოსვლას მალე პონტოსა და რომს შორის აშკარა კონფლიქტი მოჰყვა. აქვილიუსმა და მისმა მხლებლებმა გადაწყვიტეს, შუა გზაზე არ შეჩერებულიყვნენ და დაიწყეს ხრიკები პონტოს წინააღმდეგ ომის გაჩაღებისათვის. მათ დაუწყეს წაქეზება ნიკომედესა და არიობარზანს: დაიწყეთ ომი მითრიდატეს წინააღმდეგ და ჩვენც მოგეშველებითო. განსაკუთრებით, აქვილიუსსა და მის დამქაშებს იერიში მიჰქონდათ ნიკომედეზე, რომელსაც დიდძალი ვალი ჰქონდა აღებული რომაელი ფინანსისტებისა და ვაჭარ-მევახშეებისაგან, ანუ როგორც მათ რომში ეძახდნენ, მხედართა წოდების წარმომადგენლებისაგან.

მხედართა წოდება რომის სენატისაგან ყოველთვის მოითხოვდა ახალი ქვეყნების დაპყრობას, რათა მათი გაძარცვით, ვაჭრობით, მონების შეძენით და მათი გაყიდვით კიდევ უფრო გაესქელებინათ თავიანთი ჯიბე. აქვილიუსიც მხედართა წოდების წარმომადგენელი იყო და ძალიან სურდა გაჩაღებულიყო დიდი ომი პონტოს სამეფოს წინააღმდეგ. ამით ის გამოხატავდა იმ რომაელ მხედარ-ფინანსისტთა და ვაჭარ-მევახშეთა ინტერესებს, რომლებიც მრავლად იყვნენ მოფენილი აზიის პროვინციებში, — პერგამოსში, კილიკიაში, ფრიგიაში და თვით ბითინიაში, — და თავიანთი ფინანსიური, საგადასახადო და სავახშო საქმიანობით სულს ხდიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. თვით მეფე ნიკომედეც კი, როგორც ითქვა, რომაელ მხედართა ვალებში ყურებამდე იყო ჩაფლული. ამიტომაც ჰქონდა აქვილიუსს დიდი გული მის მიმართ და დაჟინებით მოითხოვდა მისგან, თავს დასხმოდა პონტოს სამეფოს.

ბითინიის მეფე იძულებული შეიქნა გაებედნა ომის დაწყება. ის შეიჭრა პონტოს დასავლეთის საზღვრებში, გაძარცვა, მოაოხრა ის და მდიდარი ნადავლით დაბრუნდა უკან.

მაგრამ მითრიდატემ, რომელსაც არმია მუდამ მზად ჰყავდა ბითინიაში შესაჭრელად, ხელიც კი არ გაანძრია ნიკომედესათვის სამაგიეროს მისაზღავად. ისტორიკოსი აპიანე გადმოგვცემს: მითრიდატემ თავი იმიტომ შეიკავა, რომ კიდევ უფრო მეტ საბაბს ეძებდა ომის დაწყებისათვისო. ამრიგად, მას სურდა ქვეყნისათვის დაენახვებინა, რომ ომის გაჩაღება არ მსურს, მაგრამ რა უნდა ვქნა, როცა მას ძალით თავზე მახვევენო.

მითრიდატემ აქვილიუსთან და მის მხლებლებთან გაგზავნა ელჩი, სახელად პელოპიდე, რომელმაც გააპროტესტა მათ წინაშე ნიკომედეს აღვირახსნილობა და საყვედური გამოთქვა რომაელთა მიმართ, რადგან მათ არ მოისურვეს თავიდან აეცილებინათ პონტოსათვის ასეთი უსიამოვნება.

ნიკომედემაც აფრინა თავისი ელჩები, რათა ადგილზე გაებათილებინა მითრიდატეს საჩივარი.

საინტერესოა ორივე მხარის ელჩების სიტყვები რომაელთა წინაშე.

პელოპიდეს სიტყვა დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: უსამართლოდ მიგვაჩნია ჯერ ერთი ის, რომ რომაელებმა წაგვართვეს ფრიგია და კაპადოკია, რომლებიც დიდი ხნის წინათ ჩვენი მეფის წინაპრებს ეკუთვნოდა. შემდეგ თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ იმას, რომ ბითინიის მეფემ „ჩაჰკეტა პონტოში შეესავალი". ახლა არც იმას აქცევთ ყურადღებას, რომ ნიკომედემ ააოხრა ჩვენი სამფლობელოები. ქვეყნამ იცის, „ჩვენი მეფე სუსტი არ არის და სავსებით მზად არის თავის დასაცავად", მაგრამ მას ჯერ არ სურს ომის დაწყება, რადგან იმედი აქვს რომაელები დასჯიან მის შეურაცხმყოფელს.

ამ სიტყვიდან ნათლად ჩანს მითრიდატეს პრეტენზიები ფრიგიის, კაპადოკიისა და სრუტეების მიმართ; ბოლოს, ის არ ფარავს მოსალოდნელი რმისათვის სამზადისს, მაგრამ თან ამბობს: დაე, მთელმა ქვეყანამ დაინახოს ვინ იქნება დამნაშავე, თუკი აზიაში ომის ცეცხლი დაინთება!

ნიკომედეს ელჩებმა პელოპიდეს სიტყვის გასაქარწყლებლად რომაელ „მსაჯულებს" შემდეგი შინაარსის სიტყვით მიმართეს: მითრიდატეს დიდი ხანი აქვს ბოროტი განზრახვები ბითინიის მიმართ; მოვიგონოთ, როგორ მოეპყრა ის ნიკომედეს, როცა ბოროტ სოკრატეს ჯარით დაეხმარა მის წინააღმდეგ. „ასე მოექცა მითრიდატე ნიკომედეს, რომელიც თქვენ, რომაელებმა დააყენეთ ბითინიის მეფედ; ხოლო აქედან ცხადია, მან ეს ჩაიდინა არა იმდენად ჩვენს წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენს წინააღმდეგ. სწორედ ასევე, თუმცა თქვენს მიერ გამოცემულია ბრძანება, რათა აზიის მეფეებმა ფეხი არ შესდგან ევროპაში, მან კი დაიპყრო ხერსონესის დიდი ნაწილი. ყველაფერი ეს საკმაო დამამტკიცებელია მისი თქვენდამი თავხედური დამოკიდებულებისა; მაგრამ შეხედეთ რა დიდ სამზადისშია იგი, თითქოს რომელიმე დიდი და უკვე გამოცხადებული ომისათვის, შეხედეთ მის საკუთარ ჯარს, აგრეთვე მის მოკავშირე-

ებს, თრაკიელებისა და სკვითების, აგრეთვე ყველა უახლოეს ტომთა ჯარს. სომხეთის მეფესთან მოყვრობით არის დაკავშირებული, ხოლო სირიისა და ეგვიპტის მეფეებს ნიადაგ უგზავნის ელჩებს და ცდილობს მათ მიმხრობას. მას მოეპოვება სამასი ბაქნიანი გემი და მასთან ერთად კიდევ სხვებსაც აშზადებს, ხოლო მესაჭეებისათვის მან ხალხი დაგზავნა ფინიკიასა და ეგვიპტეში. ყველა ეს სამზადისი, ესოდენ უზარმაზარი, მიმართულია, რასაკვირველია, არა ნიკომედეს წინააღმდეგ, არამედ თქვენს წინააღმდეგ ამზადებს, რომაელებო, ყველაფერ ამას მითრიდატე;... სიბრძნე მოითხოვს არ უცადოთ, ვიდრე იგი თვითონ მოისურვებს ომის გამოცხადებას...“

ამგვარად, ბითინიელები რომაელ დამპყრობელებს ყველაზე სუსტ ადგილზე ჩხვლეტენ: ჩვენს წინააღმდეგ მითრიდატეს გამოსვლა თქვენს წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავსო; მათ იცოდნენ, თუ რომაელები უკან დაიხევდნენ, მაშინ ბითინიის საქმეც გათავდებოდა: შურისძიებით გაბოროტებული ევპატორი ერთ დღესაც არ დაიყოვნებდა მის წინააღმდეგ გალაშქრებას. ამიტომ ისინი ძალას არ ზოგავენ, აამხედრონ რომაელები პონტოს წინააღმდეგ. ისინი რომაელებს აშინებენ მითრიდატეს გრანდიოზული საომარი სამზადისით, ძლიერი მოკავშირეების შემოკრებით და მისი ავტორიტეტის ზრდით.

პელოპიდემ კვლავ მიმართა თავის მჭევრმეტყველებას. მან განაცხადა, რომ ბითინიელებმა პასუხი უნდა მოგვცენ არა ძველ ამბებზე, არამედ იმ ბოროტმოქმედებაზე, რომელიც ახლახან ჩაიდინეს მათ პონტოს წინააღმდეგ. მითრიდატე ვერ შეურიგდება ნიკომედეს დაუსჯელობას. თუ რომაელები უარს იტყვიან მის დასჯაზე, მაშინ დაე, ნუ ჩაერევიან ისინი აზიის საქმეებში, ისინი „ნუ შეიწუხებენ თავს ან ერთისა და ან მეორისათვის მხარის დაჭერით“.

რომაელები იძულებული გახდნენ ჩვეულებრივად რაიმე თვალთმაქცური პასუხი გაეცათ პონტოელის კატეგორიული მოთხოვნისათვის. მათ ასეთი პასუხი მისცეს პელოპიდეს: „ჩვენ ვერ მოვითმენდით, რომ მითრიდატეს რამე უსიამოვნება შეხვედროდა ნიკომედესაგან, მაგრამ არც იმას მოვითმენთ, რომ ნიკომედეს წინააღმდეგ დაწყებული იქნას ომი: ჩვენ გვგონია, რომ რომაელებისათვის სახეირო არ იქნებოდა ნიკომედეს დაზარალება“.

ამრიგად, რომაელები მითრიდატესათვის უსიამოვნებად და პონტოს დაზარალებად არ თვლიდნენ იმ ნგრევა-დარბევასა და აწიოკებას, რაც მათი განკარგულებით ბითინიის მეფემ პონტოს მცხოვრებლებს მიაყენა. „რომაელებისათვის სახეირო არ იქნებოდა ნიკო-

მედეს დაზარალებაო“, და ამიტომ მითრიდატეს თავდაცვისათვის ხელის აქნევაც კი აუკრძალეს.

პელოპიდემ სცადა გაეკრიტიკებინა რომაელთა ეს თვალთმაქცური პასუხი, მაგრამ ამისათვის ის ბანაკიდან გაძევებული იქნა.

მითრიდატემ გადაწყვიტა, ამის შემდეგ აღარავითარ დათმობაზე აღარ წასულიყო და ამდენი ხნის შეგუებებული რისხვა, ძლიერი მეტოქის ძალადობის წინააღმდეგ, შეუკავებელ ნიაღვრად გადმოენთხია. მან თავის შვილს, არიარატეს, რომელიც ამას წინათ მეფედ იჯდა კაპადოკიაში, — გადასცა საკმაოდ ძლიერი რაზმი და გაგზავნა კაპადოკიის დასაპყრობად. პონტოელმა უფლისწულმა გააძევა იქედან არიობარზანი და კაპადოკიის გვირგვინი კვლავ დაიდგა თავზე.

როგორც ეტყობა, მითრიდატე კაპადოკიის უსისხლოდ დათმობას აღარ აპირებდა. მაგრამ მაინც ერთჯერ კიდევ გაგზავნა პელოპიდე აქვილიუსთან, ხოლო სხვა ელჩი — პირდაპირ რომში საჩივლელად. ორივე ამ ელჩობის მიზანი ის იყო, რომ აცილებული ყოფილიყო ომი რომსა და პონტოს შორის, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ კაპადოკია პონტოს უნდა შეენარჩუნებინა.

მაგრამ აქვილიუსმა არ დაუცადა სენატის განკარგულებას და შეუდგა ომისათვის სამზადისს. თან პელოპიდე გააფრთხილეს, აღარ გაებედნა მოსალაპარაკებლად გამოცხადება. როგორც ეტყობა, რომაელებს ძალიან აშინებდათ აზიის მოსახლეობაში მათდამი სიძულვილი და მტრული განწყობილება; ამიტომ პელოპიდეს „მათ გააყოლეს გუშაგები, რათა მას გზადაგზა არავინ აემხედრებინა რომაელების წინააღმდეგ“.

რომაელები სასწრაფოდ შეუდგნენ ჯარების შეკრებას. მათი არმიის ძირითადი ბირთვი ლუციუს კასიუსის რომაული ლეგიონებისაგან შესდგებოდა. აგრეთვე, მათ მობილიზაცია გამოაცხადეს ბითინიაში, პაფლაგონიაში, გალატიაში და საერთოდ მცირე აზიის დასავლეთ პროვინციებში. სულ რომაელთა განკარგულების ქვეშ გამზადებული იქნა 170.000 ქვეითი მეომარი და 24.000 ცხენოსანი, ე. ი. სულ 194.000 კაცი. ამას გარდა, რომაელებს ჰყავდათ ძლიერი ფლოტი, რომელიც ბიზანტიონთან იდგა და ჰკეტავდა სრუტეებს.

პონტოს მეფის საბრძოლო დროშის ქვეშ მზად იყო 190.000 ქვეითი მეომარი და 10.000 ცხენოსანი, ე. ი. სულ 200.000 კაცი. ამავე დროს მითრიდატეს ჰყავდა 130 საბრძოლო ეტლი და ძლიერი ფლოტი, რომელიც შესდგებოდა 400 გემისაგან. არმიის უმეტეს ნაწილს თვითონ მეფე უდგა სათავეში, ხოლო დანარჩენ ნაწილებს

— მისი ერთგული სარდლები, ძმები, ნეოპტოლემაიოსი და არქელაოსი. მის არმიაში შემავალ სომხურ კავალერიას სარდლობდა მითრიდატეს მამაცი მემკვიდრე, იმჟამად კაპადოკიის მეფე არიარატე, ხოლო საბრძოლო ეტლებს მეთაურობდა კრატერი. ფლოტის სარდლად ითვლებოდა პტოლემაიოსი. ბერძნულ ყაიდაზე დაწყობილ ფალანგებს ხელმძღვანელობდა დორილაოსი.

რომაელებმა თავისი არმია რამდენიმე ნაწილად დაჰყვეს. მანიუს აქვილიუსი გამაგრდა იქ, სადაც მითრიდატე ბითინიისაკენ გაჭრას აპირებდა, ლუციუს კასიუსი დაბანაკდა ბითინიისა და გალატიის საზღვარზე; ხოლო ქვინტუს ოპიუსმა თავისი ლაშქარი კაპადოკიის საზღვართან განალაგა. თითოეულ მათგანს 40.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი ჰყავდა. ნიკომედე დაბანაკდა უკიდურეს ჩრდილოეთით, ზღვის პირთან, ბითინია-პონტოს საზღვართან.

ომი დაიწყო 88 წლის გაზაფხულზე (ძვ. წ.). ამგვარად, დაძაბული მდგომარეობა ზავსა და ომს შორის, მკვდარი წერტილიდან ელვისებურად დაიძრა; დამქანცველი მოლოდინის ძაფი გაწყდა და... ომი დაიწყო.

რომსა და პონტოს შორის ატეხილი ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლები ისტორიაში „მითრიდატეს ომების“ სახელწოდებითაა ცნობილი. სულ მითრიდატეს სამი ომი იყო.

მითრიდატეს პირველი ომი

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ მითრიდატეს სარდლები და ნიკომედე მდ. ჰალისის მარცხენა შენაკადის, ამნეიონის ფართოველზე. ნიკომედემ მთელი თავისი არმიით დაიწყო შეტევა. ნეოპტოლემაიოსმა და არქელაოსმა მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯერ მსუბუქად შეიარაღებულნი, ხოლო მალე ამის შემდეგ ნიკომედეს არმიას ეკვეთა არიარატეს ცხენოსნები. ბითინიელები გაცილებით სჯარბობდნენ პონტოელთა ლაშქარს და მოახერხეს მათი რიგების შევიწროება. მაგრამ ამ დროს არქელაოსმა მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა და დაარტყა მოწინააღმდეგეს, ხოლო ფრონტიდან მიუსია მათ ეტლები, რომელთაც გვერდებზე ბასრი ცელები ჰქონდათ ჩარიგებული. ასეთი ცელებით შეიარაღებული ეტლები, განსაკუთრებით, თუ ბრძოლა ტრიალ მინდორზე მიმდინარეობდა — მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. ეტლოსნები შეიჭრნენ ბითინიელთა

რიგებში და დაიწყეს მათი ჩეხვა და კვეთა; ფლეთდნენ მათ ზოგს ორად, ზოგსაც ნაწილებად. „ამ გარემოებამ შიშის ზარი დასცა ნიკომედეს ლაშქარს. როდესაც დაინახეს შუა-შუა დაჭრილი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, ან ნაწილ-ნაწილ დაფლეთილნი და მათი სხეული ეტლებზე ჩამოკონწიალებულნი". ასეთი სანახაობით შეძრწუნებულმა ბითინიელებმა პირი იბრუნეს და გაქცევა დააპირეს, მაგრამ ამ დროს ზურგიდან თავს დაესხნენ არქელაოსი და არიარატე. ხსნა აღარსაიდან იყო. ნიკომედეს ლაშქარი თითქმის მთლიანად გაწყდა. თვით ნიკომედემ მცირეთა თანხლებით ძლივს უშველა თავს. პონტოელებმა ხელთ იგდეს მტრის სამხედრო ბანაკი, დიდძალი ფული და მრავალი ტყვე. მითრიდატემ დატყვევებულებს სიცოცხლესთან ერთად სამგზავრო ფულიც აჩუქათ და გაუშვა თავიანთ სამშობლოში.

მითრიდატეს ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ შიშის ზარი დასცა რომაელებს. მითრიდატეს ავტორიტეტი და პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა იმით, რომ ის სამხედრო ტყვეებს ათავისუფლებდა და დასაჩუქრებულთ ისტუმრებდა შინ.

მეორე შეტაკება, რომელშიც თვითონ მითრიდატე და მანიუს აქვილიუსი შეხვდნენ ერთმანეთს, შედარებით მცირე მასშტაბისა იყო. მითრიდატეს არმიიდან ასამდე ცხენოსანი დაწინაურდა. მათ შესახვედრად ნიკომედემ, რომელიც ახლა აქვილიუსთან იყო შეერთებული, გამოჰყო 800 ცხენოსანი. მაგრამ მითრიდატეს მცირერიცხოვანმა მეომრებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი და ზოგი მათგანი დატყვევებული მიჰგვარეს შეფეს, რომელმაც ეს ტყვეებიც სამგზავრო ფულით მოამარაგა და გაათავისუფლა.

მითრიდატეს პირისპირ დაბანაკებულმა მანიუს აქვილიუსმა ველარ გაბედა გამარჯვებით გალაღებულ პონტოელებთან შებმა და, რადგანაც იქ დაყოვნებაც სახიფათოდ ჩასთვალა, სწრაფად დაიწყო უკან დახევა და, თითქმის, გაქცევა, ქ. პერგამონისაკენ (პერგამოსის მთავარი ქალაქი). ნიკომედეც თან გაჰყვა.

პონტოს მეფემ ბრძანება გასცა, სასწრაფოდ დადევნებოდნენ გაქცეულ მტერს. ნეოპტოლემაიოსი თავისი რაზმებით წამოეწია აქვილიუსის ლაშქარს და აიძულა ის ჩაბმულიყო ბრძოლაში. რომაელები საშინლად დამარცხდნენ. მათ ბრძოლის ველზე დასტოვეს 10.000 კაცი, ხოლო 300 მეომარი პონტოელებმა ტყვედ მოჰგვარეს თავიანთ მბრძანებელს. მითრიდატემ ისინიც დაასაჩუქრა და გაათავისუფლა. მანიუს აქვილიუსის მთელი ბანაკი პონტოელთა ალაფად იქცა.

თვით აქვილიუსმა გაქცევით უშველა თავს და ძლივს მოასწრო პერ-გამონში თავის შეფარება.

აქვილიუსთან შეტაკების პარალელურად, პონტოელთა არმიის მეორე ნაწილმა სასტიკად დაამარცხა ოპიუსის და მალტინუსის ჯარები კაპადოკიაში.

აქვილიუსისა და მისი მოკავშირეების განადგურების შემდეგ რომაელთა და პონტოელთა მორიგება მშვიდობიანი გზით უკვე აღარ შეიძლებოდა. აღმოსავლეთში ბატონობის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაეჭრა იარაღს. მითრიდატეს ამ მომენტში უფრო მჭრელი მახვილი ეჭირა ხელთ, ვიდრე რომაელებს, რომლებსაც ჯერ კიდევ უბოჭავდა ხელს იტალიელების აჯანყების უკანასკნელი ნამთები და მასთან დაკავშირებული სოციალური წინააღმდეგობანი. მაშ, მითრიდატეს არ შეეძლო შუა გზაზე გაჩერებულიყო.

პონტოს მეფის ახალ სულისკვეთებასა და განწყობას თანამედროვე მდგომარეობის მიმართ, ნათლად გამოხატავს მისი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს თავისი ძლევამოსილი ჯარების წინაშე. ის ამბობდა: „ჩემთვის ძალიან სასურველი იქნებოდა მეთქვა ომის შესახებ, რომ ომი სჯობს რომაელებთან, თუ მშვიდობა. ხოლო, რომ თავდამსხმელს წინააღმდეგობის გაწევა უნდა, ამაში ისინიც კი არ ყოყმანობენ, ვისაც გამარჯვების არავითარი იმედები არა აქვს; რადგან ავაზაკის მიმართ ყველა მიმართავს იარაღს. თუნდაც არ ჰქონდეს სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობა, უკიდურეს შემთხვევაში შურის საძიებლად მაინც...“ მითრიდატე განსაკუთრებით ესვამდა ხაზს რომაელი დამპყრობელების მსუნაგ მადას და დაპყრობილი ქვეყნების აღვირახსნილ ექსპლოატაციას. „როგორც თვითონ ისინი ამბობენ, რომ მათი დამაარსებელნი მგლის ძუძუთი არიან გაზრდილნი*, ასევე მთელს მათ ხალხს აქვს მგლის სული, გაუმაძღარი სისხლითა და სხვისი სამფლობელოების დაპყრობით, სიმდიდრისადმი მსუნაგი და შურიანი“. მეფე თავის ჯარებს მოუწოდებდა, რომ სასტიკი დამპყრობლებისათვის არ დაეთმოთ ნაყოფიერი და მშვენიერი აზიის მიწაწყალი: „არ არის სხვა ცა უფრო ზომიერი, არ არის სხვა მიწა უფრო ნაყოფიერი, არ არის სხვაგან სიმრავლე მშვენიერი ქალაქებისა, როგორც აზიაში“ — და ასეთი ქვეყანა არ უნდა დავუთმოთ გაუმაძღარ გადამთიელებსო.

---

* ტრადიციის თანახმად, ქ. რომის დამაარსებლებს, რომულუსსა და რემს, თითქოს ძუ მგლის ძუძუ უქამიათ.

აქვილიუსის სამარცხვინო მარცხის შემდეგ ლუციუს კასიუსმა და ნიკომედემ სასწრაფოდ დაიწყეს ახალი ჯარების შეგროვება ხელოსნებისაგან, გლეხებისაგან და სხვა კერძო პირთაგან, და შეუდგნენ მათ გაწვრთნას. მაგრამ მალე შეატყვეს, რომ სადაც მათმა რეგულარულმა არმიებმა ვერაფერი გააწყვეს, ასე სახელდახელოდ შეკრებილი და ჩამოუყალიბებელი ბრბოებით ისინი სულ ტყუილუბრალოდ უნდა გარჯილიყვნენ. ამიტომ დაშალეს ახალი ჯარი და მხოლოდ თავიანთი საკუთარი ტყავის გადარჩენის ზრუნვა დაიწყეს. კასიუსმა თავი შეაფარა ქ. აპამეას, ნიკომედემ — პერგამონს, ხოლო მანიუს აქვილიუსი პერგამოხიდან გაიქცა კუნძულ როდოსზე. მალე ამის შემდეგ კასიუსიც ჩავიდა მასთან. მაგრამ აქვილიუსმა ვერც აქ გაბედა დარჩენა და გადავიდა კუნძულ ლესბოსზე.

როცა პროპონტიდაში (მარმარილოს ზღვა) გამაგრებულმა მეზღვაურებმა სახმელეთო არმიების ასეთი მარცხი და სარდლების სამარცხვინოდ გაქცევის ამბავი შეიტყვეს, ყოველგვარი წინააღმდეგობა უნაყოფოდ ჩასთვალეს. მათ მთელი თავისი ფლოტი და პონტოს ზღვის გასაღებები ძლევამოსილ ევპატორს გადასცეს.

ამგვარად, ახლა პონტოს მეფის ხელში იყო მთელი მცირე აზია ხმელთაშუა ზღვამდე. პონტოელები უკვე მზად იყვნენ ეგეოსის არქიპელაგზე გადასვლისათვის, სადაც ცალკეულ კუნძულებზე თავს აფარებდნენ დამარცხებული და შერცხვენილი რომაელი სარდლები.

მცირე აზიაში მითრიდატეს ჯერ კიდევ ერთი ქალაქი, სახელად ლაოდიკეა უწევდა წინააღმდეგობას. აქ გამაგრებული იყო ქვინტუს ოპიუსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ სასტიკად იქნა დამარცხებული კაპადოკიაში. მითრიდატემ ლაოდიკეიის მცხოვრებლებს მაცნეს პირით გამოუცხადა, რომ მათ არავითარ ვნებას არ მიაყენებდა, თუკი ისინი იქ თავშეფარებულ რომაელ სარდალს დაატყვევებდნენ და მიჰგვრიდნენ. მართლაც, ქალაქის მცხოვრებლებმა გაათავისუფლეს ოპიუსის დაქირავებული მეომრები, ხოლო თვითონ ოპიუსი შერცხვენილი და პატივაყრილი ჩააბარეს პონტოელებს. ამ ამაყ რომაელ სარდალს პონტოს მეფე დიდხანს დაატარებდა ბორკილგაყრილს და აჩვენებდა ყველას, ძლეულს და შერცხვენილს.

კიდევ უფრო ცუდი ბედი ხვდა წილად მანიუს აქვილიუსს, რომელიც შეიპყრო მითრიდატემ კუნძულ ლესბოსზე. პონტოს მეფის ბრძანებით ის შესვეს სახედარზე და ისე დაატარებდნენ; თანაც მნახველებს სიცილით მოუთხრობდა, რომ ის იყო მანიუს აქვილიუსი, რომაელი სარდალი, ომის მთავარი გამჩაღებელი. საშინელი იყო მისი სიცოცხლის აღსასრულიც. მითრიდატეს როცა მოსწყინდა აქვი-

ლიუსის აბუჩად აგდება, ბრძანა: ამ კაცს ძალიან უყვარდა ოქრო და პირში მდუღარე, გამდნარი ოქრო ჩაასხითო. მეფის ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. აქვილიუსი საშინელი წამებით გარდაიცვალა.



რომაული ძუ მგელი

მითრიდატეს ყველგან ხვდებოდნენ, როგორც განმანთავისუფლებელს, ეგებებოდნენ ზეიმით, უწოდებდნენ ღმერთ დიონისეს. ქ. ეფესოში მისი სიყვარულისა და რომაელთა მძულვარების გამოსაჩატავად მცხოვრებლებმა დალეწეს რომაული ქანდაკებები. პონტოს მეფის განცხრომას და ღრეობას ბოლო არ უჩანდა. მილეთში ყოფნისას მას შეხვდა არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი, სახელად მონიმე და გადაწყვიტა მისი საყვარლად დასმა. მაგრამ ქალმა კატეგორიულად უარყო მეფის სურვილი. მაშინ მითრიდატემ 15.000 ოქრო გაუგზავნა და კვლავ სთხოვა სიყვარული. მაგრამ არც ფულს შეეძლო პატიოსნებით აღსავსე ქალის მოსყიდვა. ბოლოს მეფემ საქორწინო პირობა დასდო მასთან, დიადემით (სამეფო თავსაბურველი) მორთო და ამრიგად, დედოფლად გამოაცხადა ის.

სანამ რომში აღმოსავლეთის გართულებულ მდგომარეობაზე თავს იმტვრევდნენ, მითრიდატემ გადაწყვიტა რომაელების არსებობაც კი სრულიად აღეკვეთა აზიაში.

ერთ დღეს მცირე აზიის ოლქებისა და ქალაქების მმართველებმა ეფესოდან მიიღეს მითრიდატეს საიდუმლო ბრძანება, რომლის თანახმად დანიშნულ დღეს უნდა დაეწყოთ აზიაში მცხოვრები ყველა რომაელის და იტალიელის ხოცვა-ჟლეტა. ბრძანება სასტიკად კრძალავდა ყოველგვარ შებრალებას; განურჩევლად უნდა დაეხოცათ კაცი, ქალი, მოხუცი თუ ბავშვი. აკრძალული იყო მოკლულთა დასაფლავებაც. სიკვდილი მოელოდა ყველას, ვინც კი შეეცდებოდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა მსჯავრდადებულთათვის. დამარხვისათვისაც კი სიკვდილი სჯიდა. მონები, რომლებიც თავიანთ პატრონებს დააბეზღებდნენ, თავისუფლებას ღებულობდნენ; ვალის ნახევრისაგან თავისუფლდებოდა ყველა, ვინც თავის რომაელ მევალეს სიკვდილს შეამთხვევდა. ბრძანების თანახმად, ცხადდებოდა განწირულთა მთელი ქონების კონფისკაცია და გაყოფა მეფესა და მკვლელთა შორის.

ასეთ ბრძანებას საზარელი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ისტორიკოსები მეშვნონი და ვალერიუს მაქსიმე გადმოგვცემენ, რომ ამ ბრძანებით აზიაში 80.000 ადამიანი გაიჟლიტა.

ერთი შეხედვით, მეტად ძნელი ხდება რაიმე გამართლება მიეცეს იმ საშინელი სისხლის ღვრის სურათებს, რასაც წყაროები მოგვითხრობენ მაშინ მომხდარი ამბების აღწერისას. რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მითრიდატეს სასტიკ ნებასურვილებს მოჰყოლოდა ასეთი ამბები. არც გერმანელი ისტორიკოსის, მომზენის თქმას აქვს გამართლება, რომ თითქოს „აზიელი მუდამ მზადყოფნაშია, ემსახუროს სულთანს, როგორც ჯალათი". როგორც კი გავიხსენებთ იმ აღვირახსნილ ექსპლოატაციასა და თავგასულ ძალმომრეობას, რასაც რომაელები ეწეოდნენ აზიაში, მაშინ ცხადი გახდება, რა მიზეზი უნდა ჰქონოდა აღნიშნულ ტრაგედიას. ამის მიზეზი სწორედ საშინელი ეკონომიური ექსპლოატაციიდან გამომდინარე სიძულვილი იყო დასავლეთელი დამპყრობელების მიმართ. ისტორიკოსი აპიანეც ამის შესახებ სამართლიან ცნობას გვაწვდის: „ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აშკარა იყო, რომ აზიამ, არა მითრიდატეს წინაშე შიშით, არამედ უფრო რომაელთადმი სიძულვილის გამო ჩაიდინა ასეთი საშინელი საქციელი". აპიანემ, რომელიც

ყოველთვის ცდილობს ჩასწვდეს მოვლენათა ეკონომიურ ფესვებს*, უთუოდ კარგად იცის, რომ ამ სიძულვილის სათავე სწორედ ეკონომიკიდან მოდის. ეჭვი არ არის, მრავალი წლების მანძილზე რომაელი დამპყრობელების მიერ შეუბრალებელმა ეკონომიურმა ყვლეფამ აზიის მოსახლეობაში მათდამი დიდი სიძულვილი დაჰბადა. ენგელსი წერს: „უკვე რესპუბლიკის (იგულისხმება რომის რესპუბლიკა, ლ. ს.) უკანასკნელი ხანიდან დაწყებული რომაელთა ბატონობა დაპყრობილი პროვინციების ულმობელ ექსპლოატაციად გადაიქცა.“** — და სწორედ ეს ულმობელი ექსპლოატაცია საფუძველი გახდა იმ დიდი სიძულვილისა, რომლის მსხვერპლიც შეიქნენ აზიაში მყოფი რომაელი დამპყრობელები. საკმარისი გახდა მხოლოდ ერთი სიგნალი, რომ სასტიკი მოძალადეების წინააღმდეგ ამდენი ხნის მანძილზე დაგროვილი ბოღმა შურისძიებაში გადაზრდილიყო. ამ სასტიკი შურისგების ნიშანი მათ მისცა პონტოს მეფემ, რომლის საბრძოლო ლოზუნგი აზიაში მოსული უცხოელი „მგლის შთამომავალი და სისხლით გაუმაძღარი მგლის მადის მქონე რომაელების“ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა იყო. მითრიდატეს ტრიუმფალურ შეტევებს და მის საბრძოლო ლოზუნგებს თან სდევდა დიდი სოციალური მოძრაობებიც. ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ მონა, რომელიც დაუნდობელი იქნებოდა თავისი ბატონისადმი, თავისუფლებას ღებულობდა; მოვალე, თუკი ისიც ასევე მოიქცეოდა, ვალისაგან თავისუფლდებოდა; ცნობილია, მითრიდატემ აზიის მოსახლეობა ხუთი წლის გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ეტყობა, მან მშვენივრად აუღო ალღო იმ დაძაბულ მდგომარეობას, რაც მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებობდა. ეს მდგომარეობა მეფემ სწორედ თავისი ძალაუფლების გაფართოებისა და რომაელთა წინააღმდეგ შეტევისათვის კარგად გამოიყენა, მან გაითვალისწინა, რომ აზიაში მისი მბრძანებლობის ერთპიროვნულობას ხელს შეუშლიდნენ იქ მცხოვრები რომაელები და, კონტინენტზე სრული უფლების მოპოვების დასკვნისათვის, ეფესოს სისხლიანი ედიქტი განახორციელა...

მითრიდატე, მცირე აზიის შემომტკიცების შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგა საზღვაო ფლოტის გაძლიერებასა და ეგეოსის კუნძულებზე ჯარების გადასხმას. თავისი სამეფო რეზიდენცია სინოპიდან პერგამონში გადაიტანა და ამით უშუალოდ დაუახლოვდა საბრ-

---

* **მარქსი**, მარქსი და ენგელსი, რჩეული წერილები, 1950, გვ. 125; **ენგელსი**, მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 477.

** მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1950, გვ. 358.

ძოლო ოპერაციების ასპარეზს. აქედან ის ხშირად თვითონ უდგებოდა სათავეში საომარ ლაშქრობებს.

ეგეოსის არქიპელაგის უმრავლესი კუნძულები და მნიშვნელოვანი ქალაქები ევპატორს უბრძოლველად ნებდებოდნენ. მრავალი მათგანი ზეიმითა და დღესასწაულით უღებდა კარიბჭეს. ჯერჯერობით მითრიდატეს მედგრად უმკლავდებოდა კუნძული როდოსი, რომელიც აზიაში გადარჩენილი და იქედან გაქცეული რომაელების თავშესაფარს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ ვთქვით, აქვე აფარებდა თავს აზიის ყოფილი მმართველი ლუციუს კასიუსი.

როდოსთან ომის გაჭიანურება დიდად უშლიდა ხელს მითრიდატეს შემდგომ წინსვლას. როდოსის გაძალიანება მითრიდატეს ართმევდა მეტად ძვირფას დროს და ხელს უწყობდა კრიტიკული მდგომარეობიდან რომის გამოხსნას.

პონტოს მეფემ აჯანყებული როდოსის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენთვის ნაცნობ პელოპიდეს დაავალა, ხოლო ძლიერი ფლოტისა და მრავალრიცხოვანი სახმელეთო არმიის თანხლებით, სახელოვანი სარდალი არქელაოსი გაგზავნა ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ. თვითონ კი არმიის კონტიგენტების შესავსებად ჰკრებდა და წვრთნიდა ახალწვეულებს.

არქელაოსმა, სანამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადავიდოდა, შეუხვია კუნძულ დელოსზე, სადაც რომაელები იყვნენ გამაგრებული. დელოსი ადრე, საბერძნეთის შესანიშნავ და ძლიერ ქალაქს, ათენს ემორჩილებოდა, მაგრამ ახლა ის, რომაელების წაქეზებით დამოუკიდებლად აცხადებდა თავს. არქელაოსმა აიღო ეს კუნძული და იქ 20.000-მდე კაცი გაუყლიტა. — იმათგან უმრავლესობა სულ იტალიელები. ამით მან ეფესოს ედიქტის პროგრამაც განახორციელა და ათენის გულიც მოიგო; მან დელოსი ათენს უბოძა და ამით მისი მოკავშირეობა მოიპოვა.

მაგრამ მითრიდატეს ეს არ აკმაყოფილებდა. მას სურდა, ათენში, საბერძნეთის შუაგულში, თავისი გარნიზონი ჰყოლოდა. ამ საქმის შესასრულებლად იარაღის უხეშ გამოყენებას სახიფათო პირი უჩანდა. მართალია, საბერძნეთიც მეტად უკმაყოფილოდ ეზიდებოდა რომაული ჩაგვრის უღელს, მაგრამ უეცრად ატიკაში (ოლქი, სადაც ათენი მდებარეობს) ჯარების შეყვანას. შესაძლოა, პონტოელთათვის არასასურველი შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომ არქელაოსმა ხერხს მიმართა. მასთან ამ დროს იმყოფებოდა ფილოსოფიის მასწავლებელი, ათენელი არისტიონი, რომელიც მითრიდატეს მეგობრობით სარგებლობდა. აი, ეს არისტიონი გამოიყენა არქელაოსმა მიზნის მისაღ-

წევად. მან დელოსზე ნაალაფევი „საღვთო“ ფულები გადასცა არისტიონს ათენის ხაზინაში შესატანად, თან, თითქოს ამ ფულის დასაცავად, ორიათასი მეომარი გააყოლა. ათენში ჯარითა და ფულით ჩამოსულმა არისტიონმა დაიწყო აგიტაცია მითრიდატეს სასარგებლოდ და მოუწოდა ხალხს რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ათენელები ჯერ უამისოდაც კარგად ხედავდნენ, რომ პონტოს მეფე ჰელინური, ე. ი. ბერძნული კულტურის დაცვისა და განთავისუფლების დროშითაც იბრძოდა; ქედმაღალი და მოუხეშავი რომაელების ძალადობა მათში ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა; და, ამრიგად, არისტიონს ათენში გადატრიალებისათვის ნიადაგი გაფხვიერებული დახვდა. მან თავისი ძლიერი ამალის დახმარებით სწრაფად გაანადგურა რომაელთა სასარგებლოდ განწყობილი დაჯგუფება. ათენში არისტიონის ტირანია დამყარდა, რომელიც პონტოს მეფის უმაღლეს ძალაუფლებას დაემორჩილა.

ამის შემდეგ არქელაოსიც გამოჩნდა საბერძნეთში (88 ძვ. წ). პონტოელთა ჩამოსვლისთანავე საბერძნეთის უმრავლესმა ოლქებმა და ქალაქებმა მორჩილება და მეგობრობა გამოუცხადეს მითრიდატე ევპატორს. მთელი პელოპონესი, მრისხანე და ამაყი სპარტაც კი, პონტოელთა სუვერენიტეტს დაემორჩილა.

პარალელურად ამ ამბებისა, მითრიდატეს მემკვიდრე არიარატე თრაკიიდან შეიჭრა მაკედონიაში და დაიპყრო ის.

ამგვარად, 87 წლის დასაწყისში (ძვ. წ.) პონტოს ძალაუფლებას ემორჩილებოდა ყველა რომაული სამფლობელო აღმოსავლეთში. მის ხელში იყო მთელი მცირე აზია, მაკედონია, საბერძნეთი (ეპირის— უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გამოკლებით); სიცილიიდან დაწყებული აზიის სანაპირომდე ხმელთაშუა ზღვის სრული ბატონ-პატრონი პონტოელთა ფლოტი იყო. ასე, ერთი ძლიერი დარტყმით ქრებოდა რომაული ბატონობის ვარსკვლავი აღმოსავლეთში, რომაელთა ძალაუფლების აღდგენის იმედად მხოლოდ როდოსის თავგანწირულება-ღა ბჟუტავდა მცირე აზიის სანაპიროსთან. ახლა თვით იტალიის მახლობლად ჩამოწვა საშიში ქარიშხლის მომასწავებელი აღმოსავლური ღრუბელი.

* *

ამ დროს რომში მძაფრი სოციალური ბრძოლა მიმდინარეობდა. ერთიმეორეს ებრძოდა ორი ძირითადი დაჯგუფება: ოპტიმატები და პოპულარები. ოპტიმატებში შედიოდნენ მდიდარი არისტოკრატები,

ანუ პატრიციები, სენატორები და ყველა, ვინც ერთგული დამცველი იყო ძველი რომის რესპუბლიკური წყობილებისა. პოპულარებს შეადგენდნენ დემოკრატიული მასები, უგვარო, მაგრამ გამდიდრებული მხედართა წოდება, პლებეები, მდაბიონი და ყველა, ვინც უკმაყოფილო იყო რომის მაშინდელი მონათმფლობელურ-რესპუბლიკური ხელისუფლებისა.

ამ სოციალური ბრძოლების მთავარ საკითხებს წარმოადგენდა: მიწების ხელახალი განაწილება, საარჩევნო უფლებათა მოწესრიგება, „მოკავშირეთა" ე. ი. იტალიკების საკითხი, ქალაქის „პურითა და სანახაობით" უზრუნველყოფა, მონების დათრგუნვის ღონისძიებები, საგარეო პოლიტიკის აქტიური, თუ პასიური წარმოების საკითხები და სხვ.

და, აი, 88 — 87 წლებში (ძვ. წ.) ისედაც თავგზააბნეული სოციალური შეხლა-შემოხლის გადაუჭრელ ამოცანებს ერთი საჭირბოროტო საკითხიც დაემატა. ვინ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო მთავარსარდლად მითრიდატე პონტოელის წინააღმდეგ ომში?

სენატს და, საერთოდ, ოპტიმატებს სურდათ, მითრიდატეს წინააღმდეგ სარდლობა ხელში აეღო ლუციუს კორნელიუს სულას, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იტალიკების აჯანყების ჩაქრობაში. პოპულარები მთავარსარდლად ასახელებდნენ მრავალ ბრძოლებში ნაცად გაიუს მარიუსს. სენატმა მაინც თავისი გაიტანა და სულა, რომელიც ამ წელს (88 ძვ. წ.) კონსულად იყო არჩეული, როგორც აღმოსავლეთის მთავარსარდალი, გაეშურა თავისი არმიისაკენ, რომელიც უცდიდა მას მტრის წინააღმდეგ გასამგზავრებლად. მაგრამ სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს სულპიციუს რუფუსმა, რომელსაც თავისი ზრახვების განსახორციელებლად დაუკავშირდა გაიუს მარიუსი, გაიყვანა კანონი, რომელშიც ერთი მუხლი ითვალისწინებდა, რომ მთავარსარდლობა მითრიდატეს წინააღმდეგ ომში ჩამორთმევოდა სულას და გადასცემოდა მარიუსს.

გაბრაზებულმა სულამ გასამგზავრებლად გამზადებული ექვსი ლეგიონი შემოაბრუნა და მიაშურა რომს. „სამოქალაქო ლაშქარმა მაშინ პირველად შესდგა ფეხი სამშობლო მიწაზე, როგორც მტრის მიწაზეო" — გადმოგვცემს აპიანე. რომის ქუჩებში ნამდვილი ომი გაჩაღდა სულასა და მარიუსის მომხრეთა შორის. პოპულარების ბელადები დამარცხდნენ. მარიუსი გაიქცა ქალაქიდან. რომის სრულიო ბატონ-პატრონი შეიქნა სულა.

რომში თითქმის ერთპიროვნული დიქტატურა დამყარდა. სენატს აღარ შეეძლო წინაღმდეგობა გაეწია თავისი რჩეულისათვის,

ლუციუს კორნელიუს სულა

რომელსაც ძლიერი და ერთგული არმია ჰყავდა. მაგრამ სულამ კარგად იცოდა, რომ რესპუბლიკური კონსტიტუციის მთლიანად გა-

ნადგურება და დიქტატურის დამყარება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ამიტომ ამჯერად მან დიქტატურისაკენ ნაბიჯი ვერ გადადგა, მან მხოლოდ რამდენიმედ შეზღუდა რესპუბლიკური კონსტიტუცია და ამითაც საკმაო სიძულვილი დაიმსახურა რომაელ მოქალაქეთა შორის; ამიტომ, რათა თავისადმი ხალხის სიძულვილი შეენელებინა, თავის კოლეგად, ე. ი. მეორე კონსულად აირჩია მოწინააღმდეგე პარტიის, პოპულარების წარმომადგენელი ლუციუს კორნელიუს ცინა.

მალე ამის შემდეგ სულა თავისი არმიით გაეშურა საბერძნეთში, მითრიდატესთან საომრად.

* *

სულამ საბერძნეთში, მითრიდატეს უზარმაზარ ჯარებთან შედარებით, პატარა არმია გადასხა. ამასთან, მას არ გააჩნდა არც ერთი ხომალდი მაშინ, როცა ლაშქრობა აღმოსავლეთში, სადაც მითრიდატეს სამხედრო ხომალდებს ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი და ეგეოსის არქიპელაგი ეჭირა, ძლიერი ფლოტის გარეშე წარმოუდგენელი იყო. სულას არც ფულადი თანხა გააჩნდა, რომ მის საშუალებით მაინც გაეზარდა თავისი ბრძოლისუნარიანობა. მას არც რომიდან უნდა ჰქონოდა რაიმე დახმარების იმედი, რადგან მისი წასვლისთანავე რომში ისევ აფუსფუსდნენ მისი მოწინააღმდეგენი...

მაგრამ გაბოროტებული პატრიციუსი არავითარი სიძნელის წინაშე არ იხევდა უკან. როგორც ყოველ გასაჭირში, სულა არც ახლა დაცემულა სულიერად და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოკლე დროში დაემთავრებინა ომი და სასწრაფოდ მიბრუნებულიყო რომში, თავის მტრებთან ხელახალი ანგარიშსწორებისათვის.

პირველი, რამაც რომაელი სარდალი გაამხნევა ის იყო, რომ როგორც კი ფეხი შესდგა ბეოტიაში, საბერძნეთის ცენტრალურ ოლქში, მისი ქალაქების უმრავლესობა რომაელთა მხარეზე გადავიდა. მათ შორის იყო მდიდარი და ძლიერი ქალაქი თებე, რომელმაც ადრე მითრიდატეს გამოუცხადა მორჩილება, ხოლო ბეოტიის ის ქალაქები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ პონტოს მეფის ღალატს, სულამ მოულოდნელი თავდასხმით იგდო ხელთ.

შემდეგ სულამ თავისი არმია გაჰყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გაგზავნა ათენის წინააღმდეგ, ხოლო თვითონ, მეორე ნაწილით გაეშურა ათენის ძლიერი ნავთსადგურის, პირეევსის დასაუფლებლად, სადაც ძლიერი ძალებით მას ელოდებოდა არქელაოსი.

რომაელებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში პირევსის ზღუ-
დეებზე. სულამ ბრძანა საიერიშო კიბეები მიედგათ ორმოცი
წყრთის სიმაღლის მქონე ქვის კედლებისათვის, გადაცოცებულიყ-
ვნენ და თავს დასტყდომოდნენ სიმაგრის შიგნით ჩასაფრებულ მო-
წინააღმდეგეებს. რომაელები ყოველდღე ათ წყვილ სახედარს ამუშა-
ვებდნენ ახალ-ახალი საიერიშო მოწყობილობათა და მიწაყრილების
აღსამართავად.

მაგრამ პირევსში გამაგრებული პონტოელები მედგრად იცავდნენ
თავს. ისინი უმალვე ანგრევდნენ და სწვავდნენ ყოველ ახალ მოწ-
ყობილობას, როგორც კი რომაელები აღმართავდნენ მათ კედლების
გადასალახავად. სულამ ცოტა ხნით უკან დაიხია და შეუდგა უფრო
ძლიერი შეტევისათვის სამზადისს.

უპირველესად საჭირო იყო ხე-ტყისათვის ზრუნვა, ურომლისო-
დაც შეუძლებელი იყო ახალი საიერიშო მანქანებისა და კიბეების
აგება. ამისათვის სულამ არ დაზოგა ხალხისათვის ყველაზე უფ-
რო სათაყვანო და უწმიდესი ადგილებიც კი. მან ბრძანა, გაეჩეხათ
აკადემიისა და ლიკეუმის ხშირი ხეივნები, სადაც ერთ დროს პლა-
ტონი და არისტოტელე თავიანთ მოძღვრებებს გადასცემდნენ ახალ-
გაზრდებს. რომაელმა სარდალმა იქ გაჩეხილი ხე-ტყით ააგო საალ-
ყო და საიერიშო მოწყობილობანი.

სულამ არანაკლები მკრეხელობა ჩაიდინა ფულის შესაგროვებ-
ლადაც. მან გაგზავნა თავისიანები ცნობილი ეპიდავრის, ოლიმპოს
ზევსისა და დელფოს აპოლონის მდიდარი ტაძრებიდან განძის გა-
მოსატანად. რომაელებმა ყური არ ათხოვეს ქურუმთა პროტესტს და
ძალით გაძარცვეს ბრწყინვალე ტაძრები. პლუტარქე გადმოგვცემს,
როცა სულასაგან გაგზავნილი კაცი განძის გამოსატანად მიადგა
დელფოს ტაძარს, უეცრად მას შიგნიდან მოესმა კითარის* დაკვრა.
შეშინებულმა რომაელმა ამის შესახებ მისწერა სულას, რომ მგონი
ღმერთი აპოლონი გვიწყრება და ვაითუ, ტაძრის გაძარცვისათვის
რისხვა დაგვატეხოსო, სულამ დაცინვით უპასუხა: როგორ არ იცი,
რომ კითარაზე უკრავს არა ის, ვინც გულმოსული და გამწყრალია,
არამედ ის, ვინც გახარებულია; ამიტომ გიბრძანებ, არხეინად შეხვი-
ვიდე და წამოიღო ყველა ნივთები. რადგან ღმერთი თვითონ გვი-
წონებს მის წამოღებასო.

---

* კითარა — ბერძნული მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც თითქოს ღმერთ აპოლონს ეპყრა ხელში.

მიღებული ფული სულას პირველ რიგში უნდა გამოეყენებინა ათენისა და პირევსის ალყის წარმატებით ჩატარებისათვის. ამავე დროს მას საშუალება მიეცა ჯარისკაცებისთვისაც გაესწორებინა ანგარიში.

რომაელები უფრო ენერგიულად შეუდგნენ იერიშების წარმოებას. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ არქელაოსის ბანაკში მყოფი მოღალატეები. აპიანე გადმოგვცემს, რომ ორი ატიკელი მონა პონტოელთა ბანაკიდან რომაელებისაკენ შურდულით ტყორცნიდნენ ტყვიის ბურთულებს, რომლებზედაც წარწერით იტყობინებოდნენ, თუ რა ღონისძიებებისა და გეგმების განხორციელებას აპირებდნენ პონტოელები. ასე, მათ სულას შეატყობინეს, რომ მომავალ დღეს არქელაოსის ფეხოსანი ჯარი პირდაპირი ფრონტით დაესხმებოდა თავს პირევსის კედლებთან საალყო მიწაყრილებზე მომუშავე რომაელებს. ხოლო ცხენოსანი კავალერია ორივე ფლანგებიდან შეუტევდა მათ. ამგვარად, პონტოელ სარდალს მშვენივრად ჰქონია საბრძოლო გეგმა მოფიქრებული, მაგრამ სულამ წინასწარი ცნობის საშუალებით ბრწყინვალედ მოიგერია არქელაოსის შემოტევა.

როცა სულამ მაღალი კედლის გადასალახავად მიწაყრილები აღმართა, მასზე აცოცებულ რომაელებს არქელაოსმა ახალი სიმაგრეები და კოშკები დაახვედრა. ღამით პონტოელები კედლებზე გადაცოცდნენ და დაანგრიეს და დასწვეს სულას ახლადაღმართული საიერიშო მანქანები. მაგრამ რომაელებმა ათი დღის განმავლობაში კვლავ აღადგინეს ისინი; თავის მხრივ პონტოელებმაც მათ წინააღმდეგ კვლავ აღმართეს ციხე-კოშკები.

ამ დროს არქელაოსმა მითრიდატესაგან მაშველი ჯარები მიიღო და ღამით მთელი ძალები გამოიყვანა რომაელთა წინააღმდეგ.

მაშხალების შუქზე საშინელი სისხლის ღვრა გაჩაღდა. გამარჯვება ხელიდან ხელში გადადიოდა. სარდლები ყოველნაირად ცდილობდნენ ბრძოლის ველისაკენ მიებრუნებინათ სისხლისღვრითა და მომაკვდავთა ღრიალით შეძრწუნებული მეომრები. რომაელთა მხრიდან განსაკუთრებული სიმამაცით თავი გამოიჩინა სულას ლეგატმა* ლუციუს მურენამ, რომელმაც რამდენჯერმე გაამხნევა და ბრძოლის ველზე კვლავ შემოაბრუნა შემდრკალი რომაელი ლეგიონერები. რომაელები აშკარა მარცხისაგან იხსნეს ხე-ტყის დამზადებიდან დაბრუნებულმა მეორე ლეგიონმა და სახელმწიფო დამნაშავეებმა, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სისხლით გამოესყიდათ თავი-

* ლეგატი — ამ შემთხვევაში სარდლის მოადგილე.

ანთი დანაშაული. ისინი განსაკუთრებული გააფთრებით შეებრძოლნენ პონტოელებს. ამ უკანასკნელთ იწყეს უკან დახევა. არქელაოსი ამაოდ ცდილობდა ბრძოლის ჩარხის თავისკენ შემობრუნებას. თვითონ ის, კედლებს გარეთ დარჩენილი, თოკით გადაათრიეს შიგნით და ამით ძლივს გადაარჩინეს ტყვეობას.

ამ მძაფრი შეტაკების შედეგი მაინც არ ჩანდა. ათენი და პირეესი ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. უკვე ზამთარიც დგებოდა (87-86), მაგრამ მოწინააღმდეგენი მაინც არ ცხრებოდნენ. სულამ ზღვის სანაპიროსთან თხრილების გაყვანა დაიწყო, რომ ამ მხრიდან თავიდან აეცილებინა პონტოელ მეზღვაურთა თავდასხმა. არქელაოსს ხშირად გამოჰყავდა ჯარები კედლებს გარეთ და მოსვენებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეს.

სულას კიდევ უფრო უჭირდა იმის გამო, რომ ზღვაზე არც ერთი ხომალდი არ ჰყავდა. მან ამ მიზნით დახმარება სთხოვა როდოსს, რომელიც. როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ რომაელებს უწევდა ერთგულებას. მაგრამ როდოსელებმა ვერ მოახერხეს მიშველებოდნენ სულას, რადგან ზღვაზე პონტოელთა ხომალდები დათარეშობდნენ და საშუალებას არ იძლეოდნენ, რომაელთა დასახმარებლად ზღვაზე რაიმეს გაეჭაჭანებინა.

მაშინ სულამ უბრძანა ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსს*, საიდუმლოდ ჩასულიყო ალექსანდრიასა (ეგვიპტეში) და სირიაში და ადგილობრივ ხელისუფალთათვის ეთხოვა დახმარება როდოსის ფლოტის, სულას დასახმარებლად, გატარებისათვის ხმელთაშუა ზღვაზე.

სწორედ ამ დროს სულამ რომიდან საშინელი ამბები მიიღო. პოპულარების ბელადები, მარიუსი და ცინა კვლავ გაჩნდნენ რომში და ძალაუფლება ხელთ იგდეს. უსუსურს სენატს არავითარი დახმარების გაწევა აღარ შეეძლო პირეესთან და ათენთან დაბანაკებული რომაელებისათვის. პირიქით, სულა სახელმწიფოს მტრად იქნა გამოცხადებული და მალე მის შესაცვლელად ახალი არმიით აღმოსავლეთისაკენ გაეშურა 86 წელს (ძვ. წ.) კონსულად არჩეული ვალერიუს ფლაკუსი.

გაშმაგებული სულა იარაღს მაინც არ ჰყრიდა. თითქოს ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო შეთქმული; მაგრამ მთავარი, რაც მას იმედს აძლევდა ის იყო, რომ მითრიდატეს მაშველი ძალები იგვიანებდნენ და მარტო არქელაოსისა და არისტიონის ჯარები მათზე გა-

* შემდგომ მითრიდატეს წინააღმდეგ მესამე ომის მთავარსარდალი.

პიროვნებულ სამხედრო ობიექტებს ძლივს ინარჩუნებდნენ. ამიტომ სულა ერთ წუთსაც არ ჰკარგავდა, რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა პირევსისა და ათენის აღება, არ დაეშვა მოწინააღმდეგის არმიების გაერთიანება და ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი.

სულა ყოველნაირად აძლიერებდა ათენის ალყას სპეციალურად გამოყოფილი ჯარის ნაწილით. ქალაქში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. „მშიერი ხალხი აკროპოლისზე ამოსული ბალახით იკვებებოდა...", „მათ ამოხოცეს მთელი საქონელი... ისინი ხარშავდნენ ტყავებსა და ხარბად ეწაფებოდნენ ნახარშს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ლეშსაც კი სჭამდა", —მოგვითხრობენ პლუტარქე და აპიანე.

არქელაოსმა პირევსის დაცვის პერიოდში რამდენჯერმე სცადა დამშეული ქალაქისათვის სურსათი მიეწოდებინა, მაგრამ ამ ცდებს ტყუილუბრალო სისხლის ღვრის მეტი შედეგად არაფერი მოჰყოლია. როცა არქელაოსი ათენს სურსათ-სანოვაგის გაგზავნას აპირებდა, მისი ბანაკიდან მოღალატეებმა რომაელთა მხარეზე შურდულით კვლავ გადაისროლეს ტყვიის ბურთულა წარწერით, რომელიც სულას აუწყებდა არქელაოსის განზრახვას. რომაელმა სარდალმა დაუყოვნებლივ მიიღო ამის საწინააღმდეგო ზომები და ხელთ იგდო ათენისაკენ მიმავალი სურსათ-სანოვაგე. გამცემლებმა მეორეჯერაც იგივე საშუალებით აცნობეს რომაელებს არქელაოსის განმეორებითი ცდა ათენის დაპურებისათვის. პონტოელმა სარდალმა ეჭვი აიღო და იმისათვის, რათა ათენისაკენ მიმავალი ალალისაგან მტრის ყურადღება ჩამოეშორებინა, შეტევისათვის მოამზადა თავისი მეომრები. სულამ მაინც ხელთ იგდო ათენელთათვის განკუთვნილი პური, თუმცა იმის საფასურად, რომ ამ ამბის პარალელურად პონტოელებმა პირევსთან რომაელთა რამდენიმე საალყო მანქანა დასწვეს.

ამ დროს საბერძნეთში მყოფ პონტოელთა იმედად გამობრწყინდა მითრიდატეს შვილის, არიარატეს შეეკრა მაკედონიაში. არიარატე მაკედონიიდან სწრაფი მარშით დაიძრა თანამოძმეთა მისახმარებლად. მაგრამ სულას, რომელსაც „ბედნიერს" („ფელიქს"). ეძახდნენ, თითქოს მართლაც ბედი სწყალობდა: მითრიდატეს მამაცი მემკვიდრე გზაზე ავად გახდა და გარდაიცვალა. ამგვარად, ეს სწრაფი ლაშქრობა, სულას წინააღმდეგ, შეწყდა.

არქელაოსმა და სულამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამოიყვანეს თავიანთი ჯარები. პირევსთან მომხდარი ამ უკანასკნელი ცხარე ბრძოლის შესახებ აპიანე ასე გადმოგვცემს: „აამაღლა რა საკმარისად მიწაყრილი, სულა შეუდგა მანქანების მოზიდვას, მაგრამ არქე-

ლაოსმა თხრილი გააკეთა მიწაყრილის ქვეშ და დიდი ხნის განმავ-
ლობაში შეუმჩნევლად ეზიდებოდა მიწას; მიწაყრილმა უცებ ძირს
დაწევა იწყო. რომაელებმა მოახერხეს სწრაფად შეენიშნათ ეს, ეკა-
ნვე გაათრიეს მანქანები და ამოავსეს ყრილი. ამავე წესით მათ —
თავისი მხრით შეთხარეს კედლამდე, ისარგებლეს რა მათიეე კვა-
ლით; და, აი, მიწის ქვეშ ისინი ერთი მეორეს ეჯახებოდნენ და
იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა ხმლებითა და შუბებით, რამ-
დენადაც ეს შესაძლებელი იყო ბნელში... სულა შეუსვენებლივ
უტევდა, მაგრამ ამავე დროს იგი გამუდმებით ცვლიდა დალლილებს,
მოჰყავდა რა სულ ახალ-ახალი რაზმები კიბეებითურთ. ისინი ყიჟი-
ნას სცემდნენ და თავისიანებს საბრძოლველად აგულიანებდნენ;
ერთსა და იმავე დროს სულაც ამხნევებდა მათ, ხან ემუქრებოდა
და ხან კი ეუბნებოდა, რომ ასეთ მოკლე დროში მათთვის გადაწყ-
დება მთელი ლაშქრობის ბედი, მაგრამ არქელაოსმაც, თავისი მხრით,
შეშინებულთა მაგიერ ახალი ჯარი მოიყვანა; ისიც განუწყვეტლივ
ანახლებდა ბრძოლას, ერთსა და იმავე დროს მიმართავდა და აგუ-
ლისებდა რა ყველას, რომ „ცოტაც კიდევ და მათთვის ხსნა უზრუნ-
ველყოფილია". ერთსაცა და მეორე მხარესაც კვლავ უდიდესი
ენერგია და გატაცება გამოაჩნდა; ომის ხალისიცა და მსხვერპლიც
ორივე მხრით ერთნაირი და თანაფარდი იყო, მაგრამ სულამ, რო-
მელმაც დიდი დანაკლისი განიცადა, როგორც თავდამსხმელმა, სა-
ყვირის ნიშნის მიცემით გამოიწვია ჯარი და ყველას გასაკვირად
უკან წაიყვანა. ხოლო არქელაოსი მაშინათვე ღამე შეუდგა კედლის
ჩამონგრეული ნაწილის აღდგენას; ამასთანავე მან შიგნიდან ააგო
მრავალი სიმაგრე ნახევარ მთვარის მსგავსად; ამ ახლადაგებულ
კედლებზე სულამ კვლავ სცადა მიეტანა იერიში მთელი ჯარით,
ფიქრობდა რა, რომ ვიდრე ჯერ სველი და გაუმაგრებელი იყო, ად-
ვილი იქნებოდა მათი დანგრევა, მაგრამ მოექცა გაჭირვებულ მდგო-
მარეობაში, როგორც ეს ბუნებრივია ვიწრო ადგილისათვის, მას
თავს ესხმოდნენ ზევიდან და გვერდებიდან, რადგანაც სიმაგრეებს ნა-
ხევარმთვარის ფორმა ჰქონდა, მან სრულიად აიღო ხელი პირევსის
იერიშით აღების განზრახვაზე და შეუდგა მის ალყას, რათა იგი
შიმშილით აეღო".

ამის შემდეგ სულამ მთელი ყურადღება ათენისაკენ გადაიტანა.
მან ბრძანა, დამშეული ქალაქისათვის გარშემო ღრმა თხრილი შე-
მოევლოთ, რომ იქიდან თითო-თითოდაც ვერავინ გამოსულიყო.
ათენის დაცვას კიდევ მეტ განწირულებაში აგდებდა თვითონ ტირა-
ნი არისტიონის დაუდევრობა და თავგასულობა. მაშინ, როდესაც

ათენელი მოქალაქენი შიმშილით იხოცებოდნენ, არისტიონი ლხინობდა და განცხრომას ეძლეოდა; თანაც საცინლად იგდებდა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით აბრაზებდა რომაელებს. ამით ის კიდევ უფრო ართულებდა იმ საზარელ თავგადასავალს, რაც ათენს ღნდა განეცადა სულ მოკლე დროში.

შიმშილისაგან ნიათგამოლეული ათენელები რომაელებთან ზავის დადებას მოითხოვდნენ. არისტიონი იძულებული შეიქნა ყურადღება მიექცია ამ მოთხოვნისათვის და გაგზავნა თავისი ამფსონები სულასთან მოსალაპარაკებლად. არისტიონის ელჩებმა რომაელ სარდალს თვალწინ გადაუშალეს თავიანთი ქალაქის ლეგენდარული და გმირული წარსული, ბერძენ-სპარსელთა ომიანობაში ბრწყინვალე გამარჯვებისა და სხვათა შესახებ. მაგრამ სულამ შეაწყვეტინა მათ მჭევრმეტყველური სიტყვა და დაცინვით უპასუხა: „დაბრუნდით. ჩემო მეგობრებო, შინ და თან წაიღეთ ყველა ეგ იგავ-არაკები, მე რომაელთა მიერ ათენში გამოგზავნილი ვარ არა სასწავლებლად, არამედ აჯანყებულთა დასასჯელად". ამგვარად, მოლაპარაკება ჩაიშალა.

სულამ იერიშისათვის მიზანში ამოიღო ქალაქის კედლების ყველაზე სუსტი ადგილი. მიზიდა იქ საიერიშო კიბეები და შეუდგა კედლების ძირის გამოთხრას. რომაელებმა აღნიშნული კედელი მიწასთან გაასწორეს და შუაღამისას (86 წ. 1 მარტი ძვ. წ.) შეიჭრნენ ქალაქში.

გამხეცებულმა რომაელებმა საშინელ ხოცვა-ჟლეტასა და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. აი, როგორ ასურათებენ ანტიკური ავტორები ათენში მაშინდელი უბედურების ამბავს:

„სულა შუაღამისას თვითონ შევიდა ქალაქში; სთესდა რა საშინელებას, ურიცხვი ბუკებისა და საყვირების ხმაურით, ბრისხანე ყვირილით, გამარჯვებული ჯარი, რომელიც სარგებლობდა ძარცვისა და ხოცვა-ჟლეტის ნებართვით, შიშველი მახვილებით მოედინებოდა ვიწრო ქუჩებში. მოკლულებს ანგარიში არა ჰქონდა; აქამდე მათ დიდ სიმრავლეზე მსჯელობენ მხოლოდ ფართობის იმ მოცულობით, სადაც მოედინებოდა სისხლი. რომ არ დავთვალოთ დალუპულთა რიცხვი მთელ ქალაქში, მოკლულთა სისხლმა წალეკა ქალაქის მოედანთან მთელი კერამიკა დიპილონამდე. ბევრი ამბობს, რომ სისხლი გადაიჭრა კარებს იქეთ და წალეკა ახლომახლო ადგილები. მაგრამ ამ ამბის დროს, თუკი ძალდატანებითი სიკვდილით ამდენი ხალხი დაიღუპა, არა ნაკლები იყვნენ ისინიც, რომლებიც თვითონ ეღებდნენ ბოლოს თავის სიცოცხლეს, რადგანაც მათ გუ-

ლი უკვდებოდათ სამშობლოს შეცოდებითა და მასზე ნაღვლით, თვლიდნენ რა მას სამუდამოდ დაღუპულად...“

„...ათენში დაიწყო საშინელი და შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა, არც გაქცევა შეეძლოთ მათ სისუსტისა გამო და არც არავინ ინდობდა არც ქალსა და არც ბავშვს. სულამ ბრძანება გასცა ამოეხოცათ ყველანი, ვისაც კი მოახელებდნენ... ბევრი ამ სიტყვების გამგონე თვითონ უვარდებოდა მკვლელებს ხელში, რათა მათ დროზე შეესრულებინათ თავიანთი საქმე“.

სულამ ათენელთა ნაწილი მწკრივში ჩააყენა და ყოველი მეათე კაცი სიკვდილით დასაჯა. ამასთანავე, მძარცველებმა ქალაქის ქუჩებში ხანძრები გააჩაღეს, და მალე ათენს სრული დაღუპვა მოელოდა, რომ სულას ანგარიში არ გაეწია დევნილი ათენელებისა და მასთან მყოფი რომაელი სენატორების ხვეწნა-მუდარისათვის, ბრწყინვალე წარსულის მქონე ქალაქის შესაწყალებლად.

მან შეწყვიტა ქალაქის ნგრევა და დაცინვით განაცხადა, რომ მკვდართა საპატივცემულოდ აპატიებს ცოცხალთ. ამით ის, თითქოს, პატივს სცემდა ათენის დიდებულ წინაპრებს და აკმარებდა დასჯას თანამედროვე ათენელებს, მისადმი მიყენებული წყენისათვის.

მაგრამ ქალაქი დანგრეული და გაჩანაგებული დარჩა. მართალია, სულამ ხანძარი ჩააქრობინა, მაგრამ ჯარისკაცებს ძარცვის სრული ნება მისცა. რომაელები იჭრებოდნენ სახლებში, სადაც ისინი ხშირად „პოულობდნენ ადამიანის ხორცს, საჭმელად მომზადებულს“, და იტაცებდნენ ყველაფერს, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა.

დემოკრატიის მოძულე რომაელმა პატრიციუსმა ათენელებს წაართვა და აუკრძალა მათთვის ყველაზე უფრო ძვირფასი. დემოკრატიული წესები. თითქოს ის დასცინოდა მის მიერვე გაცემულ მოწყალებას, როცა იგი ათენელებს „აჩუქებს თავისუფლებას, მაგრამ ხმის მიცემის უფლებას კენჭებითა თუ ხელის აწევით, კრძალავს“.

ბოლოს, რომაელებმა აიღეს ქალაქის აკროპოლისი, სადაც თავს აფარებდნენ არისტიონი და მისი დამქაშები. სულამ ყველა ისინი სიკვდილით დასაჯა. რომაელმა სარდალმა ათენის აკროპოლისიდან გაიტანა 40 გირვანქა ოქრო და 600 გირვანქა ვერცხლი.

ამის შემდეგ სულა მთელის ძალებით გაეშურა პირევსისაკენ. არქელაოსმა, რომელსაც სურსათ-სანოვაგე შემოაკლდა და არც მითრიდატესაგან მოუვიდა დამხმარე ძალები, უკან დახევა დაიწყო.

რომაელებმა ხელთ იგდეს უპატრონოდ მიტოვებული პირეესი და მისი უმეტესი ნაწილი ცეცხლს მისცეს.

ახლა სულას მთავარ საზრუნავს შეადგენდა, ცალ-ცალკე გაენადგურებინა საბერძნეთში დაქსაქსული პონტოელების რაზმები, რომელთაც სათავეში უდგნენ არქელაოსი, დრომიქეტე და ტაქსილე (ტაქსილე სარდლობდა იმ არმიას, რომელსაც მანამდე არიარატე მეთაურობდა). მაგრამ პონტოელებმა მოახერხეს გაერთიანება და საბრძოლველად განემზადნენ ბეოტიის ქალაქ ქერონეასთან.

სწორედ ამ დროს, საბერძნეთში ახალი არმიით ჩამოვიდა კონსული ვალერიუს ფლაკუსი. როგორც ითქვა, სულა სახელმწიფოს მტრად იყო გამოცხადებული და აღმოსავლეთის მთავარსარდლად მის ნაცვლად ფლაკუსი ითვლებოდა. რა თქმა უნდა, სულა უსისხლოდ არ დასთმობდა ამ საპატიო თანამდებობას, მით უმეტეს, რომ ამ დროს მას ასეთი წარმატებები ჰქონდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სულასა და ფლაკუსს შორის შეჯახება. საჭირო იყო მხოლოდ პონტოელებს ცოტა ხნით ბრძოლისაგან თავი შეეკავებინათ და რომაელები თვითონ დაერეოდნენ ერთმანეთს.

ეტყობა, არქელაოსიც წინდახედულად ზომავდა მოწინააღმდეგეთა მდგომარეობას და მოითხოვდა, გადამწყვეტი ბრძოლისაგან ჯერჯერობით თავი შეეკავებინათ, მაგრამ სხვა სარდლების დაჟინებითი მოთხოვნით, ის იძულებული შეიქნა საბრძოლველად განელაგებინა არმია.

ქერონეასთან ბრძოლაში (86 წ. მარტი ძვ. წ.) სულას 15.000 ქვეითი და 1.500 ცხენოსანი ჰყავდა. არქელაოსის საბრძოლო დროშის ქვეშ სულ 60.000 მეომარი იდგა.

რომაელებს შიშის ზარი დაეცათ, როცა მათ მტრის უზარმაზარი ლაშქარი დაინახეს. სულა ამაოდ ცდილობდა გაემხნევებინა თავისი მეომრები. მაგრამ პონტოელებმა ვერ გამოიყენეს თავისი რიცხობრივი უპირატესობა. მათი დიდი არმიის სურსათ-სანოვაგითა და სხვა საომარი საჭურველით მომარაგების საქმე კვლავ მოუგვარებელი და უზრუნველად მიტოვებული იყო. ამის გამო, მათ ახლომახლო პუნქტების ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილებას იწვევდა; ეს კი თავის მხრივ ხვალინდელ ომში პონტოელებისათვის საზიანო და რომაელებისათვის სასარგებლო შედეგს მოიტანდა. ამასთანავე, არქელაოსს ვერ დაუმყარებია მკაცრი სამხედრო დისციპლინა თავის მრავალრიცხოვან და მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მეომართაგან შემდგარ არმიაში.

სრულიად სხვა ატმოსფერო შექმნა რომაელმა სარდალმა თავის ბანაკში. ის ვერ დააბნია მტრის სიმრავლემ და თავისი მეომრების შეკრთომამ. მან გადაწყვიტა, ბრძოლის დაწყებამდე ჯარისკაცები მძიმე შრომით და მკაცრი მოპყრობით დაეტანჯა, რომ ამის ნიადაგზე მათში შექმნილიყო ბრძოლისადმი წყურვილი და მისწრაფება, რათა აუტანელი შრომის ნაცვლად ბრძოლაში ჩაბმა აერჩიათ. სულამ ბრძანა, კალაპოტიდან გადაეგდოთ იქვე მომდინარე მდ. კეფისოსი, და ბანაკის ორივე ფლანგზე ფართო და ღრმა თხრილები გაეთხარათ. ის არავის არ აძლევდა ოდნავი შესვენების საშუალებასაც კი, და ჩამორჩენილებს სატიკად სჯიდა. გაწამებული მეომრები მოითხოვდნენ ბრძოლად გასვლას, რადგან მათ ახლა ეს საქმე უფრო იოლ შესასრულებლად მიაჩნდათ. ამის შემდეგ სულამ შესაძლებლად ჩასთვალა, დაეწყო შეტევა.

არქელაოსმა ძალიან ცუდ, ოღროჩოღრო, ვიწრო მოცულობისა და დაქანებულ ველზე განალაგა თავისი არმია. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთ ადგილმდებარეობაზე ძნელი იქნებოდა მისი მრავალრიცხოვანი არმიის მანევრირება. საჭიროების შემთხვევაში უკანდახევაც კი შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ზურგში მდ. კეფისოსი მოედინებოდა და იქვე მთებიც იყო აღმართული.

არქელაოსმა პირველ რიგში ცელებით შეიარაღებული ეტლები ჩაამწკრივა, რომ მათ პირველი დარტყმით აერიათ და გაეკაფათ მტრის რიგები. ეტლებს უკან 15.000 მონა დააყენა, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში განთავისუფლება ჰქონდათ აღთქმული. მათ უკან იდგა მაკედონურ ყაიდაზე დაწყობილი პონტოელთა ფალანგა, ხოლო შემდეგ მოსდევდნენ დამხმარე ნაწილები და იტალიელი ემიგრანტები; სულ ბოლოს, ზურგში, იდგნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები. პონტოელთა სარდალი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თავის მძლავრ კავალერიაზე; ამიტომ მან ცხენოსნები დააყენა ორივე ფლანგებზე, რათა მათი ერთდროული სწრაფი შეტევით რკალში მოექცია მოწინააღმდეგე.

სულამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისი არმიის ფლანგების გამაგრებას, რათა თავიდან აეცილებინა პონტოელთა მხრიდან მოსალოდნელი გარშემორტყმა. მან ფლანგებზე საკმაოდ ფართო და ღრმა თხრილები გაათხრევინა და მიწაყრილებიც აღმართა; იმავე ადგილებზე, მოწინააღმდეგის კავალერიის პირისპირ, თავისი მხედრობა დააყენა. კავალერიის მარცხენა ფლანგი გადასცა ლუციუს მურენას, ხოლო მარჯვენას თვითონ ჩაუდგა სათავეში. სულამ თავისი ლეგიონები სამ რიგად განალაგა ისე, რომ ამ რიგებს

შორის. საკმაოდ ფართო ინტერვალებზე, მოწინააღმდეგის ეტლების თავდასხმის უვნებელსაყოფად, ხშირი ღობურები ააგო. სულ ბოლოს, საკმაოდ ღრმა ზურგში, იდგნენ სარეზერვო რაზმები სულის ლეგატების, ჰორტენზიუსისა და გალბას სარდლობით, რომელთაც აგრეთვე ევალებოდათ თავიდან აეშორებინათ მტრის ფლანგებისაგან მოსალოდნელი გარშემორტყმა.

ბრძოლა იმით დაიწყო, ოომ ქერონეელი ბერძნების დახმარებით რომაელთა სახელდახელოდ გამოყოფილმა რაზმმა შეტევა დაიწყო პონტოელთა მარცხენა ფლანგის უკიდურეს ნაწილზე, რომელიც განლაგებული იყო ე. წ. თურიონის ბორცვზე. აქედან, მოულოდნელი თავდასხმისაგან, გაქცეული პონტოელები მიაწვნენ თავისიანების რიგებს და არევ-დარევა შეიტანეს მათში. სულამ დრო ხელსაყრელად ჩათვალა და სწრაფი ტემპით გადავიდა შეტევაზე. არქელაოსმა მის შესაკავებლად წინასწარ გაგზავნა ცხენოსანთა რაზმი, მაგრამ რომაელებმა ძლიერი დარტყმით უკუაქციეს ისინი ციცაბოებისაკენ. მაშინ არქელაოსმა ბრძანება გასცა შეტევა დაეწყოთ ცელებით შეიარაღებულ ეტლებს, რათა მათ გაეპოთ და დაეფლითათ შეტევაზე გადმოსული რომაელები. მაგრამ ეტლებმა ადგილის სივიწროვისა გამო სწრაფი სიჩქარე ვერ აიღეს, ურომლისოდაც მათ დიდი ზიანის მოტანა არ შეეძლოთ. რომაელები ამოეფარნენ მათ მიერ აგებულ ღობურებს და გზა მისცეს პონტოელთა მოიერიშე ეტლებს, რომლებმაც მათ გვერდით უნაყოფოდ ჩაუქროლეს და მტრის ზურგში მოექცნენ; აქ მათ გაუძნელდათ შემობრუნება და განადგურებული იქნენ ზურგში მყოფი რომაელებისაგან.

ახლა ბრძოლაში ჩაებნენ მოწინააღმდეგეთა ცენტრალური ნაწილები. რომაელებს განსაკუთრებით გაუჭირდათ იმ მონათა წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც არქელაოსს დაყენებული ჰყავდა წინა ხაზზე. მონებმა ამ შეტაკებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი, მაგრამ ბოლოს, წინა ხაზზე გასაჭირში ჩავარდნილ რომაელებს წამოეშველნენ უკანა რიგებში მდგომნი, რომლებმაც ხელშუბებისა და ცეცხლწამკიდი ისრების წვიმის დაშენით გასტეხეს მონათა წინააღმდეგობა.

ახლა რომაელები ეკვეთნენ პონტოელთა ფალანგებს და აქაც სრული უპირატესობა მოიპოვეს.

მაგრამ ამასობაში არქელაოსმა 2.000 ცხენოსნით დაიწყო შეტევა მარჯვენა ფლანგიდან, მოწინააღმდეგის ალყაში მოსაქცევად. მის წინააღმდეგ სწრაფად დაიძრნენ ჰორტენზიუსი და გალბა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ და უკან დაიხიეს; პონტოელმა მხედრებმა

მათი ლაშქარი მოსწყვიტეს რომაელთა დანარჩენ ნაწილებს და დაიწყეს მათი რკალში მომწყვდევა.

როდესაც სულამ შეიტყო ჰორტენზიუსისა და გალბას გასაჭირის შესახებ, მიატოვა თავისი უშუალო სარდლობის ქვეშ მყოფი მარჯვენა ფლანგი, რომელიც ჯერ კიდევ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო. და გაეშურა მათ საშველად. არქელაოსმა, როგორც კი ეს შეამჩნია, თავი მიანება ჰორტენზიუსისა და გალბას წინააღმდეგ შეტევებს და სწრაფად გაეშურა რომაელთა მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ, რათა ესარგებლა სულას იქიდან წასვლით და ადვილად დაემორჩილებინა მოწინააღმდეგის ეს მხარე.

ამავე დროს, პონტოელთა კავალერიის მეორე ფლანგიც, ტაქსილეს სარდლობით, იწყებს შეტევას მის პირდაპირ მდგარი მურენას წინააღმდეგ.

ამრიგად, ბრძოლა ჩაღდება მთელი ძალებით, როგორც ცენტრში ისე ფლანგებზე. ორივე მხრიდან მძლავრი საბრძოლო ყიჟინა, დაჭრილთა კვნესა, ცხენების თქარათქური, ჭიხვინი და იარაღის ზათქი მთების ეხოში კიდევ უფრო ძლიერდებოდა...

სულა ერთ ხანს დაიბნა კიდეც; აღარ იცოდა, რომელ მხარეს მიშველებოდა. ბოლოს არჩია ისევ მარჯვენა ფლანგზე დაბრუნებულიყო, რომელიც ცოტა ხნის წინ მიატოვა და რომელსაც ახლა გაშმაგებით უტევდა არქელაოსი. მაგრამ მან იცოდა, ძალიან უჭირდა მურენასაც, რომელსაც მედგრად აწვებოდნენ ტაქსილეს „სპილენძისფარიანები". ამიტომ მას დასახმარებლად გაუგზავნა ჰორტენზიუსისა და გალბას სათადარიგო ნაწილები. თვითონ სულა ერთი სათადარიგო რაზმით გაჩნდა მარჯვენა ფლანგზე. მისმა გამოჩენამ ბრძოლის ბედი რომაელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. არქელაოსი დამარცხდა და უკან დახევა დაიწყო. გამხნევებულმა რომაელებმა გაქცეული არქელაოსის მეომრებს მდ. კეფისოსამდე და მასზე აღმართულ ციცაბოებამდე მისდიეს. აქედან სულა შემობრუნდა და უკვე გასაქცევად გამზადებულ მურენას მიეშველა. აქაც გამარჯვების სასწორი რომაელთა მხარეზე გადაიხარა და ტაქსილემაც გაქცევით იწყო უკან დახევა.

რაკი პონტოელთა არმიის ყველაზე ძლიერმა ნაწილებმა, კავალერიით გამაგრებულმა ფლანგებმა მარცხი განიცადეს, ვეღარც ცენტრალურმა ნაწილმა შეაკავა რომაელი ლეგიონერების მძლავრი შემოტევა და იმანაც გაქცევას მიმართა. ახლა არქელაოსის მთელი არმია გარბოდა. გაქცეულებმა თავშესაფარებლად მიაშურეს თავიანთ ბანაკს. არქელაოსმა შიგნიდან გადაუკეტა მათ კარი, რომ ამით

[illegible] ბრძოლებიანი ლაშქარი პობრუნებოდნენ მოიერიშე მტერს. მაგრამ [illegible] [illegible]ულად დარჩენილი პონტოელი მეომრები უნაყოფოდ [illegible]ნენ თავს გამძვინვარებულ რომაელთ. ბოლოს, უკვე გვიან, არქელაოსმა გაიღო ბანაკის კარი. მაგრამ, როცა გაქცევას გადარჩენილი პირი მეომრები ბანაკში შეიჭრნენ, მათ თან შეჰყვნენ რომაელებიც. სულა მტრის ბანაკსაც დაეუფლა და სრული გამარჯვებაც მოიპოვა.

არქელაოსმა გადარჩენილი 10.000 მეომრით თავი შეაფარა ქ. ქალკედონს.

ევრონეასთან სულას გამარჯვებას უფრო მეტი მორალური შედეგები უნდა ჰქონოდა, ვიდრე პრაქტიკული. ამ გამარჯვებით საგრძნობლად უნდა განმტკიცებულიყო მისი ავტორიტეტი რომში, სადაც მისი მტრები გამარჯვებას ზეიმობდნენ და სულას ნაცვლად აღმოსავლეთის სარდლად ვალერიუს ფლაკუსს თვლიდნენ. ბრძოლაში სულას თავგანწირულებამ და სიმამაცემ კიდევ უფრო გაზარდა მისი ავტორიტეტი მეომართა შორის.

რომაელთა ამ გამარჯვებას უნდა შეერყია მითრიდატეს ავტორიტეტი მის ქვეშევრდომთა და მოკავშირეთა შორის. სწორედ ამიტომ იყო, რომ პონტოს მეფემ ეპვის თვალით დაუწყო ცქერა თავის ქვეშევრდომებს და ტერორის გზით სცადა საეპვოთა ჩამოცილება. განსაკუთრებით სასტიკად მოექცა ის გალატების მმართველებს, რომლებიც მას ემორჩილებოდნენ და ახლა რომაელთა სასარგებლოდ იყვნენ განწყობილნი. ის ღამით თავს დაესხა მათ და ცოლშვილიანად ამოხოცა.

მითრიდატე გამალებით შეუდგა ახალი ჯარების შეკრებას და გაწვრთნას.

სულამ გენერალური ბრძოლა მოიგო, მაგრამ ფლოტის ექონლობის გამო არ შეეძლო ზღვა გადაელახა და მცირე აზიაშიც შეეჭრილიყო. ზღვაზე კვლავ პონტოელები დათარეშობდნენ და საბერძნეთის დატოვებასაც არ აპირებდნენ.

სწორედ ამ დროს, სულამ შეიტყო, მასთან საბრძოლველად მოეშურებოდა მისი მეტოქე ვალერიუს ფლაკუსი. მაშინ მან არქელაოსის დასადევნებლად გამზადებული ლეგიონები შემოაბრუნა და გაემართა ჩრდილოეთ საბერძნეთში, თესალიაში ფლაკუსთან შესახვედრად.

ვალერიუს ფლაკუსი, როგორც ბრძოლაში გამოუცდელი, სასტიკი და ანგარების მოყვარული კაცი, ვერ სარგებლობდა კარგი ავტო-

რიტერიტ თავის მეომართა შორის. ამიტომ მას ბევრმა მებრძოლმა ღალატი და სულას მხარეზე გადავიდა.

როდესაც მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ, გამოუცდელმა და მებრძოლთა ღალატით შემკრთალმა ფლაკუსმა ვერ გაბედა შესჯახებოდა ბრძოლაში ნაცად მრისხანე სარდალს, რომელიც ახლახან ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან გამარჯვების შარავანდედით მოსილი, ერთგული და ბრძოლებში ნაწრთობი ჯარით. მან გვერდი აუქცია სულანელებს და გაემართა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რათა მაკედონიისა და თრაკიის გავლით გადასულიყო აზიაში და იქ შებრძოლებოდა მითრიდატე პონტოელს.

სულამაც თავი შეიკავა ფლაკუსის დადევნებისაგან.

გერმანელი ისტორიკოსი მომზენი აღნიშნავს, რომ სულა პატრიოტულმა გრძნობებმა შეაწუხა და ამიტომ აიღო ხელი ფლაკუსის დადევნებაზეო. მაგრამ საეჭვოა, დემოკრატიის დაუძინებელი მტრის, ბოროტი და შეუბრალებელი პატრიციუსის გული მოსისხლე მტრების დანახვაზე პატრიოტობის გრძნობას აეჩვილებინოს. სულას პატრიოტიზმზე არ უფიქრნია მაშინ, როცა მან თავის მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად და პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მახვილი აღმართა თავისი ქალაქის წინააღმდეგ და მისი ქუჩები მოძმეთა სისხლით მორწყო. ახლა, როცა ის უცხოეთში მძვინვარე მტრის წინააღმდეგ იბრძოდა. როცა „კორნელიუს ცინამ და გაიუს მარიუსმა იგი რომში სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს, აიკლეს მისი სახლი და ქალაქგარეთ მამული და ამოხოცეს მისი მეგობრები“. ცინას კოლეგის და მისი მტრის, ვალერიუს ფლაკუსის შეხვედრისას მის შურისძიებას პატრიოტობა შეაკავებდა? რა თქმა უნდა, არა.

საქმე ისაშია, რომ უკვე ხმები დაირხა მითრიდატეს მიერ ახალი ძლიერი ჯარის შეკრებისა და რომაელების წინააღმდეგ შურისძიებლად გაგზავნის სამზადისის შესახებ. ამიტომ მეტად თავზეხელაღებული და განწირული უნდა ყოფილიყო გეგმა ჯერ თანამოძმეებზე თავდასხმისა და შემდეგ, ან იმავდროულად, ძლიერი მტრის წინააღმდეგ გალაშქრებისა; ამ გეგმის განხორციელება კოლოსალურ ძალებს მოითხოვდა, ხოლო სულას მაშინ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. უმჯობესი იქნებოდა, თუ ის რამდენიმედ მაინც გამოიყენებდა ფლაკუსის არმიას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს, რა თქმა უნდა, რამდენიმედ შელახავდა მის განუზომელ პატივმოყვარეობას, მაგრამ კონსულის მეომრების მის მხარეზე გადასვლამ ალბათ დაარწმუნა, რომ პოპულარების არმიის სარდლობას აზიაში

დიდი დღე არ ჰქონდა და იმედოვნებდა, ფლაკუსის ლეგიონები მი-სი დროშის ქვეშ დადგებოდნენ.

სულას აშინებდა აღმოსავლეთის ჯერ კიდევ ძლიერი მბრძანებელი, რომელიც ფხიზლად უთვალთვალებდა რომაელთა შორის ყოველგვარ განხეთქილებას და, თუკი რაიმე ასეთი მოხდებოდა, მას ფრთებს ასხამდა და ძალას ჰმატებდა.

ყოველივე ამას სულა კარგად ხედავდა და ამიტომ თესალიიდან შემობრუნდა და გაეშურა ატიკაში პონტოელთა ახალ ძალებთან შესახვედრად...

მითრიდატემ 70.000 მეომრისაგან შემდგარი ახალი არმია ჩააბარა. თავის ახლო მეგობარსა და მამაც სარდალს დორილაოსს და გაგზავნა ის საბერძნეთში.

დორილაოსმა ფლოტით გადალახა ეგეოსის ზღვა და გაჩნდა ქალკიდაში, სადაც მას არქელაოსი ელოდებოდა გადარჩენილი 10.000 მეომრით. ამგვარად, 80.000 პონტოელისაგან შემდგარი არმია კვლავ შეიკრა ბეოტიაში, საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილში და ხელთ იგდო ის.

დორილაოსსა და არქელაოსს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. არქელაოსი, როგორც რომაელებთან შეტაკებებში არაერთგზის ნაცადი, უფრო ფრთხილობდა და მოითხოვდა, გენერალური ბრძოლა არ დაეჩქარებინათ. ეს ტაქტიკური მოსაზრება, უთუოდ, სწორი იყო. სულასათვის საშიშროება დაყოვნებაში მდგომარეობდა. მას სული მისდიოდა, როდის მორჩებოდა მითრიდატეს არმიებთან ჭიდილს, რომ მალე დაბრუნებულიყო რომს, სადაც მოვლენები მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

დორილაოსი კი, წინააღმდეგ თავისი კოლეგისა და მეგობრისა, მოითხოვდა დაუყოვნებლივ შებმოდნენ სულას, და ამით თითქოს ხელს უწყობდა რომაელი სარდლის სურვილის შესრულებას. დორილაოსს ქერონეასთან პონტოელთა მარცხის მიზეზად ღალატი მიაჩნდა. ამიტომ მას სრული იმედი ჰქონდა თავისი არმიის რიცხობრივი უპირატესობისა და გადაჭრით მოითხოვდა ბრძოლის დაუყოვნებლივ დაწყებას.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ისევ მდ. კეფისოსის ველზე შეხვდნენ, ქ. ორქომენის მახლობლად. ორქომენის ფართო ველმა, სადაც შეიძლებოდა პონტოელთა ძლიერ კავალერიას თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონოდა, არქელაოსიც წააქეზა დათანხმებოდა ბრძოლის დაწყებას.

სულა სასწრაფოდ შეუდგა. ორივე მხრიდან ფართო და ღრმა თხრილების გათხრას, რათა მოწინააღმდეგის მხედრობისათვის გადაეჭრა გზები მანევრირებისათვის მოსახერხებელი ადგილებისაკენ და შეერეკა ისინი მდ. კეფისოსის გაუვალ ჭაობებში. როცა პონტოელთა სარდლებმა ეს შენიშნეს, ბრძანება გასცეს სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევა. პონტოელთა კავალერია შეუკავებელი ნიაღვარივით ეკვეთა რომაელთა განლაგებებს. რომაელებმა ვეღარ გაუძღვეს მტრის მხედრების ძლიერ შემოტევას და უწესრიგოდ დაიწყეს უკან გაქცევა. სულამ საქმის გამოსწორება სცადა ჩვეული წაქეზებითა და გამხნევებით, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

მაშინ სულა ჩამოხტა ცხენიდან, აღმართა რომაელთა საბრძოლო დროშა და თავისი მცველებით გარშემორტყმული შეიჭრა მტრის ლაშქარში, თანაც შესძახა შეშინებულ და ბრძოლის ველიდან გამოქცეულთ: „მე აქ მოვკვდები მშვენიერი სიკვდილით, რომაელებო, ხოლო თქვენ, როცა გკითხავენ: სად უღალატეთ თქვენს სარდალ სულას, — არ დაგავიწყდეთ უპასუხოთ: როდესაც ის ორქომენთან იბრძოდა-თქო“.

მთავარსარდლის ასეთმა თავგანწირულებამ ბრძოლის ველისაკენ შემოაბრუნა ჯერ ცალკეული რაზმების წინამძღოლნი, ხოლო შემდეგ დანარჩენი მებრძოლებიც. სულამ არაჩვეულებრივი სიმამაცისა, თავგანწირულებისა და ენერგიის წყალობით შესძლო კვლავ თავისაკენ მრებრუნებინა ბრძოლის ჩარხი. პონტოელებმა ვერ გამოიყენეს პირველი წარმატება და ბრძოლის ველს ზურგი აქციეს. სულამ შესძლო მოპოვებული წარმატების გამოყენება. მან შეამჭიდროვა თავისი რაზმები და ხელახლა შეუდგა მტრის გარშემო თხრილების გაყვანას. პონტოელებმა ამის საპასუხოდ კვლავ დაიწყეს შეტევა, მაგრამ მათ ვეღარ შესძლეს დაკარგული მდგომარეობის აღდგენა. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა პონტოელთა არმიის მარჯვენა ფლანგი, რომელსაც არქელაოსის ვაჟი დიოგენე მეთაურობდა. პონტოელ მსროლელებს საჭირო მანძილის უქონლობის გამო ისრის გასროლა არ შეეძლოთ და მტრებს ისრის კონებს მახვილივით აძგერებდნენ. დაღამებისას მათ დაიხიეს თავისი ბანაკისაკენ.

მეორე დღეს რომაელები ისევ შეუდგნენ მოწინააღმდეგის ბანაკის გარშემო ორმოების გათხრას. პონტოელებმა ახალი შეტევით კვლავ სცადეს მათი გეგმის ჩაშლა. სულა კონტრშეტევაზე გადავიდა. ბრძოლის ამ უკანაკნელ დღეს ორივე მხარე განსაკუთრებუ-

ლი ჯაშაგებით იბრძოდა. ბოლოს რომაელებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის სიმაგრეთა განგრევა. მაშინ პონტოელები მახვილებით ხელში, ერთიმეორესთან მჭიდროდ შეკრულნი, ვამაგრდნენ სანგრებში და ისე იცავდნენ თავს, სანამ ერთ-ერთმა ლეგიონის უფროსმა, ბასილიმ, თავისი პირადი მაგალითით წაქეზებული მეომრებით, აო გაარღვია მათი რიგები და შეიჭრა ბანაკში. პონტოელებს აღარ შეეძლოთ შეეკავებინათ ბანაკში შემოჭრილი რომაელების მძვინვარება. ბევრი მათგანი მტრის ძახვილს წამოეგო, ბევრიც ჭაობებში ჩაიხრჩო. თვითონ არქელაოსმა მოახერხა ხომალდით ქალკიდაში გაქცევა. აქ მან ისევ შეკრიბა ბრძოლაში გადარჩენილი თანამებრძოლები.

* * *

რომაელთა ასეთმა წარმატებებმა მითრიდატეს ახლად შექმნილ ვრცელ მონარქიაში ნგრევა შეიტანა. მართალია, აზიის მოსახლეობა დიდი მონდომებით გაჰყვა მას მათთვის საძულველი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მითრიდატე მაინც სასტიკ დესპოტად რჩებოდა და. იტალიელების გაჟლეტისა და ევროპის წინააღმდეგ შეტევის პირველი ეხთუზიაზმის შემდეგ, მან მეტისმეტი მკაცრი რეჟიმით შეაშფოთა და აიმხედრა მისი მბრძანებლობის ქვეშ მყოფი ოლქები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სულამ ზედიზედ დაამარცხა მითრიდატეს ძლიერი არმიები ათენთან, პირევსთან, ქერონეასთან და ბოლოს, ორქომენთან.

მითრიდატეს ძლიერების დაქვეითების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მის წინააღმდეგ ადგილობრივი, აზიელი წარჩინებული მოქალაქეებისა და მდიდარი მონათმფლობელების ამხედრებაც უნდა ჩაითვალოს. იმპატორის პოლიტიკა. რომელიც ძირითადად რომაელთა ძლიერების განადგურების მიზანს ემსახურებოდა, მძაფრ სოციალურ კრიზისს უწყობდა ხელს. მითრიდატე ათიათასობით მონებს ათავისუფლებდა და რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აბამდა. მონათმფლობელთა და მდიდარ ფინანსისტთა კაბალაში ჩაფლულ გაღარიბებულ მოსახლეობას ვალებისაგან ათავისუფლებდა და საბრძოლველად ერეკებოდა. ამიტომ აზიელი საზოგადოების მდიდარი ფენები უკმაყოფილონი იყვნენ და მითრიდატეს წინააღმდეგ პირველ რიგში ისინი გამოდიოდნენ. ისინი თავიანთი დაკარგული ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას რომაელებთან შეთანხმებით ცდილობდნენ, და ამ საქმის მოსაგვარებლად აზიის „საუკეთესო

მოქალაქენი" რომის პატრიციატის პირველ კაცთან — სულასთან გარბოდნენ. თვით სამეფო კარზე უკმაყოფილო დიდებულებმა, მისმავე ახლობლებმა და მეგობრებმა არაერთჯერ მოაწყეს შეთქმულება მეფის წინააღმდეგ. გამძვინვარებულმა დესპოტმა 1.600 შეთქმული დასაჯა სიკვდილით.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სულამ ორქომენის ბრძოლაც მოიგო და აზიაში მეფის წინააღმდეგ უკმაყოფილებაც დაიწყო, მითრიდატეს ძლიერება მაინც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. გენერალურ ბრძოლებს გენერალური შედეგები არ მოსდევდა. სულას ფლოტის უქონლობის გამო კვლავ არ შეეძლო ზღვა გადაელახა და თავს დასხმოდა პერგამონში მყოფ „აღმოსავლეთის ჰანიბალს". მითრიდატეს საბერძნეთში არც ერთი არმია აღარ ჰყავდა, მაგრამ თუკი ხელსაყრელ დროს შეარჩევდა, — თუ, მაგალითად, სულა იტალიაში დაბრუნდებოდა — შეეძლო კვლავ აღედგინა საბერძნეთში თავისი ძალაუფლება. სულას კი დრო დაყოვნების საშუალებას არ აძლევდა. რომიდან მასთან მორბოდნენ მარიუსელთა მიერ დევნილები: ახლობლები უთვლიდნენ, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო რომში და ეშველნა მათთვის; მისი „ვილები" და კარმიდამო ნაცარტუტად იყო ქცეული. საჭირო იყო სასწრაფოდ იტალიაში დაბრუნება, მაგრამ პონტოს სამეფო მაინც მუდმივი საფრთხის წყაროდ რჩებოდა აღმოსავლეთში და მისი საბოლოოდ განადგურების გარეშე დაბრუნება — მით უფრო, როცა რომში ისეთი ამბები ტრიალებდა — დამარცხებულის დაბრუნებას უდრიდა. სულას ახლა ზავი სწყუროდა. ზავის გარეშე ის აღმოსავლეთიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა.

მაგრამ ზავზე მოწყურებულ ქერონეიისა და ორქომენის გმირს მაინც არ სურდა ხელში აეღო მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა. მან უთუოდ იცოდა, მისმა გამარჯვებებმა შეარყია პონტოელთა ძლიერება და მითრიდატეც მოწადინებული უნდა ყოფილიყო საზავო მოლაპარაკების გამართვაზე. ეს მართლაც ასე იყო. მხოლოდ ის იყო, რომ მოწინააღმდეგენი უცდიდნენ, რომელი მხარე დასვამდა პირველად საკითხს ამის შესახებ. მაგრამ ეს მცირედი ლოდინის ძაფიც მალე გაწყვიტა ვალერიუს ფლაკუსის არმიის შეტევამ.

როგორც ითქვა, ფლაკუსმა თესალიაში შეხვედრისას ვერ გაბედა სულასთან შებრძოლება და მაკედონიისაკენ გაემართა. მაკედონიიდან გადავიდა თრაკიაში, ხოლო აქედან — ბიზანტიონში, რათა აქ ეიწრო სრუტე გადაელახა და შეეჭრილიყო მცირე აზიაში. აქვე მოხდა ერთი ინცინდენტი, რომელსაც მხსვერპლად შეეწირა კონსული ვალერიუს ფლაკუსი.

აპიანეს ცნობით, ერთ-ერთ ნადიმზე ჩხუბი მოუვიდათ ფლაკუსის მოადგილეს, გაიუს ფლავიუს ფიმბრიას და ერთ-ერთ ქვესტორს* მოჩხუბრებმა მოსამართლედ და გამზავებლად აირჩიეს მთავარსარდალი. ფლაკუსმა ქვესტორს დაუჭირა მხარი. გაბრაზებულმა ფიმბრიამ ფლაკუსს განუცხადა, რომ ასეთი უსამართლობისათვის დაბრუნდებოდა რომში. კონსულმა არაფრად ჩააგდო ფიმბრიას მუქარა, პირიქით: გადააყენა ის ლეგატობიდან და მის მაგივრად სხვა დანიშნა. როდესაც ფლაკუსმა თავისი ჯარები ქალკედონში (მცირე აზიაში) გადასხა, ერთ დღეს შურისგებით აღვსებულმა ფიმბრიამ კონსულის ერთერთ ლიქტორს** წკეპლების კონა ჩამოართვა და ამით უპატიურობა მიაყენა, როგორც მას, ასევე ფლაკუსსაც. გაბრაზებულმა კონსულმა ფიმბრიას მოკვლა სცადა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯარისკაცები მას ეურჩებოდნენ და ფიმბრიას უჭერდნენ მხარს. უწყეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ფლაკუსმა, რომელმაც სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, გაქცევა გადაწყვიტა. მან მიაშურა ქალაქ ნიკომედიას. ფიმბრია მას ფეხდაფეხ მისდევდა. კონსული ჭაში ჩაძვრა, მაგრამ ფიმბრიამ მას მიაგნო, ამოათრია იქედან და მოჰკლა; თავი მოჰკვეთა და ზღვაში გადააგდო, ხოლო ტანი დაუსაფლავებლად დასტოვა ძაღლთა და ყორანთა საჯიჯგნელად. ფიმბრიამ თვითონ იგდო ხელთ მთავარსარდლობა და განაგრძო ლაშქრობა.

პონტოს მეფემ ფიმბრიას წინააღმდეგ გაგზავნა არმია თავისი შვილის, კოლხეთის მაშინდელი მმართველის სარდლობით. ამ პონტოელ უფლისწულსაც მითრიდატე ერქვა. მითრიდატე უმცროსს ამ ლაშქრობაში თან ახლდნენ ცნობილი სარდლები, დიოფანტი, ტაქსილე და მენანდრე. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთ მცირე აზიის ერთ-ერთ მდ. რინდაკზე.

ფიმბრიამ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის კავალერიის უპირატესობა და თავისი ბანაკის ორივე ფლანგზე მიწაყრილები აღმართა, ხოლო წინ, ფრონტით, თხრილები ამოთხარა ისე, რომ შუაზე ვიწრო შესავალი დატოვა. მან შეტევაზე გადმოსვლა მოწინააღმდეგეს აცალა და თვითონ ბანაკში ჩაიკეტა. პონტოელებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში, მაგრამ ეტყობა, ფიმბრიას მოსაზრებას ნაყოფი გამოუღია: პონტოელებმა რომაელთა თავდაცვით ზღუდეებზე ცხე-

---

* ქვესტორი—ფინანსთა და საომარ ნადავლთა გამგებელი.

** ლიქტორი — კონსულის და დიქტატორის მსახური და საპატიო მხლებელი. ლიქტორს ხელთ ეპყრა წკეპლების კონა, რომელშიც ჩადებული იყო ნაჯახი, და ისე მიუძღოდა თავის ხელისუფალს. კონსულებს 12-12 ლიქტორი მიუძღოდათ, ხოლო დიქტატორს — 24.

ნოსანთა რიგები ვერ გაშალეს და 6.000 ცხენოსანი დაჰკარგეს ბრძოლის ველზე. მაგრამ ამ შეტაკებამ რომაელებს დიდი შედეგი მაინც ვერ მოუტანა. პონტოელები უპირატესობას მაინც აღწევდნენ და მტერს ძალზე ავიწროებდნენ.

მაგრამ ვერც ახალგაზრდა უფლისწულმა და ვერც გამოცდილმა ვეტერანმა სარდლებმა საკმაო წინდახედულება ვერ გამოიჩინეს. გარიჟრაჟისას, კოკისპირულ წვიმაში, როცა პონტოელთა ბანაკს უდარდელად ეძინა, ფიმბრიამ ბრძანა, სწრაფად გადაელახათ მდინარე და თავს დასცემოდნენ მძინარე მტერს. მართლაც, რომაელები სრულიად მოულოდნელად შეიჭრნენ პონტოელთა ბანაკში. მითრიდატე უმცროსმა მხოლოდ მცირეთა თანხლებით უშველა თავს. ის გაიქცა პერგამონში, სადაც მას მამა ელოდებოდა.

მემნონი გადმოგვცემს, რომ მეფის ჯარების ამ ახალი დამარცხების შემდეგ „ქალაქების უმრავლესობა რომაელების მხარეზე გადავიდა". ფიმბრიანელებმა ხელი მიჰყვეს აზიური ქალაქებისა და სოფლების ძარცვა-გლეჯასა და ჟლეტას. ასე, ქ. კიზიკთან მდიდარი მოქალაქეების ერთი ნაწილი, რომელიც ხარკის გადახდაზე და მორჩილებაზე უარს ამბობდა, ფიმბრიამ სამაგალითოდ გააჯოხვინა და შემდეგ თავები დააყრევინა. ასეთი სისასტიკით დაშინებულმა სხვა მოქალაქეებმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად აღარაფერი დაზოგეს და დიდძალი გამოსასყიდი მიართვეს მას.

ამის შემდეგ ფიმბრიას ლეგიონები უეცრად გაჩნდნენ ქ. პერგამონის კედლებთან, სადაც იმქამად მითრიდატე ევპატორი იმყოფებოდა.

მეფემ სასწრაფოდ დატოვა ქალაქი და გაეშურა ახლომყოფ ნავსადგურ პიტანეში. აქ ის ჩაჯდა გემში და გაემზადა გასაქცევად. ფიმბრიას ფლოტი სჭირდებოდა, რომ მეფისათვის ალყა შემოერტყა და დაეტყვევებინა ის.

სწორედ ამ დროს, ამ ადგილზე გამოჩნდა სულას მიერ ფლოტისათვის გაგზავნილი ლუკულუსი, რომელსაც მართლა შეეგროვებინა ხომალდები და სასწრაფოდ მიეშურებოდა სულას მოსახმარებლად.

ფიმბრიამ თხოვნა-მუდარით მიმართა ლუკულუსს, მიეშველებინა მისთვის ფლოტი მითრიდატეს დასატყვევებლად. მაგრამ მან ყური არ ათხოვა ფიმბრიას თხოვნას. ლუკულუსმა მიატოვა საბოლოო გამარჯვებასთან ახლომდგარი, მაგრამ საამისოდ უმწეო მდგომარეობაში მყოფი თანამემამულე და განაგრძო გზა. მითრიდატემ

დატოვა პიტანე და უვნებლად ჩავიდა კუნძულ ლესბოსზე, ქ. მიტილენაში.

იმედგაცრუებული ფიმბრია მიუბრუნდა აზიის ქალაქებს და შეუდგა მათ მკაცრად დასჯას. იმ ქალაქებს, რომლებიც თავისი ნებით არ უღებდნენ კარს, ის სასტიკად აოხრებდა. ასე, ის მიადგა სახელოვან ილიონს და ათი დღის ალყის შემდეგ შეიჭრა მასში. ქალაქში შეჭრისთანავე ის შეუდგა ხალხის დაუნდობელ ჟლეტას. რომაელებმა ქალაქის ყველა უბანზე ხანძრები გააჩაღეს. აწიოკებული ხალხი სალოცავებში შერბოდა და ღმერთთა ქანდაკებებს ეხვეოდნენ, სთხოვდნენ მათ დახმარებას, მაგრამ გამხეცებული რომაელები აქაც შერბოდნენ და საკურთხევლების წინაშე დამხობილ ადამიანებს ზვარაკად ჰკლავდნენ. ათინას დიდ ტაძარში ქალღმერთის უზარმაზარ ქანდაკებას ხალხი ბღავილით ეხვეწებოდა მოწყალების მოღებას. შეუბრალებელ მტარვალთაგან გადარჩენას. რომაელებმა ტაძრის გარშემო ხანძარი გააჩაღეს და შიგ ჩაკეტილი ხალხი ერთიანად ამოსწვეს. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ილიონში, სახელოვან და დიდებულ ქალაქში, არაფერი არ დარჩენილა დაუნგრეველი. მეორე დღეს თვითონ ფიმბრიამ გულდასმით დაათვალიერა ქალაქი, ჩამოიარა ყოველი ქუჩა და კუთხე, შემოუარა გარშემო, რათა დარწმუნებულიყო: ხომ ყველაფერი კარგად იყო დანგრეული!...

ფიმბრიას წარმატებებმა გაზარდეს ზავისადმი მისწრაფება როგორც მითრიდატეს, ისე სულას მხრივ.

მართალია, სულასათვის ხელსაყრელი იყო, თავისი მეტოქის არმია რამდენიმედ მაინც გამოეყენებინა მტრის დასასუსტებლად, მაგრამ არა ისე, რომ მითრიდატეზე სრული გამარჯვების ნაყოფი ფიმბრიას მოეწყვიტა. პატივმოყვარე კორნელიუს სულას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო დაეშვა მოსალოდნელი ზავის დადება მითრიდატესა და ფიმბრიას შორის. ახლა რომაელ სარდლებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ ფიმბრიამ სულასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ილიონელი ელჩები დაახოცვინა და ამით მის მეტოქეს, სულას აზიაში ფეხის მოკიდების საუკეთესო საშუალება დაუკარგა. სულას მიერ საბერძნეთში ჩატარებული სისხლისმღვრელი ომების ნაყოფის მოპოვებას ფიმბრია აპირებდა მაშინ, როცა სულა ფიქრობდა პირუკმოს: დაეჩოქებინა მითრიდატე ფიმბრიას მეოხებით და შემდეგ თვითონ მოემკო სრული გამარჯვების ჯირნახული. ამიტომ მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, პირველს უნდა მიეღწია მითრიდატესთან ზავზე.

მეფეს შეეძლო არჩევანი აეღო, თუ რომელთან დაეწყო მოლაპარაკება, ფიმბრიასთან თუ სულასთან. მან ამჯობინა, ზავი დაედო უკანასკნელთან, რადგან ფიმბრიას, რომელიც უკვე აზიაში მოქმედებდა, შეეძლო მეტი პრეტენზიები წამოეყენებინა.

პირველად მოსალაპარაკებლად ერთმანეთს შეხვდნენ სულა და არქელაოსი, ბეოტიაში. არქელაოსმა მიმართა სულას, რომ რომაელებს დაეტოვებინათ აზია და დაბრუნებულიყვნენ იტალიაში; სამაგიეროდ, პონტოელები დაეხმარებოდნენ სულას იმ ომში, რომელიც მას რომში მოელოდა. სულამ თავის მხრივ მოითხოვა: მითრიდატემ უნდა გადმომცეს მთელი ფლოტი; დამიბრუნოს ტყვეები, ემიგრანტები, გაქცეული მონები; გადაგვიხადოს ომში გაწეული ხარჯების საზღაური; დასტოვოს ყველა აზიური პროვინციები, რომლებიც მან რომაელებს წაართვა და დაკმაყოფილდეს პონტოს სამეფოს იმ საზღვრებით, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო.

არქელაოსმა მითრიდატეს აცნობა ზავის ეს პირობები. მითრიდატე არ თანხმდებოდა, გადაეცა ფლოტი და გაეწმინდა პაფლაგონია. სულა მაინც თავისას არ იშლიდა. ბოლოს, ქ. დარდანში პირადად შეხვდნენ ერთმანეთს მითრიდატე და სულა. სულას თან ახლდა ოთხი კოჰორტა* და 200 მხედარი, ხოლო მითრიდატეს — 200 ხომალდი, 20.000 ქვეითი, 6.000 მხედარი და ბევრი ცელებიანი ეტლები.

ისინი დაწინაურდნენ და მიეახლნენ ერთმანეთს. მითრიდატემ ხელი გაუწოდა, მაგრამ სულამ ამის პასუხად ჰკითხა: თანახმა ხარ, თუ არა ჩემს მიერ წამოყენებულ ზავის პირობებზეო. მითრიდატე სდუმდა. რომაელმა უთხრა, რატომ სდუმხარ, როცა მე ვიცი, შენ კარგი ორატორი ხარ, და კვლავ გაუმეორა თავისი კითხვა. მითრიდატემ აგრძნობინა, რომ ძირითადად ის თანახმაა წამოყენებულ საზავო პირობებზე. მაშინ სულამ ჩამოართვა ხელი, მოეხვია, გადაჰკოცნა და იხმო ნიკომედე და არიობარზანე; შეარიგა ისინი პონტოელთან და შეუდგნენ მოლაპარაკებას. ბოლოს შეთანხმდნენ: მითრიდატე ხელს იღებდა აზიაში დაპყრობილ ოლქებზე და სჯერდებოდა თავის სამემკვიდრეო სამეფოს; მითრიდატემ სულას გადასცა 70 ხომალდი; მეფეს საომარი ხარჯებისათვის უნდა გადაეხადა 2.000 ტალანტი; დაებრუნებინა ტყვე ჯარის უფროსები და მეომრები, აგრეთვე მონები და მოღალატე რომაელი მოქალაქენი; რომაელებს

---

* კოჰორტა — საჯარისო ნაწილი, რომელშიც შედიოდა 400-500 ქვეითი მეომარი. 10 კოჰორტა შეადგენდა ერთ ლეგიონს.

ევალებოდათ, არავითარი ზიანი მიეყენებინათ იმ ქალაქებისათვის, რომლებიც ომში მითრიდატეს ემხრობოდნენ; რომი სცნობდა მითრიდატეს ძალაუფლებას ყველა დანარჩენ სამფლობელოებზე და აღიარებდა მას „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“.

ზავი წერილობით არ გაფორმებულა.

• •

სულას იტალიაში დაბრუნება მანამ არ შეეძლო, სანამ ფიმბრია აზიაში დათარეშობდა. ის ზავის დადებისთანავე გაეშურა თავისი მეტოქისაკენ.

ფიმბრია ამ დროს დაბანაკებული იყო პერგამონის მახლობლად. სულა მიუახლოვდა მას და თვითონაც დაიწყო დაბანაკება. ფიმბრიას ჯარისკაცები სიმპათიურად იყვნენ განწყობილი სულასადმი. ისინი მას სთვლიდნენ ნამდვილ სარდლად, ხოლო ფიმბრიას აღარაფრად აგდებდნენ. ყოველ დილით ფიმბრიას ჯარისკაცები გამოდიოდნენ და ხმამაღლა ესალმებოდნენ სულანელებს, ეხმარებოდნენ მათ თხრილების აშოლებაში და ბევრი მათგანი ფიმბრიასთან აღარც კი ბრუნდებოდა.

ბანაკის მოწყობის შემდეგ, სულამ კაცი გაუგზავნა ფიმბრიას და შეუთვალა: გადმომეცი ჯარები, რომელსაც შენ უკანონოდ ფლობო. ფიმბრიამაც თავის მხრივ დაცინვით უპასუხა: მე თუ უკანონო სარდალი ვარ, არც შენ ხარ კანონიერი, რადგან რომაელთაგან შენ გადაყენებული ხარ მთავარსარდლობიდანო. გაცოფებული სულა შეუდგა ფიმბრიას ბანაკის გარშემო თხრილის შემოვლებას, ფიმბრიანელებმა გაახშირეს სულას მხარეზე გადასვლა. მაშინ ფიმბრიამ შეკრიბა თავისი ლეგიონები და გამოვიდა მათ წინაშე სიტყვით. არცხვენდა იმათ, ვინც მიატოვა იგი და მოუწოდებდა ყველას გამზადებულიყვნენ სულას წინააღმდეგ საომრად. მაგრამ ჯარისკაცებმა ერთხმად დაიღრიალეს, რომ ისინი არ იომებდნენ თავიანთი თანამოძმეების წინააღმდეგ. მაშინ ისტერიით შეპყრობილმა ფიმბრიამ ტანსაცმელი შემოიხია და სახისა და გულმკერდის ხოკვით ფეხებში უვარდებოდა, შეჰღმუოდა და ცრემლების ღაპაღუპით ემუდარებოდა თავის მეომრებს: ნუ დამღუპავთ, ნუ მიმატოვებთ, გამომყევით სულას წინააღმდეგ საბრძოლველადო. მაგრამ არც ამან გამოიღო ნაყოფი. მაშინ ნამტირალევმა და ტანსაცმელშემოძარცულმა სარდალმა ჯარის უფროსები შეკრიბა და ყოველი მათგანისაგან ერთგულების ფიცი მოითხოვა. ამისათვის პირველად გამოუძახა თავის უახ-

ლოეს მეგობარს და ყველა საქმეში თანამონაწილეს, ნონიას. მაგრამ ნონიამაც კი ფიცის მიცემაზე უარი განაცხადა. გამწარებულმა ფიმბრიამ მახვილი გაიძრო და მის მოსაკლავად გაიწია, მაგრამ გარშემო რომაელებმა ისე დაიღრიალეს, რომ მას იარაღი ხელიდან გაუვარდა. ახლა მან სხვა საშუალებას მიმართა. ერთი მონა უხვად დააჩუქრა ფულით, აღუთქვა გათავისუფლება და სულას მოსაკლავად გაგზავნა. მონა, ვითომ ფიმბრიას სისასტიკისაგან გამოქცეული, გაჩნდა სულას ბანაკში და დაიწყო დროს შერჩევა განზრახვის სასრულეში მოსაყვანად, მაგრამ შეატყვეს. შეიპყრეს და დანაშაულში გამოსტეხეს. რა თქმა უნდა, მას საშინელი წამებით სიკვდილი არ ასცდებოდა.

აღშფოთებულმა სულანელებმა ალყაში მოაქციეს ფიმბრიას ბანაკი. მეომრებმა კიდევ უფრო გაახშირეს სულას მხარეზე გადასვლა. ყოველმხრივ გზამოჭრილმა ფიმბრიამ სცადა მოლაპარაკებოდა სულას. ის მიადგა თხრილს და იქედან სთხოვდა თავის ძლიერ მეტოქეს, გაემართა მასთან მოლაპარაკება. მაგრამ სულამ ეს არ იკადრა და თავის მაგივრად რუტილიუსი გაგზავნა მასთან. სულას ასეთმა ქედმაღლობამ სრულ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ფიმბრია. ის ცრემლმორეული ევედრებოდა რუტილიუსს, ეპატიებინათ მისთვის; ყველაფერი ეს ახალგაზრდობით და წინდაუხედავობით მომივიდა და სთხოვე სულას შემიბრალოსო. რუტილიუსმა უპასუხა, შენ არავინ არაფერს გავნებს. თუ უსიტყვოდ დატოვებ აზიას, რომლის მმართველობა სულას ეკუთვნისო. მე კიდევ სხვა უკეთესი გზა მაქვს თავის გადასარჩენადო. — შესძახა ფიმბრიამ და გაიქცა ბანაკიდან. ის შევარდა ქ. პერგამონში და ერთერთ ტაძარში ხმალს წამოეგო, მაგრამ ვერც ეს მოახერხა მან სრულყოფილად; მან დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ უბრძანა მონას, მოეღო მისთვის ბოლო.

სულამ შეიერთა ფიმბრიას ლეგიონები, სულ ორი ლეგიონი.* ამის შემდეგ მან უბრძანა თავის ერთ-ერთ ლეგატს, კურიონს, რომ აღედგინა მითრიდატეს მიერ გაძევებული ნიკომედე და არიობარზანი თავიანთ სამეფო ტახტებზე: პირველი — ბითინიაში, — მეორე — კაპადოკიაში.

სულამ აზიის მცხოვრებლებს არ აკმარა ის ნგრევა და გაჩანაგება, რაც მათ ამ ომების შედეგად განიცადეს. მან თავისი მეომრები ეგზეკუციის მსგავსად ჩაუყენა ყოველ ოჯახს, სადაც ისინი მეტისმე-

* ლეგიონი—რომაულ არმიაში ყველაზე დიდი სამხედრო დანაყოფი. შესდგებოდა 4.500 ქვეითი მეომრისაგან. მასში შედიოდა 10 კოჰორტა.

ტად თვითნებურად და თავხედურად იქცეოდნენ. თვით ისტორიკოსი პლუტარქეც კი, რომელიც რომაელების სასარგებლოდ მეტად ტენდენციურად არის განწყობილი, თავს ვეღარ იკავებს რომაელთა აღვირახსნილობის გამო. სულამ ბრძანა, ყოველ სახლის უფროსს მის ოჯახში მდგარ რომაელი რიგითი მეომრისათვის ყოველდღიურად უნდა გადაეხადა ოთხი ტეტრადრაქმა (ე. ი. 1 მან. და 50 კაპ. ოქრ.), თანაც უნდა გამოეკვება ის და, თუ მეომარი მოისურვებდა, პატივი უნდა ეცა მისი მეგობრებისთვისაც, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი რიცხვით. ხოლო ცენტურიონისათვის, ე. ი. ასისთავისათვის მოსახლეს ყოველდღიურად უნდა მიეცა 15 დრაქმა და ორი წყვილი ტანსაცმელი: ერთი საშინაო და ერთიც საგარეო.

სულას მიერ აზიაში გატარებულ მკაცრ რეჟიმს თან სდევდა მწვავე სოციალური ბრძოლები. ასე, სულამ მითრიდატეს მიერ გათავისუფლებულ მონებს უბრძანა, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბატონებთან; „რადგანაც ბევრნი არ დაემორჩილნენ მას და ბევრი ქალაქიც არ დაექვემდებარა, ამიტომ თავისუფალთა და მონათა მასებს შორის ხდებოდა სისხლისღვრა, სხვადასხვა საბაბით“ — გადმოგვცემს აპიანე.

სულამ ანგარიში არ გაუწია მითრიდატესთან დადებული ზავის იმ პუნქტს, რომლის ძალითაც მას ვნება არ უნდა მიეყენებინა პონტოს მეფის მომხრე ქალაქებისათვის. მან სასტიკად დასაჯა და ააწიოკა პონტოს მოკავშირენი, ცალკეული პირები და ქალაქები. განსაკუთრებით მან ააოხრა ქ. ეფესო, სადაც მითრიდატე ევპატორმა ომის დასაწყისში რომაელთა მასიური ჟლეტის ედიქტი გამოსცა.

აზიის მოსახლეობას ყველაზე უფრო მძიმე უღლად დააწვა ის ფულადი კონტრიბუცია, რომელიც მათ დააკისრა სულამ. მან მოითხოვა, დაუყოვნებლივ გადაეხადათ მთელი ხუთი წლის გადასახადი. რაც უდრიდა 20.000 ტალანტს, დაახლ. 30.000.000 მან. აი, როგორ აგვიწერს აპიანე ამ უზარმაზარი გადასახადების აკრეფის სცენებს: სულა „შეუდგა ხალხის გაგზავნას ფულის გადასახადევინებლად; რადგან ჯარისკაცები ძალას ატანდნენ, დაეინებით მოითხოვდნენ რა გადასახადს, ქალაქები, რომლებსაც არ ჰქონდათ გადახდის საშუალება, აგირავებდნენ მევახშეებთან ზოგი თეატრებს, ზოგი გიმნაზიებს, ზოგი თავიანთ სიმაგრეებსა და ნავთსადგურებს და სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ ქონებას, იღებდნენ რა ხესხს დიდი პროცენტით, ასე შეაგროვეს და მიუტანეს ფული სულას; და უსაზღვრო უბედურებით იყო აღსილი აზია“...

სულამ აზიაში დატოვა თავისი ლეგატი ლუციუს მურენა, რომელსაც დაუტოვა ფიმბრიასეული ორი ლეგიონი, ხოლო თვითონ 84 წ. ზაფხულში (ძვ. წ.), საბერძნეთის გავლით, გაეშურა რომისაკენ, სადაც მას სისხლიანი დიქტატორის როლის შესრულება ელოდებოდა.

ამგვარად, ოთხი წლის საშინელი სისხლისღვრა და ნგრევა-დარბევა, რასაც უთვალავი ადამიანის სიცოცხლე და მატერიალური კულტურის ურიცხვი ძეგლი შეეწირა, უშედეგოდ დამთავრდა.

მითრიდატე ევპატორი მდიდარი ნადავლით დატვირთული გადმოვიდა პერგამონიდან და გაეშურა პონტოსაკენ. სიმდიდრეზე და ძარცვა-გლეჯაზე შეყვარებულმა რომაელებმა შურიანი თვალი გაყოლეს მას და უკმაყოფილება გამოთქვეს სულას მიმართ, რომელმაც მათ ამდენი სისხლისმღვრელი ომების შედეგად ისევ მოსალოდნელი ახალი ომის პერსპექტივა მოუპოვა. სულა აღშფოთებული მეომრების წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ მას არ შეეძლო ერთდროული ომის წარმოება, როგორც მითრიდატეს, ისე ფიმბრიას წინააღმდეგ.

სანამ მითრიდატე ცოცხალი იყო, რომაელ დამპყრობლებს აღმოსავლეთის პროვინციებში მშვიდი ძილის საშუალება არ ექნებოდათ. პონტოს სამეფო აზიის ჩაგრული მასების მედროშე იყო რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლაც მითრიდატე დაბრუნდა თავის სამეფოში, როგორც ბრძოლაში დაჭრილი ნადირი თავის ბუნაგში ჭრილობების მოსაშუშებლად, და ახალი, უფრო მძლავრი ნახტომისათვის სამზადისს შეუდგა. მითრიდატე დათანხმდა დასჯერებოდა თავის სამემკვიდრეო სამეფოს, მაგრამ თავისი სამეფო სკიპტრის ქვეშ აზიის გაერთიანებისათვის ბრძოლის დროშა მაინც ხელიდან არ გაუგდია. რომაელებმა ოთხი წლის განმავლობაში სისხლი ტყუილუბრალოდ ჰღვარეს; მართალია, აზიის აზვირთებული მდინარე თავის წინანდელ კალაპოტში ჩააგდეს, მაგრამ მისი ხელახალი მოზღვავებისა და აღმოსავლეთში რომაული ნათესის წალეკვის საფრთხე ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ აღკვეთეს.

მითრიდატეს მეორე ომი

მითრიდატეს წინააღმდეგ პირველ ომში მიღებული სამარცხვინო ლაქა, რომლის შესახებ ხაზგასმით გაჰყვიროდა სახელოვანი რომაელი ორატორი, ციცერონი, რომაელთათვის კიდევ უფრო სამარც-

ხვინო გახდა აზიის ახალი მმართველის მოქმედებით.

პროვინცია აზიის ახალმა პროპრეტორმა, ზედმიწევნით პატიეცმოყვარე და ტრიუმფის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილმა ლუციუს მურენამ გაითვალისწინა ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც დარდანის სიტყვიერი ზავის შემდეგ შეიქნა აზიაში და თვით რომში. მან გადაწყვიტა განეგრძო და დაემთავრებინა სულას მიერ დაწყებული ომი პონტოს სამეფოს წინააღმდეგ.

პირველი შეხედვით, მურენას ახალი საომარი გეგმა მეტად თავზეხელაღებულად გვეჩვენება. მისი რეგულარული არმია მხოლოდ ფიმბრიასეული ორი, უდისციპლინო ლეგიონისაგან შესდგებოდა. ადვილად მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელი ომებისაგან გამოწვეული ნგრევისა და ახალი მძიმე გადასახადებისაგან აღშფოთებული მოსახლეობაც მისთვის ხელსაყრელ პოზიციას არ დაიჭერდა.

მაგრამ, როგორც ვთქვით, მურენამ უთუოდ ანგარიში გაუწია მაშინდელ საერთო მდგომარეობას. ჯერ ერთი, რომში კიდევ არ იყო გადაჭრილი, შეინარჩუნებდა თუ არა აღმოსავლეთის გმირი რესპუბლიკელთა საძულველ სისხლიან დიქტატურას. ამიტომ მურენას შეეძლო თავისი თავისთვის უფლება მიეცა და ანგარიში არ გაეწია სულას მიერ დარდანში შეკრული სიტყვიერი ზავისათვის. მეორეს მხრივ, არც რომაელი მდიდარი მოქალაქენი, განსაკუთრებით კი გავლენიანი მხედართა წოდება იყო კმაყოფილი შუაზედ გაწყვეტილი ომის შედეგებით, იმის გამო, რომ საფრთხე მითრიდატეს მხრივ მაინც საფრთხედ რჩებოდა. ამიტომ მეტად დიდი სატრიუმფო სიურპრიზი უნდა ყოფილიყო რომაელებისათვის პონტოს მეფის საბოლოოდ განადგურება.

კიდევ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო ის მიზეზი, რომელმაც ბიძგი მისცა მურენას მხრივ მითრიდატეს წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღებას. ეს ის გახლავთ, რომ მითრიდატე პონტოში დაბრუნებისთანავე იძულებული გახდა მთელი თავისი ყურადღება მიექცია მღელვარე კოლხეთისათვის.

კოლხებმა პონტოს მეფეს თავიანთ მმართველად მოსთხოვეს მისი მემკვიდრე მითრიდატე, რომელიც ფიმბრიას წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდა. მითრიდატემ დააკმაყოფილა კოლხების მოთხოვნა და მათი ზღაპრული ქვეყანა სამმართველოდ გადასცა თავის შვილს. მაგრამ სულ მალე ამის შემდეგ, ღალატში დაეჭვებულმა მითრიდატემ, — რომ მისი მემკვიდრე „ალბათ ძველი სახელოვანი კოლხეთის სამეფოს აღდგენის იდეით იყო გატაცებული“, — გაიწ-

ვია ის კოლხეთიდან და რამდენიმე ხანს ოქროს ბორკილებით ჰყავდა შეკრული, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასაჯა კიდეც.

კოლხებთან ბრძოლის პარალელურად მითრიდატემ გაამზადა ფლოტი ბოსფორთან საბრძოლველად, სადაც რაღაც მღელვარება დაწყებულა პონტოს მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ.

ერთადერთ წყაროში, აპიანეს თხზულებაში, მოხსენიებული მეტად მოკლე ცნობა მითრიდატეს წინააღმდეგ კოლხეთისა და ბოსფორის აჯანყების შესახებ, საშუალებას არ გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ საინტერესო მოვლენების შესახებ. ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს: მითრიდატეს პირველი ომის უკანასკნელ პერიოდში პონტოს მეფის ძალაუფლება საკმაოდ შერყეულა შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ პროვინციებში; — საფიქრებელია, ეს მღელვარებანი კოლხეთსა და ბოსფორში შედარებით ადრე დაიწყო, სანამ დარდანის ზავი შეიკვრებოდა, რადგან საეჭვოა, რომ კოლხებმა და ბოსფორელებმა რომაელებთან მითრიდატეს ომის დამთავრებას უცადეს და მერე აჯანყდნენ. აქედან გამომდინარე ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ პონტოს მეფის ყველაზე უფრო საიმედო პროვინციებში მომხდარი მღელვარებანი რომაელ-პონტოელთა შორის ზავის დადების დაჩქარებაში ერთ-ერთ თვალსაჩინო როლს თამაშობდა.

ასე იყო, თუ ისე, მურენამ უთუოდ მითრიდატეს ამ გართულებული მდგომარეობით ისარგებლა და გადაწყვიტა მასთან ომის განახლება. ის „მასხრად აგდებით ეძებდა ომის საბაბს“ და საბაბად სრულიად საკმარისი იყო, რომ მითრიდატე ჯერ კიდევ არ ფიქრობდა დაეტოვებინა კაპადოკიის ჩრდილოეთი ნაწილები. საბაბად შეიძლებოდა გამომდგარიყო, აგრეთვე, პონტოს მეფის ახალი ძლიერი საომარი სამზადისი, რომელიც თითქოს ბოსფორელების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ დროს არქელაოსის თავზედაც მოიქუფრა მითრიდატეს საშინელი იჭვიანობის ღრუბელი. მეფე დროდადრო ბრაზობდა, რომ ჩემმა სარდალმა არქელაოსმა საბერძნეთში პირველი შეხვედრისაკენ სულას მეტი დაუთმო ვიდრე საჭირო იყოო. არქელაოსმა იცოდა, ასეთ ეჭვებს მალე მეფე ცოფიან რისხვასაც მოაყოლებდა და ამიტომ დროზე უშველა თავს. ის გაიქცა მურენასთან და დაუწყო მას წაქეზება, პირველი დასხმოდა თავს მითრიდატეს.

რომაელებმა 83 წელს (ძვ. წ.) პირველად შესდგეს ფეხი საკუთრივ პონტოს ტერიტორიაზე. მურენამ გაიარა კაპადოკია, სადაც მან განამტკიცა არიობარზანის შერყეული მდგომარეობა, და გადალახა პონტოს საზღვარი.

მითრიდატემ მურენას თავხედობის აღკვეთა მშვიდობიანი გზით სცადა. რა თქმა უნდა, მას ხელი არ აუღია აღმოსავლეთის მბრძანებლობისათვის რომაელებთან ჭიდილზე, მაგრამ ჯერ სურდა ბოსფორისა და კოლხეთის საქმეები მოეწესრიგებინა და, რაც მთავარი იყო, მოეშზადებინა საომარი რესურსები ახალი დიდი ომისათვის. მითრიდატეს საომარი პოლიტიკის ერთ-ერთ ნიშანს ისიც წარმოადგენდა, რომ ის ყოველნაირად ცდილობდა თავიდან აეცილებინა ომის გამჩაღებლის სახელწოდება და მიეკუთვნებინა ის მოწინააღმდეგე მხარისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამ დროისათვის, მითრიდატე რომთან ომის განახლების მსურველი არ იყო და ცდილობდა დაეცვა ეს პოზიცია გარკვეულ დრომდე.

ამიტომ მურენასთან მითრიდატეს ელჩები გამოცხადდენ და მოაგონეს მას დარდანის ხელშეკრულების შესახებ. მურენამ ისარგებლა იმით, რომ ზავი წერილობით არ იყო გაფორმებული და ელჩებს ცინიკურად უპასუხა, მე ასეთი ხელშეკრულება არ მინახავსო. ამრიგად, მან ყურიც არ ათხოვა მათ წარდგინებას, და რომაელები შეუდგნენ მათთვის სასურველი ძარცვა-გლეჯის წარმოებას; მათ გაძარცვეს მდიდარი ტაძრები და გამოსაზამთრებლად (83-82) დაბრუნდნენ კაპადოკიაში.

82 წლის დასაწყისში (ძვ. წ.) მითრიდატემ ელჩები გაგზავნა რომში სულასთან და სენატთან საჩივლელად, აზიის პროპრეტორის თვითნებური მოქმედებისა და ზავის დარღვევის თაობაზე.

ამასობაში მურენამ გადალახა მდ. ჰალისი და თითქმის ხმალამოღებლად დაიპყრა მითრიდატეს მბრძანებლობის ქვეშ მყოფი 400 სოფელი და მდიდარი ნაძარცვით დაბრუნდა ფრიგიასა და გალატიაში, რათა იქ უზრუნველეყო ნადავლის გადარჩენა და ახალი თარეშისათვის სამზადისი.

მითრიდატე მაინც იკავებდა თავს და ელოდებოდა რომში გაგზავნილი ელჩების დაბრუნებას.

მურენასთან სენატის დავალებით გამოცხადდა კალიდიუსი, რომელმაც ხალხის თანდასწრებით ტრიბუნიდან განუცხადა, რომ ხელი აეღო მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლაზე, რადგანაც მასთან ხელშეკრულებაა დადებულიო. მაგრამ ეს განცხადება მხოლოდ სიტყვიერი იყო. სინამდვილეში რომის ხელისუფალნი არ ყოფილან წინააღმდეგი, რომ მურენას ეცადა მითრიდატესთან ანგარიშსწორების დამთავრება, ან რამდენიმე ხნის განმავლობაში არ მიეცა მისთვის მოსვენებისა და მომძლავრების საშუალება, რათა როგორც კი

რომი მორჩებოდა შინაური მდგომარეობის დაშოშმინებას, კვლავ განეახლებინათ შეტევა მის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს კალიდიუსისა და მურენას საიდუმლო შეხვედრა, სადაც რომაელმა ელჩმა მურენას მოუწონა მისი მოქმედება მითრიდატეს წინააღმდეგ და ამ მხრივ მის შემდგომ საქმიანობას რომის ხელისუფლების სახელით დასტური მისცა. ამის შემდეგ მურენა ისევ დაიძრა პონტოს საზღვრებისაკენ.

მითრიდატემ აშკარად დაინახა, რომ ომს მარტო მურენა არ აწარმოებდა თავისი ინიციატივით, არამედ მას რომის მთავრობის სანქციაც ჰქონდა.

მურენას მისი თანამებრძოლები ურჩევდნენ, პირდაპირი კურსი აეღო პონტოს სამეფო რეზიდენციის, სინოპისაკენ. მაგრამ მითრიდატემ თავისი სატახტო ქალაქი ძლიერ გარნიზონს ჩააბარა და უბრძანა გორდიოსს, დაუყოვნებლივ დაძრულიყო ჰალისის გადასალახავად და მურენას შესახვედრად.

გორდიოსმა რამდენიმე წარმატებას მიაღწია და გადამწყვეტი ბრძოლისათვის დაიბანაკა მურენას პირისპირ. მოწინააღმდეგენი, რომელთაც მდ. ჰალისი ჰყოფდათ, დიდხანს ზომავდნენ თვალით ერთმანეთს და ბრძოლის დაწყებას აყოვნებდნენ. ბოლოს მითრიდატეც მოვიდა ახალი ჯარით და მაშინვე მოხდა ფიცხელი ბრძოლა. პონტოელებმა სასტიკად დამარცხეს მტერი. მითრიდატე დაედევნა გაქცეულ მურენას, რომელმაც ერთ-ერთ მახლობელ ბორცვზე სცადა გამაგრება. პონტოელებმა იერიშით აიღეს მაღლობი, საიდანაც რომაელები დაფანტული და არეულდარეულნი გაიქცნენ. მათ პონტოელთა ისრების წვიმის ქვეშ უხდებოდათ სირბილი. მითრიდატემ ფრიგიამდე მისდია დამარცხებულ მტერს.

მეფემ ამ გამარჯვების აღსანიშნავად დიდი სადღესასწაულო კოცონი და ზეიმი მოაწყო. „მასპინძლობდა იგი ყველას და ურიგებდა ფულად ჯილდოებს, საუკეთესო მასპინძლობისათვის, სადღეგრძელოსათვის, ხუმრობისა და სიმღერისათვის, როგორც მას ეს ჩვეულებად ჰქონდა“. მითრიდატეს გამარჯვების ხმა სწრაფად გავრცელდა და ბევრი, რომაელებით უკმაყოფილო და ადრე მითრიდატესგან დამოკიდებული ქალაქი ხელახლა დადგა მის მხარეზე.

მითრიდატემ კაპადოკიიდან განდევნა რომაელთა გარნიზონები. ახლა კი მოვიდა სულას მტკიცე ბრძანება, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა მურენას მითრიდატესთან ომი, რასაც რომაელთათვის ასეთი სამარცხვინო შედეგი მოჰყვა. რომიდან ეს ახალი ბრძანება ჩამოიტანა ავლუს გაბინიუსმა, რომელსაც აგრეთვე ევალებოდა, შეერიგები-

ნა მითრიდატე და არიობარზანი. ამ შერიგების პირობების მიხედვით, „მითრიდატემ თავისი ოთხი წლის ქალი დაწინდა არიობარზანთან და ამ საბაბით დათანხმდნენ, რომ მის გამგებლობაში დარჩებოდა კაპადოკიის ის ნაწილი, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა, და ამას გარდა ამ ქვეყნის სხვა ნაწილებიც მიითვისა".

მითრიდატეს ამ გამარჯვების საფუძველზე მეტი პრეტენზიების წამოყენებაც შეეძლო, მაგრამ ამაში მას ხელს უშლიდა კოლხეთში და ბოსფორში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი მდგომარეობა. ეს ჩანს იქედან, რომ მურენასთან ომის შეწყვეტისთანავე მითრიდატე მიუბრუნდა „ქვეყნებს ფასისისა (ე. ი. რიონის) და კავკასიონის გარშემო", „კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ აქეელებსა" და ხელი მიჰყო ბოსფორის ხელახლად დამორჩილებას.

ამგვარად, მითრიდატეს მეორე ომს რომაელებისათვის ზიანისა, მითრიდატეს ძლიერებისა და ავტორიტეტის გაზრდის მეტი შედეგად არაფერი მოუტანია. ამ ომმა დაამტკიცა, რომ პონტოს მეფის ძლიერების მახვილი ჯერ კიდევ არ დაჩლუნგებულიყო.

მითრიდატეს მესამე ომი

„პომპეიუსი კი ნამდვილი ნაგავია. მან დაუმსახურებლად გაითქვა სახელი იმის გამო, რომ მიითვისა ლუკულუსის წარმატებები..."

მ ა რ ძ ს ი

რომსა და პონტოს შორის აღმოსავლეთში ბატონობისათვის გამართული მრისხანე დუელი დროებით შეწყდა. ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. მოწინააღმდეგენი ჯერჯერობით შინაური საქმეების მოწესრიგებასა და ომში მიღებული ჭრილობების მოშუშებას შეუდგნენ, რათა უკანასკნელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ყოველნაირად მომზადებული ჩაბმულიყვნენ. თან ერთიმეორეს ფხიზლად უთვალთვალებდნენ, რომ საამისო ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაეშვათ.

მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის განახლებამდე 7 — 8 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც რომში, ისე პონტოში ბევრი რამ საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ამ მოვლენებმა განაპირობეს მეომარ მხარეთა შორის ახალი ომის წამოწყება, მისი შინაარსი და ხანგრძლივობა.

როგორც ვნახეთ, პონტოს ვრცელი მონარქიის რყევის დაწყების სიმპტომები მითრიდატეს პირველ — მეორე ომების პერიოდში აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებშიც გამოჩნდა. უეჭველია, როგორც მცირე აზიაში, ასევე კოლხეთსა და ბოსფორშიც მითრიდატეს საწინააღმდეგო მოძრაობის სულისჩამდგმელები შაღალი სოციალური ფენების წარმომადგენლები იყვნენ, რადგან ისინი საერთოდ ყველგან მტრულად ხვდებოდნენ აზიაში დაწყებულ მძლავრ სოციალურ მოძრაობას, რომელსაც პონტოს მეფე ოსტატურად იყენებდა პირადი ზრახვების განხორციელებისათვის.

ჩვენ მოვიხსენიეთ, როგორ აქტივობდნენ მითრიდატეს ფიზიკურად განადგურებისათვის თვითონ მის გვერდით მჯდომი თანამესუფრე აზიელი დიდებულები და ამის გამო მუდამ ფხიზლად მყოფი შეფე უწყალოდ ხოცავდა სასახლეში შავი კოშმარის შემქმნელ შეთქმულებს. ასეთივე შეთქმულების ხუნი ასდიოდა კოლხეთში პონტოელი უფლისწულის გამეფებას, რისთვისაც ამ უკანასკნელმა შამისაგან ჯილდოდ ოქროს გვირგვინის ნაცვლად ოქროს ბორკილი შიიღო და მალე სიკვდილის მსხვერპლიც გახდა.

ისიც აღვნიშნეთ, რომ მურენასთან ომის დამთავრების შემდეგ მითრიდატემ ხელახლად დაიმორჩილა კოლხეთი და მისი ჩრდილოეთი ქვეყნები. ხელახლად დაპყრობილ ბოსფორის სამეფოში მითრიდატემ მეფედ დასვა ერთ-ერთი თავისი შვილი, რომელსაც სახელად მახარე ერქვა.

ქვეყნის შიგნით შერყეული პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გასამტკიცებლად, მითრიდატეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროებოდა, ხოლო მურენას ავანტიურამ და მასზე სენატის თანხმობის მიცემამ ის დაარწმუნა, რომ რომაელთა მხრიდან დარდანის სიტყვიერი ზავის დარღვევა ყოველთვის მოსალოდნელი იყო. ამიტომ 79 წ. (ძვ. წ.) ევპატორმა ზავის წერილობით გასაფორმებლად ელჩები გაგზავნა რომში, სულასთან, რომელიც ამ დროს სისხლში გასვრილი დიქტატორული ძალაუფლებით თავზარსა სცემდა თავის მოწინააღმდეგეებს.

მაგრამ ამავე დროს, მრისხანე დიქტატორთან არიობარზანის ელჩებიც გამოცხადდნენ. ისინი ჩიოდნენ, რომ მითრიდატემ არიობარზანს არ დაუბრუნა კაპადოკიის ჩრდილოეთი ნაწილები. ამ მიზეზით სულამ პონტოს მეფეს უარი შეუთვალა დარდანის ზავის წერილობით გაფორმებაზე. თან პონტოელ ელჩს უბრძანა, გადაეცა მეფისათვის, დაუყოვნებლივ გაეწმინდა მას კაპადოკია.

მითრიდატემ შეასრულა ეს მოთხოვნაც და მომავალ წელს (78 ძვ. წ.) ისევ გაგზავნა ელჩები რომში ზავის რატიფიკაციისათვის. მაგრამ დარდანის ზავს განხორციელება არ ეწერა. ელჩები იმ დროს ჩავიდნენ რომში, როცა სულა უკვე ამ ქვეყნად აღარ იყო და იტალიაში ე. წ. ლეპიდეს აჯანყება მძვინვარებდა, ხოლო ესპანეთიდან ძლიერი შეტევისათვის ემზადებოდა რომიდან დევნილი ბობოქარი სერტორიუსი. მითრიდატეს ელჩებს ყურიც არავინ ათხოვა.

ევპატორი დარწმუნდა, ომი გარდაუვალი ხდებოდა. საჭირო აღარ იყო ახალი დელეგაციის გაგზავნა და პასუხისათვის ლოდინი. საჭირო იყო მხოლოდ ომისათვის სამზადისი და მისი დაწყებისათვის ხელსაყრელი დროის შერჩევა.

აზიაში რომაელთა წინააღმდეგ ახალი აჯანყების დაწყებისათვის ნიადაგი მზად იყო. სულას ლაშქრობისა და მის მიერ მოწყობილი რბევა-გაჩანაგების ნიადაგზე მოსახლეობა საშინელ სიღატაკეში ჩავარდა. მის მიერ გაცემულმა ბრძანებამ, რომ მოსახლეობას დაუყოვნებლივ გადაეხადა ხუთი წლის ვალი, როცა ხალხს ერთი დღისაც უჭირდა, — მძიმე სამხედრო კონტრიბუციამ და ათიათასობით აზიელთა მონებად გარეკვამ საშინლად დასცა ხალხის ეკონომიური შესაძლებლობა და გააპარტახა მეურნეობა. რომში აღმოსავლური კულტურითა და ბრწყინვალებით ცხოვრება მოდად იყო გადაქცეული და ასეთი ცხოვრების უზრუნველსაყოფად რომაელები აზიიდან მიერეკებოდნენ ყოველგვარი განათლებისა, პროფესიისა და შესაძლებლობის ხალხს, დახელოვნებულ მიწათმოქმედთ, მოქანდაკეებს, პარფიუმერებს, მხატვრებს, მჭედლებს, ზარაფებს, მუსიკოსებს, ინჟინრებს, ხუროთმოძღვრებს, მწიგნობრებს, ფილოსოფოსებს, გრამატიკოსებს, პოეტებს, ექიმებს და ყველას აქცევდნენ მონებად, სწავლობდნენ მათგან ყველაფერს და ამავე დროს ბატონობდნენ მათზე, როგორც „მოლაპარაკე იარაღებზე“.

აზიაში მოკალათებული მდიდარი ფინანსისტები, შემსყიდველები, მევახშეები, ვალში ჰყიდდნენ, იტაცებდნენ და იტალიის ბაზრებზე ვაჭრობის საგნებად აქცევდნენ აღმოსავლეთის თავისუფალ მოსახლეობას. რომაელთა მიერ აზიაში წარმოებული აღვირახსნილი მოქმედების ნათელსაყოფად საინტერესოა თვით რომაელთა სასარგებლოდ განწყობილი პლუტარქეს ცნობა; ის წერს: „...პროვინცია დიდი ხნის ნაკლებობისაგან დაუჯერებელ და გამოუთქმელ სიღატაკეში იყო ჩავარდნილი. ხარკის ამკრებნი და გადამყიდველები აზიის მცხოვრებთ ძარცვავდნენ და მონებად აქცევდნენ. კერძოდ, ისინი იძულებული იყვნენ გაეყიდათ თავიანთი ლამაზი ვაჟები და ქალე-

ბი, ხოლო საზოგადო საჩუქრებად ტაძრების შესაწირავები, თავიანთი ღმერთების სურათები და წმინდა წამოსასხამები. წამება, რომელიც წინ უსწრებდა მონობას, მონობაზე საშინელი იყო. ხმარებაში იყო წკეპლებით ცემა, ჯურღმულებში ჩაკეტვა, სიცხე-პაპანაქების დროს მზის პირისპირ დაყენება, სიცივეში ტალახში დაფლობა ან წყალში ჩაყენება; ასე, რომ მონობა ბევრისათვის უფრო ადვილი, შემსუბუქება და სიმშვიდე იყო....“

რომაული ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავი აზიის მოსახლეობა მუდამ მზად იყო გაჰყოლოდა თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველას, ვინც კი ასეთი ლოზუნგით აღმართავდა საბრძოლო დროშას. ასეთ ბელადად კვლავ მითრიდატე ევპატორი რჩებოდა...

პონტოს მეფე შეუდგა საომარ სამზადისს. მას რომაელებთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა მიღებული. ის დარწმუნდა, რომ მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული არმია უფრო ძლიერია, ვიდრე მრავალრიცხოვანი, მაგრამ უდისციპლინო და საერთოდ ბრძოლისუნარმოკლებული არმიები. მას კარგად ახსოვდა, მისი უზარმაზარი ჯერელი არმიები ხშირად მარცხდებოდნენ შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ მონოლითურად შეკრული და ბრძოლებში გამობრძმედილი, ორგანიზებული რომაული ლეგიონების წინაშე. ამიტომ მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სწორედ არმიის ბრძოლისუნარიანობისა და გაწვრთნის საქმეს. მან შეკრიბა არმია, რომელიც შესდგებოდა 120.000 ქვეითისაგან და 16.000 ცხენოსნისაგან. არმიას აძლიერებდა 100 თუ 120 ცელებიანი, ოთხცხენიანი ეტლები. ჯარის ნაწილებს ის რომაულ ყაიდაზე აწყობდა და წვრთნიდა, რაშიაც მას იტალიელი ემიგრანტები ეხმარებოდნენ. მისი ბრძანებით სამჭედლოებში დღე და ღამე შეუსვენებლივ იჭედებოდა რომაული ყალიბის საომარი საჭურველი, მახვილები. მძიმე და მტკიცე ფარები. მან აკრძალა ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოჭედილი იარაღის ტარება. ამის უფლება დაუტოვა მხოლოდ წარჩინებულ და თავდადებულ მეომრებს. ამით მას სურდა მებრძოლთა ყურადღება გაემახვილებინა არა გარეგნული ბრწყინვალებისადმი, რასაც ბრძოლაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა გარდა მტრის გახელებისა (განსაკუთრებით რომაელებთან ბრძოლაში, რომლებიც გამდიდრებისადმი ხარბი მადით გამოირჩეოდნენ). — არამედ შეიარაღებულიყვნენ სადა, მაგრამ მტკიცე და ბრძოლაში საიმედო საჭურველით. ყველამ იცოდა, უბრალო მეომრის ტანსაცმელსა და იარაღში ჩამჯდარმა ალექსანდ-

რე მაკედონელმა თავის ბერძენ-მაკედონელთა საუკეთესოდ გაწვრთნილი ფალანგებით, რომლებიც აგრეთვე შეჭურვილნი იყვნენ უბრალო, მაგრამ მტკიცე და მჭრელი იარაღით, როგორ დაამარცხა და გაჰფანტა სპარსეთის მეფის დარიოს III-ის უზარმაზარი არმია, რომლის შეიარაღება, ოქროთი და სხვა კეთილშობილი ქვებით მოოქვილი შეჭურვილობა აზიის მცხუნვარე მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა...

ამავე დროს, მითრიდატე შეუდგა ძლიერი საზღვაო ფლოტის აგებას. მან აკრძალა ხომალდებზე მოოქროვილი სადგომებისა, მხევალთა აბანოებისა და ქალთა მდიდრულად მორთული კაიუტების მოწყობა. ამის ნაცვლად, საამისოდ გამოყოფილი თანხები უნდა დახარჯულიყო გემების შეიარაღებაზე და საერთოდ ფლოტის ბრძოლისუნარიანობის გაზრდაზე. ბრძოლის წინ მეფეს მზად ჰყავდა 400 დიდი სამხედრო გემი და მრავალი პატარა ხომალდი.

თან მითრიდატემ ბრძოლისათვის ორი მილიონი მედიმნი პური მოიმარაგა.

ამასთანავე, მითრიდატე პონტოელი რომის ხელისუფლების წინააღმდეგ მოკავშირეს ეძებდა თვითონ რომაელთა შორის. ასეთ მოკავშირედ მას გამოუჩნდა ქვინტუს სერტორიუსი, რომელიც ჯერ კიდევ 82 წელს (ძვ. წ.) გაემართა რომის დამორჩილებულ პროვინცია ესპანეთში და ამის შემდეგ იტალიაში აღარასოდეს დაბრუნებულა.

სერტორიუსი ესპანეთში სათავეში ჩაუდგა კორნელიუს სულას რეჟიმით უკმაყოფილო დევნილ ემიგრანტებს, მარიუსელებსა და საერთოდ სახალხო პარტიის წარმომადგენლებს; ყველა, ვისაც რომში სიკვდილი ელოდა, ესპანეთში გარბოდა. სერტორიუსის ბანაკი თავშესაფარი იყო ყველასათვის, ვინც მზად იყო ებრძოლა სულასა და საერთოდ რომაული არისტოკრატიულ-ოლიგარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ. სერტორიუსმა გააერთიანა რომაელთა ძალმომრეობით უკმაყოფილო მამაცი ესპანელი ტომები, შექმნა ძლიერი არმია და შეუდგა რომის წინააღმდეგ ბრძოლას. 77 — 74 წლები (ძვ. წ.) სერტორიუსის ძლიერების მწვერვალი იყო. იგი უკვე რომისაგან დამოუკიდებლად მართავდა მთელს ესპანეთს და ზედიზედ სასტიკად ამარცხებდა რომაელთა ყველა არმიას, რომელიც კი ალპებს იქეთა მხარეში გამოჩნდებოდა. მასთან ბრძოლაში უძლური შეიქნენ გამოცდილი მხცოვანი სარდალი მეტელუსი და ახლად დაწინაურებული გნეუს პომპეიუსიც, რომელიც 76 წ. (ძვ. წ.) ძლიერი არმიით გაეშურა სერტორიუსის წინააღმდეგ. სერტორიუსმა რამდენჯერმე კვლავ შესძლო გამარჯვება და მდ. სუკრონთან ცხარე

ბრძოლაშიც დაჭრილი პომპეიუსი კინაღამ ტყვედ ჩაიგდო. პომპეიუსი სრულიად შემთხვევით გადარჩა ტყვეობას. როცა ის დაჭრილი ძირს ჩამოვარდა და სისხლისაგან დაცლილმა მახლობელ ტყეს მიაშურა, სერტორიუსის ორმა მეომარმა, რომელთაც შეეძლოთ მისი დაჭერა, თავი მიანებეს მას და ეტაკნენ ოქროს აღვირითა და უნაგირ-მოსართავებით შეკაზმულ მის ცხენს. ვერც მეტელუსისა და პომპეიუსის გაერთიანებულმა ჯარებმა შესძლეს სერტორიუსის დამარცხება. ომი ჭიანურდებოდა და პომპეიუსის არმიაც თანდათან დნებოდა; სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო საჭურველი ილეოდა. პომპეიუსი სენატს სწერდა: „თუ თქვენ არ მომეშველებით, მაშინ ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ ჩემგან გაფრთხილების შემდეგ, ჯარი და მასთან ერთად ესპანეთის მთელი ომიც გადმოიჭრება იტალიაშიო“.

მაგრამ სერტორიუსი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა იტალიაში შეჭრას და რომზე იერიშის მიტანას. ის ფიქრობდა, უმჯობესია რომის ძლიერება ჯერ კიდევ ცალკეული ბრძოლებით დასუსტდეს, დაეცეს და შემდეგ ადვილად დავიმორჩილებო. ასე, ერთჯერ, როცა მისმა მეომრებმა სული შეუწუხეს, მაინცა და მაინც დავიძრათ რომის წინააღმდეგო, მან მოაყვანინა ორი ცხენი, ერთი ძალიან მძლავრი და ჯანღონიანი, მეორე — გამხდარი, გაძვალტყავებული და ფეხზე ძლივს მდგარი. შემდეგ გამოუძახა ორ მეომარს, ერთს ფიზიკურად მძლავრსა და გოლიათური აღნაგობისას, მეორეს — სუსტსა და უძლურს. პირველი დაუყენა სუსტ ცხენს, მეორე — ძლიერს და უბრძანა მათ დაეგლიჯათ კუდები მათზე გაპიროვნებული ცხენებისათვის. ძალღონით საცსე მეომარმა კუდში ჩაავლო ხელი თავის ძვალტყავა ცხენს და მთელის ძალით დაიქნია, მაგრამ კუდი მაინც ვერ მოგლიჯა; მაშინ მეორემ, სუსტმა ლილიპუტმა აუჩქარებლად დაუწყო თავის მერანს ღერ-ღერად ძუის გლეჯა; მცირე ხნის შემდეგ ცხენს კუდი აღარ ჰქონდა. მაშინ სერტორიუსმა შესძახა თავის მეომრებს, რომ რომის დამარცხება ასე შეიძლება, ხანგრძლივი, დაკვირვებული, ცალკეული ბრძოლებით და არა ერთი მოუფიქრებელი დარტყმითო.

მამაცი სერტორიუსის მქუხარე სახელმა შორეული სინოპის სასახლის კარამდეც მიაღწია. მითრიდატეს ირგვლივ მყოფთ კარგად იცოდნენ მეფის სურვილი: ჰყოლოდა მას ძლიერი მოკავშირე. სენატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი მეფეს მოახსენებდნენ, რომ სერტორიუსი ეს — ჰანიბალია, ხოლო მითრიდატე — პიროსი და, თუ გენიალური სარდალი და მეფეთა შორის უძლიერესი შეკავშირდებიან, რომაელები იძულებული იქნებიან ბრძოლა აწარმოონ ორ

ფრონტზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე, და რომის მბრძანებლობას სამუდამოდ ბოლო მოეღება.

ამ დროს მითრიდატეს სასახლის კარზე იმყოფებოდნენ ცნობილი რომაელი მოქალაქენი, ლუციუს მაგიუსი და ლუციუს ფანიუსი, რომლებიც პონტოს მეფეს ეხმარებოდნენ რომის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი არწმუნებდნენ მითრიდატეს. შეეკრა მას სერტორიუსთან კავშირი, რაც ორივესათვის ხელსაყრელი იქნებოდა.

მართლაც, მითრიდატემ 73 წელს (ძვ. წ.) გაგზავნა ელჩები სერტორიუსთან წერილებითა და სიტყვიერი დავალებებით. პონტოს მეფე მას ხელშეკრულების შემდეგ პირობებს სთავაზობდა: ის გაუგზავნიდა ფულსა და ფლოტს, რაც განსაკუთრებით ესაჭიროებოდა სერტორიუსს, ხოლო სამაგიეროდ ამ უკანასკნელს უნდა ეცნო დარდანის სიტყვიერი ზავის იგნორირება, ე. ი. მითრიდატე უნდა ეცნო მთელი აზიის მფლობელად.

სიამაყით აღვსილმა სერტორიუსმა შეკრიბა საბჭო, თავისი სენატი, რომელიც მან კიდევ ადრე ჩამოაყალიბა, და გამართა ბჭობა მითრიდატეს მიერ წამოყენებულ პირობათა თაობაზე. ყველამ სიხარულით მიიღო პონტოელის წინადადება, მაგრამ სერტორიუსი არ დათანხმდა უცვლელად მიეღო ეს პირობები. „მან უპასუხა, რომ იგი თანახმაა ნება მისცეს მითრიდატეს დაეუფლოს მხოლოდ ბითინიასა და კაპადოკიას, რომელთა მოსახლეობაც მუდამ ემორჩილებოდა მეფეებს და არასოდეს ყოფილა რომაელების ქვეშევრდომი“, მაგრამ მითრიდატემ არ უნდა დაიპყრას ყოფილი პერგამოსის სამეფო, რომელიც, მისი აზრით, რომის კანონიერ სამფლობელოდ ითვლებოდა.

მალე მოკავშირეებმა ფიცი დასდეს ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე: მითრიდატეს სერტორიუსისათვის ესპანეთში უნდა გაეგზავნა ფული 3.000 ტალანტის რაოდენობით და 40 ხომალდისაგან შედგენილი საზღვაო ფლოტი; სერტორიუსი თანხმდებოდა, მითრიდატე დაუფლებოდა ბითინიასა და კაპადოკიას; ამავე დროს, მას მითრიდატესათვის აზიაში უნდა გაეგზავნა ჯარი სარდლითურთ.

ელჩები ესპანეთიდან სამ თვეში დაბრუნდნენ, გაცილებით ადრე, ვიდრე ამას მითრიდატე მოელოდა. ხელშეკრულება სულ მალე ქმედითი გახდა. სერტორიუსმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა თავის მოკავშირეს დაპირებული ჯარი, მასთან გაქცეული სენატორის, მარკუს მარიუსის სარდლობით. მითრიდატემაც შეასრულა თავისი ვალდებულება...

ასე ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძლიერმა მბრძანებლებმა და შეუდგნენ რომის ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი შეტევისათვის სამზადისს.

მითრიდატე ახლა ნაკლებად შიშობდა, რომ მის წინააღმდეგ რომიდან რომელიმე ძლიერი სარდალი დაიძვრებოდა. სულა უკვე დიდი ხანი იყო, რაც რომში მარსის მოედანზე განისვენებდა; რომაელთაგან უპირველესი სარდალი მისი მოკავშირე და მეგობარი იყო; პომპეიუსი თვით სერტორიუსის წინააღმდეგ აწარმოებდა უიღბლო ომებს და აღმოსავლეთისათვის არა სცალოდა; ასევე, ერთ დროს სახელგანთქმული, ამჟამად ღრმად მოხუცი მეტელუსი ესპანეთში ამაოდ დასდევდა ფეხმარდ სერტორიუსს და მის უძლურებას და ბავშვურ კაპრიზებს მისივე მეომრები სიცილს აყრიდნენ. ნაკლებად ფიქრობდა მითრიდატე სულას ფლოტის უფროსზე, ლუკულუსზე, რომელიც თავისი სახელითა და ავტორიტეტით ყველა ჩამოთვლილ სარდალთაგან ჯერჯერობით გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგა...

არც რომაელები თვლიდნენ მითრიდატესთან ანგარიშსწორებას დამთავრებულად. ამ მხრივ დამახასიათებელია პლუტარქეს ცნობა, რომ რომში „ბევრს სურდა განეახლებინათ ომი მითრიდატესთან; თვით მარკუსი (კონსული მარკუს ავრელიუს კოტა, ლ. ს.) ამბობდა, რომ ეს ომი არ შეწყვეტილა, არამედ მიძინებულიაო". იქვე პლუტარქე მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ სახელმწიფო მოღვაწენი მცირე აზიის სამხრეთით მდებარე პროვინციაში, კილიკიაში მმართველობის, პრეტურის მიღებას და მათ შორის ჩვენთვის ცნობილი ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსიც. ლუკულუსი არაფრად აგდებდა კილიკიას, მაგრამ მას იმედი ჰქონდა. კილიკიის მიღების შემდეგ რომი მას დაავალებდა მითრიდატეს წინააღმდეგ მთავარსარდლობას. ამიტომ ლუკულუსიც, სხვა რომაელ წარჩინებულთა მსგავსად, ყოველგვარ ბინძურ და უპატიოსნო ყალთაბანდობასაც კი მიმართავდა, მხოლოდ კილიკია მიეღო სამმართველოდ.

მაშ ასე, რომში ყველა გრძნობდა და ფიქრობდა, რომ მითრიდატეს წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა უნდა დაწყებულიყო. საკმარისი იყო მხოლოდ ომის საბაბის გამონახვა. მალე ამის შემთხვევაც გამოჩნდა.

74 წელს (ძვ. წ.) გარდაიცვალა ბითინიის სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, პონტოს მეფის მოსისხლე მტერი და რომის ყურმოჭრილი ყმა, ნიკომედე III ფილოპატორი, რომელმაც თავისი სამეფო სიკვდილის წინ რომს უანდერძა. აქამდეც ბითინია

ფაქტიურად რომაელი ვაჭარ-მევახშეების სარბიელს წარმოადგენდა; რომაელი ხარკისმკრეფელები და შემსყიდველები როგორც საჭმლის დამტაცებელი ჰარპიები* ისე ძარცვავდნენ ქვეყანას. თვით ნიკომედე III-ც ისე მოკვდა, რომ რომაელ ფინანსისტთა დავალიანებიდან თავი ვერ დაიხსნა. ახლა საჭირო იყო მხოლოდ რომის სამფლობელოებში ბითინიის ჩარიცხვის ოფიციალური გაფორმება. საამისოდ სწორედ ზედ მისწრება იყო ნიკომედე III-ის ანდერძი. მართალია, სენატი საგარეო პოლიტიკაში საერთოდ აქტივობას ვერ იჩენდა, რის გამოც ცოტა ხნით ადრე რომმა ეგვიპტეც კი დაჰკარგა, მაგრამ ახლა, როცა ბითინიის შემოერთების საკითხი დაისვა, სენატი იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია ძლიერი ფულადი არისტოკრატიის დაჟინებითი მოთხოვნისათვის, და ბითინია რომის სამფლობელოდ გამოცხადდა.

როგორ უნდა შეხვედროდა ამ ამბავის მითრიდატე პონტოელი? ბითინია თავისი ნოყიერი მიწებით, მდიდარი საბადოებით, თევზით მდიდარი ზღვის სანაპიროებითა და ტბებით, დიდებული ქალაქებითა და მოხერხებული ნავსადგურებით მის მოსისხლე მტრებს ეპყრათ ხელში. რომის სახელმწიფო უშუალოდ პონტოს მოსაზღვრე შეიქნა. რომს ახლა უკვე ხელთ ეპყრა შავი და ხმელთაშუა ზღვების შემაკავშირებელი მაგისტრალები, სრუტეები. ამით ის ხელთ იპყრობდა პონტოსა და ყირიმის ბოსფორის მდიდარ ქალაქთა ეკონომიკის სასიცოცხლო არტერიებს; ყოველთვის შეეძლო შეექმნა მათთვის გამაკოტრებელი და დამღუპველი სავაჭრო კრიზისი.

მაშასადამე, ბითინია, პონტოსა და რომს შორის ომის დაწყების მიზეზადაც და საბაბადაც კმაროდა.

ზემოთ ვნახეთ, რომში გადაწყვეტილი ჰქონდათ მითრიდატესთან ომის განახლება და ვისაც კი თავისი თავი სარდლად მოჰქონდა, ყველა ცდილობდა სამმართველოდ მიეღო აზიური სამფლობელოები. ვინც ამას მიაღწევდა, ის იქნებოდა სარდალი მითრიდატეს წინააღმდეგ ომში. ასეთი ბედი წილად ხვდათ 74 წელს (ძვ. წ.) კონსულებად არჩეულ ლუციუს ლიციინიუს ლეკულუსს და მარკუს ავრელიუს კოტას. როგორც ითქვა, პომპეიუსი და მეტელუსი ესპანეთში იბრძოდნენ და რომში კი ამ ორ კანდიდატურას მეტოქეობას ვერავინ უწევდა.

74 წლის ზაფხულში კონსულები გაეშურნენ აღმოსავლეთისაკენ.

* ჰარპიები—ბერძნული მითოლოგიით, ფრთოსანი ურჩხულები. არგონავლელთა თქმულებაში გადმოცემულია, რომ ჰარპიები საჭმელს სტაცებდნენ და სტანჯავდნენ ლეგენდარულ თრაკიელ წინასწარმეტყველ ფინეასს. შემდეგ არგონავლელებმა გარეკეს ისინი და გადაარჩინეს ფინეასი.

ავრელიუს კოტა სახმელეთო ჯარების ერთი ნაწილითა და ძლიერი ფლოტით გაჩნდა ბითინიაში. მას ევალებოდა ახლად შემოერთებული ქვეყნის შემომტკიცება და სრუტეების ჩაკეტვა.

მითრიდატეს წინააღმდეგ გენერალური შეტევების წარმოება დავალებული ჰქონდა მეორე კონსულს ლუკულუსს, რომელსაც აზიაში დატოვებულ ფიმბრიასეულ ორ ლეგიონთან ერთად სულ ჰყავდა 30.000 ქვეითი და 2.500 ცხენოსანი. ლუკულუსის მთავარი შეტევა უნდა წარმართულიყო ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დიდი ფრიგიისა და კაპადოკიის გავლით, პონტოს წინააღმდეგ.

ლუკულუსმა, უპირველესად ყოვლისა, ხელი მოჰკიდა არმიაში წესრიგისა და მკაცრი დისციპლინის დამყარებას. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფიმბრიასეულ ლეგიონებს, რომლებიც ჯერ კიდევ ადრიდანვე, აზიაში გადმოსვლის დღიდან, თვითნებობდნენ და მიჩვეული იყვნენ, არ დამორჩილებოდნენ მთავარსარდლის ნებასურვილებს. მათ თავიანთი ინიციატივით სარდლების ცვლისა და ნებისმიერი გადაყენების ცნობილი ტრადიციაც ჰქონდათ (მოვიგონოთ ვალერიუს ფლაკუსისა და ფიმბრიას ბედი) და, როგორც ეტყობოდა, ქედის მოხრას არც ახალი სარდლის წინაშე აპირებდნენ. ამას გარდა, ლეგიონერებში გავრცელებული იყო მექრთამეობა, ავაზაკობა და მორალური ზნედაცემულობა. ამავე დროს, ისინი გამოცდილი, ბრძოლებში დახელოვნებული და გამოწრთობილი მეომრები იყვნენ.

ლუკულუსმა უდისციპლინოებისათვის მკაცრი სასჯელები დააწესა; მოკლე ხანში აგრძნობინა მათ თავისი ენერგია და სიმკაცრე ყოველგვარი დარღვევისა და ანარქიის წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა „მაშინ პირველად გაიგეს, რომ არსებობს ჭეშმარიტი უფროსი და სარდალი, რადგანაც აქამდე ისინი მიჩვეულები იყვნენ მოფერებასა და ისეთ სამსახურს, როგორიც მათ მოესურვებოდათ“.

ლუკულუსმა ხელი მოჰკიდა კიდევ მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, რამაც მალე დიდი როლი ითამაშა მის საომარ წარმატებათა საქმეში. ლუკულუსი კონსერვატორი სულას გაზრდილი იყო და, როგორც უკიდურეს ოპტიმატს, ზედმიწევნით სძულდა ფულით დაწინაურებული მხედრები, ვაჭრები, მევახშეები და მისთანანი. ამავე დროს ლუკულუსმა კარგად იცოდა, როგორ ყვლეფდნენ ისინი აზიის მოსახლეობას. რომში ყოფნისას ის ხედავდა, ქალაქის სიმდიდრის ნახევარზე მეტი აზიაში ნაძარცვისა-

გან შესდგებოდა. აქედან გამომდინარე, მან კარგად შეიგნო, რომ აზიის მოსახლეობას რომაელის სახსენებელიც კი საშინლად სძულდა; ეს სიძულვილი კი ხშირად საზარელ შურისგებადაც იქცეოდა (მაგ., ეფესოს ედიქტი). ამიტომ ლუკულუსმა სცადა აელაგმა რომაელი ფინანსისტების თავგასულობა აზიაში და ამით გაშმაგებული ადგილობრივი მოსახლეობის გული როგორმე მოეგო. ამით ის განხეთქილებას შეიტანდა იმ კავშირსა და ურთიერთგაგებაში, რაც პონტოს მეფესა და აზიის მოსახლეობას შორის არსებობდა. პლუტარქესთან ჩვენ ვპოულობთ ცნობებს, თუ რა ღონისძიებების გატარებას შეუდგა ლუკულუსი რომაელი ხარკის ამკრეფელების, შემსყიდველებისა და მევახშეების შესაზღუდავად: „ეს მძარცველები, როგორც საკმლის დამტაცებელი ჰარპიები, სრულიად განდევნა ლუკულუსმა აზიიდან, თანაც თავისი დარიგებებით ცდილობდა დაცული ყოფილიყო ზომიერება“. ამ ღონისძიებებს ლუკულუსისათვის ორი სრულიად საწინააღმდეგო შედეგი უნდა მოეტანა: ერთი, ეს იქნებოდა ხელსაყრელი მისი სამხედრო წარმატებისათვის აზიაში (თუ მისი პარტია ოპტიმატებისა ძალაუფლებას შეინარჩუნებდა რომში). და, მეორე — უარყოფითი იმ მხრივ, რომ რომში მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას დაიწყებდა ფულადი არისტოკრატია. თუ როგორ წარიმართა ლუკულუსის აღნიშნული ღონისძიებანი და როგორი შედეგები მოჰყვა მას, როგორც ერთის ისე მეორის მხრიდან, ამას ნათლად დავინახავთ ქვემოთ; ახლა კი მივუბრუნდეთ მითრიდატე პონტოელს.

მითრიდატემ ჯერ თავისი საზღვაო ფლოტის დათვალიერება და გამოცდა მოაწყო; შემდეგ ზღვის ღმერთის, პოსეიდონის სადიდებლად ზღვაში ჩაუშვა წყვილი თეთრი ცხენი და გაეშურა სახმელეთო არმიისაკენ, რომელიც პაფლაგონიაში იყო დაბანაკებული ტაქსილესა და ჰერმოკრატეს მეთაურობით. მეფემ სიტყვით მიმართა თავის ჯარებს. მოაგონა მათ რომაელთა სიხარბე, გაუმაძღრობა, სხვა ხალხთადმი სიძულვილი, ვერაგობა, უსამართლობა და ყოველგვარი ნაკლი, რაც კი მათ გააჩნდათ. აღაგზნო ისინი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ენინთ და დაიძრა ბითინიის მიმართულებით.

პონტოელებმა გაიარეს პაფლაგონია და გალატია და მეცხრე დღეს შეიჭრნენ ბითინიაში. „ქალაქები მას სიამოვნებით ღებულობდნენ, რადგანაც არა მარტო ბითინია, არამედ მთელი აზია ძველთაგანვე ჩავარდნილი იყო წამებაში და განიცდიდა აუტანელ სიმძიმეთ რომაელ შემსყიდველებისა და ხარკის ამკრეფელებისაგან“.

მითრიდატე სწრაფად უახლოვდებოდა ქალკედონს, სადაც მთელი თავისი ძალებით გამაგრებული იყო ავრელიუს კოტა. ზღვიდან სრუტეებს უახლოვდებოდა პონტოელთა ფლოტი, რომელსაც არისტონიკე მეთაურობდა.

კოტამ გადასწყვიტა არ დაეცადა ლუკულუსის შეტევაზე გადასვლისათვის. რადგან შიშობდა, მითრიდატეზე გამარჯვებისათვის (რაშიდაც მას ეპვი სრულიად არ ეპარებოდა) ტრიუმფში ლუკულუსი დამიდებს წილსო. ამიტომ, გამარჯვებაში სრულიად დარწმუნებულმა, ქალკედონთან საბრძოლოდ განალაგა სახმელეთო ჯარები, ხოლო ფლოტის უფროსს, პუბლიუს რუტილიუს ნუდას უბრძანა, მოემზადებინა გემები მოახლოებული არისტონიკეს ფლოტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრძოლა როგორც ხმელეთზე ისევე ზღვაზე ერთსა და იმავე დღეს მოხდა. კოტამ ვეღარ გაუძლო პონტოელთა ძლიერ შეტევებს, რომელსაც თვით მამაცი მეფე უდგა სათავეში და სასწრაფოდ ღაიწყო უკან დახევა. ამასობაში ნუდამ თავისი მეზღვაურების ნაწილი ქალკედონთან ახლოს გადმოსხა და სცადა ხელსაყრელი პოზიციების დაპერა და კოტას ზურგის გამაგრება. მაგრამ მითრიდატემ კიდევ უფრო გააძლიერა იერიშები; განსაკუთრებით ძლიერ უტევდნენ მეფის ცხენოსანი მეომრები. კოტა სასტიკად დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაქცეულმა თავის გადარჩენის მიზნით ძლივს შეასწრო ქალკედონის კარებში. ქალაქის კარები მან სასწრაფოდ ჩაჰკეტა და შიგნიდან დასჭყიოდა გარეთ დარჩენილ თავის მებრძოლებს, რომ თავგანწირვით ებრძოლათ სამშობლოსათვის. მისი ლეგიონერები და ნუდას მეზღვაურები ქალაქის კარიბჭეს მიაწყდნენ, კედლებს და კარებს ეხეთქებოდნენ და შველას ითხოვდნენ. პონტოელ მეომართა ისარი მიზანს არა ცდებოდა და რომაელთა სისხლი უხვად იღვრებოდა. მათი უმრავლესობა მთლიანად გაიჟლიტა. ძლივს გადარჩნენ ნუდა და ზოგიერთი სამხედრო მეთაური, რომელთაც წელში თოკები ჩააბეს და ისე აათრიეს ქალაქის კედლებზე. იმავე დღეს პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ზღვაზედაც. მათ დაამსხვრიეს ნავთსაყუდელის სპილენძის ჯაჭვისაგან აგებული ჯებირი; დასწვეს რომაელთა ოთხი ხომალდი, ხოლო დანარჩენი სამოცი გემი მთელი თავისი ეკიპაჟით თავიანთ გემებზე ბუქსირით გამოიბეს და წაიყვანეს. ამას გარდა, რომაელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 5.000 ლეგიონერი და 8.000 მეზღვაური, ხოლო საზღვაო ეკიპაჟებს გარდა ტყვედ ჩავარდა 4.500 რომაელი. მითრიდატემ სულ 730 კაცი დაჰკარგა.

პონტოელებმა ქალკედონს ალყა შემოარტყეს. კოტა ხსნას მხოლოდ ლუკულუსისაგან მოელოდა.

ლუკულუსი ფრიგიაში იყო, როცა მან თავისი კოლეგის საშინელი მარცხის ამბავი შეიტყო. ლუკულუსის მებრძოლთა სულიერი განწყობა საკმაოდ შეარყია თანამემამულეთა პირველმა საშინელმა მარცხმა. ისინი სასტიკად იყვნენ აღშფოთებული კოტას მიმართ და მის დასჯას მოითხოვდნენ. სარდალმა გამამხნევებელი სიტყვით მიმართა თავის თანამებრძოლებს.

მებრძოლები ურჩევდნენ მას, წაეყვანა ისინი პირდაპირ პონტოს სამეფოსაკენ, სადაც ამ დროს ქვეყნის დასაცავად არ იდგა არც ერთი ძლიერი სამხედრო ნაწილი. ლუკულუსთან იმყოფებოდა მითრიდატეს სარდალი არქელაოსი. ყველაზე უფრო დაჟინებით სწორედ არქელაოსი ურჩევდა ლუკულუსს, დაძრულიყო პირდაპირ პონტოს მიმართულებით და არა კოტას დასახმარებლად.

რომაელმა სარდალმა არქელაოსისა და სხვათა რჩევა ასეთი სიტყვებით უარჰყო: „მე არ უნდა ვიქნე ჩვეულებრივ მონადირეებზე უფრო მშიშარა, რომ გვერდი ავუარო მხეცებს და შევიდე მათს ცარიელ ბუნაგებში“. მან დაუწყო დაშოშმინება მის მისამართით აღშფოთებულ მეომრებს და მათ მოთხოვნას, მდიდარი პონტოს გასაძარცვავად გალაშქრების შესახებ, უპასუხა, რომ მას „ის ურჩევნია, გამოჰგლიჯოს მტერს ერთი რომაელი, ვიდრე დაეუფლოს მთელს მის საგანძურს“.

ლუკულუსის მიერ უშუალოდ პონტოს წინააღმდეგ გალაშქრებაზე ხელის აღებას, რასაკვირველია, მარტო მის რაინდულ პოზიციურობასა და არისტოკრატიულ მამლაყინწობას ვერ მივაწერთ. ლუკულუსი უთუოდ ჭკვიანი და წინდახედული სარდალი ჩანდა. არ შეიძლებოდა, მას ყურადღება არ მიექცია მითრიდატეს, ერთი შეხედვით, ახირებული საქციელისათვის, იმისათვის, რომ მეფემ თვითონ პონტოში არც ერთი არმია არ დატოვა; რომ მან პონტოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე მხოლოდ დიოფანტისა და სერტორიუსის მიერ გამოგზავნილი მარიუსის მცირერიცხოვანი ჯარები განალაგა, ხოლო ყველაზე უფრო მძლავრი და მრავალრიცხოვანი ძალები პონტოდან შორს დასავლეთისაკენ გადაისროლა. ალბათ, ლუკულუსი კარგად მიხვდა მითრიდატეს საომარი გეგმის გეზს: თუკი ის სინოპისაკენ გაილაშქრებდა (საითაც მას წინ გადაეღობებოდა დიოფანტი და მარიუსი) ამასობაში მითრიდატე ადვილად შეესძლებდა კოტას საბოლოოდ დამორჩილებას, ან უკიდურეს შემთხვევაში მის ჩაკეტვას, და ზღვათა სანაპირო ზოლის დაპყრობის-

თანავე მას, მცირე აზიის სიღრმეში შეპრილს, ზურგში მახვილს ჩასცემდა. ის მარწუხებში აღმოჩნდებოდა.

ამიტომ ლუკულუსმა ყური არ ათხოვა თანამებრძოლთა რჩევას და დაიძრა კოტას მისაშველებლად.

ახლა კი მეფეს ყოველგვარი ღონისძიება უნდა ეხმარა, ხელი შეეშალა ჩრდილოეთისაკენ ლუკულუსის წინსვლისათვის და დაეჩქარებინა თავისი გეგმის განხორციელება. ამ მხრივ მის პირველ ღონისძიებას წარმოადგენდა მარკუს მარიუსის გამოსვლა ლუკულუსის განზრახვის ჩასაშლელად.

მარიუსი თავისი ლაშქრით რომაელებს წინ გადაეღობა ფრიგიაში, პატარა დასახლებული პუნქტის, ოტრიას მახლობლად. მოწინააღმდეგენი საბრძოლველად მოემზადნენ და ერთიმეორეს მიუახლოვდნენ, მაგრამ, როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, ბრძოლის დაწყებას ხელი შეუშალა რაღაც ციურმა მოვლენამ: „უეცრად ჰაერი შეინძრა და გამოჩნდა რაღაც ცეცხლოვანი სხეული, რომელიც ეშვებოდა მოწინააღმდეგეთა შუაში. შესახედავად ის ჰგავდა კასრს, ხოლო ფერით გამდნარ ვერცხლს. ამ მოვლენით შეშინებული ორივე მხარე გაიფანტა“. შესაძლებელია, აქ რაიმე მეტეორიტის ჩამოვარდნაზე იყოს ლაპარაკი. მაგრამ მარიუსს მარტო ეს ვერ ააღებინებდა ხელს ბრძოლის დაწყებაზე. ის თავიდანვე უხალისოდ გაეშურა ლუკულუსის წინააღმდეგ. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დროს ესპანეთიდან ცუდი ამბები ჩამოვიდა. სერტორიუსის ბანაკში განხეთქილებამ იჩინა თავი; დღედღეზე მოელოდნენ ძლევამოსილი პომპეიუსის ლეგიონების დაბრუნებას რომში. მითრიდატეს ბანაკში მყოფი რომაელების პირველი ენთუზიაზმი ჩაჰქრა და მათ წინაშე სამშობლოს ღალატისათვის პასუხისგების საშინელი პერსპექტივა აისახა. მარიუსიც ფრიად ჩაფიქრებული და დაბნეული იყო ამ ახალი არასასიამოვნო ამბებით. ამიტომაც ვან მალე აიღო ხელი ლუკულუსთან შებრძოლებაზე; რომაელი სარდალიც არხეინად გაეშურა ქალკედონისაკენ და მტრის მახლობლად შესდგა.

ლუკულუსმა დაჰკითხა მტრის ბანაკიდან გამოქცეულ მოღალატეებს. მათგან შეიტყო, რამდენი ჯარისკაცი ითვლებოდა მითრიდატეს ბანაკში და რამდენი ჰქონდა სურსათ-სანოვაგის მარაგი მოწინააღმდეგეს არმიის გამოსაკვებად. „შემდეგ შეადარა დამზადებული მარაგის რაოდენობა მეჰამელთა რიცხვთან და დაასკვნა, რომ სამოთხ დღეში მოწინააღმდეგეს მარაგი აღარ ექნებოდა. ამის გამო ის კიდევ უფრო მტკიცედ დაადგა აზრს, გაეპიანურებინა ომი, და დაგროვა სურსათის მარაგი თავის ბანაკში, ჰქონდა ის ჭარბად და არ-

ზეინად უცდიდა ხელსაყრელ შემთხვევას, როცა მტერს სურსათი შემოელეოდა". ლუკულუსმა სამართლიანად ჩასთვალა სახიფათოდ მითრიდატეს მრავალრიცხოვან არმიასთან იარაღით შებრძოლება. ამიტომ გადასწყვიტა მან მტრის დამორჩილება შიმშილით. როგორც ეტყობა, მითრიდატეს, რომელიც ცდილობდა მესამე ომის მოსამზადებლად კარგად გამოეყენებინა სულასთან ბრძოლების გამოცდილება, საკმარისად მაინც ვერ შეუსწავლია თავისი ბრძოლისუნარიანობის სუსტი მხარეები, კერძოდ, გამარჯვების ისეთი აუცილებელი პირობა, როგორიცაა არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმე. იმის ნაცვლად, რომ შორეული რომიდან ჩამოსული რომაული ლეგიონები ჩაეგდო შიმშილის საფრთხეში, მითრიდატე, თითქმის თავის ქვეყანაში მებრძოლი, თვითონ ხდებოდა ულუკმაპუროდ სიკვდილის მსხვერპლი.

მითრიდატემ მაინც არ აიღო ხელი მტრისათვის ზურგში შემოვლის გეგმაზე. ამიტომ ის კიდევ უფრო დასავლეთით გაეშურა.

ლუკულუსმა კარგად ვერც კი მოასწრო ქალკედონის მახლობლად დაბანაკება, რომ პონტოს მეფემ ბნელ და წვიმიან ღამეში თავისი ბანაკი აჰყარა და გაეშურა ქ. კიზიკისაკენ. მითრიდატე გარიჟრაჟისას ავიდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ადრასტის მთაზე და იქ დაბანაკების შემდეგ შეუდგა ქალაქის ალყაში მოქცევას, როგორც ხმელეთიდან ისე ზღვიდან.

ქალაქი კიზიკი მდებარეობდა კუნძულ კიზიკზე პროპონდიტის (მარმარილოს ზღვის) სამხრეთ სანაპიროსთან და მცირე აზიის კონტინენტალურ ნაწილს ორი ხიდით უკავშირდებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კიზიკს თავს დასცქეროდა ადრასტის მთა, ხოლო თვითონ კუნძულზე, ქალაქის ერთი ნაწილი განლაგებული იყო არკტონისა და დინდიმის მაღლობებზე. მითრიდატეს კარგად ჰქონდა შეგნებული კიზიკის სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს ქალაქი ჩრდილოეთიდან ყოფილი პერგამოსის სამეფოს კარიბჭეს წარმოადგენდა და, თუკი მას დაეუფლებოდა, მაშინ რომაელთა სამფლობელოებისაკენ გზა გაეხსნებოდა. თვითონ მითრიდატე უწოდებდა კიზიკს „აზიის კარებს", რომლის დამსხვრევით მას საშუალება ეძლეოდა შეეკრილიყო პურით მდიდარ რომაულ პროვინციაში და თავი დაეღწია მოსალოდნელი შიმშილისაგან. ამავე დროს, კიზიკის აღებით მას შეეძლო შეეფერხებინა ხმელთაშუა ზღვიდან მტრის დამხმარე ნაწილების გადმოსხმა და დაეჩქარებინა ლუკულუსის ლაშქრის მარწუხებში მოქცევა.

მეფემ თავისი არმია ათ ნაწილად გაჰყო და კიზიკს ალყა შემოარტყა ხმელეთიდან, ხოლო ზღვიდან ქალაქი ხომალდებით ჩაჰკეტა.

როგორც კი რომაელმა სარდალმა კიზიკისაკენ მითრიდატეს გალაშქრება შეიტყო, თვითონაც აჰყარა ბანაკი და ფეხდაფეხ დაედევნა მას. ის ნასიამოვნები იყო, რომ მეფე გაურბოდა მასთან შეტაკებას. რომაელები ადრასტის მთის მახლობლად დაბანაკდნენ. ლუკულუსი საგონებელში ჩააგდო პონტოელთა მიუვალმა პოზიციებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადრასტის მაღლობი, სადაც გაივლიდა ქალაქისაკენ მიმავალი ერთადერთი ბილიკი, პონტოელებს ეჭირათ.

მაგრამ ლუკულუსს მალე გამოუჩნდა მშველელი. ის იყო მითრიდატეს ბანაკში მყოფი მოღალატე რომაელი ლუციუს მაგიუსი. მან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ლუკულუსთან და მიიღო მისგან ღალატისათვის ხელშეკრულობის აღთქმა, თუკი ასეთ მძიმე დღეებში რაიმე დახმარებას აღმოუჩენდა თავის თანამემამულეებს. ლუკულუსი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, ხელში ჩაეგდო ადრასტის მთა.

ლუციუს მაგიუსი შეუჩნდა მეფეს და დაარწმუნა შემდეგში: სულ მალე ლუკულუსის სისასტიკით უკმაყოფილო ფიმბრიასეული ლეგიონები მათ მხარეზე გადავლენ და სრულიად ადვილად დაამარცხებენ მხოლოდ სამი ლეგიონის სათავეში მდგარ რომაელ სარდალს; ამიტომ საჭირო არ არის კიზიკის ალყა შევასუსტოთ და ჯარების ამოდენა ნაწილი მთის გამაგრებაზე დავაბანდოთო.

მითრიდატემ ვერ გამოიჩინა წინდახედულება, დათანხმდა ცბიერი რომაელის რჩევას და მოხსნა მთაზე მიმავალი ბილიკის დაცვა. ლუკულუსი დაუყოვნებლივ დაიძრა და აღნიშნული გზის მეშვეობით გაჩნდა მთაზე. ახლა რომაელებს შეეძლოთ მთლიანად მოეწყვიტათ პონტოს არმიისაკენ მიმავალი სახმელეთო გადასასვლელები. მითრიდატეს თავისი მეომრების მომარაგება ახლა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ზღვით. უკვე ზამთარიც (74/73) დგებოდა და მოსალოდნელი იყო, რომ ზღვიდან რეგულარული მომარაგებაც შეფერხდებოდა. მითრიდატეს ორი გამოსავალი რჩებოდა; ან როგორმე დაეჩქარებინა კიზიკის აღება, სანამ შიმშილი მოუსწრებდა, ან თავი მიენებებინა ქალაქისათვის და მთელის ძალებით შემობრუნებოდა მის ზემოთ, მთაზე არხეინად დაბანაკებულ რომაელებს. მაგრამ პონტოს შეფეს მიზანშეწონილად აღარ მიაჩნდა შებრძოლებოდა ლუკულუსს, რომელსაც თავისი მოუფიქრებლობით და წინდაუხედავობით თვი-

თონ დაუთმო მეტად ხელსაყრელი პოზიციები. მითრიდატეს დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მან თავიდანვე იერიშში არ მიიტანა ლუკულუსზე. მაშინ მას შედარებით მეტი შანსები ჰქონდა .გამარჯვებისათვის; რიცხობრივი უპირატესობა და კოტას დამარცხებით მოპოვებული მორალური სიძლიერე ხომ მაინც მის ხელთ იყო. თვით ლუკულუსიც ხომ ჯერჯერობით ცდილობდა როგორმე თავიდან აეცილებინა მითრიდატესთან უშუალო შეჯახება და მეტად ნასიამოვნები იყო, რომ მისი მოწინააღმდეგე თვითონ ჰყოფდა ფეხებს თავის მიერვე დაგებულ ხაფანგში. მაშასადამე, როცა უფრო ხელსაყრელი დრო ჰქონდა, მითრიდატემ მაშინ აიღო ხელი ლუკულუსთან შეტაკებაზე და ახლა ხომ სულ უარი უნდა ეთქვა მისივე ხელშეწყობით კარგად ფეხმოდგმულ მოწინააღმდეგესთან შებმაზე. ამიტომ მან მიმართა მეორე გზას: როგორმე დაეჩქარებინა „აზიის კარის“ აღება და რომაელთა პროვინციისაკენ გაჭრილიყო.

მითრიდატეს ძალზე უჭირვებდა საქმეს ის, რომ კიზიკელები რომაელთა ერთგულებას არ ღალატობდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გადაერჩინათ თავისი ქალაქი პონტოელთა ხელყოფისაგან. კიზიკის მცხოვრებნი განსაკუთრებული უკმაყოფილებით იყვნენ გამსჭვალულნი იმის გამო, რომ მითრიდატემ ქალკედონთან ბრძოლაში 3.000 კიზიკელი მეომარი გამოიყვანა მწყობრიდან, როგორც რომაელთა მოკავშირენი, და მათი ათი ხომალდიც პონტოელმა მეზღვაურებმა იგდეს ხელთ.

კიზიკელები პირველ ხანებში იმედს კარგავდნენ რომაელების მხრივ რაიმე დახმარების მიღებაზე, რადგან არ იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა ლუკულუსი. ხედავდნენ მთაზე დაბანაკებულ რომაელებს, მაგრამ ისინი მტრის რეზერვები ეგონათ, მით უფრო, რომ პონტოელები აშინებდნენ მათ: „ხედავთ იმათ? ეს ჯარი სომხებისა და მიდიელებისაა, რომლებიც ტიგრანმა გამოგზავნა მითრიდატეს დასახმარებლად“. ქალაქის მცხოვრებთ სასოწარკვეთაში აგდებდა მტრის ძალების სიჭარბე.

ლუკულუსმა არქელაოსის რჩევით გადასწყვიტა. ეცნობებინა კიზიკის დამცველებისათვის, რომ ის მოსულია მათ საშველად და რამდენიმე დღით როგორმე გაეძლოთ პონტოელთა გაფთრებული იერიშებისათვის. ამ მიზნით მან ამოარჩია ცურვაში დახელოვნებული მეომარი, გადასცა მას ბარათი და გაგზავნა დავალების შესასრულებლად. მებრძოლმა ღამით შეუმჩნევლად გადასცურა სრუტე და ქალაქში გაჩნდა. მან აუხსნა კიზიკელებს საქმის ნამდვილი ვითარება

და შთაბერა მათ თავგანწირული თავდაცვის ბრძოლის სული; იბრძოლეთ მედგრად და მალე ჩვენც მოგეშველებითო. ამის შემდეგ ლუკულუსმა ღამით, ნავის საშუალებით რამდენიმე მეომრის გადასხმაც შესძლო ქალაქში მცხოვრებთადმი დახმარების გასაწევად.

მითრიდატეს ამაოდ მიჰქონდა იერიშები თავგანწირულ ქალაქზე. ზღვიდან სანოვაგისა და საჭურველის მიღების იმედიც იმსხვრეოდა. დაიწყო საზარელი ქარიშხლიანი ამინდები. მითრიდატეს უზარმაზარ საალყო მანქანებსა და კოშკებს გრიგალი ამსხვრევდა და იტაცებდა. შეუბრალებელი სტიქია ზღვიდან მომარაგების საქმესაც აბრკოლებდა და პონტოელთა ბანაკს ეწვია ის, რისი შიშიც ძალიან ჰქონდა მეფეს: შიმშილი.

მითრიდატეს სარდლები პირველად ცდილობდნენ არ შეეტყობინებინათ მეფისათვის, რომ ჯარისკაცები უკვე შიმშილობდნენ. როცა ალყამ ნაყოფი არ გამოიღო, მითრიდატემ დინდიმის მთაზე დაიწყო ხვრელის გაყვანა, რათა მისი საშუალებით შეეჭრილიყო ქალაქში. მაგრამ ევპატორმა ამ დროს შეიტყო, თუ როგორ გასაჭირში იყვნენ მიხი მეომრები შიმშილისა და სიცივისაგან. პლუტარქე გადმოგვცემს, რომ ჯარისკაცები უკვე ადამიანის ხორცით იკვებებოდნენ...

პონტოს მეფე ხედავდა, ალყას შედეგი არ მოსდევდა; ქარიშხალი ყოველ მის საალყო დანადგარს ნაფოტებად აქცევდა; ფანატიკოს მეფეს წამდაუწუმ ჩასჩიჩინებდნენ, რომ კიზიკს ღმერთები მფარველობენ და მისი აღება ყოვლად შეუძლებელიაო; ქარიშხალი ზღვიდან მომარაგებას აფერხებდა და მის არმიაში შიმშილის ცელი ტრიალებდა, ხოლო მაღლა მთიდან შიშის მომგვრელი მდუმარებით იცქირებოდა ლუკულუსის ბანაკი. როგორ უნდა მოქცეულიყო მითრიდატე?

პირველად მან გადაწყვიტა განეტვირთა ბანაკი უკვე გამოუსადეგარი და ხელისშემშლელი ნაწილებისაგან. მას ქალაქის ალყისა და თვითონ ალყაში მოქცეულს, კავალერია აღარ სჭირდებოდა; ასევე გამწევი საქონელიც ზედმეტ ტვირთად აწვა ბანაკს. ამიტომ მეფემ დრო შეარჩია და თავისი კავალერია, შიმშილისაგან დასუსტებული და ჩლიქებმოცვეთილი პირუტყვი — რომელიც კი დამშეულ ხალხს შეჭმისაგან გადაურჩა — და მეტისმეტად დასუსტებულ ფეხოსან მეომართა ერთი ნაწილი, ბანაკიდან გაიყვანა და მტრისაგან იდუმალ გაგზავნა ბითინიაში.

მაგრამ ლუკულუსს არ დარჩა შეუმჩნეველი, რომ მტრის ერთი ნაწილი, შიმშილისა და სიცივისაგან დატანჯული და ღონეგამოც-

ლილი, თოვლით დაფარულ გზებზე ძლივს მილასლასებდა აღმოსავლეთისაკენ. მან დილით ადრე გამოიყვანა ხუთი კოჰორტა, მთელი კავალერია და სწრაფი მარშით დაედევნა მათ. როდესაც დამშეულებმა მდინარე რინდაკს მიაღწიეს, რომაელები წამოეწივნენ მათ და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა. ლუკულუსმა ამ თავდასხმის შედეგად ხელთ იგდო 15.000 ტყვე, 6.000 ცხენი და მრავალი სატვირთო პირუტყვი. ამის შემდეგ ლუკულუსი ისევ შემობრუნდა კიზიკისაკენ.

ამ დროს პონტოელთა არმიის მეორე ნაწილმა, რომელიც ადრე პონტოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე იდგა, ევმახოსის სარდლობით სცადა ზურგიდან შეევიწროვებინა რომაელები და რამოდენიმედ მაინც შეემსუბუქებინა მითრიდატეს მდგომარეობა. ევმახოსმა სწრაფად დაიკავა ფრიგია, პისიდია, ისავრია და კაპადოკია. მრავლად დახოცეს ამ ქვეყნებში მყოფი რომაელები თავიანთი ოჯახებითურთ. მაგრამ რომაელები საშიშროებისაგან იხსნა გალატიის მთავარმა დეიოტარმა, რომელიც თავს დაესხა გამარჯვებულ ევმახოსს და ბევრი მებრძოლი გაუწყვიტა. ამგვარად, მითრიდატეს არც ამ ღონისძიებამ უშველა.

73 წელი (ძვ. წ.) დადგა და პონტოს მეფის ელვისებური წარმატებები ელვისებურად მიექანებიან უფსკრულისაკენ. სუსხიანი ზამთარი, შიმშილი და უკვე გამძვინვარებული ეპიდემია—შავი ჭირი შეუბრალებლად ავლებდნენ მუსრს კიზიკის მოალყეებს. აპიანე წერს: „ჯარი მთლად მშიერი იყო; ბევრი იხოცებოდა, ზოგი კი... ადამიანის შიგნეულსა სჭამდა, სხვები კი ბალახით იკვებებოდნენ და ავადდებოდნენ. იქვე დაუსაფლავებლად გადაყრილმა მათმა გვამებმა, შიმშილის დამატებად შავი ჭირი გააჩინა“.

გაცოფებული მითრიდატე არ ცხრებოდა და ცდილობდა როგორმე შეპრალიყო ქალაქში დინდიმის ხვრელით. მაგრამ კიზიკელებმა მოახერხეს ხვრელის ამოქოლვა და თვითონ დაიწყეს კედლებზე გადაცოცება და მითრიდატეს დასუსტებულ მეომრებთან ბრძოლაში ჩაბმა. ამასობაში ლუკულუსმაც მოახერხა კუნძულზე ქალაქის დასახმარებლად რაზმის გაგზავნა, რამაც კიდევ უფრო გაამხნევა ალყაშემორტყმულნი.

ახლა მითრიდატემ აშკარად დაინახა, ასეთი ჟინიანი შეტევები, რაც ტყუილად ამდენ მსხვერპლს იწვევდა, ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო. მან მოხსნა ალყა ქალაქს. ბანაკში დარჩენილი, შიმშილითა და ავადმყოფობით დავარდნილი მეომრები კიზიკელებმა გაძარცვეს და გაჟლიტეს. საით უნდა წასულიყო ახლა მითრიდატე? თუკი ის მართლაც მხოლოდ და მხოლოდ თავისა და საკუთარი სა-

მეფოს გადარჩენის გარდა არაფერს ფიქრობდა, მაშინ ცხადია, მისი სახმელეთო არმიაც და ფლოტიც უნდა დაძრულიყვნენ აღმოსავლეთისაკენ, ბოსფორის სრუტისაკენ. მაგრამ მეფე ასე არ მოიქცა. ეტყობა, კიზიკის გაძალიანებამ და დიდმა მსხვერპლმა მითრიდატეს ხელი ვერ ააღებინა თავდაპირველად განზრახული გეგმის განხორციელებაზე. მან მიატოვა კიზიკი და, თუმცა ეს ქალაქი ჩამოიტოვა თავის ზურგში, მაინც თავისი სახმელეთო არმია ჰერმეოსისა და მარიუსის სარდლობით გაგზავნა დასავლეთისაკენ, ჰელესპონტის (დარდანელი) მიმართულებით, ჯერჯერობით ქალაქ ლამპსაკის დაუფლებისათვის. მაგრამ ის ვერ ამჩნევდა, რომ უშვებდა დიდ ტაქტიკურ შეცდომას, წყდებოდა ზურგს; ვერ გრძნობდა, რომ დაღლილ-დატანჯულ, შიმშილისა და ეპიდემიისაგან გაჩანაგებულ არმიას აღარ შეეძლო მისი გეგმების განხორციელება; მაგრამ იგი მაინც მიერეკება მათ... მიერეკება კატასტროფისაკენ.

მეფემ წინდაწინ გაგზავნა ფლოტი, არისტონიკეს მეთაურობით, ეგეოსის ზღვისაკენ. თან არისტონიკეს ხელთ ჰქონდა 10.000 ოქრო, რათა შესაძლო შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა მოსყიდვაც ეცადა. განსაკუთრებით მას იმედი ჰქონდა მოისყიდიდა ფიმბრიასეულ ლეგიონერებს, რომლებიც ლუკულუსის სისასტიკით ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ. მაგრამ ჰელესპონტში შესვლამდე არისტონიკე ღალატით შეიპყრეს და ფულთან ერთად გადასცეს ლუკულუსს.

ამ ამბავს პონტოელთათვის მეორე უფრო მძიმე ზარალი მოჰყვა. რომაელები წამოეწივნენ ლამპსაკისაკენ მიმავალ პონტოელთა არმიას და სასტიკად დაამარცხეს ის. გადარჩენილებმა დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ლამპსაკს და თავი შეაფარეს მას. ლუკულუსმა ალყა შემოარტყა ქალაქს. მითრიდატემ შესძლო, თავისი არმიის უკანასკნელი ნაშთები მაინც გამოეგლიჯა ხელიდან გამარჯვებით დამთვრალი მტრისათვის. მან ღამით ხომალდები მიაყენა ლამპსაკს და შიგ ჩასხა იქ შეფარებული თავისი მეომრები და ქალაქის წარჩინებულნი.

მითრიდატე ხმელეთიდან განდევნილი იყო. მცირე აზიის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ზღვისპირეთი უკვე რომაელებს ეკუთვნოდათ და ბოსფორის ყელთანაც ლუკულუსის მეომრები დარაჯობდნენ, რათა მეფისათვის სამშობლოსაკენ მიმავალი ეს ერთადერთი გზაც დაეკეტათ. მაგრამ მითრიდატე სრულიადაც არ ფიქრობდა იარაღის დაყრას. თუმცა მას შეგნებული ექნებოდა, რომ მისმა საბრძოლო გეგმამ კრახი განიცადა, მაგრამ მას ჯერ კიდევ იმედს აძლევდა ძლიერი ფლოტი, რომელიც პროპონტიდის ბატონ-პატრონი იყო; ხოლო რომაელებს, რომელთა ფლოტი ადრე ქალაქ-

დონთან განადგურდა, ჯერჯერობით აღარც ერთი ხომალდი აღარ ჰყავდათ, რომ მითრიდატესათვის „ზღვის მეფობაც“ წაერთმიათ.

პონტოს მეფემ 50 სამხედრო გემზე 10.000 მძიმედშეიარაღებული მეომარი დასვა და მარკუს მარიუსის, ალექსანდრე პაფლაგონელიხა და დიონისე საჭურისის მეთაურობით გაგზავნა ეგეოსის ზღვისაკენ. თვითონ მითრიდატემ ჯარის უმეტეს ნაწილთან ერთად გასწია შავი ზღვისაკენ, რათა ჩასულიყო პონტოში და სასწრაფოდ შესდგომოდა რომაელთა წინააღმდეგ ახალი ძალების შეკრებას.

ასე გაეყარნენ ერთიმეორეს პონტოს ფლოტის ორი ნაწილი, მიმავალნი სხვადასხვა მიმართულებით. ორივე მათგანს სიკვდილის შავი ფრთა დასტრიალებდა თავს...

მაინც რა აზრი უნდა ჰქონოდა ეგეოსის ზღვისაკენ მითრიდატეს ფლოტის გამგზავრებას? რასაკვირველია, 50 გემს დიდი საქმეების წარმოება და წაგებული მდგომარეობის ფეხზე დაყენება არ შეეძლო. შესაძლოა, ამ ღონისძიებას რომაელთა მთავარი ყურადღება უნდა ჩამოეშორებინა ბოსფორისაკენ მიმავალი მითრიდატესაგან. ახლა ხომ მთავარი ის იყო, როგორმე მეფე გასულიყო შავ ზღვაში და, თუკი დასავლეთისაკენ წასული ფლოტი რამდენიმე ხნით მაინც დაბანდებდა რომაელთა მთავარ ძალებს — თუნდაც მას ამ საქმისათვის თავიც შეეწირა — ძირითადი მიზნის, მეფის გადარჩენისა და სამშვიდობოზე გასვლის საკითხი ადვილად გადასაჭრელი იქნებოდა. შეიძლებოდა, მითრიდატეს ამ ღონისძიებას მეორე მხარეც ჰქონდა, კერძოდ ის, რომ ეგეოსის ზღვაში გასულ პონტოელებს შეეძლოთ კავშირი დაემყარებინათ ჯერ კიდევ ძლიერ მეკობრეთა ესკადრებთან. მიუხედავად რომის ხელისუფლების არაერთი სამხედრო ღონისძიებისა, თავზეხელაღებული ზღვის ყაჩაღები რომის მბრძანებლობის წინააღმდეგ თავისუფლად და ლაღად დანავარდობდნენ მთელს ხმელთაშუა ზღვაზე და განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ ნაწილში. ადვილად შესაძლებელი იყო. საერთო მტრის, რომის წინააღმდეგ ბრძოლაში პონტოელი მეზღვაურები და მეკობრეები საერთო ენას გამონახავდნენ. ბოლოს, შესაძლოა, ამ ღონისძიების მესამე მხარეს წარმოადგენს მომზენის აზრი იმის შესახებ, რომ პონტოს ფლოტის სარდლებს დესანტი უნდა გადაესხათ იტალიის ტერიტორიაზე და აეჯანყებინათ ადგილობრივი ხალხი რომის ხელისუფლების წინააღმდეგ. ადვილად შესაძლებელია, ეს მართლაც ასე ყოფილიყო, რადგან პონტოელ მეზღვაურებს ეცოდინებოდათ, რომ ამ დროს მონათა მძლავრი აჯანყება მამაცი სპარტაკის მეთაურობით რომში, „მსოფლიო ქალაქში“ ჩაბუდე-

ბულთ თავზარსა სცემდა. პონტოელები ადვილად შესძლებდნენ ასეთ დროს თავიანთ გარშემო დაერაზმათ რომაელთა ბატონობისადმი უკმაყოფილო ელემენტები, და მითრიდატეს იმედი ჰქონდა, შორს აზიაში მყოფი ლუკულუსისათვის თვითონ მისი ქვეყნიდან ჩაეცა მახვილი.

ლუკულუსმა, რომელსაც საზღვაო ბრძოლებში დიდი გამოცდილება ჰქონდა, კარგად იცოდა ფლოტის ფასი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მოწინააღმდეგის ერთადერთი დასაყრდენი მხოლოდ ზღვა იყო. ამიტომ მან ბრძანება გასცა შეეკრიბათ და აეგოთ ხომალდები, რაც მალე იქნა სისრულეში მოყვანილი.

ახლა რომაელ სარდალს, სანამ ის მცირე აზიის სიღრმეში შეიჭრებოდა, უნდა აღეკვეთა ზურგის საშიშროება, რასაც მას უქმნიდნენ მცირე აზიის ზოგიერთი სანაპირო ქალაქები და ქარიშხლის ქარტეხილებისაგან საკმაოდ დაზარალებული, უკვე ეგეოსის ზღვაში გასული პონტოელთა ფლოტი.

სწორედ ამ დროს ლუკულუსს რომიდან ახალი ლეგიონები ჩამოუვიდა ბარბას მეთაურობით. აი, ეს ახალი ძალები შეიძლებოდა ჩაეყენებინა მას გარნიზონებად ახლად დაკავებულ ქალაქებში.

ფლოტის უფროსობა ხელთ აიღო თვითონ ლუკულუსმა, როგორც სულას საზღვაო ძალების სარდალმა-ვეტერანმა, ხოლო სახმელეთო არმიები დაუნაწილა თავის ლეგატებს, დაავალა მათ სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევა მცირე აზიის იმ ქალაქთა წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ უჭერდნენ მხარს პონტოს მეფეს. ლუკულუსმა თავის თანაშემწეებს ფლოტის ნაწილიც გადასცა; მათ შორის ყველაზე მეტი ხომალდები მიიღო ბოკონიუსმა, რომელსაც ევალებოდა ბოსფორისაკენ გაქცეული მითრიდატეს დაჭერა.

ლუკულუსი კიზიკში დიდი დღესასწაულისა და ლამპსაკის აღების შემდეგ, მცირე აზიის სანაპიროების გასწვრივ გაეშურა დასავლეთისაკენ და რამდენიმე ხანს შეჩერდა ილიონში, აქ მან შეიტყო, რომ კუნძულ ლემნოსთან ღუზა ჩაუშვა პონტოელთა 30-მა ხომალდმა. ლუკულუსმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში მათზე, მაგრამ ყოველთვის დამარცხდა. მაშინ ის კუნძულს მეორე ნაპირიდან მოადგა, ხმელეთზე თავისი ლეგიონერები გადასხა და ზურგიდან დაესხა თავს მტერს. პონტოელები დამარცხდნენ. მათი უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა. სარდალთაგან დიონისე საჭურისმა, სანამ ტყვედ ჩავარდებოდა, საწამლავი დალია, ხოლო მარკუს მარიუსი და ალექსანდრე პაფლაგონელი ტყვედ ჩავარდნენ. მარიუსი ბრძოლაში სიკვდილს გადარჩა ცალი თვალის სიბრმავის წყალობით, რად-

გან ლუკულუსს ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ ცალთვალი არავინ მოეკლათ. მაგრამ ლუკულუსმა ის მაინც სიკვდილით დასჯა, რადგან, როგორც რომაელი და ყოფილი სენატორი, ტრიუმფში გასატარებლად არ გამოადგებოდა. ხოლო ალექსანდრე პაფლაგონელი ლუკულუსმა შეინახა მომავალი დღესასწაულის დასამშვენებლად.

ლუკულუსმა ამ გამარჯვების შესახებ დაფნით შემკული ბარათი გაუგზავნა რომის სენატს. შემდეგ სასწრაფოდ გაეშურა ბითინიისაკენ, სადაც მისი სარდლები ბრძოლებს ეწეოდნენ ცალკეულ ქალაქებთან და დარაჯობდნენ პროპონტიდაში მომწყვდეულ მეფეს.

სანამ ლუკულუსი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებს იმტკიცებდა, მისმა სარდლებმა ბითინიაში რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს. ერთ-ერთი ლეგატი, გაიუს ვალერიუს ტრიარიუსი ფლოტით მიადგა ქ. აპამეას და იერიში მიიტანა მასზედ. აპამეელები ერთ ხანს თავგანწირულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ, მაგრამ მალე ბრძოლა წაგებულად სცნეს და კარიბჭე გააღეს. რომაელებმა ქალაქში შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. მცხოვრებლები ტაძრებში მირბოდნენ და იქ ცდილობდნენ თავის გადარჩენას, მაგრამ მტერი იქაც შეუბრალებლად ღვრიდა მათ სისხლს. იტალიიდან ახალი ჯარებით ჩამოსულმა ბარბამ აიღო ქ. პრუსია, ხოლო მალე ამის შემდეგ თითქმის უბრძოლველად ხელთ იგდო ნიკეაც, საიდანაც ადგილობრივ მცხოვრებთა ღალატით შეშინებული პონტოელთა გარნიზონი მტრის მოახლოვებისთანავე გაიქცა ნიკომედიისაკენ.

ამ დროს ბითინიაში გამოჩნდა ლუკულუსიც, რომელსაც სრული იმედი ჰქონდა, რომ მითრიდატე ევპატორი მას დატყვევებული დახვდებოდა. მაგრამ იგი სასტიკად მოსტყუვდა...

მითრიდატე ევპატორი მას შემდეგ, რაც დასავლეთისაკენ გაგზავნილ თავის ფლოტს გაშორდა და ბოსფორის სრუტისაკენ გაეშურა, საშინელი ქარიშხლისაგან მეტისმეტად დაზარალდა და ცოტაც დარჩა, სიცოცხლეც არ დაჰკარგა. მისი სამოცი ხომალდი 10.000-ანი ეკიპაჟით ქარიშხალმა დალეწა და უფსკრულისაკენ გააქანა. ფლოტის ნამსხვრევებისაგან ზღვის ნაპირები დაიფარა, თვითონ მეფემ ძლივს მოასწრო სატვირთო გემზე გადასვლა, რომელმაც მესაჭეების დაძაბული მოქმედების მიუხედავად ვერ შესძლო ხმელეთთან მიახლოვება; აღარც ზღვაში დგომა შეეძლო სიმძიმისა და მასში შეჭრილი წყლის სიმრავლისა გამო. გემი აგერ-აგერ უნდა დაძირულიყო. თითქოს ხსნა აღარსაიდან იყო. სწორედ ამ დროს სადღაციდან ჩამოიქროლა მეკობრეთა მსუბუქმა ხომალდმა. მეფემ დახმარება სთხოვა მათ. მართლაც, მეკობრეთა დახმარებით,

მითრიდატემ დიდის ვაივაგლახით მიაღწია ნიკომედიას და შიგ ჩაიკეტა. აქ მასთან გამოცხადდა ნიკეიდან გამოქცეული გარნიზონი.

როგორც კი ეს ავრელიუს კოტამ შეიტყო, გამოვიდა ქალკედონიდან და სწრაფი მარშით გაეშურა ნიკომედიისაკენ. მას სურდა, ნიკომედიაში თავშეფარებული ფრთებდამსხვრეული პონტოელი არწივის შეპყრობით ჩამოერეცხა ქალკედონთან მიღებული სამარცხვინო ლაქა. ამით მას უნდოდა როგორმე ხელთ ეგდო მისი კოლეგის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა ნაყოფი. ის შურისაგან გულზე სკდებოდა, რომ მან ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა და მითრიდატეზე ხშირი გამარჯვებებისათვის მარტო ლუკულუსი მიიღებდა. რომში ტრიუმფალური სვლის უფლებას. და, აი, ახლა მიეცა მას საშუალება, დაეტყვევებინა საბედისწერო ქარტეხილებისაგან დამაშვრალი გვირგვინოსანი და ამით მიეღწია თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის.

მაგრამ რაკი ლუკულუსი ჯერ არსად სჩანდა, კოტას კვალდაკვალ გაჰყვა ტრიარიუსი, რომელსაც უნდოდა წილი დაედო ომის ფინალის დიდებულად ჩატარების საქმეში. კოტა უკმაყოფილო იყო, რადგან მას ეზიარებოდნენ უეჭველ გამარჯვებაში, მაგრამ რა უნდა ექნა. ორივე სარდალმა ნიკომედიის მახლობლად დაიბანაკეს და გადასწყვიტეს ქალაქისათვის ორი მხრიდან შემოერტყათ ალყა.

სწორედ ამ დროს მითრიდატემ შეიტყო დასავლეთში გაგზავნილი ფლოტის დაღუპვის ამბავი და იგრძნო, რომ ეგეოსისა და პროპონტიდის სანაპიროებზე მას უკვე არც ერთი პატარა ნუგეშის მიმცემი რაზმიც კი აღარ ჰყავდა, ნიკეიდან მოსული გარნიზონისა და მასთან ერთად საშინელი დღეების მოწამე მცირერიცხოვანი ამალის გარდა.

მითრიდატე ღამით სასწრაფოდ გამოვიდა ნიკომედიიდან, გასცურა ბოსფორის სრუტე და უკვე შავ ზღვაში გასულმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ამრიგად, ბოკონიუსმა, რომელიც უფრო ქეიფითა და დროსტარებით იყო გატაცებული, ვერ შეასრულა ლუკულუსის დავალება: მითრიდატე სამშვიდობოზე იყო გასული.

პონტოს მეფეს შავი ზღვაც ქარიშხლით შეხვდა და საკმაოდ დაზარალა, მაგრამ მაინც მიაღწია ქ. ჰერაკლეის დასავლეთ ნაწილს და ზამთრის უკანასკნელი დღეების გასატარებლად იქ დაბინავდა. აქ მან მიიწვია ჰერაკლეელი ლამახი, თავისი ძველი მეგობარი, რომელიც ქალაქში დიდი გავლენით სარგებლობდა; დაასაჩუქრა ის და სთხოვა, დახმარებოდა ქალაქის ხელში ჩაგდების საქმეში. ლამახ-

მა მართლაც შესძლო მეფის დავალების შესრულება, და მითრიდატემ უბრძოლველად ჩაიბარა ჰერაკლეა. აქ მან დატოვა გარნიზონი 4.000 კაცის შემადგენლობით, კონაკორიქსის მეთაურობით. მითრიდატემ ქალაქის მცხოვრებლებს ტკბილი და მომხიბლავი სიტყვით მიმართა და აუხსნა, რომ გარნიზონი საჭიროა, რათა თავიდან იქნას აცილებული რომაელთა მოსალოდნელი თავდასხმაო.

ამის შემდეგ მითრიდატე გაეშურა სინოპში, ხოლო მალე იქედან — ამისოსში...

როცა ლუკულუსი ნიკომედიაში ჩავიდა, ნახა, რომ მის ხელქვეითებს თითქმის ძირს დაცემული მტერი ხელიდან გასხლტომიათ. მართალია, ეს ჯერ კიდევ მძიმე დღეების მომასწავებელი სჩანდა, მაგრამ რომაელთა გამარჯვების შედეგი მაინც დიდი იყო. მათ ხელში იყო ბითინიის სამეფო და მთელი დასავლეთი მცირე აზია. მითრიდატე კვლავ თავის სამემკვიდრეო სამეფოს საზღვრებში ჩაიკეტა. როგორ უნდა მოქცეულიყო ახლა ლუკულუსი? სულას მსგავსად დაკმაყოფილებულიყო აზიაში რომაელთა წინანდელი ძალაუფლების აღდგენით და დაბრუნებულიყო რომში, თუ განეგრძო შეტევა და საბოლოოდ მოესპო პონტოს მხრიდან აღმოსავლეთში ბატონობის ძლიერი მეტოქეობის კერა? კორნელიუს სულას მაშინ თვითონ რომის შიგნით ატეხილი სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა უბიძგებდა აღმოსავლეთში ომის შეწყვეტისა და ზავის დაჩქარებისაკენ. მართალია. რომში ლუკულუსის წინააღმდეგაც ბორგავდნენ მისი აზიური ღონისძიებებით უკმაყოფილო მხედართა წოდების წარმომადგენლები, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ ისე არ გამწვავებულიყო, რომ ლუკულუსს ხელი აეღო ბრძოლის გაგრძელებაზე და დაბრუნებულიყო იტალიაში. პლუტარქეს ცნობიდან ირკვევა, რომ რომაელთა მხრივ ჯერჯერობით მაინცდამაინც არ ყოფილა განწყობა მითრიდატეს წინააღმდეგ ომის გაგრძელებისა; „მაშინ ბევრი ურჩევდა ლუკულუსს, გადაედო ომიო“. ასეთი განწყობილების მიზეზი უსათუოდ კვლავ იტალიაში შინაური მდგომარეობის აფორიაქება უნდა ყოფილიყო. ამ დროს „დიდი სარდალი, კეთილშობილური ხასიათი. ანტიკური პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენელი“, სპარტაკი სამკვდრო-სასიცოცხლო დუელში იწვევდა საძულველი მონათმფლობელური მანქანის მესაჭეებს. მაგრამ, როგორც ეტყობა, მითრიდატესთან ომის გაგრძელებისაკენ მისწრაფება სძლევდა მისი შეწყვეტის ცალყბა მოთხოვნას. ამის მიზეზი მითრიდატესთან მანამდე ჩატარებული ომების გამოცდილება უნდა ყოფილიყო. რომაელებისათვის ცხადი შეიქნა, რომ სანამ მითრიდატე ევპატორის დროის

პონტოს სამეფო და თვითონ მითრიდატე ცოცხლობდნენ, მანამ აღ-
მოსავლეთში რომის ბატონობის საწინააღმდეგო ხანძარი არ ჩაქ-
რებოდა. სანამ სენატში კატონის დაჟინებით მოთხოვნას: „კართა-
გენი უნდა დაინგრას", მართლაც კართაგენის სრული დანგრევა არ
მოჰყვა, მანამ ხმელთაშუა ზღვის აუზში რომის ძალაუფლების
გავრცელება შეუძლებელი იყო*. ასევე იყვნენ რომის ბოსისხლე
მტრები აზიაში: პონტო და მითრიდატე, და სანამ „აღმოსავლეთის
კართაგენი და ჰანიბალი" ცოცხლობდნენ, აღმოსავლეთში რომის
მბრძანებლობა ფესვს ვერ გაიდგამდა. მითრიდატე მთიდან დაქანე-
ბული ზვავივით სწორედ მაშინ დაიძვრებოდა, როცა რომში შინა-
ური აშლილობა გაჩაღდებოდა. რომის ფორუმზე (ცენტრალურ მოე-
დანზე) ძმები გრაკხების სისხლის დაქცევის შემდეგ რომმა სამოქ-
ალაქო ომებისაგან მოსვენება აღარ იცოდა; აღარავის ახსოვდა ძვე-
ლი მშვიდობიანობისა და განცხრომის დრო; რომში თითქოს დაკა-
ნონდა, რომ ყოველი რომაელის ფსიქიკა მთლიანად უნდა დაეპყრო
სამოქალაქო ომებში ამა თუ იმ პოზიციის დაკავებისა და გარკვეუ-
ლი ინტერესებისათვის ბრძოლის კურსისა და ტაქტის აღებას. მწო-
ლოდ ხანდახან თუ ჩასთვლემდა „მსოფლიოს მბრძანებელი", და
კვლავ ახალი ძალით ატყდებოდა შემაძრწუნებელი საბრძოლო ყი-
ჟინა რომში, აპენინის ნახევარკუნძულზე, ესპანეთში, გალიაში,
აფრიკაში, სიცილიაში, თუ სხვა რომელიმე პროვინციაში; და რომს
უნდა დაეცადა, როდის დამთავრდებოდა ეს შინაური აშლილობანი
და მის შემდეგ განეახლებინა შეტევა პონტოს წინააღმდეგ? რა თქმა
უნდა, არა. ასეთ დაცდაზე რომში არავინ ფიქრობდა იმიტომ, რომ
შინაური ომების დამთავრების იმედიც კი რამდენიმედ მაინც და-
კარგული იყო. ესეც არ იყოს, არც მითრიდატე დაჯდებოდა გულ-
ხელდაკრეფილი და დაუწყებდა ცქერას, თუ როდის გათავდებოდა
მისი მეტოქეების ძმათაშორისი ჭიდილი, რომ შემდეგ უფრო მო-
ღონიერებულ მოწინააღმდეგესთან ჰქონოდა საქმე. მართალია, სპარ-
ტაკის მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ
სერტორიუსის აჯანყების დაისი უკვე იწურებოდა...

ამიტომ ლუკულუსს ომი უნდა განეგრძო. მითრიდატეც უნდა
მომზადებულიყო მტრის შესახვედრად.

ლუკულუსმა თავის თანაშემწე სარდლებს შეტევის გეგმა გააც-
ნო და თითოეულ მათგანს გარკვეული საბრძოლო ამოცანა მისცა.

---

* კატონს სენატის სხდომაზე როგორი შინაარსის სიტყვაც არ უნდა ეთქვა, ბო-
ლოს მაინც დასძენდა: „კართაგენი უნდა დაინგრესო". მისი სიტყვები ასრულდა
146 წ. (ძვ. წ.).

თვალონ მთავარსარდალი ძირითადი ძალებით ბითინიისა და გალატიის გავლით უნდა შეეკრილიყო პონტოს სამეფოში; ავრელიუს კოტა უნდა დაძრულიყო ჰერაკლეის წინააღმდეგ, რადგანაც ამ ქალაქის აღებით რომაელები შესძლებდნენ მნიშვნელოვან წილად თავიდან აეშორებინათ სრუტეებისაკენ მოწინააღმდეგის ფლოტის ბოსალოდნელი გაჭრა; ტრიარიუსმა ჩაიბარა ფლოტი და დავალებად მიიღო სრუტეების ჩაკეტვა და ესპანეთიდან მომავალი ფლოტის (რომელიც სერტორიუსს გაუგზავნა ადრე მითრიდატემ) ხელში ჩაგდება.

სარდლები შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

* *

ლუკულუსი ბითინიისა და გალატიის გავლით დაიძრა პონტოს მიმართულებით. მან გალატიაში შესვლისთანავე ბრძანება გასცა, ადგილობრივ მცხოვრებლებს სურსათით აღმოეჩინათ დახმარება რომაელი ჯარებისათვის. ამის შედეგად 30.000 გალატიელი, თითოეული მათგანი თითო მედიმნი ხორბალით მხარაკიდებული, მისდევდა ლუკულუსის არმიას.

73 წლის შემოდგომის დამდეგს (ძვ. წ.) ლუკულუსის ლაშქარმა გადალახა პონტოს დასავლეთის საზღვარი და მდინარე ჰალისზე გადასვლის შემდეგ შეიჭრა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში.

დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ნიკომედე ბითინიელმა და შემდეგ მურენამ ააოხრეს პონტოს სამეფოს სანაპირო რაიონები; ქვეყნის ცენტრალურმა ნაწილმა ხომ დიდი ხანი აღარ იცოდა უცხოელთა შემოსევა და რბევა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მითრიდატე ევპატორი სხვათა მიწებს იპყრობდა და თავის ქვეყანას აყვავების გზით წარმართავდა. ახლა პონტოს ნაყოფიერი და მდიდარი ოლქები რომაელთა ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცა. რომაელებს შიში აღარ ჰქონდათ, რომ შორეულ ქვეყნებში შიმშილის მსხვერპლი შეიქნებოდნენ. თითქმის უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყანას განუკითხავად ძარცვავდნენ; მოსახლეობას ატყვევებდნენ და მონებად მიერეკებოდნენ. რომაელთა მიერ პონტოში წარმოებული აღვირახსნილი მტაცებლობისა და ტყვევნის შესახებ წყაროები შემდეგნაირად გადმოგვცემენ:

„მას (ლუკულუსს, ლ. ს.) ბანაკში ჰქონდა მარაგის ისეთი სიჭარბე, რომ ხარს ჰყიდდნენ ერთ დრაქმად*, ხოლო მონას ოთხ დრაქმად.

* ერთი დრაქმა=24 ½ კაპიკს.

ნადავლს, რომელსაც ვერსად ათავსებდნენ, ზოგი ტოვებდა, ზოგი კი სპობდა. ვერავის მიჰყიდდნენ მას, რადგან ყველას ბევრი ჰქონდა".

„ლუკულუსი თავისი გამარჯვებების გამო გაბედულად მიიწევდა წინ, იპყრობდა ყველაფერს, რაც გზაში ხვდებოდა და ძარცვავდა მთელ მხარეს, რადგანაც ეს ოლქი საერთოდ მდიდარი იყო და დიდი ხანია ომიც არ განეცადა, ამიტომ მაშინვე დაიწყეს მონების გაყიდვა ოთხ დრაქმად, ხარისა — ერთ დრაქმად; ამის პროპორციული იყო თხის, ცხვრის, ტანისამოსისა და სხვა ყველაფრის ფასი".

მიუხედავად ამისა, სიმდიდრისადმი დახარბებული რომაელები მაინც უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, რომ ლუკულუსი ქალაქების აღებას უპირველესად ულტიმატუმების გზით ცდილობდა და ამით მეომრებს ნაკლებ საშუალებას აძლევდა ძარცვა-გლეჯის უფრო ფართო მასშტაბით წარმოებისათვის.

ლუკულუსმა, როგორც კი დაასრულა პონტოს ცენტრალური ნაწილების დაპყრობა და გაპარტახება, მხარმარცხნივ ჩამოიტოვა სინოპი და შეუდგა ამისოსის, ევპატორიის და თემისკირას ალყას. თუკი პონტოს სოფლებსა და ველმინდვრებს რომაელები დაუბრკოლებლად აოხრებდნენ, ქალაქებმა მტერს თავგანწირული ბრძოლა გაუმართეს.

თემისკირას რომაელებმა საიერიშო მანქანები და კოშკები შემოარტყეს, მაგრამ ქალაქის დამცველებმა დალეწეს და დასწვეს ისინი. მაშინ რომაელებმა კედლებს ქვეშ ღრმა თხრილების ამოთხრა და გვირაბების გაყვანა დაიწყეს, რათა მათი საშუალებით შეეჭრილიყვნენ ქალაქში. ეს გვირაბები შუამდეც არ იყო მიყვანილი, რომ მიწის ქვეშ რომაელები შეეჩეხნენ პონტოელებს, რომელთაც ქალაქიდან თავის მხრით დაუწყიათ მიწისქვეშა გასასვლელების გაყვანა. ამგვარად, ძალიან ხშირად მოწინააღმდეგეთა რაზმები ხელჩართულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მიწის ქვეშ. ხშირად ქალაქის მცხოვრებნი რომაელებს მიუსევდნენ ფუტკარს, ან კიდევ სამხეცეებიდან უშვებდნენ დათვებს ან სხვა მხეცებს და მიუსევდნენ მოალყე მტრებს.

არანაკლებ გაშმაგებით იცავდა თავს ქალაქი ამისოსი. მისი დამცველები ძალიან ხშირად გამოიჭრებოდნენ კედლებს გარეთ და ეაფთრებულ ბრძოლებში ებმებოდნენ რომაელებთან. ამისოსის დაცვას კიდევ უფრო აძლიერებდა მითრიდატე, რომელიც განუწყვეტლივ ამარაგებდა მას სურსათით, იარაღით და დამხმარე რაზმებით.

ლუკულუსის ძირითად მიზანს უპირველესად თვითონ მითრიდატეს შეპყრობა წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ მან ისე სწრაფად მიაშურა ამისოსს, სადაც მას მეფე ეგულებოდა; მაგრამ პონტოელმა სასწრაფოდ დატოვა ამისოსი და გაეშურა ქალაქ ქაბეირასაკენ, რომელიც მდებარეობდა პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ლუკულუსმა სცადა ერთის დარტყმით აეღო პონტოს ზღვისსანაპირო და ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქები და შემდეგ მიბრუნებოდა მითრიდატეს. მაგრამ ქალაქების მედგარმა წინააღმდეგობამ ის მალე დაარწმუნა, რომ მათი აღება ასე მალე არ მოხერხდებოდა; საჭირო გახდა ხანგრძლივი ალყის წარმოება; მაგრამ მოსალოდნელი იყო, ლუკულუსის მდგომარეობა მალე კრიტიკული გახდებოდა, თუ მითრიდატეს ახალი ღონისძიებები და ცდები სასურველ შედეგს მოიტანდა: ქაბეირაში მეფე კონტრშეტევისათვის ემზადებოდა...

ბრძოლის ველიდან თითქმის მარტოდმარტო დაბრუნებულ მითრიდატეს თავისი ძლიერების აღორძინებისა და მოწინააღმდეგის პირისპირ ხელახალი გამოსვლის იმედი მაინც არ დაუკარგავს. როგორც ითქვა, როცა ლუკულუსმა პონტოს სამეფოს საზღვრები გადალახა, მითრიდატემ სინოპი დატოვა და ამისოსში გადავიდა. აქედან მან დიდი აზიური კოალიციის, კავშირის შექმნას მოჰკიდა ხელი. მითრიდატე ფიქრობდა, რომ რომაელთა სწრაფი წინსვლა უპირველესად შეაშფოთებდა სომხეთის ძლიერ ხელმწიფეს და შემდეგ კი არც პართიისათვის უნდა ყოფილიყო სასიამოვნო რომაული იარაღის ასეთი წარმატებები აღმოსავლეთში. ასე, რომ აღმოსავლეთის ყველა დესპოტის ძალაუფლებას ემუქრებოდა რომის იარაღის სწრაფი წარმატებები აზიაში. ამიტომ მითრიდატეს ადვილად უნდა შესძლებოდა, დაეყოლიებინა თავისი სიძე, სომხეთის მეფე ტიგრან II და პართიის მაშინდელი მეფე ფრაატ III, რომაელების წინააღმდეგ ერთიან კავშირში მონაწილეობის მისაღებად. მითრიდატე ძალიან წინდახედულად სჯიდა, როცა ტიგრანს და ფრაატს სწერდა, რომ, თუ გავერთიანდებით და რომაელებს შეერთებული ძალით შევუტევთ, უეჭველად გავრეკავთ მათ აზიიდან და, თუ არ შევკავშირდებით რომაელები ცალცალკე ყველას დაგვამარცხებენო. მან გაგზავნა ელჩები ტიგრანთან და ფრაატთან კავშირის დადების პროექტით და დამხმარე ძალების სათხოვნელად.

ამავე დროს ევპატორმა გაგზავნა კაცი ბოსფორის სამეფოში, სადაც მისი შვილი მახარე მეფობდა და მასაც სთხოვა მაშველი ძალები. მეფემ ასევე ძღვენითა და ოქროთი დატვირთული კაცი, ვინმე დიოკლი გაგზავნა სკვითებთან დამხმარე ჯარების სათხოვნელად.

მაგრამ დიოკლმა, ოქრო-ვერცხლითა და საჩუქრებით დატვირთულმა, გზიდან გადაუხვია და ლუკულუსის ბანაკს ჩაბარდა.

როცა ლუკულუსი ამისოსს მიუახლოვდა, როგორც აღინიშნა, მეფე ქაბეირაში გაიქცა. უკვე ზამთარი დგებოდა და ქაბეირაში მყოფი დევნილი მეფე ბლომად იარაღს, სურსათსა და ჯარს უგზავნიდა ალყაშემორტყმულ ამისოსის მცხოვრებლებს. აქვე ის მოუთმენლად ელოდა პასუხებს პართიიდან, სომხეთიდან, ბოსფორის სამეფოდან.

მოვიდა პასუხი მხოლოდ ტიგრანისაგან, რომელსაც თავისი ცოლის, ე. ი. მითრიდატეს ასულის ხვეწნა-მუდარისათვის ანგარიში გაუწევია, და აღუთქვამდა დახმარებას თავის ბედკრულ სიმამრს. მაგრამ ეს აღთქმა მხოლოდ აღთქმად დარჩა, ტიგრანს არ სურდა დაეწყო საშიში ომი რომთან, რადგან მის ყოველ უბრალო გაჭირვებას გაფაციცებით უცქერდა მისი მოსისხლე მტერი, პართიის მეფე, რომელიც მზად იყო შეჭრილიყო სომხეთის საზღვრებში. ფრაატისაგან არავითარი პასუხი არ მოვიდა. მას არ სურდა ტიგრანთან კავშირში ყოფნა.

მაგრამ რა იმედი უნდა ჰქონოდა მითრიდატეს პართიისა და სომხეთის მეფეთაგან, როცა მისი საკუთარი შვილიც, მახარე მის წინააღმდეგ ღალატისათვის ემზადებოდა?

მაშ, რომაელთა წინააღმდეგ მითრიდატესეული კოალიციის შექმნის ცდა მარცხით დამთავრდა. მაგრამ მეფე ვერც ამან დააბნია და დაიწყო ჯარების შეგროვება ჯერ კიდევ მის ხელქვეით დარჩენილ ქვეყნებში. გაზაფხულისათვის (72 ძვ. წ.) ქაბეირასთან მას მზად ჰყავდა 40.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი მეომარი, რომელთაც სათავეში უდგნენ დიოფანტი და ტაქსილე...

73 — 72 წლის სუსხიანმა ზამთარმა ლუკულუსის ლეგიონები ბანაკებში ჩაჰკეტა. რომაელები ჯერჯერობით მხოლოდ პონტოს ქალაქთა ალყას განაგრძობდნენ. ლუკულუსი მოუთმენლად ელოდა 72 წლის (ძვ. წ.) გაზაფხულს, რათა განეგრძო ლაშქრობა უშუალოდ მითრიდატეს წინააღმდეგ. ჯარისკაცები ბუზღუნებდნენ და მოითხოვდნენ, რომ მთავარსარდალს ხელი აეღო „ტიბარენებისა და ხალიბების ველებში მითრიდატესთან საბრძოლველად“ წასვლაზე. მაგრამ ლუკულუსი ყურად არ ღებულობდა მათს დრტვინვას და ფიქრობდა, თუ როდის შეიძლებოდა გადაელახა მის წინ აღმართული, ამჟამად თეთრად დაფენილი მთები, რომლებიც ჰყოფდნენ მას მითრიდატესაგან...

როგორც კი გაზაფხული დადგა, ლუკულუსმა ამისოსის ალყის გასამგრებლად დატოვა ლუციუს მურენა, ხოლო თვითონ ძირითადი ძალებით. 40.000 ქვეითი მეომრით და 3.000 ცხენოსნით, დაიძრა ქაბეირას მიმართულებით.

მითრიდატეს მთების გადასასვლელებთან ჩაყენებული ჰყავდა მეთვალყურე რაზმები სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის, ვინმე ფენიქსის მეთაურობით. ფენიქსს მითრიდატესაგან დავალებული ჰქონდა. როგორც კი მტრის ჯარი გამოჩნდებოდა, კოცონების ანთებით ეცნობებინა მისთვის. როცა რომაელთა ლეგიონები გამოჩნდნენ. ფენიქსმა გადასწყვიტა ეღალატნა მეფისათვის და გადასულიყო მოწინააღმდეგის მხარეზე. მაგრამ ღალატის წინ მოვალეობის გრძნობამ მაინც შეაწუხა და კოცონებით აცნობა მეფეს მტრის მოახლოვება: თვითონ კი მთელი თავისი ძალებით გადავიდა რომაელთა მხარეზე.

როგორც კი ლუკულუსი მთიდან დაეშვა და დაბლობზე ფეხი ჩასდგა, მას იქ მითრიდატეს მიერ გამოგზავნილი ცხენოსანთა მოწინავე რაზმები დახვდა. რომაელების არმიას სასწრაფოდ გამოეყვნენ მხედართა რაზმები პომპონიუსის მეთაურობით და უმალვე შეეჯახნენ პონტოელ ცხენოსნებს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. რომაელებმა ვეღარ გაუძლეს პონტოელ მხედართა ელვისებურ შეტევას და სასტიკად დამარცხდნენ. ლუკულუსმა, რომელსაც ყველაზე მეტად მოწინააღმდეგის კავალერიის სიძლიერე აფიქრიანებდა, ბრძანება გასცა უკან დაეხიათ. რომაელებმა ისევ მთებს შეაფარეს თავი.

ბრძოლის ველზე სხვა მსხვერპლთან ერთად მძიმედ დაჭრილი დაეცა თვითონ პომპონიუსი, რომელიც მიჰგვარეს მითრიდატეს. მეფემ მამაც რომაელს ჰკითხა: „რით შეგიძლია სამაგიერო გადამიხადო. სიცოცხლე რომ შეგინარჩუნოო"; რომაელმა უპასუხა: „შენ რომ ლუკულუსის მეგობარი იყო, ძალიან ბევრი რამით, ხოლო, თუ შენ ლუკულუსის მტრად დარჩებოდი, არც კი გირჩევდი რამესო". ასეთი უკმეხი პასუხისათვის მეფის მხლებლები მოკვლას უპირებდნენ მას, მაგრამ მითრიდატემ შეაჩერა ისინი და სიცოცხლე აჩუქა, რადგან ძალიან მოსწონდა ისეთი მამაცი და გაუტეხელი ადამიანები, როგორიც პომპონიუსი იყო; მით უფრო უნდა შეიწყალა ასეთი კაცი, რომ ის წაქცეულია და წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია — ამბობდა მეფე.

ლუკულუსი მთაზე გამაგრდა და ცდილობდა როგორმე თავიდან აეშორებინა მითრიდატეს ცხენოსნებთან შეჯახება. ის უცდიდა

ღროს, როცა რაიმე მიზეზით პონტოელთა ჯარი დაიძვრებოდა და მთას შეესეოდა. მაშინ ლუკულუსს შეეძლო გამოეყენებინა თავისი ლეგიონების უპირატესობა.

ლუკულუსის მთავარ საზრუნავს სურსათ-სანოვაგით მომარაგება შეადგენდა. მან გაგზავნა რაზმები კაპადოკიაში სურსათის ჩამოსატანად. ამასობაში მოწინააღმდეგეთა შორის, რომლებიც გენერალურ ბრძოლას ერიდებოდნენ, რამდენიმე მცირე ხასიათის ბრძოლა მოხდა.

უეცრად მთის ძირში ირემი გამოჩნდა და რამდენიმე პონტოელი დაედევნა მას. ისინი იმდენად გაერთვნენ ნადირის დევნით, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაჩნდნენ მთის ფერდობზე, რომელსაც ლუკულუსის ბანაკი დაცქეროდა. სანგრებში ჩასაფრებულმა რომაელებმა ვეღარ მოითმინეს და რამდენიმე მათგანი ხმალამოწვდილი ჩაეგება ფერდობზე ამომავალ პონტოელებს. გაჩაღდა ბრძოლა. ორივე მხარეს თანდათან ემატებოდნენ მებრძოლები. მალე რომაელები შედრკნენ და მტერს ზურგი აჩვენეს. სანგრებში დარჩენილი მეომრები ლუკულუსს ემუდარებოდნენ, გაეცა ბრძანება და ერთიანად გადარეოდნენ მთაზე შემოფენილ პონტოელთა ჯგუფს, მაგრამ სარდალმა არ მოუსმინა მათ. ხოლო, როცა ბრძოლაში ჩაბმულმა ყველა რომაელმა მტერს ზურგი აჩვენა და სანგრებს მოაშურა, მაშინ თვითონ ლუკულუსი მახვილამოწვდილი გადაეშვა ძირს და საზარელი ხმით დაუღრიალა გამოქცეულებს: ახლავე მობრუნდით და უკან მომყევითო.

მან სასწრაფოდ შეუტია პონტოელებს. შერცხვენილი და სარდლის სიმამაცით გამხნევებული რომაელები კვლავ მიუბრუნდნენ მოწინააღმდეგეებს. ახლა პონტოელებმა იბრუნეს პირი და დასტოვეს ბრძოლის ველი. ბანაკში გამარჯვებით დაბრუნებულმა ლუკულუსმა ფრონტიდან გამოქცეული მეომრები მთელი არმიის წინაშე გამოიყვანა და შეარცხვინა. მაგრამ ესეც არ აკმარა. მისი ბრძანებით მათ ჩააცვეს ქალის კაბები და დანარჩენ მეომართა თანდასწრებით ხუთი ვეტერის სიმაღლე სანგრები ათხრევინეს.

მეორე შეტაკება პონტოელთა სასარგებლოდ დამთავრდა. შეჯახების პირველ წუთებში პონტოელები შედრკნენ და უკუიქცნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს „მითრიდატე გამოვიდა თავისი გამაგრებული ბანაკიდან, საყვედურებით აიძულა ისინი უკანვე დაბრუნებულიყვნენ და რომაელებს ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ ისინი ზევით, მთებში გაიქცნენ, ვეღარ გრძნობდნენ რა, რომ მტრები შორს დარჩნენ ძირს, არამედ თვითეული ფიქრობდა, რომ ის, ვინც მას-

თან ერთად გარბოდა, ან უკან მისდევდა, მტერი იყო; ასე ძალიან იყვნენ ისინი შეშინებული“.

სანამ მოწინააღმდეგენი ასეთი პატარა შეტაკებებით ერთი-მეორეს კენწლავდნენ და გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას ვერ ბედავდნენ, მეფესთან გამოცხადდა მის არმიაში მებრძოლი სკვითი, სახელად ოლთაკი, მამაცი, ახოვანი, ფიზიკურად მძლავრი მებრძოლი და თავმდაბალი, სასიამოვნო და ჭკვიანად მოლაპარაკე კაცი. მან სთხოვა მეფეს, გაეშვა ის რომაელთა ბანაკში ლუკულუსის მოსაკლავად; თან ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის პროექტი გააცნო მას. მითრიდატემ ძალიან მოიწონა ეს გაბედული აზრი... ოლთაკს რომაელებიც კარგად იცნობდნენ, როგორც უშიშარ მებრძოლსა და მეფის ჭკვიან მრჩეველს, და აი, ერთ დღეს რომაელთა ბანაკში ხმა დაირხა, რომ ოლთაკსა და მითრიდატეს განხეთქილება მოსვლიათ, რასაც უმოკლეს დროში შესაძლოა ოლთაკის სიკვდილიც მოჰყვესო. ასეთი ხმები დადიოდა მოწინააღმდეგეთა ორივე ბანაკებში, რომ უცებ მითრიდატესაგან „შეურაცხყოფილი“ და გამოქცეული სკვითი რომაელთა ბანაკში გამოცხადდა და „მორჩილება“ გამოუცხადა მათ. ოლთაკმა თავისი მომხიბლავი ყოფაქცევითა და მოხდენილი სიტყვა-პასუხით სულ მოკლე დროში ლუკულუსის სრული ნდობა დაიმსახურა. სარდალი მას უფლებას აძლევდა მასთან ერთად ესადილნა და მონაწილეობა მიეღო სამხედრო თათბირებში. ერთ დღეს, შუადღისას, როცა ლუკულუსს თავის კარავში ეძინა, ოლთაკმა დრო ხელსაყრელად ჩასთვალა და სარდლის კარავს მიადგა. კარებში ჩვეულებრივად გუშაგი იდგა და სდარაჯობდა მძინარე სარდლის სიცოცხლეს. ოლთაკმა მოითხოვა, გაეშვა ის მასთან, მაგრამ გუშაგმა უარით უპასუხა. ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, რომ მისი გადადება არ შეიძლება და აუცილებლად უნდა შემიშვა კარავშიო, — თავისას არ იშლიდა სკვითი. მაგრამ გაჯავრებულმა გუშაგმა მას მიაყვირა, რომ ლუკულუსისათვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მოსვენება და მისი ჯანმრთელობაა. იმედგაცრუებული ოლთაკი გამობრუნდა უკან. მაგრამ რა უნდა ეთქვა მას ლუკულუსისათვის, როცა ეს გამოიღვიძებდა და უდროვო დროს მისვლის მიზეზს ჰკითხავდა? ის კი არა და, ოლთაკის უცნაურმა ვიზიტმა იმ წუთებშივე გამოიწვია ეჭვები რომაელთა შორის, ამიტომ გაწბილებული სკვითი იძულებული შეიქნა თავისი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა. ის სასწრაფოდ მოახტა ცხენს, რომელიც წინასწარ გამზადებული ჰყავდა მახლობელ ბუჩქ-

ნარში, და სრულიად იმედგაცრუებულმა გაქუსლა მითრიდატეს ბანაკისაკენ...

ლუკულსი მოუთმენლად მოელოდა სურსათს, რომლისთვისაც მას კაპადოკიაში გაგზავნილი ჰყავდა თავისი ლეგატები, სორნაციუსი და მარკუს ფაბიუს ადრიანე. კიზიკთან შიმშილით მწარედ დატანჯულმა მითრიდატემ კარგად იცოდა, რომ მთაზედ დაბანაკებულ რომაელთა ბანაკისაკენ შიმშილი ნელნელა მიიპარებოდა. ამიტომ პირველ რიგში მას უნდა ეზრუნა, როგორმე ჩაეშალა მტრის სურსათით მომარაგების საქმე; დაებრკოლებინა კაპადოკიიდან მომავალი სურსათის წასვლა რომაელთა ბანაკისაკენ. ამ მიზნით მითრიდატემ თავის სარდალს, მენანდრეს ჩააბარა 4.000 ქვეითი და 2.000 ცხენოსანი; გაგზავნა ისინი ჩასასაფრებლად და რომაელებისათვის აღალის წასართმევად.

როცა კაპადოკიიდან მომავალი მძიმედ დატვირთული აღალი გამოჩნდა, რომელსაც თან მოსდევდა რომაელთა 10 კოჰორტა სორნაციუსის სარდლობით, მენანდრემ მტრის მოწინავე რაზმებსაც კი აღარ აცალა ფართო ველზე გამოსვლა, ისე შეუხტა მათ ვიწროებსა და ღრანტეებში თავისი, ურთიერთშორის არეული ცხენოსნებითა და ქვეითებით.

მენანდრეს ასეთი მოუთმენლობა და წინდაუხედავობა პონტოელთა საშინელი მარცხის მიზეზი შეიქნა. პონტოელთა კავალერია, რომელსაც იქვე მახლობლად მდებარე ფართო ველზე ადვილად შეეძლო დაემარცხებინა შორი გზიდან მომავალი რომაული კოჰორტები; ვიწროებსა და დახრამულ ადგილებში სრულიად უსარგებლო და თვით პონტოელი ქვეითებისათვის დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი გახდა. ამის წყალობით რომაელებმა თავისი მოწინააღმდეგენი სასტიკად დაამარცხეს. ბევრი მათგანი დახოცეს ან ტყეებში გაჰფანტეს.

მალე გამოჩნდა ადრიანეც აღალის მეორე წყებითა და მისი დამცველი რაზმებით. მათ მითრიდატეს ახალი რაზმები გადაეღობნენ წინ მენემახოსისა და მირონას სარდლობით. მაგრამ ამ უკანასკნელთა უნიჭო მოქმედებამ მითრიდატეს ეს იმედებიც სამარეს მიაბარა.

ამგვარად, სურსათისათვის წარმოებული ბრძოლის შედეგი პონტოელთათვის მეტად სავალალო შეიქნა; იმათგან მხოლოდ მცირე რიცხვმა მიაღწია ქაბეირასთან დაბანაკებულ თანამოძმეებამდე.

მითრიდატე შეძრწუნდა, როცა სიკვდილს გადარჩენილებმა მას ასეთი საშინელი ამბავი მიუტანეს. ის ხედავდა, როგორი ზეიმით

მიიმართებოდნენ სურსათით დატვირთული და გამარჯვებით დამთვრალი რომაელები თავიანთი ბანაკისაკენ.

ამ საშინელმა ამბავმა პონტოელთა ბანაკში პანიკა წარმოშვა. მითრიდატემ ბრძოლა სრულიად წაგებულად სცნო და მებრძოლთაგან იდუმალ თავის ახლობლებს მოესაუბრა ბანაკის დატოვებისა და გაქცევის შესახებ. ღამით, ბანაკიდან გასასვლელ კართან მეფისა და მისი ახლობლების განძეულობამ და ბარგიბარხანამ მოიყარა თავი. ჯარისკაცებში ხმა გავრცელდა, რომ რაღაც საშინელი ამბავი ხდება, რაც მათ არ იციან, რადგან მეფე და მისიანები გასაქცევად ემზადებიან. ნიაღვარივით მიაწყდა კარებს მეომართა ბრბოები; ისინი ყურს აღარ უგდებდნენ მეთაურთა ბრძანებებს, მოწოდებებს; ანგრევდნენ ბანაკის ზღუდეებს და უგზოუკვლოდ სადღაც გარბოდნენ. ისინი ფეხით თელავდნენ ერთიმეორეს და რაიმე ძვირფასი საგნების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთის სიცოცხლესაც არ ინდობდნენ. ვიღაცამ ძვირფასი ძოწეულის წამოსასხამისათვის ხანჯალი დასცა სარდალ დორილაოსს და სასიკვდილოდ დასჭრა ის; მეომრებმა ფეხით გასთელეს ქურუმი ერმაიოსი. მითრიდატემ კარებში ჩადგომა დასიტყვის წარმოთქმა სცადა, რომ როგორმე წესრიგში ჩაეყენებინა საშინელი პანიკით მოცული არმია, მაგრამ მან ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო; მეომართა მოწოლილმა ტალღებმა ის ძირს დასცეს და ფეხით გასთელეს. მითრიდატეს სიკვდილი არ ასცდებოდა, რომ მისი ასეთი მდგომარეობა არ შეენიშნა იქვე მდგომ საჭურის პტოლემაიოსს, რომელმაც სასწრაფოდ მიჰგვარა მას საკუთარი ცხენი. მითრიდატე მოახტა ცხენს და მცირერიცხოვანი ამალით გაქუსლა.

ამ დროს გამოჩნდა ლუკულუსიც მთელი თავისი ძალებით. იგი მეტად გახარებული იყო ჯერ სურსათის მიღებით, ბრწყინვალე ეამარჯვებითა და ახლა მტრის ასეთი უთავბოლო და თითქმის უმიზეზოდ გაქცევით. მან დაუყოვნებლივ დაადევნა გაქცეულ მეფეს გალატებისაგან შემდგარი მსუბუქი კავალერია, რომელსაც სათავეში უდგა მარკუს პომპეიუსი; თვითონ ლუკულუსმა მტრის ბანაკსა და ქალაქს ალყა შემოარტყა და იარაღის დაყრა მოითხოვა. მან წინასწარ გასცა ბრძანება, ძარცვისაგან ჯერჯერობით თავი შეეკავებინათ და ხელი მიეყოთ ადამიანთა დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტისათვის. მაგრამ როცა რომაელები ბანაკში და ქალაქში შეიჭრნენ, ვეღარ მოითმინეს და, სარდლის ბრძანების მიუხედავად, ხელი მიჰყვეს ძვირფასი ჭურჭლეულის, ტანსაცმლის და სხვა უამრავი საგნების დატაცებას. ლუკულუსს ბრძანება ჰქონდა გაცემული, არ მოეკლათ მეფის მესაიდუმლე კალისტრატე, რომლის ნახვა და დაკითხვა ძალიან აინტერესებდა

მას. მაგრამ კალისტრატე დაღუპა იმ 500-მა ოქრომ, რომელიც მას მძარცველებმა სარტყელში უპოვეს. მას ოქროები წაართვეს და ხანჯლით დაჰკლეს. სამაგიეროდ ისინი ლუკულუსის ბრძანების მეორე მხარეს პირნათლად და გადაჭარბებით ასრულებდნენ: უმოწყალოდ ღვრიდნენ უდანაშაულო ადამიანთა, ქალთა, მოხუცთა და ბავშვთა სისხლს.

სიმდიდრისადმი რომაელების გაუმაძღარმა სიყვარულმა მითრიდატეს სიცოცხლე უეჭველი დაღუპვისაგან იხსნა. ის იყო, რომაელი მხედრები წამოეწივნენ მეფის დაღლილ-დაქანცულ ცხენს, რომ ამ დროს მდევრებსა და დევნილს შორის მეფის მეჯინიბემ ბანაკიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჯორი ჩამოაყენა. ვიღას ახსოვდა მითრიდატე! ვიღას ახსოვდა, რომ ერთი წუთიც და რომაელთა ამდენი ხნის მძვინვარე მტერი მათ ხელში იქნებოდა! არავის; მათთვის ოქრო-ვერცხლის ბრწყინვასთან და ჩხრიალთან არაფერი მოსატანი იყო დევნილი მეფის შეპყრობა. მდევრები გამხეცებულნი მივარდნენ მითრიდატეს მხსნელ საპალნეს და დაიწყეს მისი დატაცება.

ამასობაში მეფემ შორს ჩამოიტოვა ისინი და მალე მიაღწია კომანას, ხოლო იქედან სასწრაფოდ გადაიხვეწა სომხეთისაკენ...

ლუკულუსმა და მისმა ლაშქარმა მითრიდატეს ბანაკისა და ქაბეირას დაპყრობით უამრავი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ამას გარდა რომაელებმა ქალაქის ჯურღმულებში იპოვნეს მეფის ნათესავები და ახლობელი პირები; მათ შორის მისი ერთერთი და, სახელად ნისსა. აქვე გამოირკვა, რომ მითრიდატეს ბევრი უახლოესი ნათესავი და მეგობარი ქ. ფარნაკეაში იყო დამწყვდეული. მათ შორის იყვნენ მეფის ორი ცოლი, ბერენიკე და ჩვენთვის უკვე ცნობილი მონიმე, ორი და, როქსანა და სტატირა, სიდედრი (ბერენიკეს დედა) და სხვები. მითრიდატემ ქაბეირადან გაქცევის წინ მათთან გაგზავნა თავისი ერთგული საჭურისი ბაკხიდე და დაავალა, დაეხოცა ყველა ისინი, რათა რომაელებს არ ჩავარდნოდნენ ტყვედ. ბაკხიდე ჩავიდა ფარნაკეაში და დამწყვდეულ მეფის ნათესავებს წინადადება მისცა მის თვალისწინ დაუყოვნებლივ მოეკლათ თავი, ვისაც როგორი სიკვდილითაც სურდა. მონიმემ მოიხსნა დედოფლის დიადემა, რომელიც ერთ დროს მითრიდატემ თავისი ხელით დაახურა თავზე, და სცადა მით ჩამოეხრჩო თავი. მაგრამ დიადემა გაწყდა და მონიმემ ფურთხით და ზიზღით გადააგდო ის: „ოჰ, ძონძო! შენ ჩემთვის ამისთვისაც გამოუსადეგარი ხარ!“ ამ სიტყვების შემდეგ მან სიცოცხლის მოსასწრაფებლად თავი მიანდო ბაკხიდეს, რომელმაც საკუთარი

ხელებით დაახრჩო იგი. ბერენიკემ და დედამისმა საწამლავი დალიეს. მოხუცი ქალი მალე გარდაიცვალა, მაგრამ ბერენიკე მანამ იტანჯა, სანამ იმასაც საჭურისმა არ მოუღო ბოლო. ასევე საწამლავით სავსე თასები დასცალეს მითრიდატეს დებმა, როქსანამ და სტატირამ. როქსანა სიკვდილის საშინელ წუთებში ლანძღავდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის გულქვა ძმას, ხოლო სტატირა აქებდა მას, რომ ასეთ მძიმე დღეებშიც კი არ დაივიწყა ისინი მითრიდატემ, რომელმაც იზრუნა იმისათვის, რათა რომაელებს ხელთ არ ჩაეგდოთ და არ შეებღალათ სახელოვანი პონტოს მეფის სახლობა.

მითრიდატეს ასეთმა სისასტიკემ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მის ერთგულთა და მომხრეთა შორის, რადგანაც მათაც ეშინოდათ, რომ ანალოგიური ბედისწერის მსხვერპლნი გახდებოდნენ. ამიტომ „ამის მნახველმა მითრიდატეს გარნიზონების უფროსებმა მასიურად იწყეს ლუკულუსის მხარეზე გადასვლა, ზოგიერთების გამონაკლისით". რა თქმა უნდა, მითრიდატეს მოღალატეთა უმრავლესობას ადგილობრივი წარჩინებულები და მოხელეები შეადგენდნენ. ისინი, მითრიდატეს რადიკალური ღონისძიებებით დამფრთხალნი, სიამოვნებით უღებდნენ კარს მტერს.

რომაელებმა, რომლებიც განაგრძობდნენ მითრიდატეს დევნას, მიაღწიეს კომანას, მაგრამ მეფეს ვერც აქ მოახელეს. ბოლოს ისინი მივიდნენ პონტოს უკიდურეს პუნქტში ტალავრაში. აქ მათ შეიტყვეს, რომ მითრიდატე 2.000 მხედრის თანხლებით, რომაელთა მოსვლამდე ოთხი დღით ადრე, გაიქცა სომხეთში...

• •

ლუკულუსი ახალი მძლავრი მონარქიის საზღვრების წინაშე იდგა. იმ საზღვრებს იქეთ მიიმალა რომაელთა დაუძინებელი მტერი. მთავარსარდლის წინაშე ახალი დიდი ომის პერსპექტივა წამოიჭრა. როგორ უნდა მოქცეულიყო ის? შეჩერებულიყო აქ, თავი მიენებებინა მითრიდატეს დევნისათვის და დაბრუნებულიყო უკან, თუ განეგრძო სახიფათო გზა უცხო ქვეყანაში, სადაც მრისხანე და ძლიერი მეფე მბრძანებლობდა? თუ ამ უკანასკნელ გზას აირჩევდა, რაშინ დიდი ომის წინდიც უნდა მიეღო. ჰქონდა, თუ არა ამის სურვილი ლუკულუსს? წყაროებიდან ჩანს, რომ პირველ ხანებში, სანამ მითრიდატეს არმია, კიზიკთან და ზღვებზე მომხდარი კატასტროფების მიუხედავად, ჯერ კიდევ რომაელებს შიშის ზარს ჰგვრიდა, სანამ ქაბეირას ხოცვა-ჟლეტა მოხდებოდა, ლუკულუსს აზრადაც არ მოს-

დიოდა სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობა; პირიქით, მას აშინებს ის, რომ ვაითუ მითრიდატემ დაიყოლია ტიგრანი, და შეერთდნენ ისინი; ლუკულუსმა იცის, მეტისმეტად საშიშია პონტოს იქეთ, შორს ამიერკავკასიისაკენ ლაშქრობა. აი, როგორ მიმართავს ის თავის მეომრებს: „ვერა ხედავთ მის (მითრიდატეს, ლ. ს.) უკან უსაზღვრო, თვალუწვდენელი უდაბნოა; მის ახლოს კავკასიაა, მრავალი და შორს გადაჭიმული მთები, რომელთაც შეუძლიათ შეიფარონ და დამალონ ათასობით ბრძოლებიდან გაქცეული მეფენი; ქაბეირადან სომხეთამდე გზა შორს არ არის; და ამ სახელმწიფოს ფლობს ტიგრანი, მეფეთა მეფე, დიდი სიძლიერის მქონე, რითაც პართიელებს სწყვეტს აზიისაგან, ბერძნულ ქალაქებს მიდიაში ასახლებს, ფლობს სირიას და პალესტინას, ელეტს სელევკიდ მეფეებს, მათი ცოლები და შვილები ტყვეებად მიჰყავს“... და ასე საშინლად ესახება და უსახავს მებრძოლებს მამაცი ლუკულუსი სომხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში ლაშქრობას.

მაგრამ აი, ახლა ლუკულუსი სულ სხვანაირად მსჯელობს, რის საფუძველიც მას აქვს. ამჟამად მითრიდატეს სამფლობელოები მის ხელშია; მეფე განდევნილია; პონტოს დამოუკიდებელი სამეფო აღარ არსებობს; მთელი ეს ტერიტორია (ჯერჯერობით ზღვის სანაპირო ქალაქთა გამოკლებით) და მცირე სომხეთიც მის მახვილს ემორჩილება; ქაბეირას ხოცვა-ელეტის შემდეგ აღარ არსებობს პონტოს ძლიერი არმია; პონტოს ტერიტორიაზე, შიშისმომგვრელი კავალერიისაგანაც აღარაფერია გადარჩენილი; უკანასკნელი 2.000 პონტოელი მხედარიც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი მეფის უკუღმართი ბედის მონაწილენი არიან; თვით ადგილობრივი სოციალური ზედაფენის წარმომადგენლებიც ხომ რომაელი მთავარსარდლის საბრძოლო დროშის ქვეშ დგანან.

და, აი, ყველა ეს პირობები ხელთ უპყრია ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსს, პატივის, დიდების, სიმდიდრისა და ანგარების უაღრესად დიდ თაყვანისმცემელს, ასეთივე მისწრაფებების ყურმოჭრილი ყმის, კორნელიუს სულას მოწაფეს, ამაყსა და ქედმაღალ არისტოკრატს... ლუკულუსმა გადასწყვიტა განეგრძო ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ საჭირო იყო ამ ლაშქრობასაც რაიმე საბაბით გამართლება ჰქონოდა. ასეთ საბაბად გამოდგებოდა საკითხი თვითონ მითრიდატეს შესახებ, რომელიც თავს აფარებდა სომხეთის მეფეს. თუკი ტიგრანი დათანხმდებოდა და თავის სიმამრს რომაელებს გადასცემდა, ე. ი. თუ ის უკან დახევდა და ამით ომის დაწყების საბაბს არ მისცემდა, ესეც ხომ დიდებული მიზნის მიღწევა იქნე-

ბოდა პატივმოყვარე ლუკულუსისათვის: აღმოსავლეთის ომებით განაწამები რომი ზეიმით შეხვდებოდა ქალაქში ტრიუმფით შემავალ სარდალს, რომელსაც წინ გაუძღვებოდა ხელფეხშეკრული ძვირფასი ტყვე... ხოლო, რაც შეეხება ტიგრანის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას, საამისოდ ყოველთვის შეიძლებოდა სხვა საბაბის გამონახვა; ამისათვის, სხვა თუ არაფერი, ისიც კმაროდა, რომ სომხეთის მეფეს თავის ქვეყანაში მრავლად ჰყავდა გადასახლებული ხალხი აზიის იმ ქვეყნებიდან, სადაც ახლა რომის ძალაუფლება პარპაშობდა; რომი ხომ ყოველთვის „დაჩაგრულთა მფარველობას" ჩემულობდა და ახლაც შეეძლო ტიგრანისათვის მოეთხოვა იმ ხალხის უკანვე დაბრუნება, რომლითაც სომხეთის მეფე ასახლებდა და აშენებდა ახალ დიად ქალაქს, ტიგრანოკერტს. მსგავსი საბაბის გამონახვას ლუკულუსი ყოველთვის შესძლებდა...

რომაელი სარდალი გამოსაზამთრებლად (72-71) ქაბეირაში დაბანაკდა და მითრიდატეს გაცემის მოთხოვნისათვის ტიგრანთან გასაგზავნ ელჩად შეარჩია თავისი ცოლის ძმა აპიუს კლავდიუსი. კლავდიუსი რომაელ ოფიცერთა შორის გამოირჩეოდა თავისი თავხედობითა და უზრდელი ყოფაქცევით. ლუკულუსმაც, ალბად, ამიტომ შეარჩია ასეთი კაცი, რომ მას სომხეთის სასახლის კარზე თავდაუპერელი, თავხედი და მეტიჩრული ყოფაქცევით ამაყი და გულზვიადი ტიგრანის გულისწყრომა გამოეწვია, რასაც შეიძლებოდა ომიც ადვილად მოჰყოლოდა...

ამ დროს მითრიდატე სომხეთის ერთ-ერთ მივარდნილ პროვინციაში იმყოფებოდა. ტიგრანმა ბრძანება გასცა, მისი დევნილი სიმამრისათვის მეფური პატივი ეცათ და თან მცველი ამალაც დაენიშნათ, მაგრამ მის პირად მიღებაზე უარი განაცხადა.

როცა ლუკულუსის ელჩი აპიუს კლავდიუსი სომხეთის სამფლობელოებში შევიდა, ამ დროს ტიგრანი ნაკლებად ფიქრობდა რომაელთა ზრახვებზე და ფინიკიის ქალაქების დაპყრობით იყო გართული. მისი სიფხიზლის მოდუნება რომაელ ელჩს საშუალებას აძლევდა კარგად დაეთვალიერებინა უცხო ქვეყნის ყოველი კუთხე, გეოგრაფიული გარემო, გზები და ქალაქთა ადგილმდებარეობანი. რაც ამის საფუძველზე მომავალი ომისათვის საჭირო ცნობები ჩაეტანა თავისი ხელისუფალისათვის.

ეს იმასაც კი ცდილობდა, გზადაგზა აგიტაცია ჩაეტარებინა ტიგრანის დამორჩილებულ ქვეყნებში და აემხედრებინა ისინი თავიანთი მბრძანებლის წინააღმდეგ. მართლაც, აპიუსმა მოახერხა რომაელთა მხარეზე გადმოებირებინა ტიგრანის ბატონობით უკმაყო-

ფილო ზოგიერთი მთავარი, მაგალითად, პატარა ოლქის, გორდიენის მეფე, ზარბიენი. მას და სხვა ზოგიერთ უკმაყოფილო ქალაქებს აპიუსმა პირობა მისცათ, რომ დრომდე დაიცადეთ, წყნარად იყავით, მალე შემოვიკრებით და გიხსნით სომეხთა ძალმომრეობისაგანო.

სომხეთის სასახლის კარზე აპიუს კლავდიუსის აუდიენციის შესახებ პლუტარქე შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როგორც კი სიტყვა აპიუსს მიეცა. მან ტიგრანს პირდაპირ განუცხადა, რომ მისი მოსვლის მიზანია მითრიდატეს გადაცემის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა ლუკულუსის ტრიუმფისათვის; ხოლო უარის შემთხვევაში, მას რწმუნება აქვს გამოუცხადოს ტიგრანს ომი. თუმცა ტიგრანი ცდილობდა დამშვიდებული სახითა და მოჩვენებითი ღიმილით მოესმინა მისთვის, მაგრამ მან ვერ შესძლო მის ირგვლივ მყოფთაგან დაემალა მის სახეზე მომხდარი ცვლილებები, რაც მასზე მოახდინა ახალგაზრდა აპიუსის გაბედულმა სიტყვებმა. ოცდახუთი წლის განმავლობაში—სწორედ ამდენი წელი მეფობდა ის—მას პირველად ესმოდა თავისუფალი სიტყვა. მან აპიუსს უპასუხა, რომ არ გასცემს მითრიდატეს და დაიცავს თავს, თუკი რომაელები ომს დაიწყებენ. განაწყენებულმა იმით, რომ ლუკულუსმა წერილში მას მისცა ტიტული უბრალოდ „მეფისა“ და არა „მეფეთა მეფისა“, მან. თავის პასუხში, არ უწოდა მას „იმპერატორი“. მან აპიუსს გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები, მაგრამ როცა უკანასკნელმა უარი განაცხადა მიეღო ისინი, კიდევ დაუმატა მათ. ამის შემდეგ აპიუსმა, რომელსაც არ სურდა, რომ მისთვის ეს მტრობად ჩამოერთმიათ, აიღო ერთი თაბაში, დანარჩენები კი გაგზავნა უკანვე და სწრაფად დაბრუნდა თავის მბრძანებელთან“.

მაშასადამე, ტიგრანმა უარი განაცხადა მითრიდატეს გაცემაზე და საამისოდ საკმაოდ გასამართლებელი სიტყვაც დააბარა ლუკულუსის ელჩს: მეც ძალიან კარგად ვიცი მითრიდატე ცუდად იქცეოდა, მაგრამ მე მაინც ვერ გავსცემ ჩემს სიმამრს; რას იტყვიან ჩემი ნათესავები და ახლობლები, რომ ასე უსირცხვილოდ ვუღალატო ჩემი მეუღლის მამასო.

ამგვარად, სომხეთთან ომის საბაბიც გამონახული იქნა და 71 წლისათვის (ძვ. წ.), პონტოს მეფის დიდი მარცხის მეორე დღეს, აღმოსავლეთში ახალი დიდი ომის აჩრდილი წამოიმართა. ტიგრანმა ალღო ვერ აუღო აღმოსავლეთში უკვე მის მეზობლად მოთარეშე რომაელთა ვერაგულ პოლიტიკას. ის სულ უფრო და უფრო მიიწევდა წინ ხმელთაშუა ზღვისაკენ და ვერ ხედავდა, რომ ამით რომის ყველაზე უფრო საშიშ ნერვს აღიზიანებდა. არ ფიქრობდა, რომ ამ გა-

ლიზიანებას მის წინააღმდეგ ძლიერი შეტევა მოჰყვებოდა და ვერც იმას ითვალისწინებდა, რომ საჭირო იყო მზადყოფნა, რათა მასაც ისეთივე ბედი არ სწვეოდა, როგორიც ეწვიათ აღმოსავლეთში ბატონობის მის წინამორბედ პრეტედენტებს, ანტიოქე III-ს, ფილიპე V-ს, პერსეოსს და ბოლოს იმას, ვინც ახლა მის კალთას აფარებდა თავს — მითრიდატე ევპატორს. ვერ გრძნობდა, რომ მისი რიგიც დგებოდა...

ლუკულუსმა სომხეთთან ომის დაწყებამდე გადასწყვიტა, დაეჩქარებინა პონტოს გაძალიანებული ქალაქების დამორჩილება. ის 71 წლის დამდეგისთანავე (ძვ. წ.), ისე რომ არც დაუცდია სომხეთიდან პასუხისათვის, ქაბეირადან დაიძრა მითრიდატეს ერთგული ქალაქებისაკენ.

ლუკულუსი უპირველესად მიადგა ამისოსს, სადაც მან მითრიდატეს დადევნების წინ ალყის გასაგრძელებლად დატოვა ლუციუს ჰურენა ორი ლეგიონით. მთავარსარდალმა ნახა, რომ ქალაქის აღებისათვის მისი ლეგატის ყოველგვარ ცდას ფუჭად ჩაუვლია და ალყაც უკანასკნელ ხანებში უბრძოლველად გრძელდებოდა. ქალაქის სტრატეგოსი კალიმახე, რომელიც სომარ მანქანებისა და საბრძოლო ხერხების შესანიშნავ ოსტატად ითვლებოდა, ქალაქის დაცვას საუკეთესოდ ხელმძღვანელობდა. მოსახლეობის თავგანწირულება ქალაქის კედლებს ძალას მატებდა და რომაელთა ყოველ შეტევას არარად აქცევდა. ლუკულუსმა ქალაქის მოსახლეობას სიტყვით მიმართა და ამის საშუალებით სცადა „გონზე მოეყვანა“ ისინი, მაგრამ ვერც ამით გახდა რაიმეს. მაშინ მთავარსარდალმა სინოპიდან ძირითადი ძალები მოხსნა და უეცრად თავს დაესხა ევპატორიას, მითრიდატეს საპატივცემულოდ და მის სარეზიდენციოდ აგებულ ქალაქს.

ევპატორიამ მოიგერია რომაელთა პირველი იერიშები. მაშინ ლუკულუსმა ხერხს მიმართა: თითქოს აღარ იყო ქალაქის ალყით დაინტერესებული და მოჩვენებით დაიწყო უკანდახევა; ამით ქალაქის დამცველთა ყურადღება მოადუნა და სრულიად მოულოდნელად მოაწყო იერიში. რომაელებმა ისარგებლეს გუშაგთა დაუდევრობით, სწრაფად მიადგეს საიერიშო კიბეები კედლებზე და ქალაქში ჩაცოცდნენ. ევპატორია გაძარცვეს და საძირკვლამდე დაანგრიეს.

ამის შემდეგ ლუკულუსი ისევ მიუბრუნდა ამისოსს. თითქმის იმავე წესით დაეუფლა ის ქალაქის კედლებს. კალიმახემ ბრძოლა წაგებულად ჩასთვალა და ბრძანა ქალაქისათვის ცეცხლი გაეჩინათ, რათა ის ცოცხლად არ ჩავარდნოდა ხელში მტერს, თვითონ კი თავისი ამალით ხომალდში ჩაჯდა და ქალაქს გაშორდა. ლუკულუსმა

სცადა შეეჩერებინა ძარცვა და ბრძანა ხანძრის ჩაქრობა, მაგრამ ჯარისკაცები იარაღის ელარუნითა და ღრიალით მოითხოვდნენ ძარცვა-გლეჯის ნებართვას. ლუკულუსი დათანხმდა. დაიწყო ქალაქის ბარბაროსული ძარცვა და ნგრევა; გამხეცებული მეომრები არავის ინდობდნენ, შეუბრალებლად ხოცავდნენ ყველას, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს; ისედაც ალმოდებული ქალაქის დაღუპვას კიდევ უფრო აჩქარებდნენ იმით, რომ სახლებში ნივთების მოსაძებნად და დასატაცებლად ანთებული მაშხალები შეჰქონდათ, ანთებულსვე სტოვებდნენ იქვე და ამრიგად, ხანძრებს კიდევ უფრო აძლიერებდნენ. ქალაქის უდიდესი ნაწილი მთლიანად დაიფერფლა, ხოლო ნაწილი გადარჩა ამ დროს მოსული კოკისპირული წვიმის მეოხებით.

იმავე წელს რომაელებმა აიღეს ჰერაკლეა და სინოპი.

ჰერაკლეის დამორჩილება, როგორც ზემოთ ითქვა, დავალებული ჰქონდა ავრელიუს კოტას, რომელმაც აზიაში ყოფნის დროს ერთი სამხედრო ოპერაციაც ვერ მოიგო და ახლა ყოველნაირად ცდილობდა ჰერაკლეის აღებით მაინც ჩამოერეცხა ის სამარცხვინო ლაქა, რომლითაც წინა ბრძოლებში შეილახა მისი ავტორიტეტი. მაგრამ ის ჰერაკლეის კედლებთან ძალიან დიდხანს დარჩა. ვიცით, რომ მითრიდატეს ქალაქში დატოვებული ჰყავდა 4.000 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი. მაგრამ ქალაქის კედლებზე მოწოლილ რომაელებთან ბრძოლაში მითრიდატეს გარნიზონი მარტო არ იყო, არამედ მას მხარში უდგა მთელი მოსახლეობა. ამიტომ კოტას პირველსავე იერიშს რომაელთა მხრივ დიდი ზარალი მოჰყვა. მან ხელი აიღო ქალაქის იერიშებზე და ხმელეთიდან ალყა შემოარტყა მას. მაშინ მცხოვრებლებმა ორჯერ გაუგზავნეს დელეგაცია თავიანთ კოლონიებს, ხერსონესსა და თეოდოსიას, ყირიმში, და სურსათ-სანოვაგით დახმარება სთხოვეს. მართლაც ჰერაკლეაში მალე შევიდნენ სურსათით დატვირთული გემები. დამშეული მოსახლეობის დასაპურებლად ეს მარაგი მაინც დიდხანს ვერ იკმარებდა. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ გარნიზონის უფროსის, კონაკორიქსის ნებართვით მეომრები სცემდნენ მოქალაქეებს და ართმევდნენ ლუკმაპურს. ალყას მაინც შედეგი არ მოსდევდა, რადგან ქალაქში ზღვიდან გზა გახსნილი იყო და რაკი ბოსფორელები ჰერაკლელებისადმი დახმარებას არ იშურებდნენ, იქედან ყოველთვის შეიძლებოდა პროდუქტის მიღება. კოტამ გაუგზავნა კაცი ფლოტის უფროს ტრიარიუსს და სთხოვა, დაუყოვნებლივ წამოსულიყო და ზღვიდან ალყა შემოერტყა ქალაქისათვის. მართლაც ტრიარიუსმა, რომელმაც ცოტა ხნით

ადრე გაჰფანტა ესპანეთიდან მომავალი პონტოელთა ფლოტი, 43 გემით ჩაჰკეტა ქალაქი ზღვიდან.

ჰერაკლეაში შიმშილობა და შავი ჭირი გაჩნდა. მოსახლეობა ბუზივით იხოცებოდა. საშინელი ტანჯვა-წამებით გარდაიცვალა ლაბახი, რომელმაც ადრე მითრიდატეს ხელი შეუწყო ჰერაკლეის დაპყრობაში. კონაკორიქსის გარნიზონიდან 1000 მეომარმა განუტევა სული. სულიერად დაცემულმა კონაკორიქსმა გადაწყვიტა ჩაებარებინა ქალაქი. კოტას ის ვერაგ და დაუნდობელ ადამიანად თვლიდა და ამიტომ, მოსახლეობისაგან საიდუმლოდ, მოლაპარაკება გაართა ტრიარიუსთან. შუალამისას, ტრიარიუსის თანხმობით, კონაკორიქსმა თავისი სიკვდილს გადარჩენილი მეომრები ხომალდებში ჩასვა და უვნებლად გაშორდა ქალაქის სანაპიროებს. ამის შემდეგ, სპეციალურად განდობილმა კაცმა ტრიარიუსს კარები გაუღო, და მისი მეომრები შეიჭრნენ ქალაქში.

ტრიარიუსის მეომრებისაგან ჰერაკლეის აწიოკების შესახებ პლუტარქე ასე გადმოგვცემს: „მოქალაქეთაგან ერთნი ნებდებოდნენ, მეორენი იღუპებოდნენ. განძეულობა და ქონება იძარცვებოდა. მხეცური სისასტიკე დაატყდა თავს ხალხს... ისინი არ ინდობდნენ იმათაც, ვინც ტაძრებისაკენ გარბოდა, არამედ ხოცავდნენ მათ საკურთხევლებთანაც და ქანდაკებებთანაც. ამიტომ გარდაუვალი სიკვდილის შიშით ბევრი გარბოდა ქალაქის კედლებს გარეთ და იფანტებოდნენ ყველგან, საითაც მოუხდებოდათ“...

კოტამ ახლა შეიტყო, რომ ვერც აქ ისახელა თავი. აქაც ამდენი ხნის ტანჯვა-წამების ნაყოფი სხვამ წაიღო და კვლავ შერცხვენილ და თავლაფდასხმულ სარდლად რჩებოდა. ამიტომ მან როგორც კი შეიტყო ამბავი „ქალაქის აღებისა, ხალხის გაჟლეტისა და სიმდიდრის დატაცების შესახებ, აღინთო რისხვით და სწრაფად დაიძრა ქალაქისაკენ. მასთან ერთად აღელვებული იყო ჯარიც, რადგან მას წართმეული ჰქონდა არა მარტო გამარჯვების დიდება, არამედ ყოველგვარი სასარგებლო დოვლათი.“ ცოტა კიდევ და კოტასა და ტრიარიუსის მეომრები ნაძარცვის დასაკუთრებისათვის ერთიმეორეს დაერეოდნენ. მაგრამ აქ ტრიარიუსმა დაამშვიდა აღელვებული კოტა და მისი ლეგიონები, და მტაცებლები შერიგდნენ ფეხქვეშ გართხმული ქალაქის ნაალაფევის გაყოფაზე. მაგრამ კოტა მაინც ვერ ინელებდა, რომ ჰერაკლეის ძარცვაში მოცილე ჰყავდა. მალე მას საბედნიერო შემთხვევა მიეცა, მეტოქე თავიდან მოეშორებინა. მოვიდა ცნობა, რომ კონაკორიქსს ამასტრისი დაუპერია, კოტამ დრო იხელთა და ტრიარიუსი ამასტრისის დასაპყრობად გაგზავნა. ახლა

ის ჰერაკლეის ძარცვის სრული მონოპოლისტი გახდა. კოტამ თავის მძარცველობით და სისასტიკით ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბა. მას განუსაზღვრელ სიამოვნებას ჰგვრიდა იმათი წამება, ვინც შეეცდებოდა ერთი გროშიც კი დაემალა. ის თავისი ხელით ჩხრეკდა და ეძებდა ყველაფერს, რისი მოტაცებაც კი შეიძლებოდა. შედიოდა



სინოპი

ტაძრებში, ძარცვავდა მათ, ძირს ჰყრიდა ქანდაკებებს, აქოთებდა ყოველ ბნელ კუნჭულებს და ეძებდა, ეძებდა... ერთ-ერთი ტაძრიდან მან გამოიტანა ბერძენთა მითოლოგიური გმირის, ჰერაკლეს ქანდაკება და მისი შეიარაღების მთელი კომპლექტი: ბაჯაღლო ოქროს კომბალი, ოქროს მშვილდი და ოქროს კაპარჭი შიგ ჩალაგებული ოქროსვე ისრებით. უზარმაზარი ნაძარცვის გროვა კოტამ აიტანა სპეციალურ სატვირთო გემებზე და შემდეგ ბრძანება გასცა ცეცხლისათვის მიეცათ უკვე დაცალიერებული ქალაქი.

კოტამ, რაკი უზარმაზარი სიმდიდრე ხელთ იგდო, თავისი ამოცანა ამოწურულად ჩასთვალა, მან თავისი სარდლობის ქვეშ მყოფი ჯარებიდან ბითინიელები სახლში დააბრუნა, ხოლო დანარჩენები, რომაელი ლეგიონერები და ცხენოსნები გაუგზავნა ლუკულუსს, რომელიც ამ დროს მიეშურებოდა სინოპისაკენ. თვითონ კი ნაძარცვით მძიმედ დატვირთული გემებით გაეშურა იტალიისაკენ.

მაგრამ კოტას აღმოსავლურ ბედუკუღმართობას ბოლო მაინც არ ეღებოდა: როგორც კი ჰერაკლეის ნაპირებს გაშორდა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და მისი მძიმედ დატვირთული გემები უფსკრულისაკენ გააქანა. ამგვარად, აზიაში მკრეხელობით მისი მონაპოვარი, ზღვის ტალღებმა შთანთქეს და თვითონ სრულიად მარტოდმარტო დარჩენილმა, შერცხვენილმა და დაჩაგრულმა ძლივს მიაღწია იტალიის სანაპიროებს; „მატყლისათვის წავიდა და გაპარსული დაბრუნდა“.

ამასობაში ტრიარიუსმა ხელთ იგდო ამასტრისი.

პონტოს ზღვის სანაპირო ქალაქებიდან ჯერ კიდევ მედგრად იცავდა თავს პონტოელი არწივის ძველი ბუდე — ამაყი სინოპი... სინოპის დაცვის ხელმძღვანელობა მითრიდატესაგან დავალებული ჰქონდათ მის სტრატეგოსებს, ლეონიპეს, კლეოხარეს და სელევკოსს. სინოპელები მამაცურად ებრძოდნენ რომაელებს, განსაკუთრებით ზღვაზე. მალე სტრატეგოსებს შორის უთანხმოება მოხდა, რის შედეგად დაიღუპა ლეონიპე. სელევკოსი უცხოელი მეკობრე იყო და ხალხის ბედიღბლის ავკარგიანობაზე არ ფიქრობდა. ამიტომ იყო, რომ მან კლეოხარეს უთხრა: მოდი მოსახლეობა ამოვყლიტოთ და ქალაქი რომაელებს მივყიდოთო, მაგრამ კლეოხარე არ დაეთანხმა მას. ამავე დროს ორივე მათგანმა თავთავიანთი ქონებით გემები დატვირთეს და მითრიდატეს შვილთან, მახარესთან გაგზავნეს ყირიმში.

ამ დროს სინოპის კედლებთან გამოჩნდა ლუკულუსი, რომელმაც ამდენი ხნის ალყით თავმობეზრებულ და დაღლილ რომაელებს ახალი ენთუზიაზმისა და საბრძოლო ენერგიის სული შთაბერა. მან გააძლიერა ალყა და იერიშები. მაგრამ სინოპს, მისი შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის შეეძლო საარსებო საშუალებათა მიღება, თუკი ის ხმელეთს გარდა ზღვიდანაც სამი მხრით არ იქნებოდა შემოზღუდული (მდებარეობდა პატარა ნახევარკუნძულის ყელზე). სინოპს ყოველთვის შეეძლო თავის პორტებში შეეტანა ყირიმიდან წამოსული პური. ლუკულუსს იმოდენა ფლოტიც არ ჰყავდა, რომ ნახევარკუნძული მთლიანად ბლოკადაში მოექცია. მაგრამ მას აქაც ბედმა გაუღიმა.

სინოპის მცხოვრებთა სურსათ-სანოვაგითა და საომარი საჭურველით მომარაგების ერთადერთი იმედი ყირიმის ბოსფორი იყო და სანამ ბოსფორის მმართველი მახარე თავის მამას ერთგულებას უწევდა, მანამ სინოპიც შიმშილის მსხვერპლი არ გახდებოდა.

მაგრამ, როგორც კი მითრიდატეს ძლიერება უფსკრულისაკენ დაჰქანდა, მისმა მემკვიდრემ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება მამისადმი ღალატით სცადა. და იმ დროს, როცა ლუკულუსი საგონებელში იყო ჩავარდნილი, თუ რა გზით დაეჩოქებინა ამაყი სინოპი, მასთან გამოცხადდნენ მახარეს ელჩები. ელჩებმა ლუკულუსს მახარეს გამოგზავნილი ძვირფასი ოქროს გვირგვინი მიართვეს და თან ითხოვეს, ეცნოთ ის „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად". ამაზე უკეთესს, რასაკვირველია, რომაელი სარდალი ამჟამად ვერაფერს ინატრებდა; ის ვინც მას ხელს უშლიდა სინოპის დამორჩილების საქმეში, ახლა მის წინაშე ითხოვდა მეგობრობას და მოკავშირეობას. ლუკულუსმა ელჩები მეტად ტკბილად მიიღო და მათ თხოვნაზე უპასუხა, რომ კავშირი შაშინ იქნება მტკიცე, თუ მახარე სინოპელებს სურსათ-სანოვაგეს არ გაუგზავნისო. ელჩებმა აღუთქვეს ამ პირობის შესრულება და დაბრუნდნენ უკან. მართლაც, მალე ამის შემდეგ ყირიმში სინოპელთათვის პროდუქტებით დატვირთული ხომალდები ლუკულუსთან გამოცხადდნენ და მას ჩაბარდნენ. ამრიგად, სინოპს სულ მალე შიმშილით დაღუპვა მოელოდა. კლეოხარემ და მისმა ახლობლებმა მრავალი ძვირფასეულობითა და ქონებით დატვირთეს ხომალდები, ქალაქში ხანძარი გააჩაღეს და ჯარისკაცებს ნება დართეს ეძარცვათ ქალაქი რომაელთა მოსვლამდე. შემდეგ გემები, რომლებიც ქონების წასაღებად აღარ სჭირდებოდათ, დასწვეს და თვითონ გაეშურნენ კოლხეთისაკენ.

ლუკულუსმა, როგორც კი ხანძარი შენიშნა, იერიშის დაწყება ბრძანა. რომაელები შეიჭრნენ ქალაქში და ხელი მიჰყვეს თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას, ხალხის ‘ულეტასა და ძარცვას. რომაელებმა სინოპიც ძვლებამდე გააშიშვლეს და გაძარცვეს. თვითონ ლუკულუსმა მიითვისა ცნობილი ავტოლიკეს ძვირფასი ქანდაკება, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა სათაყვანო კერას წარმოადგენდა.

უკანასკნელად პონტოს ქალაქთაგან ლუკულუსმა დაიმორჩილა ამასია, მითრიდატეს სატახტო ქალაქი, რომელმაც მარტოდმარტო ბრძოლა უაზროდ ჩასთვალა და იარაღი დაჰყარა.

პონტოს ქალაქების დაპყრობის შემდეგ ლუკულუსს კიდევ ერთი ამოცანის გადაჭრა ესაჭიროებოდა, ურომლისოდაც სომხეთთან ომის დაწყება სახიფათო იქნებოდა. ეს ამოცანა მცირე აზიის მოსახლეობის ნდობის მოპოვებასა და ზურგის უშიშროების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა.

როგორც ზოგიერთი საისტორიო წყარო გადმოგვცემს, ლუკულლესი პონტოს ქალაქების დაპყრობის დროს ცდილობდა, რამდენიმედ მაინც შეენელებინა თავისი მეომრების მისწრაფება და წყურვილი ადგილობრივი მოსახლეობის ხოცვა-ყლეტვისა, ძარცვისა და ხგრევისაკენ. რომაელი მთავარსარდალი, ჯერ თავისი მხეცური ბუნებისა და შემდეგ გაშმაგებული ჯარისკაცების მოთხოვნის შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში ნებას აძლევდა და ხელს უწყობდა, რაც შეიძლება მეტი სისხლი დაეღვარათ, რაც შეიძლება მეტი ეძარცვათ, რაც შეიძლება მეტი დაენგრიათ. თვითონაც, როგორც ყველაზე დიდი მტაცებელი, ლომის წილს ისაკუთრებდა, რათა შემდეგ, იტალიაში დაბრუნებისას, აზიაში შეგროვილი ნაძარცვის მეოხებით დაეჩრდილა რომის, სიმდიდრით გათავხედებული ზედა ფენის ბრწყინვალე წარმომადგენლები. ხშირად ლუკულლუსს, ქალაქთა ნგრევითა და ხალხის განადგურებით გართულს მოაგონდებოდა, რომ ის პონტოს დაპყრობით აღმოსავლეთში ხანგრძლივ ომებს წერტილს არ უსვამდა, და ბრძანებას გასცემდა, ხალხისათვის ხელი არ ეხლოთ. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ როგორმე ხალხის გული მოეგო და შეენელებინა ის უსაზღვრო სიძულვილი, რომელსაც მათში რომაელის ხსნებაც კი იწვევდა. თუკი აზიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა რომაელების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისათვის მუდამ მზადყოფნაში იქნებოდა, მაშინ ლუკულლუსი ამიერკავკასიისაკენ გაჭრას ვერ გაბედავდა. ამიტომ საჭირო იყო, რომაელი სარდალი უბრალო აზიელისათვის უფრო ნაკლებად ბოროტი ყოფილიყო, ვიდრე ადგილობრივი მმართველი. ლუკულლუსმა მოისურვა, აზიის მოსახლეობისათვის ეჩვენებინა, რომ ყველა რომაელი ერთნაირი არაა, და „კეთილ" რომაელთა წარმომადგენლად თავის თავის გამოყვანა სცადა. ლუკულლუსს სასტიკად ეჯავრებოდა ფულადი არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც წურბელასავით სწოვდნენ სისხლს აზიის მოსახლეობას; ამით ისინი საერთოდ რომაელთადმი სიძულვილს იწვევდნენ და ამის ნიადაგზე ლუკულლუსი ვერ ბედავდა უფრო ღრმად შეჭრილიყო აზიაში. ლუკულლუსი უთუოდ დიდად ასიამოვნებდა ადგილობრივ მოსახლეობას, თუკი ის რომაელ ფინანსისტთა აღვირახსნილობას ალაგმავდა აღმოსავლეთში.

ამიტომ ლუკულლუსმა, როგორც კი პონტოს ქალაქების დაპყრობა დაამთავრა, ხელი მოჰკიდა რომაელი ფინანსისტების უფლებათა შეზღუდვას და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის რამდენიმედ შემსუბუქებას. კორნელიუს სულას მიერ აზიის მოსახლეობაზე 20.000 ტალანტის რაოდენობით დადებული კონტრიბუცია,

რომაელი ვაჭარ-მევახშეებისაგან აბსოლუტური ექსპლოატაციის წყალობით, მეტისმეტად გაიზარდა; მარტო ვახში 120.000 ტალანტს აღწევდა, ე. ი. აზიას ახლა 140.000 ტალანტი (= 2.100.000.000 მან. ოქრ.) უნდა გადაეხადა. მართლაც ამ დროის რომაელებმა გადააჭარ-



ამასია

ბეს „მევახშეობის დარგში ყოველივე იმას, რაც კი მათზე ადრე ან მათს შემდეგ ყოფილა“ *. ხალხი ყოველნაირ რეპრესირებასა და ტანჯვა-წამებას განიცდიდა ამ უზარმაზარი თანხის გადახდის შეუძლებლობის გამო. და, აი, ლუკულუსმა ვახში მთლიანად გააუქმა; გაათავისუფლა ყველა ყადაღადადებული ქონება და დაუბრუნა ისინი თავიანთ პატრონებს; გადასახადი დააწესა მიწის ნაკვეთის ერთი მეოთხედის მოსავლიდან და სხვა.

ამ ღონისძიებებმა, მართალია მხედართა წოდების წარმომადგენელთა გააფთრება გამოიწვია, მაგრამ ლუკულუსის გამარჯვებები ამ დროისათვის იმდენად დამატყვევებელი იყო, რომ რომში მის წინააღმდეგ მათი გამოსვლა ჯერჯერობით არავითარი შედეგის მომტანი არ იქნებოდა.

* ფ. ენგელსი, კ. მარქსი და ფ. ენგელსი; რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 358.

მეორეს მხრივ ლუკულუსმა ნაწილობრივ მიაღწია იმას, რაც განსაკუთრებით აინტერესებდა: მან აზიის მოსახლეობაში გარკვეული პატივისცემა დაიმსახურა. ახლა რომაული ექსპლოატაციისაგან განაწამებ მცხოვრებლებს შეეძლოთ რამდენიმედ მაინც გაევლოთ ზღვარი „რადიკალურ სიბოროტესა“ და „ზომიერ სიკეთეს“ შორის. უეჭველია, ლუკულუსის ეკონომიური ღონისძიებები წმინდა დემაგოგიურ ხასიათს ატარებდა. ამ დემაგოგიის წყალობით მან თავის მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწია. ჯერჯერობით ესეც ასე იყო.

ამგვარად, ლუკულუსს, მისი აზრით, ყველა პირობები ხელთ ჰქონდა, რომ თავისი განზრახვის განხორციელებას შესდგომოდა: დაეწყო ომი სომხეთის წინააღმდეგ.

ლუკულუსი, მის წინააღმდეგ რომში მხედართა წოდების გამოსვლის უგულვებელყოფის გარდა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ აქცევდა ყურადღებას, რაც შემდეგში მისი გრანდიოზული გეგმის კრახის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შეიქნა. საქმე იმაში იყო. რომ მთავარსარდალი სრულებითაც არ ფიქრობდა თავისი მეომრების სულიერ განწყობაზე. მისი ლეგიონერები და განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე სულასა, ფლაკუსისა და ფიმბრიას დროშის ქვეშ იბრძოდნენ, ამდენი გაუთავებელი მძიმე ბრძოლებით მეტისმეტად იყვნენ დაქანცული და დემორალიზებული. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ ლუკულუსი როგორც სასტიკი და ქედმაღალი სარდალი, მებრძოლებს არ უყვარდათ. ახლა ჯარისკაცები ჭრილობების მოშუშებასა და დასვენებას მოითხოვდნენ. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ელაშქრნათ ახალ მძლავრ, მამაცი ტომებით დასახლებულ და თოვლიანი მთებითა და სწრაფი მდინარეებით დასერილ ქვეყანაში.

მაგრამ ლუკულუსი ამაზე ფიქრით თავს არ იტკივებდა. 69 წლის გაზაფხულზე (ძვ. წ.) სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო.

• •

ლუკულუსმა დაპყრობილ პონტოში საგარნიზონო სამსახურისათვის დატოვა 6.000 მეომარი სორნაციუსის სარდლობით, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პონტოს შენარჩუნება და საერთოდ ზურგის უშიშროება. თვითონ ლუკულუსი 18.000 ლეგიონერით, 3.000 მხედრით და 1.000 მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცით, ე. ი. სულ 22.000 მეომრით შევიდა კაპადოკიაში, საიდანაც უნდა შეჭრილიყო სომხეთში.

ლუკულუსმა შორეულ ქვეყანაში ლაშქრობისათვის სურსათით ჰომარაგება კაპადოკიას დააკისრა. განსაკუთრებით ახლა სჭირდებოდა მას არიობარზანის დახმარება. რასაკვირველია, არიობარზანი, რომელიც მეტად დამფრთხალი იყო ძლიერი მეფეების ხშირი ჩამოქროლვისაგან, თავს არ დაიზოგავდა, მიხმარებოდა რომაელებს, რომლებიც თავისი საქმის გვერდით მის საქმესაც აკეთებდნენ. არიობარზანს სხვა მოვალეობაც დააკისრა ლუკულუსმა. გაზაფხულის პირი იდგა და დამდნარი თოვლისა და კოკისპირული წვიმებისაგან მდინარეები ძალზე იყო ადიდებული. წყალმრავლად მოედინებოდა ევფრატი, რომელიც კაპადოკიას ტიგრანის სამფლობელოთაგან საზღვრავდა. ლუკულუსს რაც შეიძლება მალე უნდა გადაელახა ევფრატი, რათა მოულოდნელად დასცემოდა ძლიერ მოწინააღმდეგეს და არ მიეცა მისთვის წელში გასწორების საშუალება. ამიტომ ლუკულუსის ბრძანებით, კაპადოკიაში გამზადებული იქნა ტივები და ნავები ევფრატის გადასალახავად.

ლუკულუსი მივიდა ევფრატთან, მაგრამ ნახა მდინარე იმდენად ადიდებული და აზვირთებული, რომ მისი გადალახვა ისე ოლად არ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ხანგრძლივი დროით დაცდა და უფრო მკვიდრი ნავებისა და ხიდების დამზადება. სარდალი ძალიან ნაწყენი შეიქნა. რადგან მტერზე მოულოდნელი თავდასხმა აღარ ხორციელდებოდა. მაგრამ ღამით წყალმა ისე დაიკლო, რომ მეორე დღის დამდეგს შეიძლებოდა მასზე გადასვლა. რომაელებმა მონახეს ფონი და გადალახეს მდინარე.

ლუკულუსი გადავიდა სომხეთის უკიდურეს დასავლეთ ოლქში, სოფენაში. პირველი ციხე-სიმაგრე, რომელიც მას აქ დახვდა, იყო ტომისა. ეს ქალაქი წინათ კაპადოკიას ეკუთვნოდა და შემდეგ 100 ტალანტის საფასურად შეუძენია ის სოფენის მმართველს. ეს ციხე-ქალაქი სომხეთიდან კაპადოკიაზე თავდასხმის მუდმივ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამიტომაც ლუკულუსმა არიობარზანის გული მეტისმეტად მოიგო, როცა მან ტომისა კაპადოკიას დაუბრუნა.

ლუკულუსს ყოველთვის ეშინოდა დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობის აღელვებისა და ახლაც ცდილობდა როგორმე მოეგო მოწინააღმდეგის თვითმპყრობელობის ქვეშ მყოფი ხალხის გული. ამიტომ მან ბრძანება გასცა, არავის გაებედნა ჩვეულებრივი მძარცველობა და უბრალო ხალხის ხოცვა-ჟლეტა. მან აკრძალა გაეძარცვათ მათ წინ მდგარი მდიდარი ციხე-ქალაქი და მიუთითა თოვლით დაფენილ სომხეთის ტავრზე: „აი, რომელი სიმაგრე უნდა

აიღოთ თქვენ, და სხვა ყველაფერი მოინახება ძლევამოსილთათვი-სო“.

ლუკულუსის ასეთი განცხადებები კიდევ უფრო ზრდიდა უკმაყოფილებას ისედაც გულაღრენილ მებრძოლთა შორის, მაგრამ სარდალს ჯერ კიდევ არ მიუქცევია ამისათვის ყურადღება. მას უფრო ის აინტერესებდა, რომ გზადაგზა ხალხი მტრად არ გადაეკიდებინა; ჯერ დაეპყრო ქვეყანა და შემდეგ „ყველაფერი მოიძებნებოდა ძლევამოსილთათვის“. ასე ფიქრობდა ის, მაგრამ მებრძოლებს მათი საყვარელი საქმის სახვალიოდ გადადება არ სურდათ.

ლუკულუსის თავდაჯერილმა პოლიტიკამ ტიგრანის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ხალხის ნეიტრალურ პოზიციას მაინც მიაღწია. ცხადია, ამის მიზეზი უმთავრესად ის უნდა ყოფილიყო, რომ სომხეთის მეფე ახალი ქალაქების აშენებისა და ხანგრძლივი ომებისათვის საჭირო ხარჯებს მისი ქვეშევრდომების კისერზე იღებდა და თავის წინააღმდეგ უკმაყოფილებას ზრდიდა. ამიტომ ისინი ახლად გამოჩენილ უცხოელებს არცთუ მოყვრულად, მაგრამ არცთუ მტრულად შეხვდნენ. ამის შესახებ აპიანე ამბობს: „ეს ხალხი მას არ ეომებოდა და არც სურდათ რამე ეტვირთათ, ვიდრე ლუკულუსი და ტიგრანი არ გადაწყვეტდნენ თავიანთ დავას“.

რომაელებმა სწრაფი მარშით გაიარეს სოფენა და მიადგნენ მდინარე ტიგრს, რომლის მეორე ნაპირზე გამოჩნდა საკუთრივ სომხეთი. მათ სწრაფად გადალახეს მდინარე და დაიძრნენ სომხეთის ახალი დიდი ქალაქისაკენ, ტიგრანოკერტისაკენ.

ამ დროს ტიგრანი თავისი ქალაქის მშენებლობით იყო გართული და სრულებითაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ მისი ქვეყნის მყუდროება ირღვეოდა. პირველი, ვინც ამბავი მოიტანა რომაელთა შემოჭრის შესახებ, მეფემ სიკვდილით დასაჯა. მალე ტიგრანს მისმა მეგობარმა და სარდალმა მითრობარზანმა აცნობა იგივე ამბავი. ახლა კი მეფემ იკადრა ყურადღება მიექცია ამ მეტად სეროზული ამბავისათვის. მან თვითონ მითრობარზანს 2.000 მხედარი ჩააბარა და უბრძანა მას დაუყოვნებლივ მიეგვარა მისთვის ; ლუკულუსი ცოცხლად, ხოლო დანარჩენები გაესრისა.

სომხეთის ტერიტორიაზე მიმავალი ლუკულუსი მეტ სიფრთხილეს იჩენდა. წინასწარ მეთვალყურეებს გზავნიდა, ხოლო ჯარი ორ ნაწილად ჰყავდა გაყოფილი; ავანგარდს თვითონ ხელმძღვანელობდა; არმიის მეორე ნაწილი, არიერგარდი შედარებით უკან მოდიოდა, რომ ზურგიდან მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ყოფილიყო აცილებული.

როგორც კი მზვერავებმა ლუკულუსს აცნობეს სომეხთა კავალერიის გამოჩენა, ის მაშინვე შესდგა, დაიწყო დაბანაკება და ჯარის მეორე ნაწილისათვის დაცდა. მან წინასწარ გამოჰყო 1.600 ცხენოსანი და ამდენივე მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული მეომარი, გადასცა ისინი სექსტილიუსს და უბრძანა მას დაძრულიყო მტრის შესახვედრად, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლას მორიდებოდა მანამ, სანამ ლუკულუსთან ყველა მისი ჯარები თავს არ მოიყრიდნენ.

მაგრამ სექსტილიუსმა თავი ვერ აარიდა ბრძოლაში ჩაბმას, რადგანაც თვითონ სომხები დაესხნენ მას თავს. პირველი შეტაკებისთანავე მითრობარზანი დაეცა. ამას ზედ მოჰყვა მისი კავალერიის მარცხიც.

რომაელთა პირველ გამარჯვებას დიდი მორალური შედეგი მოჰყვა. ამ ამბის შეტყობისთანავე ტიგრანოკერტი და თვითონ მეფეც პანიკამ მოიცვა. ტიგრანმა ქალაქის დაცვა დაავალა თავის სარდალს, მანკაიოსს. თვითონ ქალაქიდან მოსახლეობის ნაწილი გაიყვანა, განძის ერთი ნაწილიც გაიტანა და გაეშურა სომხეთის სიღრმეში, რათა დაუყოვნებლივ შეეკრიბა ჯარები და მიშველებოდა ტიგრანოკერტს.

ლუკულუსმა ამ პირველი წარმატების შემდეგ სწრაფად მიაშურა ტიგრანოკერტს. მას იმედი ჰქონდა, ტიგრანი ამ ქალაქის საფრთხეში ჩაგდებას ვერ შეურიგდებოდა და მთელი ძალებით გამოვიდოდა მის გადასარჩენად. რომაელ სარდალსაც სწორედ ის უნდოდა, რომ ბარემ მომხდარიყო გენერალური ბრძოლა. შორეულ უცხო ქვეყანაში შეჭრილ ლუკულუსს ომის გაჭიანურება აშინებდა.

ის მიადგა ქალაქს და ყოველის მხრიდან აღყა შემოარტყა მას. ლუკულუსი კიდეე უფრო იმედოვნებდა მოწინააღმდეგის დაუყოვნებლივ გამოსვლაზე, რომ მეფეს ტიგრანოკერტში დარჩა თავისი განძის უდიდესი ნაწილი და ჰარამხანა. თავმოყვარე და ამაყი ტიგრანი ვერ შეურიგდებოდა ჯერ საერთოდ მისი საყვარელი ქალაქისა, შემდეგ კი განძისა და ცოლების დაკარგვას.

მართლაც ტიგრანმა წინასწარ სახელდახელოდ გამოჰყო 6.000 მეომარი ტიგრანოკერტიდან განძისა და ჰარამხანის გასატაცებლად. მებრძოლებმა მეფის ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულეს. მათმა ერთმა ნაწილმა ისრების სეტყვა დაუშინა რომაელთა ბანაკიდან ყველა გამოსასვლელებს და იქედან მტრებს თავის გამოყოფის საშუალებაც კი არ მისცეს. ხოლო მეორე ნაწილი შეეჭრა ქალაქში, სადაც მანკაიოსის გარნიზონი იცავდა თავს, და შუაღამისას გამოიტაცეს იქედან განძი და მეფის ცოლები. როცა გათენდა, და ღამით

თავდასხმისაგან დაბნეული რომაელები გონს მოვიდნენ, სასწრაფოდ მოახტნენ ცხენებს და დაედევნენ მტერს. წამოეწივნენ მას და გაჰფანტეს, მაგრამ მოწინავე ნაწილმა, რომელსაც მეფის განძეულობა და ცოლები მიჰყავდა, უვნებლად მიაღწია დანიშნულ ადგილს.

ლუკულუსმა ქალაქის ალყა კიდევ უფრო გააძლიერა. ტიგრანოკერტის ირგვლივ თხრილები ამოთხარეს და კედლებთან საიერიშო მანქანები მიაგორეს. კედლებს ძირს უთხრიდნენ და ხშირად ციერიშებიც მიჰქონდათ, მაგრამ მანკაიოსის გარნიზონი მტკიცედ უმკლავდებოდა მტერს. ის ქალაქის კედლებიდან რომაელებს ისარს უშენდა, თავზე ცეცხლმოკიდებულ კუპრს ასხამდა და მათ საიერიშო მანქანებს სწვავდა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე თვეს.

ამასობაში ტიგრანი გამალებით ემზადებოდა ახალი არმიის ორგანიზაციისათვის.

ტიგრანი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს საჭირო იყო მითრიდატესთან შეხვედრა და საომარი გეგმის ერთობლივი შემუშავება.

ტიგრანი თავის დროზე ვერ გრძნობდა იმას, რომ როგორც კი მის წინ მდგარი ძლიერი ჯავშანი, პონტოს სახელმწიფო დაიმსხვრევოდა, მაშინვე რომაული ექსპანსიის მახვილი მის ყელს მიებჯინებოდა. ამას ვერ გრძნობდა ის და თვალს ხუჭავდა მაშინ, როცა მის მამაც სიმამრს ყოველი მხრიდან ჰკაფავდნენ და სომხეთისაკენ მიერეკებოდნენ. ის გულუბრყვილოდ ფიქრობდა, ტყუილუბრალოდ მას ბუზს არავინ აუფრენდა. მაგრამ ახლა, როცა მასაც ყელში სწვდნენ. თავის მომძინარება საქმეს ვეღარ უშველიდა. სინამდვილე სიზმრად აღარ იქცეოდა, და გადასწყვიტა შეკავშირებოდა მითრიდატეს მაშინ, როცა ამ უკანასკნელს ჟამთა სიავისაგან და საშინელი ქარტეხილებისაგან განაწამები მოხუცი თავის მეტი აღარაფერი შერჩენოდა. ვაი რომაელთ. რომ მითრიდატე და ტიგრანი თავიდანვე მტკიცედ შეკავშირებულიყვნენ და ერთად დაერტყათ მომხდურისათვის!

ასე იყო, თუ ისე, ტიგრანმა მოიწვია მითრიდატე, რომელიც უკვე ერთი წელი და რვა თვე იმყოფებოდა სომხეთში, და გამართა მასთან მოლაპარაკება. თათბირი სამ დღეს გაგრძელდა. პირველად მეფეებმა ერთიმეორესთან მოიბოდიშეს, მათ შორის არსებული ეჭვიანობისა და ურთიერთ უნდობლობისათვის. ერთი მეორეს აღუთქვეს მეგობრობა და შეთანხმდნენ რომაელთა წინააღმდეგ ერთო-

ბლივი მოქმედების შესახებ. შეთანხმების აღსანიშნავად მოწყობილი ბრწყინვალე ნადიმის შემდეგ, ტიგრანმა მითრიდატეს გადასცა 10.000 მხედარი და გაგზავნა ის პონტოში. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, თუ როგორ ჰქონდათ მეფეებს განსაზღვრული საბრძოლო გეგმა რომაელების წინააღმდეგ. მითრიდატე უნდა წასულიყო პონტოში, გაენადგურებინა იქ სორნაციუსის გარნიზონები, კვლავ ფეხზე დაეყენებინა პონტო და რომაელთაგან დამორჩილებული სხვა პროვინციები, ხოლო შემდეგ შემობრუნებოდა სომხეთში შეჭრილ ლუკულუსს და ზურგიდან ჩაეცა მახვილი მისთვის, სანამ თვითონ ტიგრანი მას გაუმკლავდებოდა თავის ქვეყანაში. მითრიდატეს მთავარი აზრი ის იყო, რომ ტიგრანს არ დაეჩქარებინა ლუკულუსთან გენერალური ბრძოლა, სანამ მითრიდატე პონტოდან არ მოეშველებოდა.

გეგმა, როგორც ეტყობა, კარგად იყო მოფიქრებული, თუკი მის სისრულეში მოყვანას სხვა არაფერი შეუშლიდა ხელს. ამგვარად, მითრიდატე სომხური კავალერიით გაეშურა თავის დაკარგულ ქვეყანაში, ხოლო ტიგრანს მან სამხედრო მრჩევლად დაუტოვა თავისი გამოცდილი სარდალი ტაქსილე.

სანამ მეფეები ლუკულუსის საწინააღმდეგო გეგმებს ადგენდნენ და ტიგრანოკერტიც მტერს მამაცურად უმკლავდებოდა, ტიგრანთან მისი მოწოდების თანახმად გამოცხადდნენ ქვეშევრდომები, მოკავშირეები და მეგობრები. მათ შორის იყვნენ: გორდიენელები, მიდიისა და ადიაბენის მეფეთა ჯარები, არაბები, სირიელები, ალბანელები, იბერიელები და სხვები. ამ ხალხთაგან და სომეხთაგან ტიგრანმა ჩამოაყალიბა უზარმაზარი არმია და გაემზადა რომაელების გასანადგურებლად.

სომეხთა ბანაკში ტაქსილე მოითხოვდა, რომ ტიგრანს ჯერჯერობით არ დაეჩქარებინა გენერალური შეტევა. მითრიდატეს და ტაქსილეს რომაელებთან ბრძოლაში სრულყოფილი წრთობა ჰქონდათ მიღებული და კარგად იცოდნენ რაში მდგომარეობდა მათი სუსტი და ძლიერი მხარეები; როგორი იყო მათი საბრძოლო ტაქტიკა და რა იქნებოდა მათთვის ხელის შემშლელი ამათუიმ დროსთან და პირობებთან დაკავშირებით. მითრიდატემ და ტაქსილემ იცოდნენ, რომ ლუკულუსს, შორეულ ქვეყანაში მოლაშქრეს, გაჭიანურებული ომის გაძლება გაუჭირდებოდა. მათ არაერთჯერ გაუმართავთ ბრძოლა შიმშილის საშიშროებით გახელებულ მოწინააღმდეგესთან. თუმცა ეს მწარე გაკვეთილები ნაგვიანევი იყო, მაგრამ სასარგებლო იქნებოდა მათი მოკავშირისათვის, თუკი ეს უკანასკ-

ნელი მას ყურადღებას მიაქცევდა. ტაქსილე არწმუნებდა ტიგრანს, ჯერჯერობით გადამწყვეტ ბრძოლას მორიდებოდა და ეწარმოებინა თარეშული ხასიათის ომები, მოესპოთ მტრისათვის სურსათით მომარაგების ყოველგვარი საშუალება, შიმშილითა და ხშირი, მფრინავი თავდასხმებით დაეუძლურებინათ ის და შემდეგ კი მითრიდატესთან შეერთებული ძალებით დასხმოდნენ თავს მტერს.

მაგრამ ტიგრანი, რომელიც თავისი დიდი არმიის იმედით სრულიად დარწმუნებული იყო გამარჯვების მოპოვებაში, სიცილს აყრიდა პონტოელთა ასეთ ფრთხილ საომარ პოლიტიკას. მან უკუაგდო მითრიდატესა და ტაქსილეს სამხედრო გეგმა და 69 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში (ძვ. წ.) დაიძრა ტიგრანოკერტისაკენ. ის შედგა მახლობელ მაღლობზე და გადახედა ქალაქს, რომელიც რომაელებს მტკიცე მარწუხებში ჰყავდათ მომწყვდეული.

აქ დაიბანაკა ტიგრანმა. მას თან ჰყავდა 70—80.000-ანი არმია; აქედან დაახლოებით 30.000 ცხენოსანი და 40.000 ქვეითი. მეფე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა მხედრებზე, რომელთაგან 17.000 მეომარი თავიანთი ცხენებითურთ მთლიანად ჯავშანში იყვნენ ჩამჯდარი და შუასაუკუნოებრივ რაინდებს ჰგავდნენ.

როგორც კი ტიგრანის არმია ბორცვზე გამოჩნდა, ტიგრანოკერტში ჩაკეტილებმა სიხარულის ყიჟინა და ტაშის ცემა ასტიხეს. ისინი მტრებს მიუთითებდნენ სომეხთა არმიაზე და მუქარას უთვლიდნენ მათ.

რომაელთა მთავარსარდალმა სერიოზულად შეაფასა მოსალოდნელი საფრთხე და სასწრაფოდ მოიწვია სამხედრო საბჭო. სამხედრო თათბირზე ორი სხვადასხვა აზრი წარმოიშვა; ერთნი ლუკულუსს ურჩევდნენ, მოეხსნა ალყა ქალაქისათვის და მთელი ძალებით წასულიყო ტიგრანის წინააღმდეგ, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ: არ შეიძლება ზურგში ჩამოვიტოვოთ ტიგრანოკერტი, რომელიც სავსეა მტრებით, საჭიროა დავრჩეთ ქალაქთან და აქ დავუცადოთ სომეხთა არმიის შეტევაზე გადმოსვლასო. ლუკულუსმა ორივე ეს აზრი უარჰყო. მან ქალაქის ალყის გასაგრძელებლად 6.000 მეომარი ჩააბარა ლუციუს მურენას, ხოლო თვითონ დანარჩენი ჯარის ნაწილებით, 10.000 ქვეითი მეომრით, 3.000 ცხენოსნით და 1.000 მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცით გაემართა ტიგრანთან შესახვედრად.

ამრიგად, სომხებს გაცილებით ჭარბი ძალები ჰყავდათ, ვიდრე რომაელებს. ამან ტიგრანსა და მის ქვეშევრდომ სარდლებს საბაბი მისცათ იმისა, რომ მტრის სიძლიერე ღირსეულად არ შეეფასები-

ნათ და მისთვის სიცილიც კი დაეყარათ; „თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრია, ხოლო თუ მტრები არიან, — მეტისმეტად ცოტაა“, სიცილით სთქვა ტიგრანმა, როცა მან ლუკულუსის მცირერიცხოვანი ჯარი დაინახა. ქვეშევრდომი სარდლები კი ტიგრანის წინაშე მლიქვნელობაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ და თვითეულად თხოვდნენ, რომ მხოლოდ მისთვის ებრძანებინა მეფეს თავხედი რომაელის გაცამტვერება.

ასე და ამნაირი მკვეხარობითა და მეტიჩრობით ირთობოდნენ ისინი თავს მთელი დღის განმავლობაში 69 წლის 5 ოქტომბერს (ძვ. წ.) მაშინ, როდესაც ლუკულუსი მეორე დღის ბრძოლისათვის გულმოდგინედ იკრებდა ძალას, უთვალთვალებდა მტრის ბანაკის განლაგებებს, სწავლობდა მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ადგენდა შეტევის გეგმას.

მოწინააღმდეგეებს მდინარე ბათმან-სუ ჰყოფდათ. ტიგრანს თავისი არმიის მარჯვენა ფლანგზე, მდინარესთან ახლოს დაყენებული ჰყავდა ჯავშნოსანი მხედრები, რომლებზედაც ის განსაკეთრებულ იმედებს ამყარებდა. ერთი შეხედვით მათი წყობა აუღებელი რკინის კედელის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ მათ სუსტ მხარეს ის წარმოადგენდა, რომ ნაკლებ მოძრავნი და ბრძოლაში სწრაფი მანევრირების უნარმოკლებულნი იყვნენ. ჯავშნოსანთა მარცხნივ იდგნენ ტიგრანის არმიის დანარჩენი ნაწილები. საკმაოდ განიერი ფრონტითა და სიღრმით. არმიის ზურგში იდგა მთელი აღალი სატვირთო საქონლითა და მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალით, ხოლო ამ უკანასკნელთა უკან აღმართული იყო 130-200 მ. სიმაღლის ბორცვი.

6 ოქტომბრის დილას ლუკულუსმა შეტევის ბრძანება გასცა. მას შემოეხვივნენ თანაშემწე სარდლები და დაუწყეს ხვეწნა: დღეს ბრძოლის დაწყებას ნუ ინებებ, რადგან 6 ოქტომბერი რომაელთათვის შავი დღე არისო, იმიტომ, რომ სწორედ 6 ოქტომბერს (105 წ. ძვ. წ.) დაამარცხეს გერმანელმა ტომებმა, კიმბრებმა და ტევტონებმა არაუზიონთან რომაელი კონსული სერვილიუს ცეპიონი და მისი 80.000 მეომრის ლეშებით მიწა გააპოხიერესო. მაგრამ ლუკულუსმა უარჰყო მათი თხოვნა: მართალია, აქამდე 6 ოქტომბერი რომაელთათვის შავ დღედ ითვლება, მაგრამ ამ დღეს ჩემი თანამემამულეებისათვის ბედნიერ დღედ ვაქცევო... გაისმა საბრძოლო ნაღარა.

ლუკულუსმა აჰყარა თავისი ბანაკი და მდინარის გასწვრივ დაიძრა, რათა მტრის ადგილსამყოფელსა და ფონს გასწორებოდა. სომეხთა ბანაკში ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, რომ თითქოს, მტერმა პირი იბრუნა, რადგანაც ამ ადგილზე მდინარე დასავლეთი-

საკენ იხრება და მის გასწვრივ მიმავალი ლუკულუსიც დასავლეთისაკენ, კაპადოკიისაკენ უკუქცეულად მიიჩნიეს. ამიტომ ტიგრანმა და მისმა ქვეშევრდომებმა კვლავ სიცილი დააყარეს ლუკულუსს. მეფემ მოიხმო ტაქსილე და დასცინა მას, აჩვენა რა „გაქცეული“ რომაელები. მაგრამ გამოცდილმა პონტოელმა სარდალმა კარგად იცოდა, რომ საქმე ასე იოლად არ დამთავრდებოდა და თავისი რწმენა კვლავ გაუზიარა მეფეს.

მათ შორის კამათი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ მართლაც რომაელები უეცრად შემოტრიალდნენ და დაიწყეს მდინარის გადმოლახვა. ამ მოულოდნელობამ დაბნეულობა შეიტანა სომეხთა ბანაკში: „ისინი ნუთუ ჩვენზე მოდიანო?“ — ორ-სამჯერ წამოიძახა დაბნეულმა მეფემ. მაგრამ მან კვლავ მოიკრიბა გონი და განკარგულება გასცა მომზადებულიყვნენ მტრის დასახვედრად.

როგორც კი რომაელებმა მდინარე გადალახეს, ლუკულუსის ბრძანებით მისი მსუბუქი კავალერია სწრაფად გვერდიდან დაეხსა თავს სომეხ ჯავშნოსნებს. ამავე დროს ლუკულუსმა ორი კოჰორტით სწრაფად შემოუარა მოწინააღმდეგეს ზურგიდან, ავარდა ბორცვზე, რომელიც მტრის ზურგში იდგა, გაიძრო მახვილი და დაიქუხა: „ვა-მარჯვება ჩვენია, ჩემო მამაცო მებრძოლებო!“. ის თავისი კოჰორტებით საბრძოლო ყიჟინით გადაერია სომეხთა აღალსა და მსახურთა ჯგუფებს, რომლებმაც თავის შესაფარებლად მიაშურეს თავისიანების რეგულარულ რიგებს. ამავე დროს რომაელთა დანარჩენი ლეგიონერები შეტევაზე გადავიდნენ მთელს ფრონტზე. ყველაფერი ეს — რომაელთა ძირითადი ძალების შეტევა ფრონტით, რომაელთა მსუბუქი კავალერიის თავდასხმა ჯავშნოსნებზე მარჯვენა ფლანგიდან და თვითონ ლუკულუსის თავდასხმა მტრის ზურგში-— მოხდა ერთსა და იმავე დროს. ე. ი. ტიგრანის არმიას თავს ესხმოდნენ სამი მხრიდან.

ლუკულუსის მსუბუქმა კავალერიამ, როგორც კი ის გვერდიდან თავს დაესხა ჯავშნოსნებს, რაკი ამათი რიგების გარღვევა ძნელი იყო, ლუკულუსისაგან წინასწარ მიცემული მითითების თანახმად, უეცრად პირი იბრუნეს და გაიქცნენ; მაშინ ჯავშნოსნები შუბშემართულნი უკან გამოუდგნენ მათ და არივდარივეს თავისი რიგები. ამ დროს ლუკულუსი ორი კოჰორტით დაბნეულ აღალთან ერთად შეიჭრა მტრის ზურგში; მან ბრძანება გასცა, რომ ბარძაყებში დაეჭრათ ლითონში ჩასმული „რაინდები“. ამასობაში რომაელთა კავალერია კვლავ მოუბრუნდა უკვე არეულ-დარეულ სომეხთა მხედრობას, და ლუკულუსის ძირითადი ძალები, ფრონტით მომავალი ლეგიონერებიც

ჩაებნენ ბრძოლაში. ტიგრანის კავალერია დამარცხდა; ახლა ისინი ცდილობენ გაიქცნენ, მაგრამ საით? ფრონტიდან რომაელთა ქვეითები გადმოდიან შეტევაზე, გვერდიდან მტრის კავალერიაა და მასთან მდინარეც, ხოლო ზურგიდან თვით რომაელი სარდალი. ამიტომ მათ პირი იბრუნეს ისევ თავისიანებისაკენ. ისინი შეიჭრნენ ტიგრანის ფეხოსანთა რაზმებში და არევდარევეს მათი რიგებიც.

ახლა კი სომეხთა მეფემ მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ შესძლო. მისი კავალერია დამარცხებული იყო და ქვეითი არმია პანიკით მოცული. ტიგრანის მხედრები და ქვეითი მებრძოლები, ერთიმეორეში არეულნი ერთმანეთს ბრძოლაში ხელს უშლიდნენ და ერთიმეორეს ფეხით სთელავდნენ. ყველა გასაქცევ გზას ეძებდა; გაქცევა შეიძლებოდა მხოლოდ მარცხნივ, ვიწრო და ძნელადსავალი ერთადერთი გზით, საიდანაც ორი დღის წინათ ტიგრანმა ამ საბედისწერო ადგილზე ჩამოიყვანა თავისი არმია.

როცა ტიგრანმა შეამჩნია, რომ ბრძოლა წაგებული იყო და საქმის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა, მოიგლიჯა სამეფო დიადემა და ცრემლმორეულმა გადასცა ის თავის შვილს; თან უბრძანა მას, ეშველნა თავისათვის, რა გზითაც კი შესძლებდა; თვითონ კი თავისი ამალის თანხლებით გაიქცა ბრძოლის ველიდან.

უფლისწულმა ვერ გაბედა სომხეთის სამეფო დიადემის თავზე დახურვა და შესანახავად გადასცა ის ერთ-ერთ თავის მსახურს, და თვითონაც სასწრაფოდ დასტოვა ბრძოლის ველი.

ტიგრანის მეომრები გარბოდნენ როგორც შეეძლოთ და საითაც მოუხდებოდათ. რომაელები სდევნიდნენ მათ. ბრძოლის ველზე მეფის მეომართაგან ბევრი დაიხოცა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. რომაელებს ხელში ჩაუვარდათ ისიც, ვისაც ტიგრანის სამეფო დიადემა ჰქონდა ჩაბარებული; ამრიგად, ლუკულუსს შეეძლო თავისი მომავალი ტრიუმფი ამ ძვირფასი ნივთითაც დაემშვენებინა. სომეხთა მდიდარი ბანაკი რომაელთა ძარცვის კერძად გადაიქცა.

ასე დაიმსხვრა ამ ბრძოლაში ის იმედები, რომლებსაც ტიგრანი და მისი ქვეშევრდომი სარდლები ამყარებდნენ თავიანთ არმიებზე. საისტორიო წყაროების ცალმხრივობისა და ტენდენციურობის წყალობით ძნელი ხდება ბრძოლისა და მისი შედეგების ზუსტი სურათის წარმოდგენა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, თითქოს მარტო ლუკულუსი იყო ბრძოლის სოლისტი. ანტიკურ ავტორთა უმრავლესობა საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მარტო რომაელები მოქმედებდნენ, ხოლო მათი მოწინააღმდეგენი გულხელდაკრეფილები ელოდებოდნენ სიკვდილს.

მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სომეხთა სარდლობამ მეტად დიდი წინდაუხედავობა გამოიჩინა, როგორც ბრძოლის დაჩქარების, ისე ჯარების განლაგებისა და, რაც მთავარია, მტრის ძალების შეუფასებლობის საქმეში. ტიგრანმა ვერ გაითვალისწინა, რომ თავიანთი ბრძოლისუნარიანობით, ორგანიზებულობით და გაწრთვნილობით რომაული ლეგიონები გაცილებით სჯობნიდნენ საერთოდ აზიელ მბრძანებელთა ჯერ, ნაკლებად ორგანიზებულ და ნაკლებად დისციპლინირებულ არმიებს. ამიტომ, უთუოდ მან დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა ასეთ ძლიერ მტერთან შებრძოლება დააჩქარა და არ იზრუნა გაჭიანურებული ომის წარმოებისათვის, რითაც შეიძლებოდა ძლიერი მტრის დასუსტება და სისხლისაგან დაცლა.

რომაელები ამ გამარჯვებაში უნდა უმადლოდნენ, აგრეთვე, ლუკულუსის, როგორც სარდლის ბრწყინვალე ნიჭსაც. ლუკულუსი ჯერჯერობით კარგად უღებდა ალღოს ამა თუ იმ დროსა და ადგილზე შექმნილ მდგომარეობას, სწავლობდა მას, მოხერხებულად უფარდებდა თავის საბრძოლო ტაქტს და ამის მიხედვით ახალისებდა თავის საერთო საომარ სტრატეგიას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნებიც სწორედ იმიტომ აფასებდნენ ლუკულუსს, რომ მან ორ სრულიად სხვადასხვა სტრატეგიულ მოსაზრებათა საფუძველზე დაამარცხა ჯერ მითრიდატე და მერე ტიგრანი. როგორც გვახსოვს, მან კიზიკთან მოწინააღმდეგე ომის გაჭიანურებით დაამარცხა ღა, საერთოდ, ერიდებოდა მითრიდატესთან გენერალური ბრძოლის გამართვას. მაშინ ლუკულუსი მანამ იჭერდა და იცავდა თავს, სანამ მოწინააღმდეგე თვითონ არ მოემწყვდა ჩიხში და მაშინაც კი მან დროის გაჭიანურებითა და შიმშილით გაანადგურა მტერი. ახლა კი, როცა ის სომხეთში დიდ ომს იწყებდა, მდგომარეობაც შეცვლილი იყო და დროც. ჯერ რომში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, ფინანსისტი-მხედრები და მათი მიმდევარნი გაჰყვიროდნენ, რომ ლუკულუსის იმპერიუმს (უმაღლეს ძალაუფლებას) აღმოსავლეთში ვადა გაუვიდა და უფლება აღარ აქვს კვლავ სარგებლობდეს ამ მაღალი უფლებამოსილებითო. ასე, რომ რომიდან რაიმე დახმარების იმედი მას ნაკლებად ჰქონდა. ამიტომ სანამ დრო იყო და სანამ მოწინააღმდეგე პარტია (პოპულარები, რომელშიც შედიოდა მხედართა წოდებაც) ლელოს გაიტანდა, ლუკულუსს მანამდე უნდა მოესწრო სომხეთის განადგურება; რაც შეიძლება მალე უნდა დაემთავრებინა ომი, ე. ი. ის ახლა ისეთსავე მდგომარეობაში ვარდებოდა, როგორშიც ერთ დროს იმყოფებოდა სულა. ამიტომ ლუკულუსმა ადრინდელი საბრძოლო ტაქტიკა, რომელიც ძირითადად ომის გაჭიანუ-

რების გენერალურ ხაზს ეყრდნობოდა, ახალ ლაშქრობასთან დაკავშირებით შესცვალა ახალი საბრძოლო ტაქტიკით, რაც მტრის ელვისებურად განადგურებას ითვალისწინებდა. ასე, ლუკულუსს უნდა სცოდნოდა, რომ ის სომხეთთან ხანგრძლივ ომს ვერ გაუძლებდა და უთუოდ დამარცხდებოდა, თუ ელვის სისწრაფით ვერ შესძლებდა საბოლოო გამარჯვების მიღწევას.

ამიტომ რომაელმა სარდალმა სომხეთთან ომი მართლაც ელვისებურად დაიწყო. მას ყოველწუთს სწყუროდა გენერალურ ბრძოლაში ჩაბმა. სადაც საქმე ან ისე უნდა გადაწყვეტილიყო, ან ასე. და, იმის ნაცვლად, რომ ტიგრანს დაეჯერებინა რომაელებთან ბრძოლებში ნაცადი პონტოელი ვეტერანებისათვის, თვითონ შეუწყო ხელი მტერს მისი სურვილის მიღწევაში და თავის განადგურებაში. იმის ნაცვლად, რომ შორეულ ზურგს მოწყვეტილი ლუკულუსის არმია დაესუსტებინა და მისი ძლიერება გამოეფიტა, ამპარტავანმა მეფემ არ დაუცადა მის მისაშველებლად მომავალ გამოცდილ მითრიდატეს და გადამწყვეტ ბრძოლას მოწყურებულ ლუკულუსს საბედისწერო დუელი სასწრაფოდ დაუნიშნა. ლუკულუსმა იცოდა, თუ ამ ბრძოლას წააგებდა, მაშინ მას ყველაფერი წაგებული ჰქონდა; ის მაშინ მარცხდებოდა ყველგან: აქაც, საერთოდ აზიაშიც და თვით რომშიც. ამიტომ ის გაასკეცებული ენერგიით ეკვეთა მტერს. ამას აღნიშნული მიზეზების წყალობით, ტიგრანის სამარცხვინო მარცხი მოჰყვა. ის ახლა კი მიხვდა თავის შეცდომასა და მითრიდატეს სიმართლეს...

მითრიდატე, რასაკვირველია, არ ფიქრობდა, რომ სომხებსა და რომაელებს შორის ბრძოლა ასე მალე მოხდებოდა, რადგან მას სრული იმედი ჰქონდა, ტიგრანი დაუჯერებდა ტაქსილეს, რომელიც მას არწმუნებდა მორიდებოდა ლუკულუსთან გადამწყვეტ შეტაკებას და თარეშული ხასიათის ბრძოლებით დაკმაყოფილებულიყო. ამიტომ ის, როცა ტიგრანმა ბრძოლის დაწყებამდე პონტოდან დასახმარებლად გამოიხმო, თავისი ჯარით სრულიად არხეინად და აუჩქარებლად მიემართებოდა სიძის მისაშველებლად.

მაგრამ მალე მითრიდატეს წინ შეეფეთნენ ბრძოლის ველიდან გამოქცეული და დაჭრილი მეომრები, რომლებმაც მას აუწყეს საქმის ნამდვილი ვითარება. დაჭრილთა და გამოქცეულებთან შეხვედრა კიდევ უფრო გახშირდა და ბოლოს მან ნახა, როგორ მორბოდნენ რაზმეულებად ტიგრანის დამარცხებული არმიელები. ევპატორი ახლა კი დარწმუნდა, რა ბედიც სწვეოდა ტიგრანს.

მან მოძებნა და იპოვნა ტიგრანი ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში თავშეფარებული, სრულიად მარტომყოფი „ყველასაგან მიტოვებული და დამცირებული“. მაგრამ მითრიდატეს, თვითონ მრავალჯერ დაცემულსა და დაწიხლულს, არ გაულანძღავს და არც დაუტუქსავს ის წინდაუხედავობისათვის, არამედ გაამხნევა, ანუგეშა, ჩააცვა თავისი სამეფო ტანსაცმელი და სულიერად დაცემული ფეხზე წამოაყენა. მან ტიგრანს შთააგონა, რომ ბრძოლა ჯერ მთლიანად არ არის წაგებული და დამთავრებული, არამედ საჭიროა ახალი ძალების მოკრება და ძლიერი მოკავშირეების მოძებნა, რათა ეს პირველი მარცხი გამოსწორებული იქნას და რომაელები განადგურებული.

მეფეები მართლაც მთელის ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგნენ რომაელებთან ომის განახლებისათვის სამზადისს...

სანამ ისინი აღნიშნული მარცხის შემდეგ საკმაო ძალას მოიკრებდნენ და მტერს ხელახლა შეუტევდნენ, ლუკულუსს შეეძლო თავისუფლად ემოქმედნა ტიგრანოკერტის წინააღმდეგ, რომელიც უკვე ხუთი თვის განმავლობაში უმკლავდებოდა მოწინააღმდეგეს. ლუკულუსი შეუერთდა ქალაქთან დატოვებულ მურენას და მთელის ენერგიით შეუდგა ალყას.

ტიგრანოკერტის დამცველები ქალაქიდან კარგად ხედავდნენ, როგორ დამარცხდნენ სომხები და როგორი გამარჯვებული დაბრუნდნენ რომაელები მათ წინააღმდეგ ახალი იერიშების გასაჩაღებლად.

მანკაიოსი სულიერად მაინც არ დაცემულა, და ლუკულუსიც ქალაქთან დიდხანს დაყოვნდებოდა, — რასაც ვინ იცის რა მოჰყვებოდა, — მაგრამ გარნიზონის არასომხურმა ნაწილმა, ბერძენმა დაქირავებულმა მეომრებმა, როცა დაინახეს რომაელთა აშკარა უპირატესობა, გადასწყვიტეს ტიგრანისათვის ეღალატნათ და მტრისათვის კარი გაეღოთ. მაგრამ მანკაიოსმა ეს შენიშნა და განაიარაღა ისინი. მალე ამის შემდეგ აჯანყებულ მოქირავნეებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. ბერძნებმა შესძლეს თავისი მოწინააღმდეგეებისათვის იარაღი ჩამოერთმიათ და კედლების ერთი ნაწილი დაეკავებინათ. ამ ადგილზე რომაელთა იერიში კიდევ უფრო გაძლიერდა და ქალაქის მოაჯანყეთა დახმარებით ლუკულუსმა მოახერხა ქალაქში შეჭრა.

რომაელმა სარდალმა მეომრებს ნება დართო, გაეძარცვათ და გაენადგურებინათ სომხეთის ეს მეტად მდიდარი და ბრწყინვალე ქალაქი. რომაელებმა ამ ქალაქში, რომლის აშენებისა და გამშვენიერებისათვის ამდენს ზრუნავდა სომხეთის მეფე, დიდძალი დავლა

დააგროვეს. თვითონ ლუკულუსი დაეპატრონა სახელმწიფო ხაზინის იმ ნაწილს, რომლის წაღებაც ტიგრანის მეომრებმა ვერ მოასწრეს. აქ ლუკულუსმა ხელთ იგდო 8.000 ტალანტი (= 17.000.000 მან. ოქროთი). ნაძარცვისაგან იმდენად დიდი სამხედრო დავლა შესდგა, რომ ძუნწმა სარდალმა თითოეულ ჯარისკაცს 800 დრაქმა დაურიგა. მან დარბეულ და დანგრეულ ქალაქში გამარჯვების აღსანიშნავად იდღესასწაულა კიდეც, იმ მსახიობებისა და არტისტების გამოყენებით, რომლებიც ტიგრანს შეკრებილი ჰყავდა თავისი სატახტო ქალაქის ბრწყინვალებისათვის.

ტიგრანოკერტთან მოპოვებულმა გამარჯვებამ და სომხეთის სატახტო ქალაქის აღებამ ლუკულუსი კიდევ მეტი სამხედრო დიდებით შემოსა და რომში მისი შერყეული მდგომარეობის დროებითი სტაბილიზაცია მოახდინა.

ამ გამარჯვებათა შედეგი ადგილზე ის იყო, რომ ტიგრანის ერთ დროს ძლიერმა და ვრცელმა მონარქიამ სწრაფი ტემპით დაიწყო დაშლა. სომხეთის მეფის კირთების ქვეშ მყოფი ცალკეული მთავრები, რომლებიც აქამდე, თითქოს, ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს, თუ ვის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი, გადაუდგნენ ტიგრანს და მორჩილება გამოუცხადეს რომაელებს. მაგალითად, რომაელთა „მოკავშირეობისა და მეგობრობის“ მოსაპოვებლად ლუკულუსთან გამოცხადდნენ არაბთა მთავრები, სირიელი მმართველი და სხვები. როგორც ვიცით, სომხეთში ელჩობის დროს აპიუს კლავდიუსთან ტიგრანის საწინააღმდეგო მოლაპარაკება გამართა გორდიენის მეფე ზარბიენმა. მაგრამ ტიგრანმა ეს მალე შეიტყო და, სანამ ლუკულუსი სომხეთში შეიჭრებოდა, ზარბიენი და მთელი მისი ოჯახის წევრები მთლიანად ამოხოცა. ახლა უმეფოდ დარჩენილი გორდიენა ლუკულუსმა ჩაიბარა. ლუკულუსმა მკვდარი ზარბიენი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ამით ის ამბობდა: შეხედოს ყველამ როგორ პატივს ვცემ იმ მკვდარსაც კი, რომელიც რომს ერთგულებდა და როგორი პატივისცემა შეხვდება მას, ვინც სიცოცხლეში თავს არ დაიზოგავს ჩემს დასახმარებლადო...

* *

ზამთარი დგებოდა და მომავალი 68 წლის დასაწყისისათვის (ძვ. წ.) მოწინააღმდეგენი გამალებით ემზადებოდნენ. ლუკულუსი გამოსაზამთრებლად გორდიენაში დაბანაკდა. როგორც ვნახეთ, რომაელ სარდალს სომხეთთან ომის პირველ წელს ბრწყინვალე წარ-

ბატებები ჰქონდა, მაგრამ ვინ იცოდა, რას მოიტანდა მომავალი წელი...

მივხედოთ ტიგრანსა და მითრიდატეს, რომლებიც ტიგრანოკერტთან სავალალო ბრძოლის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ.

როგორც ითქვა, მითრიდატემ გაამხნევა და ანუგეშა თავისი სიძე; თანაც მომავალი ბრძოლებისა და წაგებული მდგომარეობის აღდგენის პერსპექტივები დაუსახა მას. მეფეები დიდის ენერგიით შეუდგნენ სომარ სამზადისს 68 წლისათვის. ტიგრანმა მთელი საომარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მთავარსარდლობა ჩააბარა მითრიდატეს, რომელსაც რომაელებთან ხანგრძლივი ომებისა და გაჭირვებების დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი.

ასეთ მძიმე მომენტში კვლავ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პართიის პოზიციის საკითხს. პართია, რომლის ძლიერება აზიაში სომხეთის სწრაფად დაწინაურების ნიადაგზე მეტისმეტად შესუსტდა და შეიკვეცა, მოსალოდნელი იყო, ახლა დროს ხელსაყრელად ჩასთვლიდა და თავს არ დაიზოგავდა სომხეთის წინააღმდეგ საერევანშო ბრძოლისათვის. ამიტომ მითრიდატემ სცადა მოერიგებინა მოსისხლე მტრები — სომხეთი და პართია — და როგორმე მოეპოვებინა პართიის კავშირი ლუკულუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუკი ტიგრანი და მითრიდატე პართიას რომაელებთან ომში ვერ ჩააბამდნენ, მაშინ სასურველი იქნებოდა, რომ ამ ქვეყნის მხრივ მტკიცე ნეიტრალიტეტის, ჩაურევლობის გარანტია მაინც ყოფილიყო მოპოვებული. ამ მიზნით მითრიდატემ ელჩები გაგზავნა მეფე ფრაატ III-სთან. მითრიდატე და ტიგრანი მას დახმარებისა და კავშირის საფასურად სთავაზობდნენ რამდენიმე ოლქს, რომლებიც ადრე ტიგრანმა წაართვა პართიას. თან მითრიდატე ფრაატს წერილს სწერდა და არწმუნებდა რომაელების გაუმაძღარ დამპყრობელურ ბუნებაში; ისინი შურით არიან გამსჭვალულნი ყოველი ძლიერი მეფის მიმართ და მუდამ ცდილობენო მეფეთა ძლიერების დამხობას; ასე გაანადგურესო მათ ფილიპე, ანტიოქე, პერსეოსი, არისტონიკე, თვითონ მე და ახლა ტიგრანსაც მისდგენენო. მითრიდატე მოაგონებდა მას, რომ „რომაელებს აქვს მხოლოდ ერთიდაიგივე ძველი შიზეზი ბრძოლისა ყველა ტომებთან, ხალხებთან და მეფეებთან; დაუოკებელი წყურვილი ძალაუფლებისა და სიმდიდრისა. უპირველესად ყოვლისა მათ ასეთი ომი დაიწყეს მაკედონელთა მეფის, ფილიპეს წინააღმდეგ. სანამ მათ კართაგენელები ავიწროებდნენ, ისინი მასთან მოჩვენებით მეგობრობას ინარჩუნებდნენ და ცბიერებით აკავებდნენ ანტიოქეს, ხოლო როცა ეს ფილიპესათვის დახმარე-

ვის გაწევას ეპირებოდა, დაუთმეს მას (ე. ი. ანტიოქეს, ლ. ს.) აზიაში ბატონობა. ხოლო მალე ფილიპესთან ანგარიშსწორების შემდეგ ანტიოქეს წაართვეს ყველა ოლქი ტავრს იქეთ და ათიათასი ტალანტი". მითრიდატე ამ სიტყვებით პართიის მეფეს არწმუნებდა, რომ როგორც კი რომაელები ჩვენ, მე და ტიგრანს ბოლოს მოგვიღებენ, მაშინვე შენ მოგადგებიან კარსო. მითრიდატემ იცოდა, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სომხეთის მოსისხლე პართიის გადმობირება რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ფრაატი უნდა მიმხვდარიყო, რომ ახლა აზიის გამგებლებს შორის კინკლაობა და უნდობლობა მისი ქვეყნისათვისაც დაღუპვის მომტანი იქნებოდა; აზიის მონარქებს შეერთებული ძალით უნდა ეზრუნათ ერთი საერთო მიზნისათვის — რომაელების ალაგმვისათვის. მითრიდატე აქ ცამდე მართალი იყო და სურდა, ამ სიმართლეში როგორმე პართიის მეფეც დაერწმუნებინა.

მაგრამ ლუკულუსმაც კარგად იცოდა, რა დამოკიდებულებაც არსებობდა ტრადიციულად სომხეთსა და პართიას შორის. მას შეეძლო მოხერხებულად გამოეყენებინა ამ ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება და პართიის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა.

მალე პართიის სასახლის კარზე რომაელი დესპანებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ფრაატს წინადადება მისცეს: ან შეგვიკავშირდი და ან არ ჩაერიო ჩვენსა და სომხებს შორის ატეხილ ბრძოლაშიო.

ახლა პართიელი არჩევანში იყო და აყოვნებდა გადაჭრილი პასუხის მიცემას როგორც ერთის ისე მეორე მხარისადმი. მას სურდა გარკვევით სცოდნოდა, ვის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი და მაშინ დადგებოდა ის გადამჭრელ პოზიციაზე; ეს კი იცოდა, რომ მალე სომხებსა და რომაელებს შორის გენერალური ბრძოლები გაჩაღდებოდა და ბრძოლიდან ძლევამოსილად დაბრუნებული, სომხეთი იქნებოდა ის თუ რომი, მას მოჰკითხავდა ანგარიშსწორებას, შეთავაზებული კავშირის უგულვებელყოფისათვის. ამიტომ ფრაატი ყოყმანობდა, გადაჭრით არც ერთი მხარისადმი არც უარს ამბობდა, არც ეთანხმებოდა; მითრიდატესაგან აღთქმული ქვეყნებიც ხიბლავდა და სომხეთისადმი მტრობა და რომაელების ძლიერების წინაშე შიშიც ხელფეხს უკრავდა.

ბოლოს, ფრაატმა ტიგრანთან და მითრიდატესთან საიდუმლო ურთიერთობა შეინარჩუნა, მაგრამ უპირატესობა მაინც ლუკულუსს მიანიჭა.

ლუკულუსმა კავშირის საბოლოოდ გასამტკიცებლად პართიაში გაგზავნა სექსტილიუსი. მაგრამ სექსტილიუსი ხელშეკრულების გა-

ფორმების პარალელურად, ლუკულუსის დავალებით, ზვერავდა და სწავლობდა პართიის სატახტო ქალაქს და მის მიდამოებს. როგორც ეტყობა, ლუკულუსი წინასწარ ამზადებდა ნიადაგს იმისათვის, რომ როგორც კი სომხეთს გაანადგურებდა (რაშიდაც მას ეჭვი არ ეპარებოდა), პართიას შეუტევდა.

ფრაატმა იგრძნო რაშიც იყო საქმე და, თუმცა რომაელების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლაზე არ უფიქრია, მაგრამ დახმარებაზე მიცემული აღთქმა უკანვე წაიღო და გადაჭრით დადგა ნეიტრალურ პოზიციაზე.

ამგვარად, პართიის მხარდაჭერის საკითხი მოიხსნა. მითრიდატე და ტიგრანი ნაწილობრივ კმაყოფილი მაინც უნდა ყოფილიყვნენ, რომ პართიის მხრივ ნეიტრალიტეტი მოიპოვეს. ახლა მეფეებს საკუთარი ძალების იმედი უნდა ჰქონოდათ.

მითრიდატემ სომხეთში და მის ქვეშევრდომ ქვეყნებში საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა და დიდძალი ლაშქარი შეკრიბა. ქვეშევრდომთა გარდა მოკავშირეებიც გამოცხადდნენ. ახალ არმიაში სომხებს გარდა იყვნენ იბერიელები, მარდები, ატროპატენელები და სხვები.

მითრიდატემ იცოდა, რომ მთაგორიან სომხეთში მრავალრიცხოვანი არმია მოუქნელი და მოუხმარებელი იქნებოდა; თან მისი მომარაგება მეტად გაჭირდებოდა. ამიტომ მან სომხეთისა და მისი ქვეშევრდომ-მოკავშირე ქვეყნებიდან გამოცხადებული მრავალრიცხოვანი ხალხიდან აარჩია საუკეთესონი და სულ 70.000 რჩეული მეომრისაგან შეადგინა ახალი არმია, რომელიც რომაული წესით რაზმეულებად და კოჰორტებად დაჰყო და გასაწრთვნელად ჩააბარა გამოცდილ პონტოელ ვეტერანებს. ამავე დროს მითრიდატე ყველა ქალაქში საომარ საჭურველს ამზადებდა და ახალ არმიას ამარაგებდა; აწყობდა სურსათ-სანოვაგის საწყობებს და სხვ.

ტიგრანი უკვე დარწმუნდა, თუ რამდენად სწორი იყო ევპატორის რჩევა ომის გაჭიანურების სარგებლიანობის შესახებ და ახლა დაეთანხმა მას, ამიერიდან რომაელების წინააღმდეგ ეწარმოებინათ თარეშული ხასიათის ომები; ცხენოსანთა რაზმებით ხშირ-ხშირად დასხმოდნენ თავს მტერს, არ მიეცათ მისთვის მოსვენება, მოესპოთ მისი სურსათით მომარაგების საშუალება, მუდამ ჰყოლოდათ შიმშილისა და უეცარი თავდასხმების საფრთხის ქვეშ და მორიდებოდნენ გენერალურ ბრძოლას. ასეთი იყო ამჟამად მეფეების საბრძოლო გეგმა.

ლუკულუსმაც იცოდა, რომ მომავალ წელს ბრძოლებს უფრო სასტიკი ხასიათი ექნებოდა, რადგან ხალხი თავის ქვეყანაში საკუ-

თარი კერისა და მიწის დაცვისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა. ამიტომ ისიც ენერგიულად ემზადებოდა. მან ბრძანება გაუგზავნა პონტოში საგარნიზონო სამსახურისათვის დატოვებულ სორნაციუსს, დაუყოვნებლივ წამოეყვანა მისი განკარგულების ქვეშ მყოფი 6.000 მეომარი და შეერთებოდა მას, რათა შემდეგ მთელის ძალებით დაძრულიყო მოკავშირეთა წინააღმდეგ.

მაგრამ ლუკულუსი სახტად დარჩა, როცა შეიტყო, რომ სორნაციუსის მეომრებმა უარი განაცხადეს ლუკულუსთან სომხეთში გამგზავრებაზე და თანაც იმუქრებოდნენ, მიატოვებდნენ პონტოს და დაბრუნდებოდნენ იტალიაში. სორნაციუსი და მისი ტრიბუნები (ათასეულის მეთაურები) ამაოდ ცდილობდნენ მათს დამორჩილებას. შებრძოლები ზურგს აქცევდნენ მათ, უკმაყოფილოდ ყაყანებდნენ და მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას. სორნაციუსი იძულებული შეიქნა ეცნობებინა ლუკულუსისათვის საქმის ასეთი მდგომარეობა.

საქმე კიდევ უფრო გართულდა იმით, რომ პონტოში მყოფი ჯარისკაცების მოაჯანყე განწყობილებამ და მათმა აშკარა ურჩობამ, უეცრად ააფეთქა თვით ლუკულუსის სარდლობის ქვეშ მყოფი მეომრების აქამდე შეკავებული გულისწყრომის ცეცხლი. ისინი ქებადიდებას ასხამდნენ პონტოში მყოფი თანამებრძოლების გაბედულ გამოსვლას. უწოდებდნენ მათ ნამდვილ ვაჟკაცებს და ერთიმეორეს აქეზებდნენ მიებაძათ მათთვის. ახლა ისინიც გაჰყვიროდნენ, რომ ამდენი ხნის ბრძოლებისა და გაჭირვებების შემდეგ, ამდენი გამარჯვებების შემდეგ ბრძოლის შეწყვეტა და დასვენება გვეკუთვნისო.

ლუკულუსს, ამის გარდა, კიდევ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება აბრკოლებდა და ძირს უთხრიდა აღმოსავლეთში მის მიერ მოპოვებული წარმატებების შენარჩუნებისა და შემდგომი წინსვლის საქმეს. ეს იყო მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გააფთრებული გამოსვლები თვითონ რომში.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ლუკულუსის წინააღმდეგ ჯერ კიდევ სომხეთში ლაშქრობის დაწყებამდე რომში იწყება მისი აზიური ეკონომიური ღონისძიებებით დაზარალებული ფინანსისტ-მხედრების ინტრიგები. მაგრამ სარდალმა ისე, როგორც მაშინ ყური არ ათხოვა ლეგიონერთა ბუზღუნს, არც მათი გამოსვლები ჩაუგდია რამედ, და ლაშქრობაც დაიწყო. რომში მის წინააღმდეგ პოპულართა ბრძოლა ერთ ხანად შეასუსტა ტიგრანოკერტთან ბრწყინვალე გამარჯვებამ. მაგრამ არ შეიძლებოდა, ამ გამარჯვებისათვის ლუკულუსის ავტორიტეტი დიდების კვარცხლბეკზე დიდხანს დარჩენი-

ლიყო, თუკი მისი სარდლობით რომაული იარაღის მიერ მოკლე ხანში რაიმე ახალი სამხედრო წარმატებანი არ იქნებოდა მოპოვებული. ამ სამხედრო წარმატების ქვეშ სომხეთის განადგურება იგულისხმებოდა, და ეს უნდა მომხდარიყო უახლოეს დღეებში, თორემ მაშინდელ რომში მწვავე სოციალური ჭიდილისა და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლისაგან ლუკულუსის იმპერიუმი (უმაღლესი ძალაუფლება) დიდების მწვერვალიდან უფსკრულში უნდა გადაჩეხილიყო.

რომში მომხდარმა მძლავრმა სოციალურმა ძვრებმა, პოპულართა, სახალხო პარტიის გაძლიერებამ ლუკულუსს კონსერვატიული პარტიისა (ოპტიმატების) და მისი დაუძლურებული ბირთვის, სენატის მფარველობის კალთა ჩამოჰგლიჯა და მისი სამხედრო კარიერა დაღუპვის წინაშე დააყენა. გამძლავრებული პოპულარები ოპტიმატების ხელიდან ეზიდებიან რომის ეკონომიური და პოლიტიკური მმართველობის სადავეებს, განადგურებით ემუქრებიან ოპტიმატთა წრის წარმომადგენელს, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსს, რომელმაც მათ აზიაში დიდი ეკონომიური ზიანი მიაყენა. დემოკრატიული მასების შეუჩერებელი იერიშების წინაშე სენატის ერთ დროს ძლიერი მახვილი ახლა დაჩლუნგებული იყო. ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული პარტია ვერ მოითმენდა, რომ აღმოსავლეთის მეტად საპასუხისმგებლო სამმართველო პოსტები მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, პატრიციატის შვილს სჭეროდა.

ამ მდგომარეობით და განწყობილებით კარგად სარგებლობენ იმ დროის რომში ავტორიტეტიანი სარდლები და პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი თავი გაძლიერებული სახალხო პარტიის მსახურებად და ბელადებად გამოაცხადონ, რათა ამ გზით დაიპირონ ლუკულუსის მემკვიდრეობა და აღმოსავლეთში მის მიერ დათესილი მოსავალი თვითონ მოიმკონ. ისინი პოპულართა პარტიას, დემოკრატიულ მასებს, ჰპირდებიან, რომ აღმოსავლეთს დაიპყრობენ და მას რომაელთა გამდიდრების ასპარეზად აქცევენ, და თავიანთ თავს ლუკულუსის შემცვლელ კანდიდატებად ასახელებენ.

ასეთ კანდიდატად, — რომელსაც მაშინ მეტოქეობას იშვიათად თუ ვინმე გაუწევდა—იყო გნეუს პომპეიუსი, რომელიც თავისი გაქნილი პოლიტიკით ყოველთვის ახერხებდა მძაფრ სოციალურ ორომტრიალში გაძრომ-გამოძრომას და სხვისი გამარჯვებების მითვისების წყალობით მაღლა ამოტივტივებას. ძველად ის ოპტიმატებისა და სულას ერთგული ყმა იყო, ახლა კი სახალხო პარტიის ბელადად აცხადებდა თავს იმიტომ, რომ სწორედ გაძლიერებულ სახალხო

პარტიას შეუძლია გაგზავნოს თავისი კანდიდატურა მისთვის საძულველი ლუკულუსის შესაცვლელად. საერთოდ მძიმე საშიშროების პირველი დღეების წინაშე მხდალ პომპეიუსს ახლა ეჩვენებოდა, რომ აღმოსავლეთში ყველაზე მძიმე საბრძოლო ოპერაციები ჩატარებული იყო და საბოლოო გამარჯვების მიღწევამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი. ლუკულუსს მხოლოდ ის აბრკოლებდა, რომ მისი დასაყრდენი სოციალური ბაზა, ოპტიმატთა პარტია იხრწნებოდა და თვითონ დახმარებასა და მხარდაჭერას ვერსაიდან პოულობდა. აი, ახლა პომპეიუსს შეეძლო, თავისი მეტოქისათვის ძლევამოსილების კვერთხი ხელიდან გამოეგლიჯა და თავის მძლავრ სოციალურ ბაზაზე, პოპულართა პარტიაზე დაყრდნობით საბოლოოდ მძლავრად მოექნია...

პომპეიუსი ლუკულუსის წინააღმდეგ საბრძოლველად კიდევ უფრო უსისიანებდა მხედართა წოდებისაგან ისედაც გახელებულ დემაგოგებს. პომპეიუსი მხედრებსაც აღუთქვამდა, გაუქმებინა ლუკულუსის მკაცრი ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებმაც შეასუსტეს რომაელი ფინანსისტების ეკონომიური ბაზისი აღმოსავლეთში.

ორატორები ერთიმეორეს სცვლიდნენ ტრიბუნაზე და ხალხს უსურათებდნენ აღმოსავლეთის მართალ ამბებს: აღმოსავლეთში ომი საშინლად გაჭიანურდა; ლუკულუსმა თავისი გამარჯვებები ვერ გამოიყენა; რომის მოსისხლე მტერი მითრიდატე, რომელსაც ჩვენ ამდენხანს შეპყრობილს მოველოდით, სომხეთის მეფესთან ერთად ახალი ძლიერი შეტევებისათვის ემზადება; მთავარსადალი თავის რწმუნებას უკანონოდ ახანგრძლივებს, რადგანაც რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის თანახმად უმაღლეს თანამდებობაზე კაცის არჩევა მხოლოდ ერთი წლის ვადით არის განსაზღვრული; ის ფულისა, სიმდიდრისა და პატივმოყვარეობისათვის ომს აჭიანურებს, და სხვა ამგვარები მათი პირიდან ლუკულუსის წინააღმდეგ, რომის ფორუმზე ნიაღვარივით მოედინებოდა.

ხალხი ხედავდა, ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, თუ ლუკულუსი რამდენად იყო მოწადინებული აღმოსავლეთში ომის სწრაფად დამთავრებაზე; რამდენად ცდილობდა ის უმოკლეს დროში გაენადგურებინა მითრიდატე და ტიგრანი, მაგრამ მისი ძლიერება სისხლისაგან იწრიტებოდა; რომში მისი მფარველი კონსერვატიული პარტია თავის თავს ძლივს იცავდა და მისთვის ხომ აღარ სცხელოდა. საერთოდ ახლა ლუკულუსის დახმარებაზე კი აღარავინ ფიქრობდა, არამედ ისმებოდა სა-

კითხი აღმოსავლეთში მისი განუსაზღვრელი ძალაუფლების შეკვეცისა და ბოლოს, გადაყენების შესახებაც კი. ლუკულუსმა ჯერ შეიტყო, რომ მას პროვინცია აზია, ე. ი. ყოფილი პერგამოსის სამეფო ჩამოართვეს და საგამგებლოდ გადასცეს ვიღაც პრეტორს. მთავარსარდალმა კვლავ არაფრად ჩააგდო თანამემამულეთა ასეთი უმადურობა და 68 წლის გაზაფხუზე (ძვ. წ.) მაინც განაგრძო შეტევისათვის სამზადისი. მაგრამ ამავე წელს მას პროვინცია კილიკიაც ჩამოართვეს და მის ნაცვლად იქ პროკონსულად დანიშნეს ქვინტუს მარციუს რექსი. ამგვარად, მას ჯერჯერობით მარტო ბითინია-პონტოს გამგებლობა და უმაღლესი მთავარსარდლობა რჩებოდა. ლუკულუსის ამ უკანასკნელ რწმუნებებსაც ყოველდღე გაცამტვერება ელოდა...

რომში შექმნილ ასეთ გამძაფრებულ სიტუაციას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა აღმოსავლეთში მყოფ არმიაზე. არმიები ამ დროს ისეთ მძლავრ სოციალურ ძალებს წარმოადგენდნენ, რომელთაც შეეძლოთ მკვეთრი ცვლილებები შეეტანათ მაშინდელ საზოგადოებათა ცხოვრებაში. ლუკულუსის სარდლობის ქვეშ მყოფი არმია იმ სოციალური ძალის პირმშო იყო, რომელიც მაშინდელი რომის სახელმწიფოს პოლიტიკური საქმის ხელში ჩასაგდებად შეუჩერებელი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ეს ძლიერი სოციალური ძალა მრავალრიცხოვანი სახალხო პარტია იყო და რომაელი ლეგიონერებიც ძირითადად მის რიგებს ეკუთვნოდნენ.

ლუკულუსის ჯარისკაცების ყურამდე მიაღწია ხმებმა, რომ აღმოსავლეთში მალე ახალი მთავარსარდალი ჩამოვა, რომელიც შესცვლის ქედმაღალ და მიუკარებელ ოპტიმატს. ბრძოლისაგან და ამდენი ტანჯვა-წამებისაგან ქანცგაწყვეტილი მეომრები ისედაც უკმაყოფილონი იყვნენ ლუკულუსის სისასტიკითა და შეუბრალებლობით. პლუტარქე გადმოგვცემს: „რომაელი ჯარისკაცებისათვის იმაზე უამესი არა არის რა, რომ ნახოს სარდალი, რომელიც ყველას თანდასწრებით ჭამს პურს, რომელსაც მწირ ლოგინზე სძინავს და რომელიც სხვებთან ერთად მუშაობს თხრილის ამოღების დროს ან ბანაკის შემოღობვისას. ჯარისკაცები ისე არა სცემენ პატივს სარდალს, რომელიც მათ ჯილდოებს და ფულს აძლევს, როგორც იმას, რომელიც იზიარებს მათ შრომასა და საშიშროებას, უფრო მეტად ის უყვართ, ვინც მათთან ერთად მუშაობს, ვიდრე ის, ვინც თავის თავს ნებას აძლევს გულხელდაკრეფილი იჯდეს“. მართალია, ლუკულუსი ბრძოლის ველზე სიმამაცესა და ვაჟკაცობას მოკლებული არ ყოფილა, მაგრამ ის მაინც არ ჰგავდა მის წინაპარ სახელოვან სარ-

დლებს, სციპიონებს, გაიუს მარიუსს, კორნელიუს სულას და სხვებს, რომლებიც რიგით მეომართა ჭირსა და ლხინს თანასწორად იზიარებდნენ, მათთან ერთად „ჭამდნენ უბრალო პურს, ეძინათ მწირ ლოგინზე, თხრიდნენ თხრილებსა და ოფლს ღვრიდნენ ბანაკის გამაგრებისათვის“. ლუკულუსს მისი მებრძოლები, როგორც სარდალს და თანამეგობარს მხოლოდ ბრძოლის ველზე ხედავდნენ; დანარჩენ დროს კი ის იჯდა თავის კარავში და მეომრებთან შეხვედრას მხოლოდ მათი სასჯელისათვის თუ მოისურვებდა. არმიაში საერთო პატივისცემისა და სიყვარულის დამსახურების ნაცვლად, ლუკულუსი თავისი არისტოკრატიული უკადრისობისა და უკიდურესი სისასტიკის მეოხებით ყოველნაირად ცდილობდა მიწასთან გაესწორებინა ამაყ რომაელ ჯარისკაცთა პირადობა და თავმოყვარეობა. ლუკულუსის მეხოტბე პლუტარქეც კი ასე ახასიათებს მის ქედმაღლურ დამოკიდებულებას თავისი ქვეშევრდომების მიმართ: „იგი არ იყო თავისი ჯარისკაცებისადმი ალერსიანი და მოსიყვარულე. ის თვლიდა, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდება ქვეშევრდომთა სასარგებლოდ, არის ძალაუფლების დამცირება და უპატიოსნება. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მას არ შეეძლო თავისთან გაეტოლებინა ძლიერები და მისი სწორები, არამედ ყველა ეზარებოდა და ყველას მასთან გატოლების უღირსად თვლიდა“. მის მეომრებს სახელოვანი გამარჯვებების საფასურად ხშირად მკაცრი სასჯელი უნდა დაემსახურებინათ. ამიტომ ლუკულუსი მის ჯარისკაცებს არ უყვარდათ და სომხეთში სალაშქროდ უხალისოდ მისდევდნენ. ტიგრანოკერტთან მომხდარმა ბრძოლებმა დროებითი სიმხნევე შეიტანეს მათ სულში, მაგრამ 68 წელს (ძვ. წ.) მათ ლაშქრობას რომ ბედი არ ეწერა, ამას უკვე ამჩნევდნენ და ბრძოლის შეწყვეტას მოითხოვდნენ. მათი დრტვინვა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა რომიდან სოციალური ბრძოლების შორეული გრგვინვის ხმამ მოატანა და დემაგოგები ლუკულუსის სამხედრო ბანაკებშიც ამოქმედდნენ. პირველად ხმა აღიმაღლეს სორნაციუსის ლეგიონერებმა და მათ გაბედულ ნაბიჯს ქება-დიდებით შეხვდა ლუკულუსის ბანაკიც.

ამგვარად, ლუკულუსი მის თანამებრძოლთა შორის თითქოს უცხო კაცი იყო. ის სრულიად მარტოდმარტო იდგა ასაფეთქებლად გამზადებულ ვულკანზე...

მაგრამ პატივმოყვარეობისა და დიდებისათვის თავდადებულმა სარდალმა გადასწყვიტა ძალღონე მოეკრიბა და უკანასკნელად გაბრძოლებულიყო. მისი ხსნა ახლა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ

ძლევამოსილ ლაშქრობას. ის არ უწევდა ანგარიშს იმას, რომ ამ ძლევამოსილი ლაშქრობისათვის საჭირო იყო კოლოსალური ძალები.

ლუკულუსს დიდი შრომა დასჭირდა, ახალ ლაშქრობაზე დაეთანხმებინა თავისი გაჯიუტებული მეომრები, რომლებიც, სხვა ზემოთ აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, უშინდებოდნენ უცხო ქვეყანაში უფრო ღრმად შეჭრას. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ 68 წლის გაზაფხულის მეტად სუსხიანი იყო და სურსათ-სანოვაგის საკითხიც საშიშროების ქვეშ იდგა. ამიტომ „ელვისებური ომის" მოსურნე სარდალმა ძლივს შესძლო თავისი ლეგიონების გამოყვანა სალაშქრო გზაზე 68 წლის (ძვ. წ.) შუა ზაფხულში.

რომაელები გორდიენადან დაიძრნენ ჩრდილოეთით, სომხეთის სიღრმისაკენ. ტავრის მთაზე შემდგარი ლუკულუსი განცვიფრდა, როცა დაინახა, სომხეთის ზეგნებზე პური ჯერ ისევ მწვანედ ბიბინებდა, ხოლო მის დამწიფებამდე და მოწევამდე სომხეთში დარჩენას არც თვითონ ფიქრობდა და არც მეფეებს მოსდიოდათ აზრად.

ლუკულუსი დაეშვა მთიდან, რათა რაც შეიძლება მალე შეხვედროდა მოწინააღმდეგეთა ძირითად ძალებს, მაგრამ მან ნახა, რომ ტიგრანი ძველებურად აღარ ტყვილდებოდა, — მეფეები ერიდებოდნენ გენერალურ ბრძოლას და მტკიცედ იცავდნენ ევპატორის მიერ შემუშავებულ სალმარ გეგმას.

სომეხთა მთელი არმია ორად იყო განაწილებული. ქვეითი ლაშქარი და კავალერიის ერთი ნაწილი ემორჩილებოდა მითრიდატეს, ხოლო დანარჩენი მხედრობის სარდალი ტიგრანი იყო.

მითრიდატე თავის არმიით დაბანაკდა და გამაგრდა ერთ-ერთ მაღლობზე, საიდანაც მას ხელსაყრელ მომენტებში შეეძლო დაშვებულიყო და თავს დასხმოდა მტერს.

რომაელები პირველ საზრუნავ საქმედ კვლავ სურსათით მომარაგებას მიიჩნევდნენ. ისინი შეიჭრნენ სომეხთა სოფლებში და დაიწყეს მათი ძარცვა და რბევა. ეპატრონებოდნენ სომეხთა არმიის სურსათ-სანოვაგის საწყობებს. მაგრამ ამასობაში ტიგრანი რამდენჯერმე დაესხა მათ თავს თავისი მსუბუქი კავალერიით.

როგორც კი ლუკულუსი ტიგრანის წინააღმდეგ გაემართებოდა, მაშინვე მითრიდატე მაღლობიდან დაეშვებოდა რომაელების ზურგზე თავდასასხმელად. მცირედი შეტაკებანი და მეფეები კვლავ თავიანთი საფრებისაკენ გაქუსლავდნენ. ასე, ლუკულუსს უნდა მოეთმინა მოწინააღმდეგეთა განუწყვეტელი და გულისგამაწყალებელი თარეში.

ორი თვე გაგრძელდა ასე: მითრიდატე სალი კლდესავით იდგა; ტიგრანი უეცრად დაჰკრავდა და კვლავ მიიმალებოდა; რომაელთა რიგები თანდათან თხელდებოდა; შემოდგომის დამდეგისთანავე ადრიანი სიცივეები დაიწყო; რომაელ ლეგიონებში უკმაყოფილება იზრდებოდა.

ლუკულუსს გენერალური ბრძოლა სწყუროდა; თუ ამას ვერ მიაღწევდა, ჩიხიდან სხვა გამოსავალს ვერ მონახავდა. მას ტიგრანოკერტის ამბებიდან კარგად ახსოვდა, რა წარმოადგენდა სომხეთის მეფის ყველაზე მტკივნეულ ადგილს; ტიგრანი თავს არ იზოგავდა თავისი სამეფო სახლისა და ძვირფასი საჭურჭლეების გადასარჩენად. ლუკულუსს ახსოვდა, როგორი თავგანწირულებით დაესხნენ თავს სომხები ტიგრანოკერტის მოალყეებს და გამოიტაცეს იქედან მეფის ჰარამხანა და საგანძური. ახლა ყველა ისინი სომხეთის ძველ სატახტო ქალაქში, არტაქსატაში იმყოფებოდნენ. ლუკულუსმა გაითვალისწინა, რომ თუ ის არტაქსატასაკენ გაემართებოდა, ტიგრანი აუცილებლად შეეცდებოდა გადაერჩინა თავისი რეზიდენცია, სადაც მისთვის ყველაზე უძვირფასესი ადამიანები და საგანძურები აფარებდნენ თავს. ლუკულუსის წინასწარმეტყველება გამართლდა.

როგორც კი რომაელები არტაქსატასაკენ გაეშურნენ, ტიგრანი თავისი მხედრობით სწრაფი მარშით დაიძრა და ოთხი დღის შემდეგ გადალახა მდინარე არსანია (არაცანი); დაბანაკდა მის მარჯვენა სანაპიროზე და გადასწყვიტა აქ გადაღობებოდა სატახტო ქალაქისაკენ მიმავალ ლუკულუსს. პირველად მდინარის მარცხენა სანაპიროს მიაღწიეს ლუკულუსის მოწინავე რაზმებმა, რომლებიც ძირითადად ბითინიელებისაგან შესდგებოდნენ. მალე რომაელთა ძირითადმა ძალებმაც მიაღწიეს და ლუკულუსმაც ბრძანა დაბანაკებულიყვნენ. ამგვარად, ისე როგორც ერთი წლის წინათ ტიგრანოკერტის ახლოს, ახლაც გენერალური ბრძოლის წინ მოწინააღმდეგე მხარეებს მდინარე ჰყოფდათ.

ტიგრანმა თავისი ცხენოსანი არმია მდინარისაკენ ფრონტით ორ რიგად განალაგა. მან პირველ რიგში დააყენა მოისარი მარღები და შუბოსანი იბერიელები, რომელთაც სომხეთის მეფე განსაკუთრებით ენდობოდა როგორც მამაცსა და დახელოვნებულ მებრძოლთ. ტიგრანისაგან ამ მოწინავე რაზმებს დავალებული ჰქონდათ, როგორც კი რომაელთა კავალერია მდინარეს გადმოლახავდა და ბრძოლაში ჩაებმებოდა, მათ სასწრაფოდ ზურგი უნდა ეჩვენებინათ მო-

წინაალმდეგისათვის და, თითქოს, ბრძოლაში შემდრკალნი, გაქცეულიყვნენ ორ სხვადასხვა მხარეს, ფლანგებისაკენ, რომ მათზე დადევნებული მოწინაალმდეგის რიგები არეულიყვნენ. სწორედ ამ დროს უნდა დაეწყო მოქმედება სომეხთა კავალერიის ძირითად ნაწილს, რომელიც მარდებისა და იბერიელების უკან იდგა თვითონ ტიგრანის უშუალო მეთაურობით. ტიგრანი მაშინ დაიწყებდა შეტევას. როცა დაინახავდა, რომ მტრის რაზმები თავიანთ რიგებს აშლიდნენ. მაგრამ მარდებისა და იბერიელების მოვალეობა ბრძოლის ველიდან მარტო მოჩვენებითი გაქცევით არ ამოიწურებოდა, არამედ როცა ისინი დაინახავდნენ, ტიგრანი ფრონტის ცენტრალური ნაწილისაკენ დაიძვრებოდა, უეცრად უნდა შემობრუნებულიყვნენ და მტრისათვის ფლანგებიდან დაერტყათ. ამგვარად, ტიგრანის შეტევას ექნებოდა ყოველმხრივი ხასიათი ისე, რომ რომაელებს მხოლოდ ზურგისაკენ, მდინარისაკენ ექნებოდათ შემობრუნების საშუალება.

ლუკულუსმა თავისი არმიის საბრძოლოდ განლაგების დროს გაითვალისწინა ის უკანასკნელი საბრძოლო გამოცდილებანი, რომელიც მას მიღებული ჰქონდა 68 წლის (ძვ. წ.) ომების პერიოდში, რაც მეფეების ურთიერთ დახმარებაში და მოულოდნელობაში გამოიხატებოდა. ამიტომ მან ტიგრანის წინაალმდეგ საიერიშოდ გამოიყვანა 12 კოჰორტა და ცხენოსანი რაზმები, ხოლო დანარჩენები განალაგა ზურგში, რათა მათ ზურგიდან მოსალოდნელი საფრთხე აეცილებინათ იერიშზე წასული თანამებრძოლებისათვის.

ლუკულუსმა დილით ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და თავის კავალერიას ბრძანება მისცა გადაელახა მდინარე. მალე მან საიერიშოდ გამზადებული კოჰორტებიც დასძრა.

რომაელი მხედრობის სწრაფად შეტევას მარდები და იბერიელები მედგარი წინაალმდეგობით შეხვდნენ, მაგრამ როცა რომაელმა ლეგიონერებმა მდინარე გადალახეს და ლუკულუსის სარდლობით ბრძოლის ველზე გაჩნდნენ, მათ ფლანგებისაკენ პირი იბრუნეს და გაქუსლეს. რომაელები მათ დაედევნენ. გაქანებული იბერიელები და მარდები დადევნებულ მტრებს ისარს იშვიათი ხელოვნებით ესროდნენ და მიზანს ნაკლებად აცდენდნენ; როცა რომაელები ჭრილობებიდან ისრის ამოღებას ცდილობდნენ, ისარს ორკბილა წვერი ტყდებოდა და იარის შიგნით რჩებოდა, რაც სწრაფ სიკვდილს იწვევდა.

როგორც კი მარდები და იბერიელები ფლანგებისაკენ გაქანდნენ და მათ შორის ფრონტის ხაზი შუაზედ გაიპო, სომეხთა კავალერიის ძირითადი ნაწილი ტიგრანის მეთაურობით გრიგალივით დაიძრა რო-

მაელთა ცენტრზე დასაძგერებლად. ახლა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ მარდები და იბერიელები შემოტრიალდებოდნენ და ფლანგებიდან კონტრშეტევით გააძლიერებდნენ სომეხთა შეტევას. ლუკულუსი შეშინდა, როცა მოიერიშე მტერს შეხედა და სასწრაფოდ ებრძანა მარდებსა და იბერიელებზე გამოდევნებულ თავის ცხენოსან რაზმებს, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ უკან. როგორც კი მისი ბრძანება შესრულდა, მან შეამჭიდროვა თავისი რიგები, გააძლიერა ფლანგები მხედართა რაზმებით და თავისი კოჰორტები გაბედული იერიშით დასძრა მოწინააღმდეგისაკენ. შეტევის მთავარი ძალა ლუკულუსმა მიმართა სომეხთა ცენტრისაკენ, სადაც ყველაზე უფრო გაძლიერებული დაცვით იბრძოდა ტიგრანი. რამდენადაც ღარიბად შემორჩენილი წყაროებიდან ჩანს, ამის შემდეგ ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ტიგრანი დამარცხდა და მტერს ზურგი აქცია.

არსანიასთან რომაელთა გამარჯვება უპირველესად ლუკულუსის წინდახედულებასა და დაკვირვებულ სამხედრო ღონისძიებას უნდა მიეწეროს. ის კი არა და, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთში წარმოებულ არცერთ ბოძოლაში არ გამოუჩენია მას თავისი სარდლობის ნიჭი ისე კარგად, როგორც არსანიასთან ბრძოლაში. ლუკულუსი ბრძოლის ველიდან „გაქცეული" მტრის მოწინავე რაზმებს დაედევნა, მაგრამ როცა დაინახა, რომ სომეხთა მეორე ნაწილი ნიაღვარივით დაიძრა მის წინააღმდეგ და თანაც ირკვეოდა, რომ მარდები და იბერიელები ბრძოლის ველიდან მართლა არ გაქცეულან, არამედ ფლანგებიდან კონტრშეტევისათვის ემზადებოდნენ და რომაელებს რკალში მოქცევითაც ემუქრებოდნენ — მან დაუყოვნებლივ მოუხმო მტერზე გამოდევნებულ და გაბნეულ თავის ცხენოსნებს; შეკუმშა, შეამჭიდროვა საბრძოლო რიგები, გააძლიერა ფლანგები და მთელის ძალებით შეეგება სამი მხრიდან კონტრშეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს. პირველი ცხარე შეტაკების შემდეგ მაშინდელი მსოფლიოს ხალხთა სამხედრო შენაერთთა შორის ჯერ კიდევ უკეთესმა რომაულმა ქვეითმა არმიამ შესძლო დაემარცხებინა ტიგრანის ჭრელი შედგენილობის მხედართა პოლკები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლუკულუსის მიერ თავისი გაფანტული, შორს წასული, ზურგს მოწყვეტილი, საკმაოდ დაზარალებული და საბოლოოდ გასანადგურებლად მტრებისაგან შორს გატყუებული მხედრობის უკან გაწვევას და მათი დახმარებით ფეხოსანი არმიის ფლანგების გაძლიერებას, საიდანაც მოსალოდნელი

იყო საშიში იბერიელებისა და მარდების კონტრთავდასხმა ტიგრანის შეტევის პარალელურად.

ამავე, როგორ ლუკულუსმა მშვენივრად აუღო ალღო მტრის კარგად მოფიქრებულ საომარ გეგმებს, რაც ორგანიზებულად უკან დახევისა და ძლიერად მოშზადებულ კონტრშეტევაში მდგომარეობდა. ამ მხრივ ლუკულუსის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის სიღრმხილითა და წინდახედულობით გადააჭარბა ყველა მის თანამედროვეს. შემდეგდროინდელ სარდლებს, რომლებიც ხშირად ვერ ითვალისწინებდნენ აზიის მეომარი ხალხების მშვენივრად მოფიქრებულ ამ საომარ ტაქტიკას და თავიანთი წინდაუხედავობისა და უდროვო აჩქარების წყალობით ადვილად ეგებოდნენ ჭკვიანი მოწინააღმდეგის მიერ ნასროლ ანკესზე.

ლუკულუსი ამ მხრივ მთელი თავით მაღლა იდგა მარკუს კრასუსზე, რომელმაც არსანიას ბრძოლიდან 15 წლის შემდეგ აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, თავისი დაუკვირვებლობითა და სარდლისათვის მიუტევებელი ნაადრევი აჩქარებით თავის თავთან ერთად მრავალი რომაელის სიცოცხლეც შესწირა პართელთა მიერ „კარგად ორგანიზებულ კონტრშეტევას“*...

არსანიას ბრძოლას საერთო საომარი მდგომარეობა მაინც არ შეუცვლია. მართალია, ტიგრანმა ბრძოლის ველი დასტოვა, მაგრამ მისი კავალერია ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ხოლო მითრიდატეს საბრძოლო დროშის ქვეშ მყოფი ქვეითი არმია და ცხენოსანთა რაზმები სრულიად უვნებელნი იყვნენ. მეფეთა საბრძოლო ტაქტიკაც არ იცვლებოდა. ლუკულუსმა მიაღწია გენერალურ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ჩათრევას, მაგრამ ტიგრანმა ბრძოლა შუაზე გაწყვიტა და არმიის გადარჩენის მიზნით კვლავ მითრიდატესეულ საბრძოლო ტაქტიკას დაუბრუნდა, უკვე ნაადრევი ზამთარიც დგებოდა და აქამდე გაჭიანურებულ ომს წერტილი დაესმებოდა. მაგრამ ჩანდა, ეს დასასრული ლუკულუსის საშხედრო ბრწყინვალების აღსასრულად უნდა ქცეულიყო.

მაგრამ ამაყი სარდალი უკანასკნელი სისხლის წვეთების დაღვრაზე ფიქრობდა. ახლა ის საშინელი ჩიხიდან ერთადერთ გამოსავალ გზად სომხეთის სატახტო ქალაქის დაუფლებას თვლის. მან ამ გზით უკანასკნელად სცადა თავისი სამხედრო დიდების ფეხზე წამოყენება.

ის არსანიადან არტაქსატასაკენ გაეშურა.

---

* ი. სტალინი, პასუხი ამხ. რაზინს, ჟურნ. „ბოლშევიკი“ 1947, № 1-2, გვ. 9.

უკვე შუა შემოდგომა იდგა და ტიგრანის რეზიდენციისაკენ მიმავალ რომაელებს სუსხიანმა ამინდებმა და თოვლმა მოუსწროთ.

რომაელი ლეგიონერები

ბეომრებს ჰზარავდა თოვლითა და ჭირხლით დაფარული მთები; მოწმენდილი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ყინვები დგებოდა და დღისით წყლად ქცეული თოვლი ღამით სიპებად იქცეოდა. ცხენები ძლივს სვამდნენ მეტისმეტად ცივ წყალს; ძნელი ხდებოდა ყინულით დაფარული მდინარეების გადალახვა; ყინული ტყდებოდა

და ცხენებს ფეხებზე ძარღვებს აკრიდა; კიდევ უფრო უკირდათ მაღალი მთებისა და უღელტეხილების გადალახვა, სადაც მათ განუწყვეტლივ ათოვდათ და თოვლიან მიწაზე დასაძინებლად მიყრილო საშინლად ჰყინავდათ. ამასთან, წინსვლას კიდევ უფრო აძნელებდა დაკრილ მეომართა სიმრავლე და სურსათის სინაკლულე.

მთავარსარდალი ასეთი მძიმე პირობების ანგარიშმიუცემლად მაინც წინ მიიწევდა მანამ, სანამ, მისი დაჟინებული მისწრაფება საბოლოოდ არ ჩაიფერფლა.

არსანიადან გალაშქრების რამდენიმე. დღის შემდეგ ლუკულუსის კერპადქცეული დაჟინებითი წინსვლა ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომლის გადალახვა მას უკვე აღარ შეეძლო, ხოლო მისი დაუძლეველობა უეჭველ მარცხს უდრიდა. ლუკულუსისათვის ეს აუღებელი ციხე-სიმაგრე მისი ჯარისკაცების ამბოხება იყო.

მთავარსარდლის სოციალური დასაყრდენის ხელმოცარულობამ და რომში მის წინააღმდეგ პოპულარების მოქმედებამ, მისდამი მებრძოლთა სიძულვილმა, დაკრილთა სიმრავლემ და სურსათ-სანოვაგის სიმცირემ, მეფეების კარგად მოფიქრებულმა საომარმა ტაქტიკამ, დაუსრულებელი ომებისაგან მიყენებულმა ტანჯვა-წამებამ და უცნობი ქვეყნის მკაცრმა კლიმატმა და ბოლოს, თვით არმიაში სარდლის წინააღმდეგ გამოსული დემაგოგების აგიტაციამ—საბოლოოდ პირამდე აავსეს მეომართა მოთმინების ფიალა და ამდენი ხნის დაგუბებული ბოღმა ლუკულუსის წინააღმდეგ შეუკავებელ ნიაღვრად გადმოანთხიეს.

ჯარისკაცები პირველად ვერ ბედავდნენ უშუალოდ მთავარსარდლისათვის გაემეღავნებინათ თავიანთი უკმაყოფილება და მოთხოვნები და მასთან მოციქულებად აგზავნიდნენ სამხედრო ტრიბუნებს მაგრამ, როცა ამან ნაყოფი არ გამოიღო, ისინი ღამღამობით იკრიბებოდნენ კარვებში და ხმამაღალი გაბმული ღრიალით პროტესტსა და მუქარას უთვლიდნენ შეუბრალებელ სარდალს. ლუკულუსს უკვე აღარ შეეძლო თვალდახუჭული შეხვედროდა მეომრების გამოსვლას. ის იძულებული გახდა ჯარისკაცების წინაშე თავისი უკადრისობა და ამპარტავნობა როგორმე დაეთრგუნა, და დაუწყო მათ ხვეწნა-მუდარა; მოუწოდებდა მათ შეიარაღებულიყვნენ სიმტკიცითა და მოთმინებით მანამ, სანამ არ დავანგრევთ არტაქსატას, სომხეთის კართაგენს, რომაელთა მოსიზსლე მტრის, ჰანიბალის ქმნი-

ლებასო *. მაგრამ ჯარისკაცები მტკიცედ იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე და დაჟინებით მოითხოვდნენ უკან დაბრუნებას.

და, აი, ლუკულუსი, რომელმაც აღმოსავლეთში შვიდი წლის განმავლობაში თავისი საბრძოლო მახვილი ბევრი სახელოვანი გამარჯვებებით შეამკო, აქ, „სომხეთის კართაგენიდან" რამდენიმე დღის სავალზე, მტრისათვის მეტისმეტად მწარე მიწაზე, იძულებული შეიქნა თავი დამარცხებულად ეცნო და უკან დაბრუნებულიყო.

რომაელები დაბრუნდნენ, უკანვე გადაიარეს სომხეთის ტავრი, შემდეგ გორდიენა და გაჩნდნენ ტიგრის მარჯვენა სანაპიროზე, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. აქ ისინი მიუახლოვდნენ დიდ ქალაქ ნისიბისს. სომხეთში სიცივისაგან და შიმშილისაგან განაწამები მებრძოლები ამ თბილ და ნაყოფიერ ოლქში რამდენიმედ გამოცოცხლდნენ. ამით ლუკულუსმა ისარგებლა და იერიში მიიტანა ნისიბისზე.

ეს ქალაქი ადრე ტიგრანმა წაართვა პართიას და ახლა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ სომხეთის მეფის საიმედო ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამიტომაც ქალაქის დაცვა და მმართველობა ჩაბარებული ჰქონდა მეფის ძმას, სახელად გურასს, რომელსაც სამხედრო-ტექნიკურ მრჩევლად ჰყავდა ამისოსის სახელოვანი დამცველი, ჩვენთვის უკვე ცნობილი კალიმახე. ქალაქს ორ რიგად შემოვლებული ჰქონდა აგურის სქელი კედლები, ხოლო კედლებს შორის ღრმა და ფართო თხრილი იყო გავლებული.

ლუკულუსს შეეძლო თავისი ურჩი, მაგრამ დამშეული მებრძოლების ყურადღება მიეპყრო ნისიბისის სიმდიდრისა და სიუხვისათვის და დაეყოლიებინა ისინი მასზე საიერიშოდ. მაგრამ პირველ იერიშებს შედეგი არ მოჰყვა და რომაელები ალყაზე გადავიდნენ.

ქალაქის დამცველები პირველ ხანებში არაჩვეულებრივ სიმტკიცეს იჩენდნენ; მოალყეებს ისრის წვიმას უშენდნენ და იერიშზე წამოსვლის შემთხვევაში თავზე ცეცხლმოკიდებულ კუპრს ასხამდნენ. მაგრამ როგორც კი დაზამთრდა და ცივი, ქარბუქიანი ამინდები დაიჭირა, გურასის მეომრებს იმედი მიეცათ, რომ რომაელები, რომლებმაც ამ რამდენიმე თვის წინ სომხეთში მკაცრი კლიმატის სისასტიკე იგემეს, ვეღარც ნისიბისთან ჩამომდგარ სუსხიან ზამთარს გაუძლებდნენ და ალყას მოხსნიდნენ. ამიტომ მათ ქალაქის დაცვის ყურადღება შეასუსტეს და უზრუნველობას მისცეს თავი.

ლუკულუსმა ამით ისარგებლა და ერთ მეტად ბნელ და ქარიშხლიან ღამეს, როცა ქალაქის დამცველები მტრის მხრივ არავითარ

* პლუტარქე გადმოგვცემს, რომ არტაქსატა ვითომდა დაარსებულია ჰანიბალის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით.

თავდასხმაზე არ ფიქრობდნენ და საგუშაგო პოსტებიც მიტოვებული ჰქონდათ, შეუმჩნევლად გადაიყვანა თავისი მებრძოლები ქალაქის პირველ კედელზე და მიადგა თხრილს, რომელიც მას მეორე, შიდა კედლისაგან ჰყოფდა. რომაელებს ხიდები აყრილი დახვდათ. მათ დაიწყეს თხრილის ამოხერგვა და ზედ გადასვლა. მეციხოვნეები გვიან მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და სცადეს მისი გამოსწორება. მაგრამ მათი ნასროლი ისარი ბნელში მიზანს იშვიათად ხვდებოდა და ალმოდებულ კუპრსაც ქარიშხალი აქრობდა. რომაელებმა მეორე კედელიც აიღეს და ქალაქში შეიჭრნენ. გურასმა და კალიმახემ მცირე ამალით თავი შეაფარეს ქალაქის ციხეს, მაგრამ მალე წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალეს და მტერს დანებდნენ. ლუკულუსმა გურასი შეიწყალა, ხოლო კალიმახეს, რომელმაც მას სიცოცხლის შესანარჩუნებლად საიდუმლოდ გადანახული განძეულობის გამოაშკარავება აღუთქვა, ბორკილები დაადო და მალე სიკვდილით დასაჯა, განსაკუთრებით იმ ზარალისათვის, რომელიც რომაელებმა ნისგან განიცადეს ამისოსის ალყის დროს.

ნისიბისთან გამარჯვება ლუკულუსის ძლევამოსილი მქუხარების უკანასკნელი აკორდი ყოო. ამ ბრძოლას მისი ძლიერების დაისი მოჰყვა და მალე მის ცაზე სრულიად ჩამობნელდა. ამის შემდეგ მას, ოითქოს, მართლა „მოშორდა კეთილსასიამოვნო სიო“, თუმცა „ყველაფერს აკეთებდა ძალდატანებითა, დაძაბულობითა და ყველგან დაბრკოლებებს ხვდებოდა. ის არ სწყვეტდა ეჩვენებინა სიმტკიცე, და სიმამაცე, ღირსებანი დიდი სარდლისა, მაგრამ მის საქმეებს უკვე აღარ ჰქონდა არავითარი დიდება და აღმატება“.

მეომრები უკვე სრულებით აღარ სცნობდნენ ლუკულუსის მთავარსარდლობას და კიდევ მეტად თვითნებობდნენ. მათი დემორალიზაციის ბირთვად კვლავ ფიმბრიასეული ლეგიონები რჩებოდნენ, რომელთაც სარდლების წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ.

ლუკულუსის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა არმიაში დემაგოგების მოქმედება, რომელთა რიცხვს მისი უახლოესი პირებიც კი ეკუთვნოდნენ. სახელდობრ, მისი ცოლის ძმა პუბლიუს კლოდიუსი ცხოველი სიტყვებით, მართალი მდგომარეობის დასურათებით, აჯანყებდა ჯარისკაცებს ლუკულუსის წინააღმდეგ. „ნუთუ აღარასოდეს აღარ ექნება ბოლო ამდენ გაჭირვებებსა და ბრძოლებს? ნუთუ მთელი ჩვენი სიცოცხლე უნდა გავატაროთ ყველა ხალხებთან ბრძოლებში, ვიხეტიალოთ რა ქვეყანაზე? ამდენი შრომისა და საქმიანობის შემდეგ ნუთუ არ უნდა მივიღოთ ღირსეული ჯილდო? თუ მხოლოდ უნდა ვაცილოთ ლუკულუსის აღალი და ოქ-

რობითა და ძვირფასი ქვებით შემკული ნივთებით დატვირთული აქლემები? ხოლო პომპეიუსის მებრძოლები, ქცეულნი მშვიდ მოქალაქეებად, თავიანთი ცოლებითა და შვილებით ესახლებიან ბედნიერ ბიწაზე და ქალაქებში ცხოვრობენ; არ სდევენ არც მითრიდატესა და არც ტიგრანს დაუსახლებელ ვრცელ უდაბნოებში; არ ამხობენ აზიის სამეფოებს... ამგვარად, თუკი არასოდეს არ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა, მაშინ ჩვენთვის განა უკეთესი არ იქნება, რომ შევუნახოთ ჩვენი სხეული და სული ისეთ სარდალს, რომელიც თავის საუკეთესო სამკაულად სთვლის ჯარისკაცების გამდიდრებას?" — ასე ეუბნებოდა კლოდიუსი მეომრებს.

ჯარისკაცები კლოდიუსს თავიანთ მეგობარს ეძახდნენ. ეს საპატიო ტიტული მან სწორედ იმიტომ მოიპოვა, რომ ის მებრძოლთა ყველაზე მგრძნობიარე ადგილს ეხებოდა: ჩვენი შრომისა და ტანჯვაწამების ნაყოფს ლუკულუსი ითვისებსო; იმის ნაცვლად, რომ დაღლილ-დაქანცული ძვლები დავასვენოთ, უნდა მივსდიოთ ლუკულუსის მდიდარ ნაძარცვსა და ძვირფასი ნადავლით დატვირთულ ქარავნებსო. სიმდიდრის მოყვარული რომაელი ჯარისკაცები მუდამ ხარბი თვალით ზომავდნენ ნადავლის გაყოფისას სარდლების ლომის წილს. ჯარისკაცები ლუკულუსის მიმართ არც ნისიბისში მოპოვებული მდიდარი ნადავლის გაყოფით იყვნენ კმაყოფილი და ცდილობდნენ, თავიანთი შეცდომა—რომ ისინი სარდალს გაჰყვნენ ნისიბისის საიერიშოდ — ახალი, უფრო გადამჭრელი სიურჩით გამოესწორებინათ.

მათ ზამთრის მომიზეზებით ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან წასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ისინი ლუკულუსს აღარ თვლიდნენ სარდლად და მოელოდნენ პომპეიუსს, ან სხვა მეთაურს, რომელიც შეცვლიდა მათთვის საძულველ ლუკულუსს.

• •

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა მითრიდატემ და ტიგრანმა სწრაფი ტემპებით დაიწყეს კონტრშეტევაზე გადასვლა და თავიანთი სამფლობელოების დიდი ნაწილი კვლავ ხელში ჩაიგდეს. მეფეებმა კარგად დაინახეს თავიანთი საბრძოლო გეგმის ბრწყინვალე ნაყოფი: ლუკულუსი უკვე დაუძლურებული იყო... ამიტომ მათ ახლა საჭიროდ ჩასთვალეს თავიანთი „კუნქტატორული" (დაყოვნებითი) საომარი გეგმა სწრაფი კონტრშეტევებით შეეცვალათ.

მითრიდატე პონტოელი 8.000 მეომრით შეიჭრა მცირე სომხეთში და შეუდგა რომაელთა გარნიზონებისაგან თავისი სამფლობე-

ლების განთავისუფლებას. მის საბრძოლო მოწოდებას რომაული კირთების ქვეშ მგმინავი ხალხი კვლავ აღფრთოვანებით შეხვდა და რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღი აიხსნა.

ევპატორის შეტევახ პარალელურად ტიგრანიც თავისი ჯარებით დაიძრა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სომხეთის სამფლობელოთა ძველი საზღვრების აღსადგენად. აქ ტიგრანი თავს დაესხა ლუკულუსის ლეგატს ლუციუს ფანიუსს, რომელიც, როგორც, გვახსოვს, ადრე მითრიდატეს აფარებდა თავს, ხოლო სერტორიუსის სიკვდილის შემდეგ კვლავ რომაელებს დაუბრუნდა და მათთან ერთად ებრძოდა მეფეებს.

ამ დროს მითრიდატე მიუახლოვდა ქაბეირას, სადაც მან ამ ორი წლის წინ საშინელი მარცხი იგემა და კინაღამ სიცოცხლეც დაჰკარგა. შურისძიების ცეცხლით შეპყრობილმა მეფემ გაშმაგებით შეუტია ქალაქში დაბანაკებულ რომაულ გარნიზონს, რომელსაც მარკუს ფაბიუს ადრიანე სარდლობდა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ადრიანე დამარცხდა. მან 500 კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით და მრავალი დაიჭრა. ადრიანე მაინც არ თმობდა ბრძოლას. მან უკიდურესი გასაჭირის პირობებში მონებს თავისუფლება მიანიჭა და მათი საშუალებით ბრძოლა კვლავ განაახლა. მონათა გამოყვანამ შეტაკება კიდევ უფრო გაახანგრძლივა და გააცხარა. მითრიდატეს ცხენი დაუჭრეს, მაგრამ ის სასწრაფოდ გადმოხტა ძირს და მახვილმოწვდილი, ომახიანი საბრძოლო ყიჟინით მოუწოდა თავისიანებს იერიშისაკენ. რომაელები შედრკნენ და გაიქცნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს მეფეს შურდულით გასროლილი ქვა მოხვდა ფეხის კოჭში და ჩაიჩოქა, კვლავ წამოიჭრა და ტკივილებისაგან გამწარებულმა კიდევ უფრო გამძაფრებით შეუტია მტერს. მაგრამ სწორედ ამ დროს გაიზუზუნა ისარმა და მითრიდატეს თვალში ჩაერჭო. მეფე დაეცა. ბრძოლა მაშინვე შეწყდა. ადრიანე დაჭრილთა და მოკლულთა სიმრავლის გამო ვეღარ ბედავდა კვლავ შებმას, ხოლო პონტოელები ბრძოლისაგან თავს იკავებდნენ დაჭრილი მეფის მძიმე მდგომარეობის გამო.

დაჭრილ მითრიდატეს სკვითი ექიმბაშები, რომლებიც მას მუდამ თან ახლდნენ, გველის შხამით მკურნალობდნენ. მეფე რამდენიმე დღეში ფეხზე დადგა და ალყა შემოარტყა ქაბეირას, სადაც თავი შეაფარა ფაბიუს ადრიანემ.

ადრიანეს საშველად დაუყოვნებლივ გაეშურნენ ტრიარიუსი და სორნაციუსი მთელი თავისი ძალებით. ვალერიუს ტრიარიუსმა ბრძოლის საერთო სარდლობა ჩაიბარა და საბრძოლველად მოემზადა. მოწინააღმდეგენი ერთიმეორის პირისპირ დაბანაკდნენ. მაგრამ ბრძოლის დაწყების წინა დღეს საშინელი გრიგალი ამოვარდა, რო-

ელმაც გაიტაცა სამხედრო კარვები, მზიდავი საქონელი და მეომრებიც კი. მოწინააღმდეგენი იძულებული შეიქნენ ბრძოლა გადაეგადებინათ.

მალე ამის შემდეგ რომაელებმა ქაბეირა დასტოვეს და უფრო დასავლეთისაკენ გადაინაცვლეს. მითრიდატე ქაბეირადან გაეშურა და რომაელებს წამოეწია მდინარე ირისთან. აქ მომხდარ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია, და გამოსაზამთრებლად დაბანაკებულმა მოწინააღმდეგეებმა საომარ მოქმედებათა განახლება საგაზაფხულოდ გადასდეს.

ლუკულუსმა შეიტყო თავისი ლეგატების დამარცხებების ამბავი. მან დაინახა, რომ ხანგრძლივი ბრძოლების მონაპოვარი ხელიდან ეცლებოდა. პირველ ხანებში გაჯიუტებული მეომრები როგორც იქნა დაიყოლია ტრიარიუსის დასახმარებლად წასვლაზე. ლუკულუსს ამის მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ აღარავითარი პატივისცემით აღარ სარგებლობდა, მაინც არ გაუჭირდებოდა, რადგანაც მისი ყოველი მებრძოლი ახლა კარგად ხედავდა, თუკი მეფეებს აზიაში გაბნეულ მტრის რაზმებთან ცალცალკე ბრძოლის საშუალება მიეცემოდათ, ვერც ერთი რომაელი და მათ შორის ლუკულუსის მეომრებიც, აზიიდან ცოცხლები ვერ გავიდოდნენ. ამიტომ საჭირო იყო ყველა რომაული ჯარების გაერთიანება მომძლავრებული და კონტრშეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ. მიტომაც ლუკულუსის მეომრებმა ჯერჯერობით ხელი აიღეს ჯიუტობაზე და გაჰყვნენ მას ტრიარიუსის მისაშველებლად.

მაგრამ ლუკულუსმა ბრძოლას ვერ მიუსწრო. ტრიარიუსმა შეგნებულად არ დაუცადა მას, რადგან არ სურდა, ლუკულუსი გამხდარიყო იმ გამარჯვების თანაზიარი, რის მოპოვებაშიც მას ექვი ოდნავადაც არ ეპარებოდა.

ბრძოლა მოხდა 67 წლის გაზაფხულზე (ძვ. წ.) ცელას მახლობლად, მდ. ირისთან, ე. წ. სკოტას მთასთან. საბრძოლო ნაღარა პირველად რომაელებმა დასცეს და სწრაფ შეტევაზე გადავიდნენ. მთაზე დაბანაკებული პონტოელები უეცრად დაეშვნენ და შეტევაზე გადმოსულ რომაელებს ძლიერად დაჰკრეს. ბრძოლა დიდხანს ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. მითრიდატემ, რომელიც ხან აქ და ხან იქ, ყველგან, სადაც მის მებრძოლებს უჭირდა, უეცრად გაჩნდებოდა და თავისი საბრძოლო სიკისკასით მტერს თავზარს სცემდა, ბოლოს გასტეხა რომაელთა წინააღმდეგობა და მათი ქვეითი ლაშქარი ირისის ღრმა ჭაობიან ნაპირებში შერეკა. მკერდამდე დაფლული რომაელები პონტოელთა ისრებისაგან თითქ-

მის სრულიად გაიქლიტნენ. ტრიარიუსის კავალერიამ, რომელსაც უმთავრესად ქვეითი კოჰორტების იმედი ჰქონდა, ბრძოლის ველს ზურგი აქცია და მოჰკურცხლა. მითრიდატე მათ დაედევნა თავისი მხედრებით; რომაელთა კავალერიასაც დაღუპვა არ ასცდებოდა, მაგრამ ამ დროს, რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა (ასეულის მეთაურმა), რომელსაც პონტოელთა ტანსაცმელში გადაცმულს მეფის მცველებში შესვლა მოუხერხებია, ამხედრებულ და ბრძოლის ცეცხლით გატაცებულ მითრიდატეს მოულოდნელად მძლავრად აძგერა მახვილი გვერდში. თავზეხელაღებული რომაელი პონტოელებმა იქვე აჰკუწეს და დაჭრილი მეფე ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. ამ შემთხვევამ მითრიდატეს სარდლები შეაძრწუნა და მათ რომაელებზე გამოდევნებული მხედრები უკან გამოიწვიეს. მოულოდნელობით შეშფოთებული მეომრები დაჭრილ მეფეს შემოეხვივნენ და მისი ხვედრით შეშინებულნი სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. მაშინ მითრიდატე მკურნალის დახმარებით მაღლობზე ავიდა და იქედან ეჩვენა თავის მეომრებს და ანუგეშა ისინი, რომ მისი მდგომარეობა არც ისე მძიმეა. შემდეგ მან საყვედურებით აავსო თავისი თანაშემწენი, რომლებმაც სრულიად უმიზეზოდ გამოიწვიეს ჯარები ბრძოლის ველიდან. იმავე დღეს მითრიდატე მოახტა ცხენს და კვლავ დასძრა გამარჯვებით გალაღებული თავისი რაზმები მტრის ბანაკისაკენ. სიკვდილს გადარჩენილმა დაშინებულმა რომაელებმა გაქცევით უშველეს თავს.

დამარცხებულთა მიერ გაღებული მსხვერპლი ძალიან დიდი იყო. ტრიარიუსმა მოკლულთა სახით 7.000 მეტი მეომარი დაჰკარგა. დახოცილ რომაელთა შორის აღმოჩნდა 24 სამხედრო ტრიბუნი და 150 ცენტურიონი. პონტოელებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლუკულუსმაც მიაღწია. მან დამალა ტრიარიუსი, რომელსაც მებრძოლები დაგლეჯას უპირებდნენ, მისი წინდაუხედაობისა და მოუთმენლობის გამო ამდენი რომაელის განადგურებისათვის.

მითრიდატე კვლავ მოერიდა ლუკულუსთან შეხვედრას. მას თან მიჰქონდა რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენს ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა, რათა ფეხდაფეხ დადევნებულ მტერს ხელში არაფერი ჩავარდნოდა და მუდამ შიმშილის საფრთხის ქვეშ ყოფილიყო.

ამ დროს მითრიდატეს ბანაკში შეთქმულება მოეწყო მის სიცოცხლეზე თავდასასხმელად. შეთქმულებას მეთაურობდა სამშობლოდან გაძევებული და მითრიდატესთან თავშეფარებული ყოფილი რომაელი სენატორი ატილიუსი. მეფემ შეიტყო რაც მზადდებოდა

მის წინააღმდეგ და ყველა შეთქმული სიკვდილით დასაჯა, ხოლო მათი მსახურები, რომლებიც შეთქმულებაში აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ, გაათავისუფლა; ისინი თავიანთ ბატონებს ერთგულად ემსახურებოდნენ და ერთგულებისათვის სიკვდილით დასჯა უსამართლობაა — ამბობდა მეფე.

მითრიდატე შეიჭრა კაპადოკიაში და გამაგრდა ტალავრის მთაზე. ლუკულუსი ცდილობდა, როგორმე ჩაეთრია ბრძოლაში პონტოს მეფე, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩქარობდა; ის მოელოდა ტიგრანს, რომელიც ძლიერი ჯარით მოეშურებოდა მის დასახმარებლად.

მართლაც მალე გამოჩნდა სომეხთა ავანგარდი, რომელსაც ტიგრანის სიძე სარდლობდა. სომხები გზადაგზა ანადგურებდნენ ნათესებს და სპობდნენ ჩამორჩენილ რომაელ მეომრებს.

ლუკულუსმა თავისი არმია გამოაბრუნა და გაეშურა ტიგრანის წინააღმდეგ. მაგრამ გზაში ფიმბრიანელები აჯანყდნენ. მათ გადაეწერით უარი სთქვეს მორჩილებაზე და შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ სახალხო გადაწყვეტილების თანახმად აზიური პროვინციების მმართველად სხვა არის დანიშნული და ჩვენ კი გათავისუფლებული ვართ ლუკულუსის მთავარსარდლობისაგანო.

ლუკულუსი ყოველნაირად ცდილობდა დაეყოლიებინა აჯანყებულები. ის ცრემლმორეული დადიოდა კარავიდან კარავში და სათითაოდ ემუდარებოდა მათ, ხელს ხვევდა და სთხოვდა ყოველ ჯარისკაცს. მაგრამ გაჯიქებული მეომრები ყურადღებას არ აქცევდნენ უკვე მოტეხილი და ქედმოდრეკილი სარდლის მუდარას. ისინი მას ფეხებში ესროდნენ ცარიელ ქისებს და ეუბნებოდნენ: დაე, მარტო შენ იბრძოლე, რაკი მარტო შენ დაიმსახურე გამდიდრება და განდიდებაო. ბოლოს, სხვა ლეგიონერთა თხოვნით ფიმბრიელები დათანხმდნენ დარჩენილიყვნენ ლუკულუსთან ზაფხულის განმავლობაში, ხოლო, თუ ზაფხულის განმავლობაში მტერი თავს არ დაესხმოდათ, ისინი შემოდგომის დადგომისთანავე ლუკულუსის ბანაკს დატოვებდნენ.

სარდალი დარწმუნდა, მას მებრძოლებმა სამუდამოდ აქციეს ზურგი. ამიტომ მან უკანასკნელ საშუალებას მიმართა; მითრიდატესა და ტიგრანის წინააღმდეგ ლეგიონები სთხოვა კილიკიის ახალ მმართველს, თავის ქვისლს, ქვინტუს მარციუს რექსს, რომელიც სამი ლეგიონით ჩამოვიდა კილიკიაში. მაგრამ ლუკულუსი აქაც დამარცხდა: რექსმა დახმარებაზე უარი შეუთვალა იმის მომიზეზებით, რომ ჩემი მეომრები უარს აცხადებენ მეფეების წინააღმდეგ გალაშქრებაზეო.

• •

ეს ის დრო იყო, როცა ხმელთაშუა ზღვაზე მოთარეშე მეკობრეთა კატარღებმა რომი აღმოსავლეთის საქმეთაგან მთლიანად გამოთიშეს და იტალია შიმშილით დაღუპვის საფრთხის წინაშე დააყენეს. მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი სავსე იყო ზღვის ყაჩაღთა ბრბოებით; იტალია ბლოკადაში ჰყავდათ მოქცეული.

სახალხო ტრიბუნმა ავლუს გაბინიუსმა რომის სახალხო კრებას წარუდგინა კანონპროექტი, რომლის ძალითაც მეკობრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხს უნდა აერჩია დიქტატორი სამი წლის ვადით. დიქტატორის განკარგულების ქვეშ უნდა ყოფილიყო დიდი არმია, 200 გემისაგან შემდგარი ფლოტი, 15 ლეგატი, ფულადი თანხა 6.000 ტალანტის რაოდენობით და უნდა ჰქონოდა ჯარებისა და ფულების შეკრების უფლება რომის სახელმწიფოს ყველა პროვინციებში.

ასეთი კანონპროექტი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა რომის რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომლის ძალითაც დიქტატორის არჩევა ძალიან დიდი საშიშროების შემთხვევაში შეიძლებოდა მხოლოდ 6 თვის ვადით. გაბინიუსის კანონპროექტი კი, როგორც ვნახეთ, დიქტატორის არჩევას სამი წლის ვადით ითვალისწინებდა: ეს იმას ნიშნავდა, რომ სამი წლის მანძილზე ერთი კაცი იქნებოდა მთელი რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული გამგებელი, ისე, რომ არც სენატს, არც კონსულებს, არც ხალხს არ ჰკითხავდა არაფერს. ასეთი კანონპროექტის წარმოშობა მოწმობდა მაშინდელი რომის პოლიტიკური ხელისუფლების კრიზისს, მის სისუსტეს; მოწმობდა იმას, რომ რომის მონათმფლობელურ რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომელიც მხოლოდ ქალაქი რომის სამმართველოდ იყო გამოგონილი, ველარ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რასაც რომის მსოფლიო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საჭიროება მოითხოვდა. ე. ი. კონსერვატიულ-რესპუბლიკური კონსტიტუცია მანამ ვარგოდა, სანამ რომი ქალაქ-სახელმწიფო იყო, მაგრამ როცა მან მაშინდელი მსოფლიოს უმეტესი ნაწილი დაიპყრო და ამგვარად მსოფლიო სახელმწიფოდ იქცა, ასეთი კონსტიტუცია აღარ გამოდგებოდა. საჭირო იყო ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა. არც 6 თვით არჩეულ დიქტატორს, არც ერთი წლით არჩეულ და უფლებაშეზღუდულ კონსულებს არ შეეძლოთ რომის მსოფლიო სახელმწიფოს მართვა; არა-

ჭედ ამისათვის საჭირო იყო უმაღლესი, საიმპერატორო, განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე თანამდებობის პირი.

ასეთი საგანგებო, მანამდე რომაელთათვის უჩვეულო უფლებებით აღჭურვილი დიქტატორის კანდიდატად გაბინიუსი ითვალისწინებდა თავის ბატონსა და მეუფეს, გნეუს პომპეიუსს.

ოპტიმატი-კონსერვატორები, რომლებიც თავიანთ თავს რესპუბლიკელებს უწოდებდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ ასეთი კანონი, რომელიც კიდევ უფრო აქვეითებდა ზანტი სენატის ავტორიტეტს; მაგრამ სახალხო ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ გაბინიუსის კანონპროექტი დამტკიცდა.

პომპეიუსი მასზე ოფიციალურად მინიჭებული უფლებებითაც არ დაკმაყოფილდა: მან შეკრიბა 120.000 მეომარი, 4.000 ცხენოსანი, 270 გემი (ნაცვლად 200-ისა) და 25 ლეგატი (ნაცვლად 15-სა). ასეთი ძალები ერთი რომაელის ხელში სწორედ რომ უჩვეულო რამ იყო.

პომპეიუსმა აღნიშნული საომარი ძალები დაუნაწილა თავის ლეგატებს და შეუდგა მეკობრეთაგან ხმელთაშუა ზღვეთის გაწმენდას.

სანამ პომპეიუსის ლეგატები ზღვებში გაბნეულ მეკობრეთა ბუდეებს ანგრევდნენ, აზიიდან ზედიზედ ჩამოდიოდა ახალი საშინელი ამბები მითრიდატესა და ტიგრანის სწრაფი მიღწევების შესახებ. ყოველდღიურად მოსალოდნელი იყო, მეფეები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს მოადგებოდნენ და მხარს მისცემდნენ რომის წინააღმღეგ მებრძოლ ზღვის ყაჩაღებს. აზიაში სპეციალურად გაგზავნილი კომისია იუწყებოდა, რომ ლუკულუსი არა მარტო პონტოს ვეღარ ფლობს, არამედ სხვა რომაული ქვეშევრდომი ტერიტორიებიც ბრავლად დაუკარგავსო.

იმავე წელს (67 ძვ. წ.) გაბინიუსმა ახალი კანონპროექტი გამოაქვეყნა, რომლის ძალითაც ლუკულუსის რწმუნებანი, ე. ი. ბითინია-პონტოს მმართველობა და აღმოსავლეთის მთავარსარდლობა, უნდა გადასცემოდა ამ წელს კონსულად არჩეულ მარკუს აცილიუს გლაბრიონს. სენატის. სუსტმა გაბრძოლებამ კანონპროექტის დამტკიცება ვერ შეაფერხა.

ბითინიაში ჩამოსული გლაბრიონი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დაგზავნა ედიქტები, რომელთა მიხედვით ის ლუკულუსის სამსახურისაგან ათავისუფლებდა ყველა მეომარს, უპირველესად კი იმათ, ვისაც სამხედრო სამსახურის ვადა დასრულებული ჰქონდა (ასეთები კი ლუკულუსის არმიის უმრავლესობას შეადგენდნენ). წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუკი რომელიმე მეომარი მაინც მოისურვებდა ლუკულუსთან დარჩენას, ის ჰკარგავდა მთელს თავის ქონებას.

ეს მოწოდება საკმარისი გახდა, არმიის უდიდეს ნაწილს ლუკულუსის ბანაკი მიეტოვებინა. ლუკულუსი მცირეთა თანხლებით უმწეო მდგომარეობაში რჩებოდა მოიერიშე მტრების წინაშე.

მაგრამ, როგორც ადრე კილიკიის მმართველმა რექსმა უარი განაცხადა მეფეთა წინააღმდეგ გამოსვლაზე, ისევე გლაბრიონმაც ვერ გაბედა შებმოდა მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლის იმ მძიმე უღელს, რომლის გაწევაც მასზე უფრო ქედღონიერ ლუკულუსს უჭირდა. გლაბრიონი მართლაც არ იყო მომზადებული ასეთი საშიში ომის ხელმძღვანელობისათვის, ხოლო აზიის მაშინდელი მდგომარეობა ოდნავ დაყოვნებასაც კი არ ითმენდა ...

თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა აზიურ პროვინციებს რომისათვის და რა საფრთხე შეიქმნა რომაელთა ბატონობისათვის აღმოსავლეთში, ამის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს ცნობილი ორატორის, მარკუს ტულიუს ციცერონის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა გნეუს პომპეიუსის ახალ რწმუნებათა სასარგებლოდ:

განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს აზიას რომის ეკონომიური სიძლიერისათვის. ის რომის სახელმწიფო ხაზინის ძირითად სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენს. ჩვენ, რომაელები საგადასახადო სისტემაში ვხედავთ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერის სასიცოცხლო არტერიებს და ამ არტერიების უფრო ხშირი ქსელი აღმოსავლეთიდან მოედინება. შემოსავლები სხვა პროვინციებიდან, აზიასთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ძლივს ყოფნის იმავე პროვინციების მმართველობისათვის გასავლებს. აზია, პირიქით, ქვეყანა მეტად დოვლათიანი და მდიდარი, შორს იტოვებს უკან სხვა პროვინციებს მიწის ნაყოფიერებით, ხილ-ბოსტნეულის ნაირსახეობით, საძოვრების სივრცით და საექსპორტოდ ვარგისი პროდუქტების სიჭარბით. რომაული ფულის კურსი, რომაული ფულადი ოპერაციები, წარმოებულნი რომის ფორუმზე, მტკიცე და ორგანულ კავშირშია აზიის ფულად ბრუნვასთან. ამ უკანასკნელის მოშლამ არ შეიძლება დაღუპვის მორევში არ ჩაითრიოს პირველი;

აზიაში რომაელი მდიდარი ფინანსისტ-მხედრების მრავლად დაბანდებული კაპიტალები იღუპებიან. აღმოსავლეთიდან განუწყვეტლივ მოედინება ეპისტოლეთა ნაკადი, საიდანაც იტყობინებიან, რომ ორი უძლიერესი მეფე, მითრიდატე და ტიგრანი, შეუჩერებლივ მოიწევენ წინ. ბითინიის აღმოსავლეთი ოლქები უკვე მითრი-

დატეს ეკუთვნის; კაპადოკიაც მეფეებს უჭირავთ და სადაცაა ბელო-
ვდებენ პერგამოსის ყოფილ სამეფოს და ბითინიას, რომლებიც

მარკუს ტულიუს ციცერონი

რომაელი ბანკირების ეკონომიური სიძლიერის ძირითად წყაროებს
წარმოადგენენ;

აზიის რომაული ექსპლოატაციის მესაჭეები მდიდარი რომაელი
მხედრები არიან. რომის სახელმწიფო ხაზინის (რომლის ძირითად-

წყაროს აზია წარმოადგენს) უპირველესი ხაზინდარები სწორედ მხედართა წოდების წარმომადგენლები არიან. ამიტომ, თუკი აღმოსავლეთში მათი ფინანსიური ოპერაციები დაიღუპება, ეს იმას ნიშნავს, რომ რომის სახელმწიფოს მთელი ეკონომიკა გაკოტრდეს. ფაქტი: ჩვენ გვახსოვს, რომ როცა მითრიდატეს ომები დაიწყო და ამის შედეგად მხედრებმა აზიაში დიდძალი კაპიტალი დაჰკარგეს, რომში გადახდა შეწყდა და ფულის კურსი დაეცა;

მხედართა წოდების წარმომადგენელთა გარდა სხვა რომაელმა მოქალაქეებმაც გააბეს აზიასთან ურთიერთობა და იქ საკმაოდ დიდი ფულადი თანხები დააბანდეს. ახლა ამ მოქალაქეთა ეკონომიური სიძლიერეც დაღუპვის წინაშე სდგას, რაც საერთოდ ქვეყნისათვის საზიანო მდგომარეობას ჰქმნის;

ამას გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საკითხი მარტო პროვინცია აზიის გადარჩენას კი არ ეხება, არამედ ადვილად მოსალოდნელია, რომ თვითონ ეს პროვინცია ჩვენს საწინააღმდეგო ბრძოლის კერად გადაიქცეს. მითრიდატეს წინააღმდეგ ადრეული ომებიდან ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ დგებოდა პროვინცია აზია რომის საწინააღმდეგოდ თავგანწირული ბრძოლის დროშის ქვეშ. საკმარისია მეფეთა ჯარი ახლოს იდგეს, და ხალხი არ დაუცდის მათ შემოკრას; ისინი უმალვე მიატოვებენ რომაელთა სამსახურს და შეუერთდებიან მათ. ძალიან ძნელია აღწერა აზიელების სიძულვილისა რომაელების მიმართ, რაც გამოწვეულია მათი თვითნებობითა და უსამართლობით. ეს სიძულვილი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უმოკლეს დროში მთელი აზია თავისი სურვილით არ დადგება მტრების ბანაკში;

არანაკლებ მძიმეა რომაელთათვის ის სამარცხვინო ლაქა, რომელიც მათ მიიღეს ამდენი ხნის წარმოებულ ომებში. რომაელთა პატივი და დიდება, მათი სახელოვანი იარაღის სიძლიერე ლაფში ისვრებოდა და ისვრება აზიელებთან ბრძოლაში განცდილი ხშირი დამარცხებებისაგან.

ასე წარმოგვიდგენს რომაელი ორატორი მისი თანამედროვე აზიის ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ მნიშვნელობას რომის სახელმწიფოსათვის. ასე წარმოგვიდგენს ის მაშინდელ აღმოსავლეთში რომაელთათვის შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას. თითქმის სამი ათეული წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რომი და პონტო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს და გადამწყვეტი შედეგი კიდევ არ ჩანდა. რომის ისტორიას არ ახსოვდა ასეთი ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლები არც ერთ სერიოზულ მოწინა-

აღმდეგესთან. რამდენი მძიმე დღეები და წლები გადაიტანეს რომაელებმა აზიელების წინააღმდეგ ბრძოლებში, რამდენი ბრწყინვალე გამარჯვებებით შეამკეს მათ თავიანთი საბრძოლო დროშები, მაგრამ შედეგი არსად ჩანდა! სიზიფეს შრომასავით * ყველაფერი ყოველთვის ისევ თავიდან დასაწყები ხდებოდა. პირიქით, ახლა, თითქოს, აზიაში რომაელთა ბატონობის აღსასრულიც კი ახლოვდებოდა; მითრიდატე კვლავ ენერგიულად მიიწევდა ოდინდელი ძლიერების მწვერვალისაკენ; ეფესოს სისხლიანი ედიქტის აჩრდილი კვლავ შემაძრწუნებლად წამოიმართა აღმოსავლეთის ჰორიზონტზე..

აშკარა ხდებოდა, რომის ქალაქის თარგზე მოჭრილი პატარა არისტოკრატიულ-მონათმფლობელური რესპუბლიკა თავს ვეღარ ართმევდა აღმოსავლეთის ძლიერი ქვეყნების დამორჩილებისა და შემომტკიცების საქმეს. რომის კონსერვატიული პარტია. სენატი თავიანთი პასიურობითა და სიზანტით ვეღარ ახერხებენ შორეული ქვეყნების მტკიცედ შემოერთებას. რაც უფრო შორს მიიწევდა რომაული ექსპანსიის საზღვრები, მით უფრო იბნეოდა და უსუსური ხდებოდა ოლიგარქიული სენატი. სენატის საგარეო პოლიტიკის ყველაზე სუსტი ადგილები შორეული პროვინციების მმართველობისა და შემომტკიცების საკითხები იყო. უფრო სუსტი იყო რომის რესპუბლიკის ბატონობა ესპანეთში, სადაც გერილიების (სახალხო ომების) მუდმივი ცეცხლი ენთო, ვიდრე აფრიკაში, ან და თვით იტალიაში. ფაქტები მოწმობდნენ, რომ სრულიად უძლური ჩანდა სენატი აღმოსავლეთის დაპყრობის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში აზიური სახელმწიფოები ერთიმეორის ქიშპსა და ომებს უნდებოდნენ, მაინც რომაელი კონსერვატორების ბირთვი, რომელიც ყოველგვარ ახალსა და უცხოს უფრთხოდა, აზიური ქვეყნების საბოლოოდ დაპყრობისათვის არ იყო მოწოდებული. რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის რწმუნებებით აღჭურვილ უბრალო მოკვდავ სარდლებსა და მათ არმიებს არ შეეძლოთ აღმოსავლეთის დამორჩილება. სენატს თავისი კარჩაკეტილობისა და კონსტიტუციური სივიწროვის გამო არ შეეძლო მიეცა თავისი „პრინცეპსებისათ-

---

* ბერძნული მითოლოგიის თანახმად ზევსისაგან დასჯილ სიზიფეს საიქიოში ევალებოდა მაღალ მწვერვალზე დიდი ქვის ლოდის ატანა. ისიც დიდის ვაივაგლახით მიაგორებდა მას, მაგრამ როგორც კი მწვერვალს მიუახლოვდებოდა, ქვა ხელიდან უსხლტებოდა და ქვევით მოგორავდა. ისევ დაიწყებდა, მაგრამ მწვერვალიდან რამდენიმე ნაბიჯზე ისევ გაუსხლტებოდა და ასე დაუსრულებლივ, იტანჯებოდა ის; ყოველთვის თავიდან იწყებდა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევდა.

ვის" („უპირველესთათვის", „რჩეულთათვის") ის კოლოსალური ბალები და უფლებები, რასაც აღმოსავლეთში მძიმე ლაშქრობები მოითხოვდნენ. აშკარა ხდებოდა, რომ აღმოსავლეთის დასაპყრობად საჭირო იყო საგანგებოდ შექმნილი პირობები. აუცილებელი ხდებოდა ექსტრაორდინალური, ე. ი. საგანგებო უფლებებით აღჭურვილი მაგისტრატის (უმაღლესი თანამდებობის პირის) დანიშვნა, რომლის იმპერიუმიც რომის რესპუბლიკის კონსტიტუციის არტახებში ვერ ჩაეტეოდა. რა თქმა უნდა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ექვსთვიანი დიქტატურა ასეთი სერიოზული საქმისათვის აბარაობას წარმოადგენდა. ხშირად სარდლები თვითნებურად აგრძელებდნენ თავიანთი რწმუნებების ვადებს (მაგალითად, სციპიონები, მარიუსი, სულა), რაშიდაც კონსერვატორები ტირანიის მუდმივ საფრთხეს ხედავდნენ, მაგრამ არც ერთ იმათგანს ორ-სამ წელზე მეტხანს არ გაუგრძელებია თავისი „ტირანია", რადგან ეს დრო სრულიად საკმარისი ყოფილა მტრის დასამარცხებლად და რომისათვის საკეთილო მდგომარეობის აღსადგენად. მაგრამ აღმოსავლეთში ასეთი ხანმოკლე „ტირანობა" ლელოს ვერ გაიტანდა. ეს მშვენივრად დაადასტურა ლუკულუსის მაგალითმა. ენერგიულმა და ჭკვიანმა სარდალმა თავისი სიჯიუტითა და რომაული კონსტიტუციისადმი თავისი თვითნებობით ყველა მანამდელ სარდალს გადააჭარბა. მაგრამ გავიდა წლები, ერთი, ორი, სამი... და შვიდი, მაგრამ მისი ძალით მიკუთვნებული იმპერიუმი უფსკრულში ჩაიღუპა: აზია კვლავ აზიელებს რჩებოდათ. ახლა ყველასათვის ნათელი იყო, რომ რომაული კონსტიტუცია უნდა დარღვეულიყო და აღმოსავლეთის საქმეები გადასცემოდა ოფიციალურად ხანგრძლივად საგანგებო უფლებებით აღჭურვილ მაგისტრატს.

მაგრამ კონსერვატიული კონსტიტუციის დარღვევას თვითონ კონსერვატორები არ მოისურვებდნენ. ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფოს უფრო ცენტრალიზებული სისტემისათვის და აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის მებრძოლი სახალხო პარტიების დაწოლა. ეს ძნელად გასარღვევ ფრონტს უკვე აღარ წარმოადგენდა, რადგანაც რომაულ-რესპუბლიკური კონსტიტუცია დიდი ხანია ძალიან ხშირად ირღვეოდა და სენატიც აღარ წარმოადგენდა „მეფეთა საბჭოს", როგორც მას ადრე ეძახდნენ. ამ დროს ანტაგონიზმი ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის უმაღლეს საფეხურს აღწევს და ამ წინააღმდეგობაში პოპულარები აშკარად სჯობნიდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. დემოკრატიას შეეძლო ეკარნახებია სენატისათვის ის კანონები, რომელიც კონსერვატიულ კონსტიტუციას დაარღვევდა და ამით არისტოკრატიულ ოლიგარქიას დააზიანებდა.

რაკი ეს ინიციატივა პოპულარებს ეკუთვნოდა, ეს საგანგებო მაგისტრატიც მათი პროგრამისათვის მებრძოლი უნდა ყოფილიყო. უპირველესად სწორედ ეს იყო ლუკულუსის დაცემის მიზეზიც. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი იმპერიუმი მინიჭებოდა ლუკულუსს? ამას ხომ რომაელ სარდალთაგან ნიჭით, სიმამაცით, წინდახედულებითა და აზიელებთან ხანგრძლივი საბრძოლო წრთობით ტოლი არ ჰყავდა? მას ხომ ასეთი უფლებებით აღჭურვილს ყველაზე უკეთ შეეძლო აღმოსავლეთის საქმეების დაგვირგვინება? მაგრამ საქმე ის იყო, რომ ლუკულუსი თავისი კონსერვატიული ბუნებითა და ქმედებით პოპულარების, სახალხო პარტიის პირდაპირ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ამიტომ ის სახალხო პარტიათა კანდიდატურად არ გამოდგებოდა. ესვენებოდა სენატის მზე და ქრებოდა მისი ნაშიერის ვარსკვლავიც. ლუკულუსის სიძლიერეს მისი არისტოკრატიული პრინციპულობა ღუპავდა. ახლაც კი, როცა სენატი იერიშზე გადმოსული დემოკრატების დაწოლისაგან იწნეხებოდა, ისიც პოლიტიკურ სარბიელს უთმობდა მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერს. მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრივ ჩამორჩებოდა ლუკულუსი გნეუს პომპეიუსს, რომელიც სხვა მხრივ ყველაფერში სიმხდალესა და ინერტიულობას იჩენდა. პომპეიუსის იშვიათი უნარი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ რომში ხშირი სოციალური და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის ყოველი დეტალი იშვიათი ალღოთი დაეყნოსა და მასთან დაკავშირებით, პოლიტიკური მრწამსის მერყეობის საფუძველზე, იმ დაჯგუფების პოზიციაზე დამდგარიყო, რომლისკენაც გამარჯვების მეტი შანსები ჩანდა. როცა მრისხანე კორნელიუს სულას ძლიერება უძლეველი ჩანდა, ახალგაზრდა პომპეიუსი მასთან ერთად პოპულარების დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ ახლა, როცა გამარჯვების პერსპექტივა პოპულარებს უღიმოდა, მან უყოყმანოდ აქცია ზურგი არისტოკრატიას და თავისი თავი სახალხო პარტიის ერთგულ რაინდად გამოაცხადა. მისთვის მთავარი იყო არა პოლიტიკური მრწამსი და პრინციპულობა, არაშედ პატივმოყვარეობა და ანგარებისმოყვარეობა. ამ უკანასკნელთა სანაცვალოდ ის სიამოვნებით სწირავდა პირველთ.

ამგვარად, აღმოსავლეთის საქმეების მოსაწესრიგებელი საგანგებო მაგისტრატურისათვის ნიადაგი მზად იყო, პომპეიუსი ახლა სახალხო პარტიების ლიდერად ითვლებოდა და მხოლოდ მას შეეძლო ყოფილიყო ლუკულუსის მემკვიდრე.

პომპეიუსის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მან მეკობრეებს იარაღი დააყრევინა. მეკობრეთა დამარცხებამ, რაც საგანგებო მაგისტრატურის შექმნის წყალობით ადვილად და სწრაფად

მოხერხდა, კიდევ უფრო გაამხნევა და დაარწმუნა თავის ძალაში პოპულარების პარტია. სინამდვილე და ფაქტები ამართლებდნენ არისტოკრატიული კონსტიტუციის დრომოჭმულობას. მოღონიერდა აზრი იმის შესახებ, რომ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება, უზარმაზარ, ძალით შეკოწიწებული სახელმწიფოს მართვა და ქვეყნის შიგნით არსებული მძაფრი სოციალური კრიზისიდან თავის დაღწევა შეეძლებოდა არა ქალაქ-სახელმწიფოს ვიწრო, რომაულ-ოლიგარქიული კონსტიტუციით, არამედ მტკიცედ ცენტრალიზებული პოლიტიკური ზედნაშენით.

პოპულარებმა ასეთი სიტუაციით ისარგებლეს და ახალი კანონ-პროექტით რესპუბლიკურ კონსტიტუციას ახალი მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს. 66 წლის დამდეგისათვის (ძვ. წ.) სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა წამოაყენა ახალი კანონპროექტი, რომლის ძალითაც რამდენიმე მაგისტრატს შორის განაწილებული აზიის საქმეები თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ერთი კაცის ხელში. უნდა ჩამორთმეოდათ: მარციუს რექსს კილიკია, გლაბრიონს ბითინიისა და პონტოს მმართველობა (თუმცა ფაქტიურად მას პონტო ჩამორთმეული ჰქონდა მითრიდატესაგან) და ლუკულსს — აღმოსავლეთის მთავარსარდლობა (თუმცა ოფიციალურად ლუკულუსს მთავარსარდლობა წართმეული ჰქონდა გაბინიუსის კანონით, მაგრამ, როგორც ვთქვით, გლაბრიონი მის ჩაბარებას ვერ ბედავდა). ყველა ეს უფლებანი უნდა გადასცემოდა კაცს, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით განაგებდა ზღვებსა და მის სანაპიროებს, ე. ი. პომპეიუსს; მას უფლება ენიჭებოდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა ომი და ჩამოეგდო ზავი; სენატის დაუკითხავად ეცნო რომის მეგობრებად ან მტრებად ისინი, ვისაც თვითონ მოისურვებდა; თავის ნებაზე გამოეყენებინა ყველა არმიები და ყოველგვარი საბრძოლო რესურსები, რომლებიც კი მოიძებნებოდა რომის უსაზღვრო სამფლობელოებში. და, რაც კიდევ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ასეთი უფლებები მას ენიჭებოდა განუსაზღვრელი ვადით.

ასეთი იყო მანილიუსის კანონი. კონსერვატორები აშკარად ხედავდნენ კანონის „ტირანულ“ შინაარსს, მაგრამ მისი დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ თითო-ოროლა თანმიმდევარმა არისტოკრატმა სცადა ხმის ამოღება; მაგრამ ამას მათთვის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მანილიუსის კანონპროექტის დასაცავად გამოვიდა მარკუს ტულიუს ციცერონი. მან ნათლად დაუსურათა თანამემამულეებს აზიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და სხვათა შორის ლუკულუსის მარცხის მიზეზად ისიც მოიხსენია, რომ რომაელებმა შეზღუდეს მისი უფლებები, გააუქმეს მისი იმპერიუმი. ამით ორატორს სურდა დაესაბუთებინა აღმოსავლეთის საქმეთათვის საგანგე-

ბო იმპერიუმის აუცილებლობა, რასაც დასაბუთება უკვე ნაკლებად ესაჭიროებოდა.

მაშ ასე, ერთი კაცი ცხადდებოდა მთელი რომაული სახელმწიფოს დამოუკიდებელ, სრულუფლებიან და ვადაგანუსაზღვრელ გამგებლად. მხოლოდ თვითონ რომი და იტალიის ცენტრალური ნაწილი რჩებოდნენ რომაული კონსტიტუციის ქმედების არენად. ამრიგად, პომპეიუსის უზარმაზარი იმპერიის ცენტრში რომის რესპუბლიკა მხოლოდ პატარა წერტილადღა ჩანდა; და ეს წერტილიც მალე უნდა გამქრალიყო იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეში. ამ პროცესს ამიერიდან ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ სენატსა და პოპულარებს შორის ატეხილი ხანგრძლივი ბრძოლა ძირითადად დამთავრდა. ამ ბრძოლის უკანასკნელი აკორდი მანილიუსის კანონი იყო, რასაც შედეგად დემოკრატიის სრული გამარჯვება მოჰყვა.

ოლიგარქიულ-რესპუბლიკური კონსტიტუცია თითქმის სრულ დავიწყებას მიეცა. ამიერიდან რომის სახელმწიფოს განაგებდნენ „პრინცეპსები", „დიქტატორები", „იმპერატორები". მართალია, რესპუბლიკური ტრადიცია მათ ჯერ კიდევ გასაქანს არ აძლევთ, რესპუბლიკა ხელოვნებით დამხობილად გამოაცხადონ — უფრო მეტიც, რესპუბლიკა ოფიციალურად თვით ჩვენი ერის IV საუკუნემდეც არ გაუქმებულა, — მაგრამ რესპუბლიკა მხოლოდ „არის და არ განაგებს". სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელნი საგანგებო უფლებებით შეიარაღებული მაგისტრატები არიან.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მანილიუსის კანონი, რომელიც რომის მონათმფლობელური რესპუბლიკის დაცემისა და საიმპერატორო ძალაუფლების იურიდიულად აღიარების საფუძვლად იქცა, შედეგი იყო აზიის, და პირველ რიგში პონტოს, მუდმივად გართულებული მდგომარეობისა. თუ რომს სურდა პონტოსა და საერთოდ აზიური პროვინციების დამორჩილება, ხელი უნდა აეღო არისტოკრატიულ-ოლიგარქიულ კონსტიტუციაზე და მის ნაცვლად იმპერიუმებითა და დიქტატურებით მთელი ძალების მობილიზაცია მოეხდინა აღმოსავლეთთან საომრად. ამიერიდან აღმოსავლეთში სერიოზული საქმეების მოსაგვარებლად აღარ გამოჩენილა არც ერთი კონსული, ან პრეტორი, ან რესპუბლიკური კონსტიტუციით უფლებამოსილი სხვა რომელიმე მაგისტრატი. მხოლოდ და მხოლოდ დიქტატორები და იმპერატორები გამოჩნდებოდნენ ხოლმე თავიანთი უზარმაზარი არმიებით აღმოსავლეთის ჰორიზონტზე. ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ იმპერია უტევდა აღმოსავლეთს.

ეს პირველი, მანამდე უჩვეულო იმპერიუმი, რომლის წარმოშობაც აზიის საქმეებმა დააჩქარეს, ხელში ჩაუვარდა მაშინდელ რომაელ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ყველაზე მხდალსა და მერყევ სუბიექტს. პომპეიუსი უკვე ბრწყინავდა თავისი დაუმსახურებელი დიდებამოსილებით; მას თავი მოჰქონდა პოპულარებისადმი თავდადებულობით, და მანილიუსის კანონმაც სწორედ მას დაადგა თავზე რომის სენატისაგან სრული დამოუკიდებლობის ბრწყინვალე გვირგვინი.

• •

პომპეიუსი კილიკიაში იმყოფებოდა, როცა შეიტყო თავისი ახალი დანიშვნის ამბავი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ როცა მისი თანაშემწეები და მეგობრები კარავში შევიდნენ, რათა მიელოცათ მისთვის, მან მუხლზე ხელი დაიკრა და თვალთმაქცურად განაცხადა: „ვაგლახ, ომი და ომი! მე ვარჩევდი სრულიად უცნობად დავრჩენილიყავ, ვიდრე უსასრულოდ მიმეღო ლაშქრობებში მონაწილეობა და არ მქონოდა შესაძლებლობა თავი დამეხსნა სხვათა შურისაგან. მე მინდოდა ცოლთან ერთად მეცხოვრა სოფელში...“ მაგრამ ყველა მიხვდა პომპეიუსის თაღლითობას. ყველამ იცოდა მისი ძისწრაფება კარიერისა და დიდების მოპოვებისადმი; მით უფრო გაზარებული იყო ის იმით, რომ უაღრეს განდიდებას მიაღწევდა მისთვის საძულველი ლუკულუსის დაქვეითებით და დამცირებით.

პომპეიუსი დაუყოვნებლივ შეუდგა მეფეებთან საომარ სამზადისს. უპირველესად მას აზიიდან უნდა მოეშორებინა ლუკულუსი, რომელიც თავისი სამხედრო ნიჭით გაცილებით მასზე მაღლა იდგა. ის ცდილობდა ყოველნაირად დაემცირებინა ლუკულუსის სამხედრო დამსახურებანი და მიღწევები აღმოსავლეთში, რათა ამით თავისი მომავალი მოსალოდნელი გამარჯვება განდიდების უცილობელ საფუძვლად გაეხადა. პომპეიუსმა დაიწყო ედიქტების გამოცემა, რომლითაც აუქმებდა ლუკულუსის ყველა ღონისძიებას აზიაში. ამცირებდა, აქვეითებდა და ჯილდოებს ართმევდა იმათ, ვისაც ლუკულუსი სწყალობდა და აწინაურებდა, ხოლო იახლოვებდა და უხვად ასაჩუქრებდა იმათ, ვისაც ლუკულუსი ადრე მტრული თვალით უცქერდა.

თავის მხრივ, პატივაყრილი ლუკულუსიც ცდილობდა, დაებრკოლებინა პომპეიუსის საომარი სამზადისი.

კარგა ხნის განმავლობაში ისინი ერიდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი შეხვედრაც აუცილებელი იყო: პომპეიუსს ოფიციალური

გნეუს პომპეუსი

წესით უნდა ჩაებარებინა სარდლობა. ბოლოს მათ გადაწყვიტეს შეხვედროდნენ ერთიმეორეს გალატიაში, ქ. დანალეში.

ორივე სარდალს წინ მიუძღოდათ ლიქტორები, რომელთაც მხარზე გაედოთ დაფნის ფოთლებით შემკული წკეპლების კონები. ლუკულუსის ლიქტორებმა მეგობრობის ნიშნად დაფნის მწვანე ტოტები მიართვეს პომპეიუსის მსახურთ.

ორივე სარდალი ცდილობდა, არ დაერღვიათ შეხვედრის საყოველთაოდ აღიარებული ეთიკეტი და არ გამოემჟღავნებინათ ურთიერთ შორის არსებული სიძულვილი. ისინი მეგობრული ნიღაბით მიესალმნენ ერთიმეორეს და შევიდნენ კარავში. მათი საუბრის დასაწყისი ზრდილობიან და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მაგრამ მალე ისინი გაცხარდნენ და აქამდე ძლივსძლივობით შეკავებული სიძულვილი ერთიმეორის წინააღმდეგ გადმოღვარეს. სარდლები ლანძღვა-გინებაზე გადავიდნენ და ერთიმეორეს პირში ახლიდნენ მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ასე, პომპეიუსი ლუკულუსს ბრალს სდებდა ანგარებაში, ვერცხლისმოყვარეობაში, ხოლო ლუკულუსი თავის მეტოქეს განუზომელ პატივისა და ძალაუფლების მოყვარეობას აყვედრიდა. შემდეგ პომპეიუსმა განაცხადა, რომ შენ ნამდვილ მტრებს არ ებრძოდიო. არამედ შენ საქმე გქონდა მეფეთა აჩრდილებთან, გამოუცდელ მოწინააღმდეგეებთან, ხოლო მე ახლა ომის დაწყება მომიხდება რომაელებთან ბრძოლებში ნაცად მტერთანო. ლუკულუსმაც თავის მხრივ მიუგო: პირიქით. შენ თვითონ მიდიხარ მტრის აჩრდილთან საბრძოლველად; შენ ზარმაცი ფრინველივით მიჩვეული ხარ დააფრინდე სხვისგან მოკლულის გვამს და კენკო ომის ნარჩენები და ნასუფრალი; შენ მიითვისე გამარჯვებანი სერტორიუსზე, ლეპიდეზე და სპარტაკზე მაშინ, როცა ეს გამარჯვებანი მოიპოვეს მეტელუსმა, კატულუსმა და კრასუსმა; ამიტომ მე სრულებითაც არ მიკვირს, რომ კაცმა, რომელმაც თავისი თაღლითობით მოახერხა მიეთვისებინა მონებზე (სპარტაკზე) სხვის მიერ მოპოვებული გამარჯვების ტრიუმფი, მოისურვა მომტაცოს პონტოსა და სომხეთში ჩადენილი გმირობის ნაყოფი.

ამ სიტყვებმა გააცოფა პომპეიუსი. ვინ იცის რით დამთავრდებოდა მეტოქეების ეს შეხვედრა, რომ მათ ხმამაღალ ლანძღვა-გინებაზე კარავში არ შეცვენილიყვნენ მათი მხლებლები და არ დაეხავებინათ ისინი.

რა თქმა უნდა, ლუკულუსს არ შეეძლო თავისი თავი მითრიდატეზე და ტიგრანზე სრული გამარჯვების მონოპოლისტად გამოეცხადებინა, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ მისმა შვიდწლიანმა ომმა საკმაოდ დაასუსტა საერთო მტრის წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის

ცალცალკე, შეუთანხმებლად მებრძოლი პონტო და სომხეთი. ახლა პომპეიუსს ახალი ძლიერი ძალებითა და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილს მართლაც შეეძლო ლუკულუსის მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე კარგი მოსავალი მოეწია...

ახალმა იმპერატორმა ლუკულუსს მხოლოდ 1.600 მეომარი დაუტოვა და ისინიც ისეთები, რომლებიც ურჩობისა და უდისციპლინობის წყალობით ბრძოლისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ. ამ პატარა რაზმით უნდა აღენიშნა თავისი ტრიუმფი პატივაყრილსა და შეურაცხყოფილ ლუკულუსს. ის ფრთებშეკვეცილი დაბრუნდა რომში, სადაც ხელი მიჰყო აზიაში მრავლად მობოჭილი ოქრო-ვერცხლის ფანტვას. ამის შემდეგ ლუკულუსს უფრო მეტად მისი განთქმული ნადიმ-ღრეობებით, ე. წ. „ლუკულიებით" იცნობდნენ, ვიდრე წარსული აღმოსავლური სამხედრო დიდებით...

პომპეიუსის საბრძოლო დროშის ქვეშ 100.000-მდე მეომრისაგან შემდგარი სახმელეთო არმია იდგა. ამასთანავე მან იცოდა აღმოსავლეთში მანამდე მოლაშქრე რომაელთა სისუსტე, რაც ფლოტის უქონლობასა, ან მის სიმცირეში მდგომარეობდა. ახლა კი პომპეიუსი უზარმაზარი ფლოტის ადმირალიც იყო. ამ ფლოტს მეკობრეებთან ბრძოლაში საუკეთესო წრთობა ჰქონდა მიღებული და მთლიანად იყო გაბატონებული ხმელთაშუა ზღვაზე — „მსოფლიო ურთიერთობისათვის დიდი წყლის გზაზე". პომპეიუსს, როგორც ითქვა, ამასთან ერთად უფლება ჰქონდა რომის ყველა პროვინციებიდან ახალ-ახალი ძალები გადაესროლა აღმოსავლეთის ფრონტებზე.

ასეთი კოლოსალური ძალებით აქამდე არცერთ რომაელ სარდალს არ ულაშქრნია აღმოსავლეთის წინააღმდეგ...

პომპეიუსმა თავისი ფლოტი განალაგა ფინიკიიდან ბოსფორის სრუტემდე ზღვებზე სადარაჯოდ. ამგვარად მან მტერს საშუალება მოუსპო ეგეოსის ზღვისაკენ გაჭრისა.

პომპეიუსმა ბრძოლის დაწყებამდე ცბიერ რომაულ დიპლომატიას მიმართა და სცადა ისედაც გათიშული და ურთიერთ მოქიშპე აზიელი გვირგვინოსნები ერთიმეორის წინააღმდეგ კიდევ უფრო აემხედრებინა. კვლავ საჭირო იყო გადაჭრით გარკვეულიყო პართიის პოზიცია. ამისათვის პომპეიუსმა ელჩები გაგზავნა ფრაატთან და თავისი სამოკავშირეო პირობები აცნობა. რომაელი სარდალი პართიის მეფეს უთვლიდა იმავე პირობებს, რასაც 68 წელს (ძვ.წ.) მითრიდატე და ტიგრანი ჰპირდებოდნენ მას, ე. ი. მესოპოტამიასა და სხვა ოლქებს, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდა სომხეთის მეფეს. სამაგიეროდ პომპეიუსი მოითხოვდა, პართიელებს სომხეთის წინააღმდეგ შეტევა დაეწყოთ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ამგვარად, პომპეიუსი მშვენივრად იყენებდა მოქნილი რომაული დიპლომატიის საყოველთაოდ ცნობილ დევიზს: „გაჰყავი და იბატონე!“ მას შეეძლო აზიურ სახელმწიფოთა შორის გათიშულობის შეტანის წყალობით ადვილად დაემარცხებინა და დაემორჩილებინა ისინი.

აღარც მითრიდატესა და ტიგრანს შორის არსებობდა ამასწინდელი შეთანხმებულობა და ურთიერთ ნდობა. მითრიდატესა და ტიგრანს შორის ახალი უკმაყოფილებისა და გათიშვის ერთ-ერთი მიზეზი სომხეთის სასახლის კარზე მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება ყოფილა. სომეხ დიდებულთა ამ შეთქმულებაში კლეოპატრასთან შეძენილი უფლისწულებიც მონაწილეობდნენ. ტიგრანს სჯეროდა, რომ მითრიდატე ამ საქმეში აქეზებდა და ეხმარებოდა კლეოპატრას შვილებს, ე. ი. თავის შვილიშვილებს.

ტიგრანმა მალე გამოამჟღავნა უფროსი მემკვიდრეების ღალატი და სიკვდილით დასაჯა ისინი. მაგრამ მალე ამის შემდეგ მის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მოეწყო, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ტიგრანის მესამე შვილი, ესეც სახელად ტიგრანი, აგრეთვე კლეოპატრასთან შეძენილი. შვილმა, რომელიც მანამდე მამას ერთგულებას ეფიცებოდა, აჯანყებაც მოაწყო, მაგრამ დამარცხდა და იძულებული შეიქნა პართიაში გაქცეულიყო. ფრაატის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სომეხმა უფლისწულმა მის კალთას შეაფარა თავი. ისინი დამოყვრდნენ (ტიგრან მცირემ ცოლად შეირთო ფრაატის ქალიშვილი) და შეთანხმდნენ უახლოეს დროში დაეწყოთ ომი სომხეთის წინააღმდეგ.

ტიგრანს ეჭვი შეჰქონდა, რომ მესამე მემკვიდრის აჯანყებაშიც მითრიდატეს ერია ხელი; თითქოს ის აქეზებდა თავის შვილიშვილს მამის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ტიგრანი არამც თუ მეგობრულად, არამედ მოსისხლე მტრად გადაეკიდა მითრიდატეს.

ასე, რომ ის ეფემერული კავშირიც კი, რომელმაც ამას წინათ ლუკულუსს თავბედი აწყევლინა, უკვე დაშლილი იყო.

ამგვარად, 66 წლისათვის შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას პომპეიუსისათვის სასარგებლო პირი უჩანდა. მას შეეძლო თავისი ძლიერი ძალებით ცალცალკე გაენადგურებინა გათიშული გვირგვინოსნები.

• •

მარტოდ დარჩენილმა მითრიდატემ თავის ქვეყანაში, სადაც გუშინდელი ომებისაგან გაჩაღებული კოცონები ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, მხოლოდ 30.000 ქვეითისა და 2.300 მხედრის შეგროვებაღა მოახერხა. აზიელი დესპოტისათვის, რომელსაც ადრე უზარმაზარი

არმიის გამოყვანა შეეძლო, ასეთი ჯარი მხოლოდ უბრალო ამალას წარმოადგენდა. შეუძლებელი იყო ამ ძალებით პომპეიუსის მრავალრიცხოვან და მშვენივრად ორგანიზებულ არმიასთან შებმაზე ფიქრიც კი. ასე, რომ პონტოს მეფეს არმია ერთი გენერალური ბრძოლისათვისაც კი არ ჰყავდა. გადაბუგული და განადგურებული ქვეყანა არც სურსათით მომარაგების იმედს იძლეოდა. რასაკვირველია, მას დახმარების მიღების იმედიც აღარსაიდან უნდა ჰქონოდა.

ამიტომ მეფემ მოისურვა მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკების გამართვა; „მან გაგზავნა პომპეიუსთან ელჩები, რათა გაეგო, თუ რა პირობებში შეიძლებოდა ომის დამთავრება. პომპეიუსმა შეუთვალა: „თუ გადმოგვცემ მოღალატეებს და თვითონაც დაგვნებდებიო". რა თქმა უნდა, მითრიდატე ასეთ წინადადებაზე დათანხმებას სიკვდილს არჩევდა. სისხლისაგან დაცლილმა მოხუცმა მეფემ გადასწყვიტა არასოდეს არ შერიგებოდა რომაელებს და ეწარმოებინა მათ წინააღმდეგ ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

პომპეიუსმა გალატიიდან დასძრა თავისი ჯარები და გადალახა პონტოს საზღვარი. მითრიდატე მტრის ჭარბ ძალებს ჩვეული ტაქტიკით დახვდა და გადამწყვეტ შებრძოლებას მოერიდა. ის უკან იხევდა თავის სამფლობელოთა აღმოსავლეთ პროვინციებისაკენ და გზადაგზა ანადგურებდა ისედაც აოხრებულ ქვეყანას, რათა მტერს შიმშილი დასტყდომოდა თავს.

პომპეიუსი დიდხანს ფეხდაფეხ მისდევდა მას. მაგრამ ბოლოს, უშედეგო დევნისაგან მოთმინებადაკარგულმა მთავარსარდალმა თავი მიანება მითრიდატეს დევნას და შეიჭრა მცირე სომხეთში. მითრიდატე შემოტრიალდა და დაედევნა მას. ის მიუახლოვდა ციხე-სიმაგრე დასტეირას და იქ ერთ-ერთ მაღლობზე გამაგრდა.

პირველ ხანებში ზოგიერთმა რომაელმა ემიგრანტმა დაიწყო მეფის ბანაკიდან გაპარვა და პომპეიუსის მხარეზე გადასვლა. მაგრამ მითრიდატე სასტიკად სჯიდა ასეთ ორგზის მოღალატეებს; ის სწვავდა, თვალებს თხრიდა და თავისი საკუთარი ვეება ხელებით ახრჩობდა მათ...

მაღლობზე მტკიცედ გამაგრებული მეფის კავალერია ხშირად ესხმოდა თავს პომპეიუსის ბანაკს, შეჰქონდა მასში პანიკა და აბრკოლებდა მის მომარაგებას.

რომაელმა სარდალმა მაღლობის აღებისათვის თავი უძლურად ჩასთვალა მანამ, სანამ კილიკიიდან ახალი სამი ლეგიონი არ მიიღო და მათი დახმარებით პონტოელთა ბანაკის ბლოკადა არ მოახდინა. რომაელებმა ბორცვის გარშემო ღრმა თხრილები გათხარეს და მტრისაკენ ყველა გასაძრომი ბილიკი მაგრად ჩაჰკეტეს.

პონტოელები 50 დღის განმავლობაში ებრძოდნენ შიმშილს და წყურვილს. მათ, უკვე აღარ ჰყავდათ სატვირთო საქონელი, გარდა ცხენებისა. ბოლოს, მეფემ გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაერღვია რკალი. რომ მისი განზრახვა მტრისაგან შეუმჩნეველი ყოფილიყო, გააძლიერა ბანაკის ნაპირების ფურაჟირება; ღამით ბრძანება გასცა, გაეჩაღებინათ კოცონები. შემდეგ დახოცა ყველა დასუსტებული და დაავადებული მეომარი, რათა ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ ისინი ხელში მტერს. შუაღამისას, როცა რომაელები დარწმუნებულნი იყვნენ, მოწინააღმდეგე კვლავინდებურად მათ ხელში იმყოფებოდა, პონტოელებმა მოახერხეს შეუმჩნეველად გასულიყვნენ ალყაშემორტყმული ბანაკიდან.

როგორც კი პომპეიუსმა მითრიდატეს გაქცევა შეიტყო, ის დაედევნა მას. პონტოელები დღისით თავს აფარებდნენ მიუსაფარ ტყე-ღრეებს, ხოლო ღამით შეუსვენებლივ გარბოდნენ. პომპეიუსი ღამით ვერ ბედავდა ხელი შეეშალა მოწინააღმდეგის გაქცევისათვის.

მესამე დღეს რომაელები მითრიდატეს წამოეწივნენ ევფრატის ზემო დინების რაიონში, ერთ-ერთ ხეობაში და ყოველი მხრიდან გასაქცევი გზა გადაუჭრეს მას.

პომპეიუსი მომდევნო დღეს აპირებდა მტრის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას; მაგრამ მას შემოეხვივნენ ლეგატები და დაუწყეს დარწმუნება, რომ ღამით დასხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს. პომპეიუსი დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ დათანხმდა.

პონტოელები შეეჩვივნენ იმას, რომ რომაელები ღამით თავდასხმას ვერ ბედავდნენ და ამიტომ სრულიად უზრუნველად მიეცნენ ძილს.

შუაღამისას მტრის არმია საბრძოლო ყიჟინითა და იარაღის ზათქით თავს დაესხა პონტოელთა ბანაკს. მითრიდატეს მეომრები მოულოდნელობისაგან პანიკით მოცულნი შეეიდგნენ იარაღის ასხმას და ამხედრებას. ჰორიზონტზე დაშვებული მთვარე პონტოელებს სხივებს თვალებში სცემდა, ხოლო რომაელებს ზურგიდან ანათებდა. უზარმაზარ ჩრდილებით წინაღმართულ რომაელ მეომრებს სინათლისაგან და ძილისაგან თვალმოჭრილი პონტოელები ისარს ვერ ახვედრებდნენ. მითრიდატეს ბანაკი მალე საზარელ სასაკლაოს დაემსგავსა. ბეწვზე ეკიდა თვით მეფის სიცოცხლეც. რომაელთა რჩეულმა რაზმებმა მაგარ რკალში მოაქციეს ის. მას ყოველ წუთს შეპყრობა ელოდა; ზედიზედ ეცემოდნენ მის გვერდით მებრძოლი ერთგული მცველები; მეფე არაჩვეულებრივი სიმამაცითა და მხნეობით ებრძოდა მოზღვავებულ მტრებს. მის გვერდით არანაკლები ვაჟკა-

ცობით იბრძოდა ერთგული და საყვარელი მხევალი ქალი ჰიპსიკრატია. ეს ქალი ყველგან თან ახლდა მეფეს, უვლიდა მას, მის ცხენს და მათთან ერთად ებმებოდა მტრებთან თავგანწირულ ბრძოლებში; სწორედ ამიტომ ეძახდა მას მითრიდატე „ჰიპსიკრატიას“ (=„მაღლობისმფლობელი“).

ბოლოს, მრავალი მსუბუქი ჭრილობებით დაფლეთილმა და წითლადშეღებილმა მეფემ რამდენიმე თავგანწირული მეომრით გააპო რკალი და გაქუსლა ბრძოლის ველიდან. 10.000 პონტოელი დაეცა. რომაელებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი აღალი.

პონტოს მეფე 3.000 კაცის თანხლებით, რომელთა შორის იყვნენ მისი საყვარელი ჰიპსიკრატია და ქალიშვილი დრიპეტინე, შეუსვენებლივ მიიჩქაროდა სომხეთისაკენ. ლტოლვილებმა მიაღწიეს სომხეთის საზღვართან მდებარე ციხე-სიმაგრე სინორიას და იქ შეჩერდნენ. აქ ინახებოდა მითრიდატეს ძვირფასი საჭურჭლეები. მეფემ თავისი ერთგული თანამებრძოლები უხვად დააჯილდოვა ფულითა და ძვირფასი სამოსელით. უფრო ახლობლებს მან დაურიგა საწამლავი. რათა საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ და ამგვარად მტერს ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ ხელში.

ამავე დროს მითრიდატემ ელჩები გაუგზავნა ტიგრანს და თავშესაფერი სთხოვა. მაგრამ, როგორც ითქვა, ტიგრანი უკვე მტრულად იყო განწყობილი სიმამრისადმი. მან არამც თუ უარი სთქვა ლტოლვილი მეფის მიღებაზე, არამედ შეიპყრო მისი ელჩები და ბორკილები დაადო მათ, ხოლო თვითონ მითრიდატეს მოკვლისათვის ჯილდოც კი გამოაცხადა 100 ტალანტის რაოდენობით.

მაშ. მითრიდატე ევპატორი კიდევ მეტი საშიშროების წინაშე დადგა. მას აღარ გააჩნდა საკუთარი სამეფო და არც თავშესაფარი; ერთადერთი იმედი, ტიგრანი თვითონ ლესავდა მის სასიკვდილო მახვილს. მიუსაფარ მეფეს ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი გასაქანი გზა. რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა.

მითრიდატემ სინორიიდან წაიღო 6.000 ტალანტი და თავის ახლობელ-მეგობართაგან შემდგარი პატარა ამალით გაქუსლა ჩრდილოეთით, კოლხეთისაკენ. გამოსაზამთრებლად ის დიოსკურიაში დაბინავდა. აქვე პონტოელი რომაელების წინააღმდეგ ახალი გრანდიოზული გეგმის შედგენას შეუდგა...

პომპეიუსმა სცადა განეგრძო დამარცხებული მითრიდატეს დევნა, მაგრამ როცა მეფემ კოლხეთისაკენ გადაუხვია, თავი მიანება მას და პონტოს წინააღმდეგ ომი დამთავრებულად ჩასთვალა. ასე, მან პონტო მთლიანად ჩაიბარა და მითრიდატეზე საბოლოოდ გამარჯვების აღსანიშნავად, უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი („გამარჯვების ქალაქი"). პომპეიუსმა პირველყოვლისა იქ დაასახლა დაჭრილი და ხანდაზმული მეომრები; მათთან ერთად ახლადდაარსებულ ქალაქში ბევრი ახლომახლო ადგილობრივი მცხოვრებლებიც დასახლდნენ.

ამის შემდეგ პომპეიუსმა მიაშურა სომხეთს.

სანამ პომპეიუსი მითრიდატეს სდევნიდა და პონტოს იპყრობდა, ჭანამ სომხეთსა და პართიას შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. ბუნებრივია, ამის ხელშემწყობი მიზეზი იყო რომაელ-პართიელთა შორის ახლახან დამყარებული კავშირი და ტიგრან მცირეს ღალატი.

ფრაატი და სომეხი უფლისწული შეიჭრნენ სომხეთში და მიადგნენ არტაქსატას. ტიგრანმა მიატოვა ქალაქი და გაიქცა მთებში. პართიელებმა ალყა შემოარტყეს არტაქსატას, მაგრამ მისი აღება ხანგრძლივ ალყას მოითხოვდა, და ფრაატმა მის კედლებთან თავისი ჯარით დატოვა ტიგრან მცირე, ხოლო თვითონ კი დაბრუნდა ქტესიფონში, პართიის სატახტო ქალაქში. ამით ტიგრანმა ისარგებლა და სწრაფად დაამარცხა თავისი შვილი, რომლის საბრძოლო უნარი და შესაძლებლობანი მან ძალიან კარგად იცოდა. დამარცხებულმა უფლისწულმა ვეღარ გაბედა ფრაატთან დაბრუნება და მიაშურა თავის ბაბუა მითრიდატეს. მაგრამ, როცა შეიტყო, რომ დამარცხებული მითრიდატე თვითონ საჭიროებს დახმარებას, მაშინ ის გაიქცა პომპეიუსთან და მორჩილება გამოუცხადა მას.

პომპეიუსმა ამ შემთხვევით კარგად ისარგებლა: სომეხი უფლისწული გზის მაჩვენებლად აიყვანა და დაიძრა არტაქსატასაკენ.

ტიგრანმა დაინახა, რომ უკვე მისი ქვეყნის შიგნით შემოჭრილ და სატახტო ქალაქთან მოახლოებულ რომაელთა ლეგიონების წინააღმდეგ გამოსვლა ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანდა. ყოველწუთს მოსალოდნელი იყო პართიელთა შემოჭრაც. ამიტომ იმ მიზნით, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა, ტიგრანმა გადასწყვიტა თავი ეცნო რომაელთა ვასალად. საინტერესო კიდევ ის არის, რომ

ტიგრანს პომპეიუსის წინაშე მორჩილებისაკენ უბიძგებდა ამ უკანასკნელის არაჩვეულებრივი რწმუნებანი. როგორც მალე მათი შეხვედრიდან გამოირკვა, ქედმაღალი და უკადრისი „მეფეთა მეფე", რომელიც დედამიწის ზურგზე თავის ტოლად არავის ცნობდა, სამარცხვინოდ არ თვლიდა „დამორჩილებოდა ისეთ კაცს, „რომლისბედმაც ყველა მოკვდავთ გადააჭარბა". ე. ი. ტიგრანის დესპოტიური თავმოყვარეობა არ შეილახებოდა, თუ ის მორჩილებას გამოუცხადებდა პომპეიუსს. რომელიც თავისი ახალი საიმპერატორო ძალაუფლებით აღჭურვილი, ყველა მანამდელ რომაელ სარდალთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მაღლა იდგა. მხოლოდ ასეთი იმპერატორი უნდა ყოფილიყო „მეფეთა მეფის" სწორი და ღირსეული მეტოქე. ასეთ მეტოქეობაში მარცხი ტიგრანს სრულებითაც არ მიაჩნდა სამარცხვინოდ ისე, როგორც ეს ეჩვენებოდა უფლებაყრილი ლუკულუსის წინაშე.

ტიგრანმა პომპეიუსთან ელჩები გაგზავნა და მათ თან გააყოლა მითრიდატეს კაცებიც, რომლებიც მას შეპყრობილი ჰყავდა. ამით მან სცადა წინასწარ მოეგო რომაელის გული და მოემზადებინა ნიადაგი ზავის შედარებით ხელსაყრელ პირობებში დადებისათვის.

როცა პომპეიუსი არტაქსატას მიუახლოვდა, ტიგრანმა შეუშვა რომაელთა გარნიზონი თავის სატახტო ქალაქში.

თვითონ სარდალი არტაქსატაში არ შესულა. მან ბანაკი დასცა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე.

ტიგრანი ნათესავებისა და ახლობლების თანხლებით გაემართა პომპეიუსისაკენ. როგორც კი ბანაკს მიუახლოვდნენ და მათ შესახვედრად ტრიბუნები და ლიქტორები გამოჩნდნენ, ამალამ მიატოვა ტიგრანი, რომელიც რომაელთა ჩვეულებისა და მოთხოვნის თანახმად, ბანაკის შესავალთან ცხენიდან გადმოხტა. მან თავისი ხმალი გადასცა ერთ-ერთ შემხვედრ ლიქტორს და მიაშურა პომპეიუსის კარავს. კარავში შესვლისას, სადაც ძვირფას სავარძელში იჯდა იმპერატორი, ხოლო მის გვერდით — სომეხი უფლისწული. ტიგრანმა მოიძრო სამეფო დიადემა და მანტია, და აღმოსავლური წესით თაყვანი სცა პომპეიუსს. რომაელი წამოდგა, წამოაყენა ფეხზე, ხელი გაუწოდა, კვლავ მორთო ის სამეფო ინსიგნიებით და დასვა სავარძელზე თავის გვერდით. ამგვარად, ურთიერთ მტრად გადაკიდებული მამა და შვილი აქეთ-იქეთ უჯდნენ პომპეიუსს.

ტიგრანმა აღიარა პომპეიუსის სუვერენული უფლებები სომხეთის მიმართ და განაცხადა, რომ ის არ თაკილობს მორჩილება გამოუცხადოს და ქედი მოიხაროს ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც სიძლიერითა და ძალაუფლებით ტოლი არა ჰყავს.

ტიგრანისა და პომპეიუსის ასეთი შეხვედრა არასასიამოვნოდ დარჩა ტიგრან მცირეს, რომელიც მამის შემოსვლისას ფეხზედაც არ ამდგარა და არც სხვა რაიმე მოქცევით გაუმჟღავნებია მისდამი პატივისცემა. მისი იმედები, რაც მამის ჩამოგდებასა და სომხეთის ტახტის დაჭერაში მდგომარეობდა, სრულიად გაცრუვდა, როცა პომპეიუსმა ტიგრანს უთხრა, რომ მან არამარტო არ დაჰკარგა სომხეთის სამეფო, არამედ რომაელთა მეგობრობაც კი მოიპოვა.

გასაუბრების შემდეგ პომპეიუსმა ტიგრანის საპატივცემულოდ სპეციალური სადილი გამართა, რომელზედაც სომეხი უფლისწულიც მიიპატიჟა. მაგრამ გაბრაზებულმა ჭაბუკმა განაცხადა, რომ მე არ ვსაჭიროებ პომპეიუსისაგან პატივისცემას და ვეცდები, რომ მასზე უკეთესი რომაელი მოვნახოო...

მეორე დღეს ზავი უკვე გაფორმებული იყო. ტიგრანს რჩებოდა სომხეთის სამეფო იმ საზღვრებში, როგორადაც მან ის ჩაიბარა ტახტზე ასვლისას. ე. ი. ერთმეოდა ყველა მის მიერ დაპყრობილი ოლქები: სირია, ფინიკია, კილიკიის ნაწილი, გალატია, კაპადოკია, რომლებიც მას ძირითადად ჩამორთმეული ჰქონდა ლუკულუსისაგან. ყველა ეს ოლქები უნდა გადასცემოდა რომაელებს. ამავე დროს ტიგრანს რომაელთა სასარგებლოდ უნდა გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 6.000 ტალანტის რაოდენობით. საჩუქრის სახით უნდა დაერიგებინა ყოველი რომაელი ჯარისკაცისათვის 150 დრაქმა, ყოველი ცენტურიონისათვის — 1000 დრაქმა და ყოველი სამხედრო ტრიბუნისათვის — თითო ტალანტი.

პომპეიუსს არ შეეძლო მთლიანად დაევიწყებინა ტიგრან მცირეს დამსახურება. ამიტომ მას სამმართველოდ გადასცა სოფენა და გორდიენა; იგი რჩებოდა სომხეთის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მოხუცი ტიგრანის გარდაცვალების შემდეგ.

ზავის პირობებით ყველაზე უფრო ნაწყენი ტიგრან მცირე უნდა დარჩენილიყო. ის ადრე, პომპეიუსის ბანაკისაკენ მიმავალი, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მამისადმი ღალატისა და რომაელთადმი მიმხრობის წყალობით სომხეთის მბრძანებელი შეიქნებოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი იმედები გაცრუვდა. მართლაცდა, რატომ უნდა მომხდარიყო ასე? თუკი სომხეთში მეფობის გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო ვასალური სომხეთის მეფე. თუ არა ახალგაზრდა ტიგრანი, რომელმაც საქმით დაამტკიცა რომაელთადმი ერთგულება? რატომ უნდა დარჩენილიყო მეფედ მოხუცი ტიგრანი, რომელმაც ამდენი ვნება მიაყენა აღმოსავლეთში რომაული იარაღის წარმატებას?

ჭაბუკი ტიგრანისადმი პომპეიუსის უმადურობა პირველყოვლისა პართიასთან მისი ურთიერთობით უნდა აიხსნას. ახალგაზრდა უფლისწულის ძალაუფლებისმოყვარეობა, მისი მერყეევი ხასიათი და პართიის მეფესთან ნათესავური დამოკიდებულება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი გამეფების შემთხვევაში რომის აღმოსავლური მონაპოვრები საფრთხის წინაშე არ დადგებოდა. ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სომხეთისა და პართიის მეფეები ერთიმეორეს მხარს მისცემდნენ რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყებაში.

ამ მხრივ რომაელთათვის უფრო საიმედო ისევ მოხუცი ტიგრანი იყო. ტიგრანი არავისთან აღარ იმყოფებოდა კავშირში. ის მტრულად იყო განწყობილი მითრიდატესა, ფრაატისა და საკუთარი ღვიძლი შვილის მიმართაც კი. ასე, რომ ტიგრანი აღმოსავლეთში რომაელთა წინააღმდეგ რაიმე კოალიციის ხელის შემშლელი თუ იქნებოდა, თორემ არავითარ შემთხვევაში ხელის შემწყობი.

ახალგაზრდა ტიგრანმა რომაულ გაქნილ დიპლომატიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ გალაშქრება სცადა. მან უარი განაცხადა მამისათვის დაეთმო სოფენაში შენახული განძეულობა, საიდანაც ტიგრანს პომპეიუსისათვის უნდა გადაეხადა ზავით გათვალისწინებული კონტრიბუცია. სოფენა თუ მე მომეცით, მის ტერიტორიაზე არსებული განძეულობაც ჩემიაო, — გაიძახოდა გაცხარებული ჭაბუკი. მაგრამ პომპეიუსის ბრძანებით განძი რომაელებმა ძალით წაიღეს, ხოლო თვითონ ურჩ უფლისწულს ბორკილები დაადეს და შეუყრეს იმ ტყვეთა რიცხვს, რომელსაც უნდა დაემშვენებინა პომპეიუსის ტრიუმფი რომში.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო: აბა რა ძალა უნდა ჰქონოდა უსუსურ უფლისწულს ისეთი, რომ ღონიერი რომის უსამართლობას გამკლავებოდა! მართალია, ფრაატმა სცადა გამოსარჩლებოდა თავის სიძეს და თანაც რომსა და პართიას შორის საზღვრების საკითხის მოგვარებაც მოითხოვა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. პომპეიუსმა უპასუხა, რომ უფლისწულზე უფლება აქვს მამას და არა ვიღაც არამკითხე ფრაატს. ჩანდა, რომ პართიასთან მშვიდობიან შეთანხმებაზე ლაპარაკი დამთავრებული იყო...

უეჭველია, სომხეთისათვის აღნიშნული ზავი მეტად მძიმე იყო, მაგრამ მაინც უცნაურად გვეჩვენება ის, რომ სომხეთმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. რა უშლიდა ხელს პომპეიუსს, როცა მან სომხეთი რომის პროვინციად არ გამოაცხადა? მას ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია ამ მოუსვენარ, მამაცი ტომებით დასახლებულ ქვეყანაში. ყოველმხრივ მოსალოდნელი იყო, რომ ასე

ებრძოლველად ჩაბარებულ ქვეყანას პატივმოყვარე რომაელი უყოყმანოდ გამოაცხადებდა რომის პროვინციად. მაგრამ ენახეთ, რომ ის ასე არ მოქცეულა. მან თავისი ნებით იარაღაყრილი მტერი ნეფედ გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს პომპეიუსის პირადი თვისებებით, მისი სულგრძელობითა და დიდბუნებოვანობით ვერ ავხსნით. აქ პირველ რიგში კვლავ რომაული დიპლომატიის ტაქტიკური ხაზები გვეხატება თვალწინ. თუკი რომი დაპყრობისთანავე სომხეთს თავის პროვინციად გამოაცხადებდა, მაშინ ძლიერ პართიას ყოველთვის შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სომხეთის მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც გამოწვეული იქნებოდა უცხოელთაგან სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამონებით. საამისო გაკვეთილები რომაელებს მიღებული ჰქონდათ მითრიდატესთან ომებში; სრულიად მოსალოდნელი იყო იმ ლოზუნგის გაცოცხლება, რომელიც ერთ დროს ეწერა მამაცი პონტოელის საბრძოლო დროშაზე: გაერთიანებული აზიელების ბრძოლა მგლის ნაშიერი რომაელების წინააღმდეგ! ამიტომ რომაელებისათვის შორს, აღმოსავლეთში ჯერჯერობით საჭირო იყო არა პროვინცია და მის ნიადაგზე წარმოშობილი მუდმივი საფრთხე, არამედ ვასალური სახელმწიფო „მოკავშირის და მეგობრის“ სახელწოდებით, რომელიც ხელს შეუშლიდა ძლიერი მეტოქის, პართიის წინსვლას; უდარაჯებდა მის ყოველ ნაბიჯს და ხელს შეუწყობდა „პროტექტორს“, რომს, მისი დასუსტებისათვის ბრძოლაში.

ასეთ მოდარაჯე-მოკავშირეებად ჰყავდა რომს ნუმიდია კართაგენის წინააღმდეგ, როდოსი და პერგამოსი — სელევკიდების სირიის წინააღმდეგ, ბითინია და კაპადოკია — პონტოს წინააღმდეგ, პართია — სომხეთისა და პონტოს წინააღმდეგ, ხოლო ახლა, როცა პართიის სახით ახალი ძლიერი მეტოქე გამოჩნდა, საჭირო გახდა მის პირისპირ ახალი მოდარაჯე-მოკავშირის გაჩენა. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო სომხეთი.

სომხეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პომპეიუსისათვის კიდევ სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. ის ემზადებოდა ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილების დასალაშქრავად და მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა, რომ ზურგში დამონებული და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჰყოლოდა. პომპეიუსმა უთუოდ იცოდა, რომ ლუკულუსთან ბრძოლებში სომხების გვერდით მათი ჩრდილოელი მეზობლებიც იბრძოდნენ. მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ სომხებსაც ძმური ხელი გაეწოდებინათ თავისი მეზობლებისათვის იმ დროს, როცა რომაელები სომხეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაიჭრებოდნენ. ამიტომ, თუ პომპეიუსს სურდა, ქართველთა მიწა-წყალზე

ლაშქრობისას სომხეთიდან ზურგში მახვილი არ ჩასცემოდა, არ უნდა დაეშვა კავკასიელი ხალხების, სომხების, ალბანელების, იბერიელების და კოლხების გაერთიანება. ამ მიზნის მიღწევა პომპეიუსს ისევ „გაჰყავი და იბატონე“-ს პრინციპით შეეძლო. კავკასიელი ხალხების გასათიშავად პომპეიუსმა რომაულ დემაგოგიას მიმართა: სომხეთი მან „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ტიგრანი გრძნობდა ამ თავზემოხვეული „მეგობრობის“ ნამდვილ შინაარსს, მაგრამ ტახტისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას ისევ ნაკარნახევი „მოკავშირეობა და მეგობრობა“ სჯობდა. ამ გზით პომპეიუსმა იბერია-კოლხეთში ლაშქრობისას სომხეთის მხრივ არა მარტო ნეიტრალურ პოზიციას მიაღწია, არამედ ტიგრანმა მას, როგორც მოკავშირესა და მეგობარს შეეფერებოდა, საჭირო სამხედრო დახმარებაც კი აღუთქვა საომარი მარაგისა და ფულის სახით.

საქართველოსა და ალბანეთის წინააღმდეგ ლაშქრობის საქმეში პომპეიუსისადმი ტიგრანის მხარდაჭერას ისიც უწყობდა ხელს, რომ ტიგრან მცირესა და ალბანთა მეფე ოროისეს ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

მაშ ასე, სომხეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება რომაელთა სასარგებლოდ აღმოსავლეთში ძირითადად ორ მიზანს ემსახურებოდა: ერთი — ის უნდა ყოფილიყო პართიის გაძლიერების დამაბრკოლებელი და საჭირო შემთხვევაში მის წინააღმდეგ რომაელთა ბრძოლის ავანპოსტი; მეორე — ის გათიშული უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებისაგან და არამც თუ მხარში არ ამოსდგომოდა ამ უკანასკნელთ რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ, პირიქით, დახმარებოდა ის რომაელებს თავისი ჩრდილოელი მეზობლების დამორჩილების საქმეში.

• •

ძალიან ხშირად იტყვიან, რომ რომაელები საქართველოში მითრიდატეს დევნამ შემოიყვანაო. ეს სწორია იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ოლქებში რომაელთა შემოჭრას ძლეული მეფის დევნის იურიდიული საფარველი ჰქონდა. ამით პომპეიუსს შეეძლო გაემართლებინა ახალი ქვეყნების მიმართ თავის სამხედრო ღონისძიებათა ექსპანსიური მისწრაფებები და დაეფარა მათი ნამდვილი არსი.

მაგრამ ვნახეთ, რომ პომპეიუსმა მითრიდატესთან ომი დასრულებულად ჩასთვალა. განადგურებული მეფე მას ისე საშიშად აღარ

ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ მისი დევნისათვის ძლიერი მეომარი ტომების წინააღმდეგ ბრძოლებში ახალი დიდი მსხვერპლი გაეღო. ევპატორს აღარც არმია ჰყავდა, აღარც მეგობრები; მას ყველგან გულგრილად და მტრულად ხვდებოდნენ; ბოსფორის სამეფოც მის ბოღალატე შვილს ეპყრა და ზღვებზე გასაქცევი გზებიც რომაული ფლოტით იყო ჩაკეტილი. სხვა საკითხია, თუ რას ფიქრობდა რომაელთა განუზომელი სიძულვილით და მათთან განუწყვეტელი ბრძოლის ყინით შეპყრობილი მოხუცი და როგორ აპირებდა ის სამარიდან ამოეყვანა უკვე დიდი ხნით დამარხული თავისი იდეალები. მისი ახალი გრანდიოზული გეგმები, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ, უსათუოდ რაღაც რეალურ შესაძლებლობაზე იყო დამყარებული, მაგრამ პომპეიუსს მაინც სრული გარანტია ჰქონდა იმისა, რომ რომაელებთან უსასრულო ბრძოლებში გაჭაღარავებულმა მეფემ, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივად მაინც დასტოვა რომაელებთან სისხლიანი ბრძოლის ასპარეზი.

თუკი პომპეიუსს მხოლოდ და მხოლოდ მითრიდატეს შეპყრობა, მისით თავისი ტრიუმფის დამშვენება აინტერესებდა, და მხოლოდ ამისათვის აპირებდა ის რომის ისტორიაში ახალი სისხლიანი ფურცლების გადაშლას, განა არ შეეძლო მას, რომ ერთჯერ მაინც მოეთხოვა კოლხებისაგან ყველგან ნიადაგგამოცლილი მეფის გაცემა ისე, როგორც რამდენიმე წლის წინათ ლუკულუსმა ტიგრანს მოსთხოვა მითრიდატეს გაცემა? მაგრამ არსად პომპეიუსს ფიქრად არ მოსვლია, მოეთხოვა დევნილი მეფის გაცემა და ამით დაესრულებია აღმოსავლეთის გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტა.

მაგრამ აქ მითრიდატე არაფერ შუაში იყო. პომპეიუსს არ სურდა, პონტოს შემოერთებითა და სომხეთის დაყმევებით ზღვარი დაესვა აღმოსავლეთში რომაელთა ექსპანსიისათვის.

რომში საშინელი განგაში ატყდა მაშინ, როცა ლუკულუსი არ შეჩერდა პონტოს აღმოსავლეთ საზღვართან და ახალი ომი წამოიწყო სომხეთის წინააღმდეგ. ეს მოგანგაშენი მსხვილი ფინანსისტებისა და მექრთამე-მევახშეების მოსყიდული დემაგოგები იყვნენ. მაგრამ განა ეს „სასტიკი, ფულხარბი ვიგინდარები“* სომხეთისა და საერთოდ ახალი ქვეყნების დაპყრობის წინააღმდეგნი იყვნენ? რასაკვირველია, არა. პირიქით, ისინი სწორედ იმიტომ ებრძოდნენ სენატს, რომ ის საგარეო პოლიტიკის აქტიურობაში უნარს ვერ იჩენდა და ბორკავდა ახალი ბაზრებისა და ეკონომიური ძარცვა-გლეჯის ასპარეზთა გაფართოების საქმეს. სომხეთთან ომის დაწყების უარ-

* კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, 1934, გვ. 127.

ყოფითობის დასურათება მათ მხოლოდ ოპტიმატი ლუკულუსის დასამარცხებლად სჭირდებოდათ. ხოლო, როცა მათმა კანდიდატმა, პომპეიუსმა „აღმოსავლეთში ლუკულუსის წარმატებანი მიითვისა“ და სომხეთმა თავი რომის ვასალად სცნო, დაისვა საკითხი: შეჩერდეს თუ არა აქ პოპულარების სარდალი და მოახდინოს მხოლოდ მიღწეულის შემომტკიცება? დაპყრობილი იყო პონტო, დამორჩილებული იყო სომხეთი; მაგრამ ეს ქვეყნები დაუძლურებული იყვნენ არისტოკრატთა სარდლის მიერ ჩატარებული შვიდწლიანი ომებით. განა მარტო იმისათვის დაირღვა რესპუბლიკის კონსტიტუცია, რაღაც უჩვეულო მაგისტრატის დანიშვნით, რომ მხოლოდ გვირგვინი დადგა მისი წინამორბედის მიღწევებისათვის? არა: საჭირო იყო ახალი ქვეყნების დაპყრობით ახალ მაგისტრატს ეჩვენებინა თავისი ახალ რწმუნებათა შესაძლებლობანი და სიძლიერე. საჭირო იყო პომპეიუსს სახელოვანი ლაშქრობებით გაეცამტვერებინა რომში მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ლუკულუსი მემკვიდრით შესცვალეს უფრო ტრიუმფისათვის, ვიდრე ომისათვისო. ძას უნდა გაემართლებინა რომის ხელისუფლების სათავეში მოსული პოპულარების მიერ დაკისრებული ამოცანები, რომ ამ უკანასკნელთ თავისმხრივ დაესაბუთებინათ ოლიგარქიულ-რესპუბლიკური კონსტიტუციის სიდამპლე და საიმპერატორო, „ტირანული“, ცენტრალიზებული ძალაუფლების სიჯანსაღე. მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის მორალურ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

რაც მთავარია, პომპეიუსის ახალ ლაშქრობას ძირითად მამოძრავებელ ძალად ეკონომიური მისწრაფებები ჰქონდა.

აღმოსავლეთში პომპეიუსის ლაშქრობა უპირველესად იმ სოციალური ფენების ეკონომიურ ინტერესებს ემსახურებოდა, რომლებმაც ის ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვეს. მცირე და წინააზიური ბაზრები და სავაჭრო გზები უკვე რომაელთა ხელში იყო. პომპეიუსის სარდლობის ქვეშ მყოფმა ფლოტმა სრუტეები და მთელი პონტოს ზღვა ხელში ჩაიგდო. ახლა რომაული გავლენის ორბიტის გარეთ რჩებოდა ის სავაჭრო მაგისტრალი, რომლის ცენტრალური ნაწილიც საქართველო-ალბანეთის გავლით ინდოეთისაკენ მიემართებოდა. ამ გზას რომაელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც პართიის ძლიერმა სახელმწიფომ თავისი საზღვრები გადასჭიმა ინდოეთიდან ევფრატამდე და კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე და, ამგვარად, ჩაჰკეტა ინდოეთ — ჩინეთისაკენ მიმავალი სამხრეთული გზები. მართლაც, პომპეიუსის ახალი ლაშქრობის ერთ-ერთ წინასწარ განზრახულ მიზანთან უნდა იყოს დაკავშირებული პლინიუს უფროსთან (I ს. ახ. წ.) მოყვანილი

ცნობა, რომ ინდოეთიდან მდინარეების, ამუდარია-სირდარიის და მტკვარი-რიონის გავლით, ფასისამდე (ფოთი) 12 დღეში შეიძლება საქონლის მიტანაო; და ყველაფერი ეს პომპეიუსის ლაშქრობის დროს იქნა გამორკვეულიო.

არც ის ფაქტი უნდა აიხსნას პომპეიუსის უბრალო ცნობისმოყვარეობით, რომ კოლხეთში ლაშქრობისას ის მეტისმეტად სიბეჯითითა და გულისყურით შეუდგა ახალი ქვეყნის დათვალიერებას და შესწავლას, იმ ქვეყნისას, საითაც ოდესღაც გზა გაუკაფავთ ლეგენდარულ არგონაველებს. პომპეიუსს წინასწარ სცოდნია ყველაფერი დიოსკურების, ჰერაკლესა, არგონაველებისა და საყოველთაოდ ცნობილი ოქროს საწმისის შესახებ. ის უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევდა თავის თანამემამულეებს, თუკი ამ ლეგენდარულ „ოქროს ქვეყნას“ მათი ეკონომიური დამონების ბრჭყალებში მოაქცევდა. ამით ინდოეთიდან მომავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი შეუერთდებოდა მაშინდელ „მსოფლიო ურთიერთობისათვის დიდი წყლის გზას“ — ხმელთაშუა ზღვას, რომელიც უკვე დიდი ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა რომაელებს. ყოველგვარი სიმდიდრით სავსე ქვეყნები რომაული ძარცვისა და ხალხის მონებად წარტყვევნის ასპარეზად უნდა გადაქცეულიყვნენ.

ანრიგად, ამიერკავკასიის ჩრდილოეთ მხარეში პომპეიუსის გალაშქრება რომის ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული სოციალური ფენების ეკონომიური გამდიდრების, ახალი ბაზრების, სავაჭრო გზების, ხალხთა დატყვევებისა და დამონების ვნებააღძრულ მისწრაფებათა ნაყოფი იყო. მაშ, ლაშქრობის მიზეზები და ინტერესები უპირველესად ეკონომიური ხასიათისა იყო. მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა მითრიდატეს შეპყრობის იურიდიული საბურველი და თვითონ პომპეიუსის პატივმოყვარეობა...

• •

პომპეიუსმა 66 წლის შემოდგომის მიწურულს (ძვ. წ.) ლეგატ აფრანიუსის სარდლობით სომხეთში სამეთვალყურეოდ დატოვა თავისი არმიის ერთი ნაწილი; თვითონ კი დანარჩენი ძალებით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ.

უკვე დაზამთრდა, როცა რომაელები მიუახლოვდნენ მტკვრის ზემო დინების მარჯვენა ნაპირს. ისინი აქვე დაბანაკდნენ გამოსაზამთრებლად. პომპეიუსმა აქვე მიიღო ტიგრანისაგან სხვადასხვა სახის მარაგი და ფული გაცილებით მეტი, ვიდრე ეს დათქმული იყო.

რომაელები სამად იყვნენ გაყოფილი და დაბანაკებული. ერთ ბანაკს თვითონ მთავარსარდალი მეთაურობდა, ხოლო დანარჩენ ორს — მისი ლეგატები, მეტელუს ცელერი და ლუციუს ფლაკუსი.

პირველად ალბანთა მეფე ოროისემ სცადა თავის დროზე უკუეგდო კარზე მომდგარი საფრთხე. ის შიშობდა, რომ რომაელები მის სამფლობელოებში შეიჭრებოდნენ და საჭირო იყო მათი დროულად განდევნა; მეორეს მხრივ, ოროისემ საჭიროდ სცნო თავისი მეგობრის, ტიგრან მცირეს გამოხსნისათვის ეზრუნა, და გადასწყვიტა თავს დასხმოდა რომაელებს. ამ მიზნის განსახორციელებლად მან ხელსაყრელად ჩასთვალა შუა დეკემბერი, როცა რომაელები ე. წ. საატურნალიების დღესასწაულით იყვნენ გართულნი (17 დეკემბერი). ის ცდილობდა ცალცალკე დასხმოდა თავს და გაენადგურებინა სამად დანაწილებული რომაული არმია.

მართლაც, 66 წლის 17 დეკემბერს 40.000 ალბანელმა გადალახა მდ. მტკვარი. ოროისემ სამად დაჰყო თავისი არმია და რომაელთა ბანაკებს ცალცალკე შეუტია. თვითონ მეფე თავს დაესხა მეტელუს ცელერის ბანაკს, სადაც იმყოფებოდა ტიგრან მცირე. მაგრამ ამ მოულოდნელ შეტევას რომაელები მედგრად შეხვდნენ და მტრის პირველივე შეტევები ბრწყინვალედ მოიგერიეს.

ალბანელებისათვის განსაკუთრებით მძიმე შეიქნა რომაული სამხედრო ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლა. ლუციუს ფლაკუსს თავისი ბანაკისათვის ორრიგი თხრილები ჰქონდა შემოვლებული და, როცა მან მოჩვენებითი უკუქცევით ალბანელები პირველი თხრილის შიგნით შეიტყუა, რომაელები უეცრად მიუბრუნდნენ მათ და დაამარცხეს. ბევრმა უკუქცეულმა ალბანელმა ვეღარ მოახერხა ფართო თხრილის გადალახვა და შიგ ჩაიღუპა.

ასევე დამარცხდნენ ოროისეს სხვა რაზმებიც. ალბანელები გაქცნენ. პომპეიუსმა მთელი ძალები დასძრა დასადევნებლად და მტკვრის გადალახვისას კვლავ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მათ.

დამარცხებულმა ოროისემ რომაელებს დაზავება სთხოვა. პომპეიუსმა ალბანთა ქვეყანაში შეჭრა ჯერჯერობით ნაადრევად ჩასთვალა და სამშვიდობო წინადადებაზე დათანხმდა.

65 წლის გაზაფხულზე (ძვ. წ.) რომაელებმა მდ. მტკვარი გადალახეს და დაიძრნენ იბერთა მიწა-წყალზე. ამ დროს იბერიაში მეფობდა არტოკი. იბერთა მეფემ პომპეიუსს დესპანები გაუგზავნა და მეგობრული ურთიერთობის დამყარება შესთავაზა. მაგრამ, როგორც ეტყობა, არტოკს პომპეიუსის მხრივ დაზავებაზე ნაკლები იმედი ჰქონია და მოლაპარაკების პარალელურად ჯარების შეკრებასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეიუსი ამ დროს ალბანელების წინააღმდეგ სარეკანშო ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ როცა შეიტყო არტოკის გამ-ლებული სამზადისის შესახებ, ალბანელებზე გალაშქრება გადასდო და გადასწყვიტა მოულოდნელად თავს დასხმოდა იბერიელებს.

რომაელები შეიჭრნენ იბერიაში და არტოკისათვის სრულიად მოულოდნელად მიადგნენ მდ. მტკვართან მდებარე სატახტო ქალაქს, სადაც იმყოფებოდა ბუნებრივი სიმაგრეებით კარგად დაცული აკროპოლისი გარმოზიკა. არტოკი დაიბნა და ვერ გაბედა წინ გადაღობებოდა ქალაქის კარზე მომდგარ მტერს. მან ქალაქის დამ-ცველები მიატოვა, მტკვარზე გავიდა და ხიდი დასწვა, რომ ამით მდინარის მარცხენა მხარეზე რომაელთა გადასვლისათვის ხელი შეე-შალა.

მეფის გაქცევამ პომპეიუსს ქალაქის აღება გაუადვილა; უმე-ფოდ დარჩენილმა მეციხოვნეებმა აკროპოლისი რომაელებს ჩააბა-ჩრეს.

ამგვარად, პომპეიუსმა ხელთ იგდო ქალაქი, რომელიც ალბანე-თისაკენ და სომხეთისაკენ გასასვლელი მოხერხებული გზების გასა-ღებად ითვლებოდა.

რომაელმა სარდალმა აქ გარნიზონი ჩააყენა და მტკვრის მარჯვე-ნა სანაპიროების დაპყრობას მიჰყო ხელი. როცა ეს საქმეც დაამთავ-რა, პომპეიუსმა დააპირა მტკვრის გადალახვა და იბერიის დანარჩე-ნი ნაწილების დამორჩილება.

არტოკმა დაინახა, პომპეიუსი არ კმაყოფილდებოდა მტკვრის მარტო მარჯვენა სანაპიროების დაპყრობით და იძულებული გახდა განეახლებინა საზავო მოლაპარაკება მასთან. მეფე კვლავ მეგობ-რობას სთავაზობდა პომპეიუსს, თანაც სურსათით მომარაგებასა და მტკვარზე ხიდის აღდგენას აღუთქვამდა. მან შეასრულა კიდევაც თა-ვისი დანაპირები, — აღადგინა ხიდი და მისცა მტერს სურსათი. მაგ-რამ პომპეიუსი ქვეყნის სრულიად დასამორჩილებლად იყო მოსუ-ლი და ამიტომ მაინც გადაიყვანა ჯარები მდინარის მეორე მხარეზე.

არტოკმა კვლავ გაქცევა ამჯობინა და მიაშურა მდ. პელორს. აქ რომაელები წამოეწივნენ მას და დაამარცხეს. მეფემ მცირე ამალის თანხლებით მაინც მოახერხა მდინარის მეორე მხარეზე გადასვლა და ხიდი აქაც დასწვა. იბერიელები რომაელებთან პირისპირ შეტა-კებაში და მდინარის ტალღებში მრავლად დაიღუპნენ, მაგრამ ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, ტყეებში გამაგრდნენ და იქედან შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ; მაღალ ხეებზე საფრდებოდნენ და იქე-დან მიზანაუცდენლად ისროდნენ ისარს; ხშირი ტყეებიდან მოუ-

გნეუს პომპეიუსი

ლოდნელად ესხმოდნენ თავს რომაელებს და კვლავ ელვისებურად გაუჩინარდებოდნენ.

ასეთი ბრძოლებით შეწუხებული რომაელები იძულებული გახდნენ ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაეწყოთ. ამ საშუალებით მათ მოახერხეს თავგანწირული იბერი პარტიზანების განადგურება. რომაელების მიერ შეპყრობილ დაჭრილ მეომართა შორის მრავლად აღმოჩნდნენ ქალებიც, რომლებიც იბერ ვაჟკაცთა გვერდით თავგანწირვით იბრძოდნენ მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად.

არტოკმა, როცა ნახა, რომ მისი ლაშქარი ძირითადად განადგურებული იყო, კვლავ გაგზავნა პომპეიუსთან დესპანები ძვირფასი საჩუქრებით, — ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროს მაგიდა — და ისევ ითხოვა დაზავება. პომპეიუსი ძალიან ნასიამოვნები დარჩა ასეთი მდიდარი ძღვენით. მაგრამ რომაელი სარდალი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის დადების აუცილებელ პირობად მოითხოვდა მისი უფლისწულების მძევლებად გაგზავნას.

არტოკი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ, როცა ზაფხულის სიცხეან დღეებში პელორის წყალმა დაიკლო და მასზე რომაელებმა ადვილად დაიწყეს გადასვლა, ის იძულებული გახდა დათანხმებულიყო და პომპეიუსთან მძევლებად გაგზავნა თავისი შვილები. ამის შემდეგ პომპეიუსი და არტოკი დაზავდნენ.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველჰყო, პომპეიუსმა თავისი არმია დასძრა კოლხეთისაკენ. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და დაეშვნენ მდ. ფასისის (რიონის) ხეობაში. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგს კი იარაღით იმორჩილებდნენ. ასე მიაღწიეს მათ ქ. ფასისს (ფოთს), სადაც პომპეიუსს მიეგება მის მიერ ზღვების სადარაჯოდ გაგზავნილი ფლოტის უფროსი (ნავარხი) სერვილიუსი. მისგან პომპეიუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე 65 წლის გაზაფხულზე კოლხეთიდან ბოსფორის სამეფოში გაიქცა. საბაბი, რითაც რომაელი დამპყრობელი თავის ლაშქრობას ამართლებდა, უკვე ადგილზე აღარ არსებობდა, მაგრამ მაინ ახლა აღარავითარი საბაბი აღარ სჭირდებოდა; ქვეყნა უკვე დალაშქრული და დამარცხებული იყო.

პომპეიუსმა „ივარაუდა რა, რომ იგი ვერასოდეს ვერ შესძლებდ> შემოევლო ირგვლივ პონტოს ზღვისათვის ან მეოტიდისათვის (აზოვის ზღვა), და რომ ლტოლვილი მითრიდატე ვეღარ გაბედავდა რომელიმე დიდი ოპერაციის დაწყებას“, გადასწყვიტა ეს წელი (65 ძვ. წ.) მოენდომებინა ამ ლეგენდარული ქვეყნის სრული დამორჩილე-

ბისათვის. მან ფასისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ, თითქოს, მხოლოდ „სურდა ენახა ტანჯვათა ის ადგილი, სადაც გადმოცემის თანახმად, კავკასიის მთებში იტანჯებოდა პრომეთე". პომპულარების სარდალს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ნაწილაკები და გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავებით ამ ოქროს შეგროვების წესი. მაგრამ რომაელები რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ, მამაც მთიელ ტომებთან ბრძოლა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა. პომპეიუსი იძულებული შეიქნა შემდგომ წინსვლაზე ხელი აეღო.

მან დაპყრობილი კოლხეთის მმართველად ვიღაც არისტარხი დანიშნა; ზღვების მეთვალყურეობა კვლავ სერვილიუსს დაავალა და თვითონ კი დაიძრა ალბანეთის წინააღმდეგ.

პომპეიუსს სურდა, ისევე მოულოდნელად დასხმოდა თავს ალბანელებს, როგორც ამას წინათ — იბერიელებს. ამის გარანტიას მათთან დადებული ზავიც აძლევდა მას, მაგრამ მაინც „გაემართა ალბანელებისაკენ, არა უმოკლესი გზით, არამედ სომხეთის გავლით", რათა იქედან, სამხრეთიდან მოულოდნელად შეეკრილიყო მათ მიწა-წყალზე.

კოლხეთიდან სომხეთისაკენ მიმავალ გზაზე მოსხიკის (მესხეთის) მთებზე მცხოვრებმა ქართველურმა ტომებმა, ჰეპტაკომეტებმა („შვიდსოფლელებმა", „შკვითინებმა") პომპეიუსს სამი რაზმი ამოუჟლიტეს. როგორც სტრაბონი გადმოგვცემს, ჰეპტაკომეტებმა გზებზე წინასწარ გამოჰფინეს თაფლი, რომელსაც რომაელები ხარბად დაეწაფნენ და ზედმეტი ჭამისაგან გაბრუდნენ; ამის შემდეგ ჰეპტაკომეტები თავს დაესხნენ გაბრუებულ უცხოელებს და ამოჟლიტეს ისინი.

სომხეთიდან პომპეიუსი დაიძრა ალბანეთისკენ. რომაელები რამდენიმე დღის განმავლობაში მიემართებოდნენ უწყლო და სიცხიან ველებზე. სიცხისაგან და წყურვილისაგან მოთენთილები ძლივს მიაბიჯებდნენ და იძულებული იყვნენ გზას გასდგომოდნენ ღამით, ხოლო დღისით დასასვენებლად სადმე გახურებულ მიწაზე დაყრილიყვნენ. ტყვე მეგზურები ყოველნაირად ცდილობდნენ არასწორი გზებით წაეყვანათ დაუპატიჟებელი სტუმრები. ბოლოს, პომპეიუსის ლაშქარი მიადგა მდინარე კამბისეს (იორი). წყურვილისაგან დატანჯული მეომრები და ცხოველები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს, რამაც ბევრ მათგანზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

რომაელებმა დაუბრკოლებლად გადალახეს იორი და ასევე დაუბრკოლებლად მიადგნენ მეორე მდინარეს, აბანტს, ანუ ალაზანს. სწორედ ალაზანს იქეთ იწყებოდა ალბანეთის ტერიტორიები.

ალაზნის გადალახვისთანავე პომპეიუსმა მიიღო ცნობა, რომ ახლოვდებოდა ალბანთა მეფე ოროისე 60.000 ქვეითი მეომრითა და 12.000 ცხენოსნით.

პომპეიუსს გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგეს. რომაელმა სარდალმა იმისათვის, რომ მტერს მისი არმიის რიცხობრივი უპირატესობა არ შეენიშნა და უკან არ გაბრუნებულიყო, შემდეგნაირად დააწყო თავისი საბრძოლო ძალები: ფრონტის წინა ხაზზე განალაგა მთელი თავისი კავალერია; მის უკან ფარებს ამოფარებული ქვეითი ჯარები დააწყო დაჩოქილ მდგომარეობაში, რათა ისინი მტერს არ შეემჩნია.

როგორც კი ალბანელებმა რომაელთა კავალერია შენიშნეს, სწრაფად ეძგერენ მას. რომაელმა ცხენოსნებმა, პომპეიუსის ბრძანებით, უმალვე მტერს ზურგი აქციეს და მათ უკან ჩასაფრებულ ლეგიონებს გზა გაუხსნეს. მტრის გაქცევით გამხნევებულსა და შეუკავებლად გამოქანებულ ალბანთა ლაშქარს უეცრად წინ აღემართნენ რომაელთა მრისხანე ლეგიონები. მრავალ ბრძოლებში ნაცადი და მშვენივრად შეიარაღებული რომაელები ადვილად სძლევდნენ მხეცთა ტყავებში გახვეულსა და შუბების ამარად მებრძოლ გულად ვაჟკაცებს. ასე, ამაოდ ჩაუარა ალბანთა მეფის ძმას, კოსისს, პომპეიუსის მტკიცე ფარფლებიან აბჯარზე შუბის ძლიერად ძგერებამ; იმპერატორის ბასრმა მახვილმა ის უსულოდ ჩამოაგდო ძირს. რომაელთა მხედრებმა ფლანგებიდან დაჰკრეს ოროისეს ლაშქარს. ალბანთა ზოგიერთი რაზმი ალყაში მოექცა და განადგურდა, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

პომპეიუსს განზრახული ჰქონდა კასპიის ზღვამდე მისულიყო. სამი დღის განმავლობაში მიიწევდა წინ ამ მიმართულებით. მაგრამ სიცხეებისაგან, უწყლობისაგან და შხამიანი ქვეწარმავალებისაგან შეძრწუნებულმა რომაელმა მეომრებმა უარი განაცხადეს შემდგომ წინსვლაზე.

პომპეიუსი იძულებული შეიქნა ზავი დაედვა ალბანთა მეფესთან. ამავე დროს მან ხელშეკრულება დასდო კასპიის ზღვის სანაპიროებთან მცხოვრებ სხვა კავკასიელ ტომებთანაც და გამობრუნდა უკან.

პომპეიუსი ალბანეთიდან ჯერ სომხეთში დაბრუნდა, ხოლო იქიდან, მცირე სომხეთის გავლით, პონტოში ჩავიდა (64 ძვ. წ.).

• •

პომპეიუსი პონტოს სამეფოს მდიდარ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში წლობით დაგროვილი და მტკიცედ დაცული ძვირფასი საჭურჭლეების მემკვიდრე შეიქნა. რომაელებმა მარტო „ტალავრაში, სადაც მითრიდატეს თავის საჭურჭლეთა საგანძური ჰქონდა,



ევპატორის თასი

იპოვნეს ორიათასი ეგრეთ წოდებული ონიქსის ფიალა, ოქროთი შემკული, მრავალი ჭიქა და მსხვილი ჭურჭელი და ყანწები, მოქარგული ტახტ-სავარძლები, ცხენის აღვირები, სამკერდულები და უნაგირები. — ყველაფერი ეს შემკული იყო ძვირფასი ქვებითა და ოქროთი. იმდენი იყო, რომ მათს დათვლასა და ჩაბარებას ოცდაათი დღე დასჭირდა. ზოგიერთი ნივთი დარიოს ჰისტასპის დროისა იყო, ზოგი პტოლემაიოსების სამეფოდან... ზოგი კი თვითონ მითრიდატეს მიერ იყო შეკვეთილი და აქ მოგროვილი, რადგან იგი სილამაზისა და ჭურჭლის მოყვარული იყო."

აზიიდან წაღებული ყველა ეს სიმდიდრენი და მასთან სხვა მრავალიც უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ნაწილი რომაელთა შორის „განძის შეგროვების ფართოდ განვითარებული ჩვეულებისა" და გემრიელი კერძი მათი მუდმივი „უგუნური მფლანგველობისა".* ასეთ მდიდარ ნადავლთა მეოხებით პომპეიუსის ყოველმა ჯარისკაცმა საჩუქრად მიიღო 1500 დრაქმა, ხოლო ამის შესაბამისად გაცილებით მეტი — საჯარისო ნაწილების უფროსებმა; ძუნწმა სარდალმა თავის თანამებრძოლებს სულ 16.000 ტალანტი დაურიგა.

ეგრეთ წოდებულ ახალ ციხეში პომპეიუსმა ხელთ იგდო მითრიდატე პონტოელის მთელი არქივი, სადაც აღმოჩნდა მისი საიდუმლო წერილები, მემუარები, წერილობითი განკარგულებანი და ღონისძიებები. აქ ნაპოვნი დოკუმენტებიდან ნათელი ეფინებოდა პონტოს მეფის სამხედრო და პოლიტიკურ გეგმებს, მის ზრახვებს, ღონისძიებებს, ოჯახურ ამბებს, მეფის დარდიმანდულ-ბოჰემურ იდეალებსა და თავგადასავლებს, მის პირად ხასიათს...

პომპეიუსი რამდენიმე ხანს შეჩერდა ამისოსში და შეუდგა მის მიერ დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნების ადმინისტრირებას. მან პონტოს უმეტესი ნაწილი და მთელი ბითინია რომის პროვინციებად გამოაცხადა. პონტოს სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი, მცირე სომხეთი, ფარნაკეიისა და ტრაპეზუნტის ოლქები გადასცა გალატიის მმართველს, დეიოტარს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მან გაუწია პომპეიუსს აღმოსავლეთის საომარ ოპერაციებში. ასევე ერთგულებისათვის კაპადოკიის მეფე არიობარზანმა მიიღო სოფენა და კილიკიის მთლიანი ნაწილი, რომელიც ადრე ტიგრან II-ს ეკუთვნოდა. კოლხეთი ცალკე მმართველს, არისტარხს ჩააბარა და უშუალოდ რომის ხელისუფლებას დაუმორჩილა. „რომაელი ხალხის მოკავშირეებად და მეგობრებად" აღიარებული იქნენ: სომხეთი, იბერია, ალბანეთი, ატროპატენა და ოსროენა.

---

* **მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937, გვ. 110—111**

65-64 წლებში (ძვ. წ) პომპეიუსის ლეგატებმა, გაბინიუსმა, სკავრმა და აფრანიუსმა დაიპყრეს სირია, ფინიკია და მალე ამის შემდეგ თვითონ პომპეიუსმა, აიღო რა იერუსალიმი, პალესტინაც რომის ძალაუფლებას დაუმორჩილა.

მითრიდატე ევპატორის მონეტა

პომპეიუსის წინაშე კვლავ მწვავედ დაისვა პართიასთან დამოკიდებულების საკითხი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პომპეიუსი ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ქვეყნებში იბრძოდა, პართიის მეფემ ისარგებლა და შეიჭრა გორდიენაში, რომელიც ტიგრან I-ს ეკუთვნოდა. სომხეთში დატოვებულმა ლეგატმა აფრანიუსმა პომპეიუსის ბრძანებით გაილაშქრა პართიელთა წინააღმდეგ და განდევნა ისინი გორდიენადან.

პართიის მეფემ მეორედაც (64 ძვ. წ.) მოახდინა სომხეთზე თავდასხმა. მაგრამ პომპეიუსმა ვერ გაბედა გამოეყენებინა შემთხვევა და დაეწყო ახალი ომი პართიის წინააღმდეგ. როცა მასთან საჩივლელად გამოცხადდნენ როგორც ტიგრანის, ისე ფრაატის ელჩები,

ის ამ ქვეყნების დაზავებისათვის და მათი საზღვრების მოწესრიგებისათვის კომისიის გამოყოფით დაკმაყოფილდა...

63 წელს (ძვ. წ.) პომპეიუსი გაეშურა არაბეთისაკენ. მას ძალიან სურდა მიეღწია წითელ ზღვამდე. მეომრები ბუზღუნებდნენ და საყვედურობდნენ: რა დროს არაბეთია, როცა მითრიდატე ჯერ კიდევ ცოცხალია და ვინ იცის რა გეგმებს აწყობს ჩვენს წინააღმდეგო...

• •

მართლაც სად იყო მითრიდატე ევპატორი მაშინ, როცა პომპეიუსი თავისი უზარმაზარი სამხედრო ძალებით ზედიზედ იმორჩილებდა წინა აზიის ქვეყნებს? ნუთუ მართლდებოდა რომაელი იმპერატორის ვარაუდი, რომ პონტოელმა სამუდამოდ აიღო ხელი რომაელების წინააღმდეგ თავგამოდებული ომების წარმოებაზე? ნუთუ ნოხუცმა გმირმა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არნახული თავგანწირულებით ზედ ეხეთქებოდა რომაული ექსპანსიის მიუვალ ზღუდეებს, ხელი აიღო იმ მიწისათვის ბრძოლაზე. საიდანაც მას არაერთჯერ აღუმართავს „მგლის ნაშიერთა" წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროშა? ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ კაცი, რომელიც ჭაბუკობიდან ღრმა მოხუცებულობამდე მხოლოდ ერთ დიდ საქმეს, აზიიდან რომაელების განდევნის საქმეს ემსახურებოდა, და მრავალჯერ ჭირში მყოფს არასოდეს გული არ გასტეხია, — გამოცდილებისა და გამობრძმედის მწვერვალზე გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების ჭაობში ჩაეფლობოდა...

ჩვენ პონტოელის შესახებ საუბარი მაშინ შევწყვიტეთ, როცა ის 66-65 წლის ზამთრის გასატარებლად კოლხეთში, დიოსკურიაში დაბინავდა. აქ მან დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ რისთვის და როგორ უნდა გამოეყენებინა მას თავისი ბედკრული სიცოცხლის უკანასკნელი წლები; ე. ი. როგორი გეგმებითა და გზებით უნდა განეახლებინა მას საძულველი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლა.

პირველად მან გაითვალისწინა თავისი მოღალატე შვილის, მახარეს ჩამოგდება ბოსფორის სამეფო ტახტიდან; ბოსფორში მითრიდატე აპირებდა უზარმაზარი არმიის შეკრებას; ამისათვის ის ურთიერთობას გააბამდა მთელი შავი ზღვის გარშემო და ევროპის სიღრმეში მცხოვრებ ტომებთან; მათი დახმარებით ის შემოუვლიდა ჩრდილოეთიდან შავ ზღვას, გაივლიდა თრაკიას, მაკედონიას, შემდეგ შევიდოდა დასავლეთ ევროპაში, იქაც შეჰკრებდა კელტებისა და სხვა ბარბაროს ტომთა ჯარებს. გადალახავდა ალპებს და ამ-

გვარად, გრანდიოზული ძალებით, შეიჭრებოდა რა ჩრდილოეთ იტალიაში, დაესხმოდა საძულველი მტრების ბუდეს, რომს.

ასეთი იყო მისი ახალი საომარი გეგმა რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის განახლებისათვის.

მითრიდატე 65 წლის დამდეგს (ძვ. წ.) ხმელეთის გზით გაეშურა ყირიმისაკენ. გზადაგზა ის თავის მხარეზე იმხრობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებს, ჰენიოხებს, აქეელებს და სხვებს. ასე რომ, ის კარგად მოზრდილი ძალებით ჩავიდა ყირიმში.

მითრიდატეს მოულოდნელად გამოჩენამ თავზარი დასცა მის მტრებს და მათ შორის პირველ რიგში, მოღალატე შვილს. შიშისაგან შეპყრობილმა მახარემ ელჩები მიუგზავნა, მამას და პატიება სთხოვა. მაგრამ მან შეიტყო, რომ მითრიდატეს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა; თან ხედავდა, რომ ის ყველამ მიატოვა და ყველა გულთბილად შეხვდა მოხუც მეფეს. მახარემ და მისმა მიმდევრებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ მითრიდატემ ისინი შეიპყრო და ყველანი სიკვდილით დასაჯა.

მეფე ორი წლის განმავლობაში საკვირველი ენერგიითა და ენთუზიაზმით ემზადებოდა სარევანშო ბრძოლებისათვის. თავის ძალაუფლების ქვეშ იკრებდა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს; იერთებდა ზოგს დარწმუნებით, ზოგსაც ძალით; უმოყვრდებოდა სკვითთა ბელადებს; ჰკრებდა ჯარებს „თავისუფალთაგან და მონათაგან“; აგებდა ფლოტს, სჭედდა საომარ საჭურველს, აწყობდა საომარ მანქანებს და სხვა.

მაგრამ მოხუცი მეფის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ჯერ თვით მის ახლობელთა შორის ხშირად ეწყობოდა შეთქმულება და ღალატი. მისმა ცოლმა სტრატონიკამ საიდუმლო მოლაპარაკება გაბა პომპეიუსთან; ის ატყობინებდა რომაელს, თუ სად, რომელ ადგილებში, რომელ ძელმიწურებში და სიმაგრეებში ინახავდა მეფე რომაელების წინააღმდეგ საომარი სამზადისისათვის საჭირო საგნებს, თანხებს, საჭურჭლეთ; სტრატონიკა ამის საფასურად პომპეიუსს სთხოვდა, რომ როცა თქვენ მითრიდატეს მოსპობთ და სრულ გამარჯვებას მოიპოვებთ, ჩემ შვილს ქსითარას სიცოცხლე შეუნარჩუნეთო. ამის შეტყობისთანავე, გაცოფებულმა მითრიდატემ თავის ღვიძლ შვილს ქსითარას დედის თვალწინ ყელი გამოსჭრა და დაუსაფლავებლად ყვავ-ყორნებს მიუგდო საჯიჯგნად.

მალე ამას ახალი შეთქმულება მოჰყვა. შეთქმულებას სათავეში უდგა მითრიდატეს უსაყვარლესი შვილი, მის მიერვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებული ფარნაკი. მეფემ შეიტყო მისი გულის რჩეუ-

ლის ღალატი. ფარნაკი უეჭველ სიკვდილს ძლივს გადაარჩინა მეფის უახლოესმა მრჩეველმა მენოთანმა; ამოდენა ლაშქრობისათვის მზადების დროს არ ღირს ესოდენ დაფასებული ვაჟის დასჯაო, — ჩასჩურჩულებდა ის სიბრაზისაგან გამხეცებულ მითრიდატეს. მეფემ გულის ჯავრი შვილის თანაშეთქმულთა მიმართ იყარა.

მითრიდატეს მალე ახალი უბედურება ეწვია. აჯანყდა ქალაქი ფანაგორია (ტამანის ნახევარკუნძულზე), სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ მეფის შვილები: არტაქსერქსე, არტაფერნი, დარიოსი, ქსერქსე, ოქსატრი, ევპატრა და კლეოპატრა. ყველა ისინი ჩაბარდნენ აჯანყებულებს; მხოლოდ კლეოპატრა, მითრიდატეს საყვარელი ქალი ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მათ და ბოლოს, მამის დახმარებით მიაღწია პანტიკაპეას, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მითრიდატე. ფანაგორიის აჯანყების შემდეგ პონტოს მეფეს გადაუდგნენ ხერსონესი და თეოდოსია.

მეფის გეგმები სწრაფად უახლოვდებოდა უფსკრულს.

ჯერ ერთი, გადასახადები, რომლებიც მითრიდატემ ახალი ომის საბაზადისის საჭიროებისათვის დააწესა, სულს ხდიდა მოსახლეობას და მღელვარებას იწვევდა მასში; „ყველას დაადვა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბებსაც. გადასახადის შემკრები მისი მოხელეები დიდად ავიწროებდნენ ხალხს...“ ასე, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ახალი დიდი ომისათვის მითრიდატეს ძირითადი ბაზა და დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მისი გეგმები არა თუ თანაგრძნობით არ სარგებლობდა, არამედ უკმაყოფილებასაც იწვევდა და აჯანყების საშიშროებას ჰქმნიდა.

მეორე, — ახალი ლაშქარი, რომელიც მეფემ შეკრიბა, ახალი წამოწყების მიმართ ძალიან ცუდად იყო განწყობილი; „მისი ჯარი ყოყმანობდა უმთავრესად ამ წამოწყების სიდიადის გამო; არ სურდათ მათ აგრეთვე გამგზავრება შორეულსა და ხანგრძლივ ლაშქრობაში, უცხო ქვეყანაში იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისი დამარცხებაც მათ თავიანთ ტერიტორიაზე ვერ მოახერხეს“. ბუნებრივია, ახალი ჯარების ცუდი განწყობის მთავარი მიზეზი მოსახლეობის მძიმე დაბეგვრით გამოწვეული საერთო უკმაყოფილება იქნებოდა. ამას თვითონ მითრიდატეც გრძნობდა; „ის ხედავდა ხშირ განდგომებს და ეშვის თვალით უყურებდა ჯარს, არ მიაჩნდა რა იგი სამედოდ ლაშქრობის სიძნელისა და მძიმე გადასახადების გამო...“ მითრიდატეს, როგორც ეტყობა, აღარც ძველი, ერთგული, რომაელებთან ბრძოლებში ნაწრთობი ვეტერანი სარდლები და თანაშემწეები ჰყოლია, ხოლო ახალი სარდლები ჯარისკაცებში პატივისცემითა ღა ნდობით ვერ სარგებლობდნენ.

ამრიგად, მითრიდატე, მისი ბედუკუღმართი თავგადასავლებისა და ასაკის მიუხედავად, თითქმის სრულიად მარტოდმარტო დარჩენილი, განსაკუთრებული ენერგიითა და ფანატიზმით შეპყრობილი, ცდილობდა აწ განუხორციელებელის განხორციელებას. ის ერთ ხანზე ავადმყოფობდა კიდეც; სახეზე მუწუკები გაუჩნდა და მისი ნახვა მხოლოდ მის მკურნალ საპურისებს შეეძლოთ. თუმცა მალე გამოჯანსაღდა, მაგრამ მზის სინათლეზე გამოსული მეფე სულ მალე სამარადისო ბნელეთის გზას უნდა გასდგომოდა...

ყირიმში არსებულ მეტისმეტად დაძაბულ ატმოსფეროს მძლავრი აჯანყების ხანძარი მოჰყვა, რომელშიც ჩაიფერფლა მითრიდატე ევპატორის უკანასკნელი იდეალები. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ფარნაკი.

გარიჟრაჟისას მითრიდატე აჯანყებულთა საშინელმა ყიჟინამ და ღრიანცელმა გამოაღვიძა. ის სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და გაგზავნა მცველები ამბის შესატყობად. მალე მან შეიტყო, რომ მთელი მისი არმია და ხალხი აღარ სცნობდა მის ძალაუფლებას; აჯანყებულებმა პირდაპირ შეუთვალეს მას: — გვსურს, რათა მეფედ იყოს შენი კაეი, ფარნაკი, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე, ნაცვლად მოხუცისა, სასტიკისა და შეუბრალებლისა, რომელიც არავის ზოგავს, — მრავლად ხოცავს თავის შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს, სტანჯავს ხალხს.

მითრიდატე პირადი გვარდიის თანხლებით გაეშურა მოაჯანყე შვილის ბანაკისაკენ. მაგრამ მცველმა რაზმებმა მიატოვეს ის და გადავიდნენ მოწინააღმდეგეთა მხარეზე. ფარნაკმა უარი უთხრა მათ ბიღლებაზე მანამ, სანამ ერთგულების დასამტკიცებლად მითრიდატეს არ მიუყვანდნენ შეპყრობილს. გვარდიელები შემოტრიალდნენ და გაეშურნენ ამ საქმის შესასრულებლად. მითრიდატე მოახტა ცხენს და ის იყო უნდა გაქცეულიყო, რომ მოღალატეებმა დააყარეს ისარი და მოუკლეს ცხენი. ძირს დაცემული მეფე უმალვე წამოხტა და ძლივს მოასწრო ციხე-სიმაგრეში თავის შეფარება.

მეფე ციხის მაღალი კოშკიდან ხედავდა, როგორ მორთეს აჯანყებულებმა მისი შვილი მეფის ტანსაცმელში, თავზე გვირგვინის მაგივრად რაღაც ღერო დაადგეს და ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყეს. მითრიდატე ზედიზედ უგზავნიდა თავისიანებს და სთხოვდა შვილს, რომ დაენდო მამის სიცოცხლე ისე, როგორც მან შეინდო ის ამასწინდელი ღალატისათვის; უკიდურეს შემთხვევაში, იმდენი გულმოწყალება მაინც გამოიჩინეო, რომ უვნებლად გავშორდე აქაურობას და სამეფო ტახტი შენთვის დამილოცნიაო, — ემუდარებოდა მითრიდატე შვილს. მაგრამ ფარნაკი მამამისზე უფრო სასტიკი

და შეუბრალებელი სჩანდა. ის ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: მითრიდატე უნდა მომკვდარიყო.

მეფემ ქება-დიდებითა და საჩუქრებით აავსო თავისთან შემორჩენილი უკანასკნელი ერთგული მხლებლები და გაგზავნა ისინი ახალ მეფესთან. თვითონ კი ხმლის ქარქაშიდან ამოიღო საწამლავი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, და განაზავა ფიალაში. ასევე მოიქცნენ მისი ქალიშვილები, მითრიდატისი და ნისა, რომლებიც ეგვიპტისა და კვიპროსის მეფეთა დანიშნულები იყვნენ. ქალებმა სთხოვეს მამას და აიძულეს ის, რომ პირველად თვითონ მიეღოთ საწამლავი. რათა არ ენახათ მოხუცი მამის ტანჯვა. როგორც კი საწამლავით სავსე თასები დასცალეს, მათ სწრაფად განუტევეს სული. მაგრამ მითრიდატეზე საწამლავმა სწრაფად ვერ იმოქმედა, რადგან ყოველი ჭამის დროს ის მოწამვლის საწინააღმდეგო ნივთიერებას იყენებდა და ამგვარად, ძლიერი იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული. ის სწრაფი ნაბიჯით აქეთ-იქეთ მირბი-მორბოდა, რათა საწამლავს მალე მოეღო მისთვის ბოლო. მაგრამ ამაოდ, მის ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. სწორედ ამ დროს მან შენიშნა თავის არმიაში მსახური კელტი მეომარი, სახელად ბიტოიტი და შესძახა მას: „დიდ დახმარებას მიწევდა შენი ხელი ომის საქმეში, მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება იქნება ჩემთვის, თუ ახლა შენ მე სიცოცხლეს მომიპობ; მე ხომ მელის საფრთხე, რომ ტრიუმფის საზეიმო სვლაში გამატარებენ; მე, რომელიც ასე დიდხანს ვიყავი ამ ქვეყნის თვითმპყრობელი მეფე; მე ვერა მკლავს შხამი იმის გამო, რომ მე უგუნური, თავის დაზღვევის მიზნით, წინასწარ ვიღებდი თავის დაცვის საშუალებებს სხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის, შვილებისა და მეგობრების ღალატი—მე ვერ გავითვალისწინე...“ ბიტოიტმა შეუსრულა უკანასკნელი თხოვნა თავის მბრძანებელს; მან მითრიდატეს გამოშვერილ კისერს მახვილი მძლავრად დაჰკრა...

ასე დაიღუპა მითრიდატე ევპატორი (63 ძვ. წ.), რომელსაც რამდენიმე ათეული წლების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშებზე მიჰყავდა თავისი პატარა სამეფო რომის ვეშაპის წინააღმდეგ. „გმირების სიკვდილი მზის ჩასვლას ჰგავს, და არა ბაყაყის სიკვდილს, რომელიც გაჭინთვით გასკდა“*. „აღმოსავლეთის ჰანიბალმა“ თვითმკვლელობაც ჰანიბალსავით სცადა, მაგრამ ბრძოლებში გულადობით შეუდარებელი ტიტანი თავისი სიცოცხლის უკანას-

* მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937 წ. გვ. 2

კნელი წუთების გასანადგურებლად იძულებული გახდა, გაიუს გრაკხის მსგავსად, გაბედულებას თავის ერთგულ მსახურს დასესხებოდა...

.პომპეიუსი არაბეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის ქალაქ პეტრასთან იყო დაბანაკებული. .ერთ დღეს, როდესაც ის თავის მეომართა შესახედავად ცხენით ჯირითში ვარჯიშობდა, მასთან გაფლიანებული ცხენები მოაგელვეს შიკრიკებმა პონტოდან. მათ სახეზე განუსაზღვრელი სიხარული იყო აღბეჭდილი და ამის ნიშნად შუბებიც დაფნის კენწეროებით ჰქონდათ შემკული.

სარდალი თითქოს მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჯარისკაცებს რომ მისთვის ბავშვური ცმუკვა არ შეენიშნათ, დინჯად განაგრძობდა თავის საქმიანობას.

მაგრამ როცა მთელი ბანაკი წამოიშალა და ჩვეულებრივი ღრიალით მოითხოვეს ახალი ამბის გამოქვეყნება, პომპეიუსი გადმოხტა ცხენიდან, ჩამოართვა შიკრიკებს ბარათი, ავიდა სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე და ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნად აღარ არსებობს რომაელთა დაუძინებელი მტერი მითრიდატე ევპატორი; ის დაამხო აჯანყებამ, რომელსაც მისი შვილი ფარნაკი მეთაურობდა, ხოლო ფარნაკი, ბოსფორის ახალი მეფე, მორჩილებას უცხადებს რომს და პირადად პომპეიუსს.

აუწერელი იყო ის საყოველთაო სიხარული, რაც ამ ამბავმა გამოიწვია რომაელთა შორის. რამდენიმე დღის განმავლობაში იმართებოდა საზეიმო ნადიმები, მსხვერპლშეწირულებანი, ღრეობანი, რადგან რომაელებს სწამდათ, რომ „მითრიდატეს სახით ათასობით მათი მტერი განადგურდა“.

პომპეიუსმა აჰყარა ბანაკი და გაეშურა პონტოსაკენ. ის ჩავიდა ამისოსში, სადაც მას დახვდა ფარნაკისაგან გამოგზავნილი უთვალავი ძღვენი და ძვირფას ნივთთა შორის, დახოცილთა გვამები. მათ შორის იყო მითრიდატეს ცხედარიც. სახეზე მისი ცნობა ძალიან ძნელი იყო, რადგან ბალზამირების დროს თავის ტვინის ამოღება დავიწყნოდათ და ხრწნა შეჰპარვოდა. მეფე გამოარჩიეს მხოლოდ მისი გოლიათური აღნაგობის ტანითა და მასზე ბრძოლებში მიღებული მრავალი ჭრილობებით. პომპეიუსი განცვიფრებული იყო მითრიდატეს ტანსაცმლისა და იარაღის სიდიდითა და მოკაზმულობით. სარდლის ბრძანებით მითრიდატეს ცხედარი სინოპში წაიღეს და იქ დაკრძალეს. მეფის პირადი საგნები რომაელებმა დაიტაცეს...

61 წ. (ძვ. წ.) ძლევამოსილი პომპეიუსი ეფესოდან იტალიაში გაეგზავრა. არაჩვეულებრივად დიდი იყო რომში ის საყოველთაო აღტაცება. რაც შედეგად მოჰყვა მითრიდატესთან ხანგრძლივი ომების ძლევამოსილად დამთავრებას. არაჩვეულებრივი მიღება და ტრიუმფალური შეხვედრა ელოდა იმპერატორს, რომელმაც სწორედ არაჩვეულებრივი იმპერიუმით აღჭურვილმა შესძლო ამაყი და მრისხანე აღმოსავლეთის დამორჩილება. როდესაც ის რომს უახლოვდებოდა. ხალხი მორბოდა მის შესახვედრად; რომი მზად იყო მისი ტრიუმფის მიღებისათვის.

როგორც ტრიუმფატორს შეეფერებოდა, პომპეიუსი ჩასვეს მოოქროვილ ეტლში, რომელსაც ოთხი თეთრი ცხენი ჰყავდა შებმული; თვითონ მას ტანთ ეცვა ძვირფასი ტანსაცმელი, რომელიც მას მითრიდატეს საგანძურებიდან ჰქონდა წამოღებული. ეს თვით ალექსანდრე მაკედონელის ტანსაცმელიაო, — იძახდნენ რომაელები. თავზე ეხურა დაფნის გვირგვინი; მას გარშემო ეხვივნენ მისი ახლობლები და მეგობრები, ყველანი თეთრ წამოსასხამებში (ტოგა) გამოწყობილნი. ტრიუმფატორის წინ მოჰქონდათ დაფები პომპეიუსის მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღნუსხვით; იქ ეწერა: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია. ფინიკია, პალესტინა, იუდეა, არაბეთი და მეკობრეთა სადგომები. იქვე აღწერილი იყო, რომ პომპეიუსმა სახელმწიფო ხაზინაში აღმოსავლურ ლაშქრობათა შედეგად 20.000 ტალანტი შეიტანა. ტრიუმფის საზეიმო სვლაში მოჰქონდათ აღმოსავლეთიდან წამოღებული, ოქრო-ვერცხლით ნაჭედი ეტლები, ტახტრევანები და სხვა ნივთები, ურემ-საზიდარები იარაღითა და ხომალდების ცხვირებით დატვირთული; ტრიუმფში განსაკუთრებით ბრწყინავდა რვა წყრთის სიმაღლე მითრიდატეს ოქროს ქანდაკება, მისი ოქროს ტახტი და ოქროსავე სამეფო კვერთხი. პომპეიუსის ეტლის წინ მოდიოდნენ დამარცხებულ ხალხთა წარმომადგენლები, ყველა თავის ნაციონალური ტანთსაცმელით შემოსილი; ამათგან ზოგი ტყვედ იყო წამოყვანილი, ზოგიც — მძევლებად. აქ იყვნენ: მითრიდატეს ხუთი ვაჟი და ორი ქალი, სომეხი უფლისწული ტიგრანი თავისი ცოლ-შვილით, კოლხთა მმართველი ოლთაკე, იუდეველთა მეფე არისტობულე, სამი იბერი და ორი ალბანელი სარდალი, მითრიდატეს ცხენოსანთა არმიის სარდალი მენანდრე და სხვები. მოჰქონდათ ტიგრანისა და მითრიდატეს გამოსახულებანი; განსაკუთრებით სხვადასხვა პოზაში იყო გამოხატული მითრიდატე; — როგორ იბრძოდა ის, როგორ დამარცხდა და როგორ ეცემა მკვდარი თავისი ქალიშვილების გვამთა შორის. რომაელები საშინელი ღრიან-

ცელითა და მანჭვა-გრეხით მისდევდნენ დამარცხებულთ, ჩქმეტდნენ მათ, სცემდნენ და დასცინოდნენ. ასე მიაცილეს ტრიუმფატორი, ჩვეულებისამებრ, კაპიტოლიუმის ტაძრამდე, სადაც მან გამარჯვების აღსანიშნავად შესწირა მსხვერპლი. პომპეიუსის ტრიუმფი ორ დღეს გაგრძელდა...

პონტოს უკანასკნელი ღლეები

თითქოს პონტოში საბოლოოდ ჩაქრა რომაელთა წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლების ცეცხლი, თითქოს მითრიდატე ევპატორმა სამარეში თან ჩაიყოლა პონტოს ძლევამოსილების მშვენიერი ისტორია. სჩანდა, რომ რომს, თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნის მანძილზე მაინც შეეძლო მოსვენება ენახა აღმოსავლეთის უსასრულო ომებისაგან. დიდი ხნის მანძილზე აზიის პროვინციებს აღარ ჰყოლიათ პონტოს სამეფოსებრ თავგანწირული მოსარჩლე საძულველი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ.

მაგრამ მითრიდატეს სიკვდილიდან 15 წელმა განვლო და აღმოსავლეთში კვლავ წამოიშალნენ პონტოელ გმირთა აჩრდილები...

რომში ძლევამოსილების შარავანდედით დაბრუნებული პომპეიუსი კარგა ხანს უბადლო გმირად და სახელმწიფოს ფაქტიურ, ერთპიროვნულ გამგებლად ითვლებოდა. მაგრამ მას ღირსეული მეტოქე და მოპირდაპირე გამოუჩნდა. ეს იყო სახელგანთქმული სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე გაიუს იულიუს ცეზარი. მალე მათ შორის აშკარა განხეთქილება მოხდა.

48 წელს (ძვ. წ.) პომპეიუსსა და ცეზარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქ. ფარსალთან (თესალიაში). პომპეიუსი სასტიკად დამარცხდა და სიცოცხლის გადასარჩენად ეგვიპტეს მიაშურა. ეგვიპტის ახალგაზრდა მეფის, პტოლემაიოს დიონისეს ბრძანებით პომპეიუსი მოჰკლეს, როგორც კი ის ნავიდან გადახტა და ეგვიპტის მიწაზე ფეხი შესდგა.

პომპეიუსის დალუპვიდან სამი დღის შემდეგ ეგვიპტის სანაპიროებს მიადგა ცეზარის ძლიერი არმია და ფლოტი. ამ დროს ეგვიპტის სამეფო ტახტისათვის ბრძოლა სწარმოებდა პტოლემაიოს დიონისესა და მის დას, კლეოპატრას შორის. ცეზარმა ზხარი დაუჭირა კლეოპატრას, რომელიც დააბრუნა გაძევებიდან და პტოლემაიოსთან ერთად ეგვიპტის მმართველობის თანაზიარი გახადა. მაგრამ

მალე ეგვიპტეში რომაელთა წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. პტოლემაიოსი ბრძოლაში დაიღუპა. ცეზარმა აჯანყება ჩააქრო და ეგვიპტე რომის ძალაუფლებას დაუმორჩილა...

იმ დროს, როდესაც პომპეიუსის აღმოსავლური ლაშქრობიდან ფარსალის ომამდე განვლილ პერიოდში რომში სამოქალაქო ომები ახალ-ახალი მძვინვარებით ბობოქრობდა, პონტოს სამეფო უკანასკნელად იკრებდა ღონეს, ძლიერ მეტოქესთან დასაჯახებლად.

ბოსფორის მმართველი ფარნაკი, რომელმაც პირადი პატივმოყვარეობისათვის და რომაელთა სიამოვნებისათვის თავისი მამა დაღუპვის კარამდე მიიყვანა, ძალიან უკმაყოფილო დარჩა, როცა მან პომპეიუსისაგან მხოლოდ ბოსფორის სამეფო მიიღო, ხოლო პონტოს სამეფო, რომელიც რომის პროვინციად გამოცხადდა, მისთვის საბოლოოდ დაკარგულად ითვლებოდა. ის უცდიდა დროს, სამაგიერო მიეზღო რომაელთა უმადურობისათვის. ასეთ ხელსაყრელ დროდ მან მიიჩნია პომპეიუსსა და ცეზარს შორის ატეხილი ომები და პონტოს ოდინდელი დამოუკიდებლობისა და ძლიერების აღდგენის საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი.

ის ჯერ მოულოდნელად დაეცა თავს ფანაგორიას, რომელსაც რომისაგან ავტონომია ჰქონდა მინიჭებული, და დაეუფლა მას, ხოლო მალე ამის შემდეგ ძლიერი არმიით მიადგა პონტოს და თავისი ბამის სამემკვიდრეო სამეფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სანამ ცეზარი პომპეიუსს ეგვიპტისაკენ მიერეკებოდა და თვითონაც ალექსანდრიის ცნობილი ომისათვის ემზადებოდა, ფარნაკმა ხელთ იგდო მცირე სომხეთი და კაპადოკია, რომლებიც პომპეიუსის ბრძანებით გალატიის მმართველს დეიოტარს ემორჩილებოდნენ. ფარნაკი თვით გალატიის დასალაშქრავადაც ემზადებოდა და ვინიცის რა გეგმები ჰქონდა შემდეგისათვის მითრიდატე ევპატორის მემკვიდრეს...

დეიოტარმა, რომელმაც უკვე მოასწრო პომპეიუსის ღალატი და ცეზარისადმი მიმხრობა, დახმარებისათვის მიმართა ამ უკანასკნელის ქვეშევრდომს, აზიური პროვინციების მაშინდელ ხელისუფალს, დომიციუს კალვინუსს. შეშფოთებული დეიოტარი დომიციუსს შესჩიოდა: თუ მცირე სომხეთისა და კაპადოკიის განთავისუფლებაში არ დამეხმარებით, ვერ შევსძლებ იმ დიდძალი ფულადი თანხების შეგროვებას, რომელიც დავალებული მაქვს ცეზარისაგანო.

დომიციუსმა ფარნაკთან ელჩები გაგზავნა და შეუთვალა, დაუყოვნებლივ გაეწმინდა მცირე სომხეთი და კაპადოკია და აღარ გაებედა რომში არსებული სამოქალაქო ომების გამოყენება თავისი ვერაგული ზრახვების განსახორციელებლად. ამავე დროს მან, იმისა-

თვის, რომ მოწინააღმდეგისათვის შიში ჩაენერგა და საჭიროების შემთხვევაში დაესაჯა კიდეც, შეკრიბა ოთხი ლეგიონი და გაეშურა პონტოსაკენ.

ფარნაკისაგან მალე მოვიდა პასუხი; კაპადოკია დავტოვე, მაგრამ მცირე სომხეთი თავიდანვე ჩემი წინაპრების საკუთრება იყო და რატომ მიხდით სადავოდ მის მფლობელობასო, — იტყობინებოდა ის.

დომიციუსმა გადასწყვიტა ძალით გაედევნა ფარნაკი აზიიდან. მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს მიუახლოვდნენ და დაბანაკდნენ ნიკოპოლისთან, სადაც 18 წლის წინ მითრიდატე ევპატორმა რომაელებთან უკანასკნელი საბედისწერო ბრძოლა გადაიხადა.

ბრძოლის წინა ღამით ფარნაკის გუშაგებმა ხელთ იგდეს ცეზარის შიკრიკები, რომლებიც ეგვიპტიდან გამალებით მოეშურებოდნენ დომიციუსისადმი ბარათის გადასაცემად. ფარნაკმა გახსნა ბარათი და შეიტყო, რომ ეგვიპტელებთან ბრძოლაში გაჭირვებაში ჩავარდნილი ცეზარი სასწრაფოდ დამხმარე ძალებს სთხოვდა დომიციუსს. მან ეს წერილი მოწინააღმდეგეს მაინც გაუგზავნა, რათა მისი წაკითხვით მტრის სულიერი სიმშვიდისა და მორალური სიმტკიცისათვის ზიანი მიეყენებინა.

მეორე დღეს ფარნაკმა დომიციუსთან ძღვენით დატვირთული ელჩები გაგზავნა და საზავო მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა. ამით მას სურდა მოწინააღმდეგის სიფხიზლე მოედუნებინა და მოულოდნელი დარტყმით გამარჯვება შედარებით იოლი გზით მოეპოვებინა. მაგრამ დომიციუსმა უარი თქვა ფარნაკთან დაზავებაზე და ბრძოლის დაჩქარება გადაწყვიტა, რათა რაც შეიძლება მალე დაძრულიყო ცეზარის მისაშველებლად.

მან საბრძოლველად დააწყო თავისი ჯარები. მარჯვენა ფლანგზე დააყენა 36-ე ლეგიონი, მარცხენაზე — პონტოში საგარნიზონო სამსახურისათვის გამოყოფილი ლეგიონი, ცენტრში — დეიოტარის ჯარები და კიდევ ერთი რომაული ლეგიონი, ხოლო დანარჩენი რომაული კოჰორტები რეზერვში იდგნენ.

ფარნაკმა მოწინააღმდეგის პირისპირ თავისი არმია სწორხაზოვანი ფრონტით განალაგა, ხოლო ფლანგები მხედართა რაზმებით გააძლიერა.

ორივე მხრიდან ერთდროულად დასჭექა საბრძოლო ნაღარამ. მოწინააღმდეგენი ელვის სისწრაფით მოსწყდნენ ადგილებიდან და თავდავიწყებით ეკვეთნენ ერთიმეორეს. ბრძოლა დიდხანს ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა 36-ე ლეგიონი, რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან ძლიერი

შეტევით უკან დაახევინა პონტოელთა არმიას. მაგრამ ფარნაკმა სასტიკად დაამარცხა რომაელთა მარცხენა ფლანგი და ცენტრი. ამათ თავის მხრივ იწყეს უკან დახევა და მარცხენა მხრიდან შეიჭრნენ 36-ე ლეგიონის რიგებში. დომიციუსმა კარედ (ოთხკუთხედად) დააწყო თავისი მეომრები, რათა როგორმე გადაერჩინა ისინი პონტოელთა ალყისაგან და განადგურებისაგან. მაგრამ მისი მარცხი გარდაუვალი შეიქნა. დომიციუსის სამი ლეგიონი მიებარა იმ მიწას, რომელიც ერთ დროს მითრიდატე პონტოელის მეომართა ძმათა სასაფლაოდ იყო ქცეული.

დომიციუსმა მხოლოდ ერთი, დაფანტული და დაუძლურებული ლეგიონით უშველა თავს.

ფარნაკმა განიმტკიცა პონტოს ტახტი. მაგრამ ის ჭკუითა და შორსმჭვრეტელობით სრულებითაც არ ჰგავდა მამას. ის ამ პირველი გამარჯვების შემდეგ სრულ უდარდელობას მიეცა. არ ფიქრობდა, რომ რომაელები, საშინელი შურისძიებით შეპყრობილნი, კვლავ შემოიჭრებოდნენ და შეეცდებოდნენ თავბედი ეწყევლინებინათ მისთვის გუშინდელი დამარცხებისა და შერცხვენისათვის; არ ფიქრობდა, რომ საჭირო იყო მზადება რომაელთა სარევანშო გამოსვლის უვნებელსაყოფად. ამის ნაცვლად ის ყოყოჩობდა და იკვეხნიდა, რომ დაიბრუნა მამის მემკვიდრეობა, რომ ახლა ის არანაკლებ სახელოვანი და დიდებამოსილი მეფეა, ვიდრე მამამისი. ფარნაკის ძირითად საქმიანობად ის იქცა, რომ ულტდა ყველა რომაელს, სადაც მათ მოახელებდა; უფრო მეტიც: არ ინდობდა პონტოელ მოქალაქეებსაც კი; ის განუზომელი სისასტიკითა და სადიზმით თვით მითრიდატეს თანამედროვეთა განცვიფრებასაც კი იწვევდა; განსაკუთრებით ვერ იტანდა ლამაზსა და ახოვან ახალგაზრდებს და მათი წამება-დამცირება დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას. რა თქმა უნდა, ასეთი მოქცევით ის თავისივე ქვეყნის ხალხს აიმხედრებდა და რომაელებს გამარჯვებას გაუადვილებდა...

ცეზარმა ეგვიპტის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მიაშურა აზიის სანაპიროებს და 47 წლის (ძვ. წ.) ივლისში ერთი ლეგიონით გადავიდა კილიკიაში. აქ მისი ბრძანებით გამოცხადდენ კილიკიის ქალაქთა მმართველები და მორჩილება გამოუცხადეს მას. შემდეგ ის გაემართა გალატიაში; აქ მასთან გამოცხადდა ბრალდებულის ტანსაცმელში გამოწყობილი დეიოტარი და პატიება სთხოვა „ძველი ცოდვებისათვის“, რაც პომპეიუსსა და მას შორის არსებულ მეგობრობაში მდგომარეობდა. ცეზარმა მიიღო მისი მორჩილება და ბრძანა სასწრაფოდ გამოეყვანა მისი დროშის ქვეშ ერთი ლეგიონი.

გაიუს იულიუს ცეზარი

ცეზარმა რომის სუკერენიტეტს კვლავ დაუმორჩილა კაპადოკია და სწრაფი მარშით გაეშურა პონტოსაკენ. ივლისის ბოლოს ცეზარი ფარნაკისათვის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ქ. ცელას მახლობლად.

ფარნაკმა სასწრაფოდ გაგზავნა ელჩები ცეზართან და შეუთვალა: მე მზად ვარ შევასრულო ცეზარის ყველა მოთხოვნები; მე მით უფრო ვარ პატიების ღირსი, რომ ცეზარის წინააღმდეგ ომში პომპეიუსისათვის არც ერთი მეომარი არ გამიგზავნია, ხოლო დეიოტარი, რომელიც ახლახან შეიწყალეთ, ყოველთვის ეხმარებოდა და ერთგულებდა პომპეიუსსო. ფარნაკი ყოველნაირად ცდილობდა მიეღწია შეთანხმებისათვის; მან იცოდა, ცეზარს ძალიან ეჩქარებოდა იტალიაში გამგზავრება და როგორც კი მას აზიიდან გაიგულებდა, კვლავ შეუდგებოდა პონტოს შენარჩუნებისა და მისი საექსპანსიო ზრახვების განხორციელებას.

ცეზარმა შეიტყო ფარნაკის გეგმების ნამდვილი არსი, მაგრამ არ შეიმჩნია და გულთბილად მიიღო მოწინააღმდეგისაგან ორჯერ გამოგზავნილი ელჩობა. პონტოელმა დესპანებმა მას ფარნაკისაგან გამოგზავნილი ოქროს გვირგვინი გადასცეს და კვლავ ითხოვეს დაზავება. ცეზარს ბრძოლის გამართვა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ მოწინააღმდეგის სიფხიზლის მოდუნების მიზნით მოლაპარაკებას მაინც განაგრძობდა. ხოლო, როცა ცეზარმა საბრძოლო სამზადისი დაამთავრა, მესამედ გამოცხადებული პონტოელი ელჩები დალანძღა და ფარნაკს შეუთვალა, რომ ის ვერაგია, თუნდაც იმიტომ, რომ თავის კეთილისმყოფელ პომპეიუსსაც კი არ ეხმარებოდა და ღალატობდა.

ბრძოლა გარდაუვალი შეიქმნა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ მდ. ირისთან, ქ. ცელას მახლობლად, სადაც 20 წლის წინათ მითრიდატე ევპატორმა სასტიკ ბრძოლაში გაანადგურა ტრიარიუსის ლეგიონები.

შეაღამისას, არაჩვეულებრივი სისწრაფით და სიწყნარით ცეზარმა ოთხი ლეგიონით ხელთ იგდო მაღლობი, საიდანაც მითრიდატე ევპატორმა ერთ დროს ძლიერი დარტყმით ირისის ჭაობებში შერეკა და გაქელტა ტრიარიუსის მეომრები.

2 აგვისტოს გარიჟრაჟისას ფარნაკმა შენიშნა, რომ რომაელები უკვე მისი ბანაკის წინ იყვნენ აღმართულნი.

მაგრამ ფარნაკი ჩვეული მხნეობით შეუდგა საბრძოლო სამზადისს. მას სრული იმედი ჰქონდა, რომ თავისი არმიით, რომელსაც,

როგორც თვითონ ამბობდა, ოცდაორი ბრძოლა ჰქონდა მოგებული, ადვილად დასძლევდა და მოსპობდა რომაულ კოჰორტებს.

ბრძოლის პირველმა ნაღარამ პონტოელთა ბანაკიდან დასჭექა. ფარნაკის ბრძანებით მისი ჯარები შეესივნენ ბორცვს და მიაშურეს რომაელთა სანგრებისაკენ. ცეზარი ცხენს მოახტა და შესძახა: „ნუთუ ამ მამის მკვლელმა დაუყოვნებლივ არ უნდა მიიღოს სასჯელი?“ ამ სიტყვებით მან ნიშანი მისცა და რომაული ლეგიონები ზვავივით ეძგერნენ მოწინააღმდეგეს. ორივე მხრიდან არაჩვეულებრივი თავგანწირულებითა და მხნეობით იბრძოდნენ. ხუთი საათის განმავლობაში მოწინააღმდეგენი საშინელი თავდავიწყებით ერთიმეორეს ხელიდან ართმევდნენ სისხლით მორწყული მიწის ყოველ მტკაველს. ბოლოს ცეზარმა გასტეხა მტრის წინააღმდეგობა. ფარნაკის არმიის უდიდესი ნაწილი განადგურდა. თვითონ მეფემ მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით ძლივს გაასწრო ბრძოლის ველიდან.

მან სრულიად დასტოვა პონტო და კვლავ გაეშურა ყირიმისაკენ. მაგრამ მას აქაც გზა მოჭრილი დახვდა. მის მიერვე დატოვებულმა ბოსფორის მმართველმა ასანდრემ ფარნაკს გამოუცხადა, რომ ის გადაყენებულია ბოსფორის სამეფოს ტახტიდან. ასე, რომ ფარნაკი თვით აღმოჩნდა იმ უფსკრულის წინაშე, სადაც მან ერთ დროს თავისი მშობელი მიიყვანა და ხელი ჰკრა. მან მაინც სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მცირეოდენი წარმატებები მალე საბოლოო კრახით დამთავრდა. ასანდრე ძლიერი ძალებით თავს დაესხა მის მცირერიცხოვან ამალას. ფარნაკი მამისეულმა სიმამაცემ და თავგანწირულებამ ვერ იხსნა; ის მრავალი ჭრილობებისაგან სისხლით დაცლილი მინებდა სიკვდილს...

მრავალ ძლევამოსილ ბრძოლებში ნაწრთობი ცეზარი ფარნაკის განადგურებითა და პონტოს საბოლოო დამორჩილებით არაჩვეულებრივად იყო აღტაცებული, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მან ასე მოულოდნელად, ასეთი სისწრაფით შესძლო რომაელთათვის მუდამ შიშისმომგვრელი პონტოს დამორჩილება. სწორედ ასეთი მოულოდნელობის, სისწრაფისა და აღტაცების გამომხატველი იყო ის სიამაყით აღსავსე სამი სიტყვა, რომელიც ფარნაკის დამარცხებასთან დაკავშირებით მისწერა ცეზარმა რომში თავის ერთ-ერთ მეგობარს: „მიველ, ვნახე, დავამარცხე“ („ვენი, ვიდი, ვიცი“).

ცეზარმა პონტო კვლავ რომის პროვინციად გამოაცხადა და იტალიაში გაეშურა...

ამგვარად, პონტოელთა უკანასკნელი მოჰიკანის გამოსვლამ აღმოსავლეთის დაუსრულებელ ბრძოლათა ასპარეზზე მეტეორივით

უკანასკნელად გაიელვა და საბოლოოდ ჩაქრა. მის შემდეგ რომის იმპერიის ძლიერი მახვილი სულს უხუთავდა აღმოსავლეთს, რომელსაც უკვე აღარ ჰყავდა თავგანწირული ქომაგი და პონტოსებრ მამაცი მებაირაღტრე რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიკოპოლისთან დომიციუს კალვინუსის სასტიკი მარცხი და ფარნაკის ბრწყინვალე გამარჯვება, რომაული ექსპანსიის წინააღმდეგ პონტოს უკანასკნელი გაბრძოლება, მისი გედის სიმღერა იყო. მოვიდა ცეზარი და პონტოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც რომაული ძალმომრეობის ბრჭყალებში საბოლოოდ სასიკვდილოდ გაირინდა... პონტოს ცის თაღზე ჩამობნელდა... ზენიტში აბრწყინდა რომაელი იუპიტერი...

შინაარსი

წინასიტყვაობა . . 8
შესავალი 5
პონტოს სამეფო მითრიდატე VI-მდე . . 10
პონტოს სამეფო მითრიდატე VI ევპატორის დროს . 18
მითრიდატეს პირველი ომი 43
მითრიდატეს მეორე ომი 79
მითრიდატეს მესამე ომი . . 84
პონტოს უკანასკნელი დღეები 211

რედაქტორი პროფ. გ. მელიქიშვილი

უდა მხატვარ ა. კანდელაკისა, მხატვარი რედაქტორი გ. დიკი,
ტექრედაქტორი ვ. გვეტაძე, კორექტორი ნ. ლორთქიფანიძე.

გადაეცა წარმოებას 13/IX 55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV 56 წ. ანაწყობის ზომა 6×9 1/2, ქაღალდის ზომა 60×92, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 14, საღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 12, 28
უე 00064 ტირაჟი 5.000 შეკვეთის № 2522,
ფასი 8 მან. 30 კაპ.

ბაქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ქუთაისის სტამბა, ფალიაშვილის ქ. № 9.

Кутаисская типография Главполиграфиздата
Министерства Культуры Грузинской ССР.
ул. Палиашвили, 9.